ლი ორმოსებრი ადგილი („კომუნის-
ტი“, № 187, 1968).
- სანარწყულ-ი** (ფშ.). ნ. სანარწყალი.
- სანარცხ-ი, სახელნარცხე** (ზ. იმერ.)
ტაშტისგვარი თიხის ჭურჭელია (ბ.
წერეთ.).
- სანასკო** (ხევსურ.) სანასკო, ნასკვის გა-
მოსხნა: მოსიხლეთა შერიგების წე-
სია (ს. მაკალ.).
- სანაქხელა** (იმერ.) საქსელავი ჯობი (ე.
ბერ.).
- სანაღბე** (გულამაყრ.) ნაღების ჭურჭელი
(ა. ბექ., 223).
- სანაყელ** (ინგილ.) ფილთაქვა. ნ. ფილი
(მ. ჯან.).
- სანაყრე** (ფშ.) კუჭი (ვაჟა-ფშ. მც. ლექ-
სიკ.).
- სანახბატი** (მოხ.) სახურავის მილიდან
ჩამოსული წვიმის წყალი (ო. ქაჯ.).
- სანაცურა** (ფშ.) კერის პირას იატაკზე
დაფენილი ცხვრის ტყავი ან ქსოვი-
ლის, ნაბადის ნაჭერი. მასზე ფეხმორ-
თხვით სხდებიან ქალები (ი. ქეშიკ.).
- სანაწეო** (ფშ.) ნეფე-დედოფლისათვის
განკუთვნილი მისალოცი, საჩუქარი
(ს. მაკალ.; ი. ქეშიკ.).



- სანაწყორო (გურ.) საწყო (გ. შარაშ.).
- სანახ-ი (ლექს.) სასინჯი, ყავრისათვის შეგულებულ ხეს მთაში სასინჯად დიდ ნაფოტს აართმევენ და მას ჰქვია.
- „როცა ყავარი მომინდება, წავალ ტყეში და შევეასანახებ“ (მ. ჩიქ.).
- სანახლო (ლექს.) მოსავლელი, საპატრონო (მ. ალაფ., 1).
- სანახველა (მესხ.) სანაგვე (|| სანეხვე) ადგილი (ი. მაისურ.).
- სანახლათ (აქარ.) სანახავად (დიალექტ., 659).
- სანახშო (რაქ.) სალაპარაკო, საბაასო, სამასლაათო, სასაუბრო ადგილი სოფელში, სადაც თავს იყრიდნენ სასაუბროდ და გასართობად (დიალექტ., 687).
- სანგალ-ი (ხევსურ., თუშ., მოხ., ფშ.) სანგარი, საფარი, თხრილი, მიწური საფარი (ა. ჭინჭარ., 299; ა შან.; დიალექტ., 584; ი. ქეშიკ.).
- სანდაოც-ი (ქსნის ხეობ.) ადამიანი, რომელსაც ყველაფერი უკვირს და ყველაფერს იოცებს, განცვიფრებულია (გ. სომხიშვი.).
- სანდვალ-ი (მესხ.) საყრდენი, დგამის დასაყრდენი ნაწილი, კიდური (ი. მაისურ.).
- სანება (თუშ.) წიწმბატურა, მცენარეა (ა. მაყ.).
- სანე, სანა (ლექს.) ზოგან, რომელიმე ადგილას (დიალექტ., 678).
- სანერბიელო (ხევსურ.) ხაეიწის გულიანი მოზრდილი ქადაა (ა. ჭინჭარ., 213).
- სანერწყვო (მთიულ.) ბაგაში საქონელსა და საქონელს შუა დატოვებული ადგილი ნაგვის მოსახვეტად (ლ. კაიშ.).
- სანეხველა (ლექს.) სანეხვე, ადგილი, სადაც ნაკელს აგროვებენ (მ. ალაფ., 2).
- სანთ-ი (ქიზიყ.) სიმარჯვე, ხერხი: სანთი არა აქვს“ (ს. მენთეშ.).
- ნ. აღ. დლონტი, სიტყვის კონა.
- სანთბის ყუნჭ-ი (ხევსურ.). ნ. ჩარახის ყუნჭი.
- სანიაზო (ფშ.) სასურველი, სანატრელი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.; დიალექტ., 556).
- სანიამო (ხევსურ.) საფქვის გასაფენი ფარდავი (ა. ჭინჭარ., 259).
- სანიჰარ-ი (ჯაეახ., თუშ.) საჩუქარი, ნეფე-დედოფლისათვის მისართმევი საჩუქარი მექორწილეებისაგან (დიალექტ., 649); შესაწვეარი სიკვდილის შემდეგ (თ. უთურგ.).
- სანსალა¹, განსანაღება (იმერ.) გატანტაღება, ძალზე გასუფთავება (ვ. ბერ.).
- სანსალა² (ფშ.) წყალში მცხოვრები მწერია, მთის წყლებში იცის, კალმახი ჭამს (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.); ნაცრისფერი მრავალფეხა წყლის ჭია (ი. ქეშიკ.).
- სანსალა³ (გურ.) მეტისმეტად გალესილი მახვილი (დანა, სადგისი, ნაჯახი...); გასანსალაღებულ-ი გალესილი (გ. შარაშ.).
- სანტახელი-ი (ღურ.) საწნახელი (ა. ლლ.).
- სანუქთო (ქიზიყ.) სამუქეთო, სამაგიერო, სანაცლო. ნ. ნუქთი (ს. მენთეშ.).
- სანჩხვე (იმერ.) სათესური, მოსაშენებლად გაშვებული საქონელი, ფრინველი (ვ. ბერ.).
- საჟ-ი (ინგილ.) თითქმის (მ. ჯან.). აზერბ. санки.
- საოთ-ი (ფშ.) სავათი, წეროს მსგავსი მალაღებებიანი და გრძელყელიანი ფრინველია, ჭამენ (ჯაეა, I, 1946, ა. შან.).
- საომჩულე (გურ.) ღომის შესანახი ჭურჭელი (ა. წულ., ეთნოგრ. გურია, 1971, 121).
- საორმოცო (გურ.) მუცლის ტიფი (გ. შარაშ.).
- საონავრო სათიბე (ხევსურ.) უპატრონო სათიბე, რომლის თიბვა ყველას შეეძლო. ვინც დაასწრებდა (ა. ჭინჭარ., 223).

- საოსხე-ა** (თუშ.) დასაკლავად გასუქებული პირუტყვი. შდრ.: ძვ. ქართ. უსხ-ი (თ. უთურგ.).
- საოშ-ი** (ქართლ.). 1. ორხელა ან ოქოქა, რომლითაც ანეულს ხნავენ—ოშავენ; 2. ხელმეორედ სახნავი ანეული (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- საპინა** (თუშ.) ლენცოფა, მცენარეა (ა. მაყ.).
- საპარავი** (მესხ.) გრძელტარაინი ხელსაწყო, ძნელად მასაწვდომ მაღალ ტოტზე ხილის დაუზიანებლად მოსაწყვეტი („კომუნისტი“, № 294, 1967).
- საპაინიო** (ლეჩხ.) სასტვენი, სათამაშო (მ. ჩიქ.).
- საპირბეწვე** (ხევსურ.) მატყლის მჩეჩელთა მეორე ვახშამი: მჩეჩელნი ორჯერ ვახშმობენ, რადგან გვიან ღამე მუშაობენ (ა. ჭინჭარ., 252); მესამე ვახშამი, ღამე მესამედ ჰამა მჩეჩელთა ნაღის მიერ. პირველად ჰამა ოქშამი ა, მეორედ — ოქშამთ უკვე ა, მესამედ — საპირბეწვე (დილალექტ., 556).
- საპირგამტეხლო** (ფშ., თიან.) ჯარიმა, დამნაშავე პირის მიერ დზარალებული ოჯახისათვის შესარიგებლად მირთმეული ცხვარი ან სანოვავე („კომუნისტი“, № 294, 1967).
- საპირე** (მოხ.) ხარის პირის ამოსაკრავი ლეწვის დროს (დილალექტ., 563).
- საპირბელ-ი** (კახ.) ფქვილის ჩამოსადენი ალატაში (ნ.) (ა. მარტ., გ. იმნ.).
- საპირკსნო** (თიან.) ცხვარი, რომელსაც კლავდნენ მიცვალებულის დამარხვის მეორე დღეს პირის გასახსნელად, ხორცის ჰამის ნების დასართველად (დილალექტ., 600).
- საპიტინა-ი, საპუტუნა-ი** (გურ.) სასტვენი (გ. შარაშ.).
- საპონელა** (ქართლ., კახ.) წინწყალა, მცენარეა. ნ. ბეჭედა (ა. მაყ.).
- საპონა ბალახ-ი** (თუშ.) ქაფუნა (ა. მაყ.).
- საპოხ-ი** (ფშ.) ცხიმი ყოველნაირი (ი. ჭყონ.).
- საპრუწ-ი** (ქართლ.) ქისისა და მისთანათა პირის მოსაკრავი ზონარი, თასმა (გ. შატბერ., 90).
- საპურე** (მთიულ.). ნ. პურადა.
- საპურე ბუნაგ-ი** (ხევსურ.) საპურე ჭურჭელია, რომელშიც პურს ინახავენ (ა. ჭინჭარ., 207).
- საპუტუნა-ი** (გურ.). ნ. საპიტინა.
- საჟრიატაჟ-ი** (თუშ.) საშიში, ავი სულეების სადგომი (პ. ხუბ.).
- საჟულიაჟ-ი** (თუშ.) თამაშთა ერთგვარი (პ. ხუბ.).
- საჟურ-ი** (ფშ.) ერთი წყლის რუს შემდეგ გაკეთებული მცირე რუ, იმ წყლის წასაყვანად, რაც პირველ რუს გასდის (თ. რაზიყ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).
- სარაბახ-ი** (გურ.). ნ. სერაბახი.
- სარაგვავი** (იმერ.). წნელი, რითაც რაგავენ (ლობავენ) ღობეს (ი. ჭეთ.).
- სართ-ი¹** (ქიზიყ.) სოფლის ახლოს მარჯვედ მდებარე ადგილი, სადაც გადის სოფლის შინაური ცხოველი და ფრინველი: ინდაური, ბატი, ღორი, ურმის საქონელი (ს. მენთეშ.).
- სართ-ი²** (თუშ.) ხის სამანი. ნ. სამანე (თ. უთურგ.).
- სართათა** (მთიულ.) მაღალი ბოძი ცხვრის ბინასთან (ლ. კაიშ.).
- სარაკულე** (იმერ.). ნ. სარეველ¹.
- სარაკუნა/ე-ი** (გურ.) წისქვილის ნაწილია. ჩიბაზე (ნ.) მიმდებარებული ჯოხი, რომელიც ქვაზეა დადებული და მოძრაობს (ს. ულ.).
- სარაკუნე, სარაკუნე** (გურ., ლეჩხ.) ხის პატარა ზარი, რომელსაც ხბოსა და სხვა საქონელს შეაბამენ ყელზე, რომ მწყემსს არ გაუჭირდეს ღრე-კლდეებში მათი ძებნა (ი. ჭყონ.; ს. ულ.; მ. ჩიქ.).
- სარამ** (მესხ.) სანამ; სარამდ-ი სანამდე, ვიდრე (დილალექტ., 652).

სარამიტელი-ი (გურ.) ჭკვიანი, გონიერი, მიმხედარი; კარგი მოლაპარაკე. „აი ბალანი ნამეტარი სარამიტელია!“ (გ. შარაშ.).

სარალან (ინგილ.) თრიმლი, მცენარეა (ა. მაყ.).

სარაყუდელა (ლენხ.) უშნო მალალი კაცი, აყლაყუდა (მ. ალავ., 2).

სარაჟი, სარაჟა (იმერ.) ფიჭი (გ. ბერ.).

სარაჟა (იმერ.). ნ. სარაჟი.

სარაჯა (ლენხ.) ფიჭი. ნ. სარაჟი (მ. ჩიქ.).

სარგვლა (მესხ.) ძლიერად წყევლა, შეჩვენება. „წყევლის და სარგვლის თავის დამწვარ და დახრუკულ სეგბედსა“ (ი. მაისურ.).

სარგახი-ი (ლენხ.) სადგისი (დიალექტ., 679).

სარდალა (მთ. რაქ.) წალიკა, მცენარეა. ნ. სალდა (ა. მაყ.).

სარდო (ქართლ.) საზრდო; გარდილი-გაზრდილი; რდილობა ზრდილობა (ა. ლ.).

სარე (გურ.) სად (ს. ულ.).

სარეგავი-ი (იმერ.). ნ. სარეგველა.

სარეგველე (ლენხ.) ჩიტის მახეა (მ. ჩიქ.).

სარევენი-ი (ხევსურ.) ფაფის მოსარევი ხელსაწყო, ქაფქირი. ნ. საფაფე (ა. ჭინჭარ., 296; დიალექტ., 556).

სარეველა (მთიულ.) ხისტარიანი რკინის ნიჩაბი, არაყის ან რძის მოსარეველ (ლ. კაიშ.).

სარეკი-ი (ქართლ., ქვ. იმერ., ენოხიყ.). 1. ხელნეგზე ურმის თვლების წინ დაკრული ლატანი, რომ თავდადმართში ურმის თავში შებმულმა კამეჩებმა გავით დაიჭირონ ურემი და ამავე დროს ურმის თვალი არ მოხედეს გავსა და ფეხებზე (ე. ბაბუნ., 274; ზ. ჭუმ-ბურ., 285; ს. მენთეშ.); 2. ადგილი, საიდანაც ნადირობის დროს მრეკავნი (ნ.) ნადირს ერეკებიან სახუნდრისაკენ

(ს. მენთეშ.); ნადირთ მოსალაღავი (საბა).

სარეველა¹ (ხევსურ., იმერ., ზ. აჰარ.) ხის პატარა თავკომბლის ფორმის პალო, რომელიც ერთი ნაპირით (თავით) დოლაბზე დევს, ხოლო მეორეთი ნაჭლიკასთან (ნ.) არის შეერთებული. წისქვილის ტრიალისას სარეველა ხტუნაობს, არხევს ნაჭლიკას და ეს იწვევს მარცვლის თანაზომიერ დენას წისქვილისაკენ (ა. ჭინჭარ., 209; დიალექტ., 672; შ. ნიყარ.).

სარეველა² (იმერ.). ნ. სარაჟუნე.

სარეკულე (იმერ.). ნ. სარეველა¹.

სარემზო (ხევსურ.) ხატის შესაწირავი; ბატკანი ან ციკანი. იხდიდა ის, ვინც ხახმატის ჯვარს ცხენების მომრავლებას შესთხოვდა (ს. მაკალ.).

სარეტებელ-ი (ხევსურ.). ნ. კუჭულა³.

სარებვი-ი (ზ. იმერ.) ჩიტისა და თავის მახე (ბ. წერეთ.).

სარეჯველა (იმერ.) სარეგველა, სარეგავი, მახე (გ. ბერ.).

სართი¹ (მესხ.). 1. მყიფე, ფიცხი, ადვილად მსხვრევადი: „თუჯი სართია“; 2. მაგარი, ძლიერი: „სართი თუთუნი“ („კომუნისტი“, № 187, 1968). თურქ. sert.

სართი² (აჰარ.) დიდი ჭირკი კერაზე, ნელა იწვის, მისი ცეცხლი დიდხანს ძღვბს (შ. ნიყარ.).

სართაულ-ი (რაქ.) მარხილის კოჭების შემავრთებელი ნაწილი (შ. ძიძ., 213); სართაულა ურმის ხელნეგსა და ფიცრებზე დამაგრებული მოკლე ძელები (ორი-სამი), რათა ტვირთმა ურმის ფიცრები არ დააზიანოს („კომუნისტი“, № 187, 1968).

სართაულა (მთიულ.) კერაში შეკეთებული დიდი კუნძი, რომელიც ნელ-ნელა იწვის, თავსართულა (ლ. კაიშ.).

სართვი-ი (რაქ.): სართვი-ი გული-ხაჟაურის (ბაჟულის) გული, რასაც ცომში ჩაურთავენ (ლობო, ცერცივი,

- ხაჭო, ნადული და სხვ.)** (დიალექტ., 688).
- სართვა** (გურ.) ნათესის (მაგ., სიმინდის) გამეჩხრება, ზედმეტისაგან გაწმენდა (პ. ჯაჭან.).
- სართვიან-ი** (რაჭ.) პურის ნამცხვარი, რომელშიაც ჩართულია რაიმე, მაგ., ლობიო, ხორცი. ნ. სართვი („კომუნისტი“, № 294, 1967).
- სართვიგული-ი** (რაჭ.) გამოსაცხობ პურში ჩასატანებელი ხაჭო, ერბო, ყველი და მისთანანი. ნ. სართვი („კომუნისტი“, № 294, 1967).
- სართოფელა** (აჭარ.). ნ. ხელთოფა.
- სართულ-ი** (კახ.) აბრეშუმის ქიის გასაფენი ერთი წყება, ერთრიგი ლასტი-გარინგა (ა. მარტ., გ. იმნ.).
- სართხამ** (ინგილ., ფშ.) ტყავების გასართხმელი ჭივოები (მ. ჯან.; ა. ჭინჭარ., ფშ.).
- სარია მიწა** (ქართლ.). ნ. ლომამიწა.
- სარივა-ი** (გურ.) მდინარე წყლის გასარიგებელი, გასაყოფი მოწყობილობა (გ. შარაშ.).
- სარივო** (ფშ.) ნამცხვარია ერთგვარი (ს. მაკალ.).
- სარიდვალო** (ქიზიყ.) მოსარიდებელი ქირი, საერთოდ გადამღები სენი (ს. მენთეშ.).
- სარიკოხობა-ა** (თუშ.) თამაშობაა ბავშვთა (პ. ხუბ.).
- სარიოშ-ი** (ზ. იმერ.) სარიოშე, ღვინის მრგვალი სასმისი ხისა, ფეხიანი (პ. წერეთ.).
- სარიხტა** (ფშ.) საზრუნავი, თადარიგი. „შინა და კარში სარიხტას თავს ველარ ართმევს შვილ-წვრილი“ (ი. ქეშიკ.).
- სარმა¹** (აჭარ.) მსხლის ფოთოლში გახვეული ბრინჯიანი ხორცი (დიალექტ., 660). თურქ. sarma.
- სარმა²** (ქართლ., კახ.) ჭიდაობის ერთი ხერხთაგანი. ნ. კვანტი³ (ი. ჭყონ.; ქეგლ.).
- სარმან-ი** (ქვ. იმერ.) ნ. სარმანა, მანჭო.
- სარმანა** (ლენხ.) მანა, ჭალი, ურმის ზესადგარში ჩარჭობილი სარი, სიმალით ერთ მეტრამდის (მ. ალავე, 2).
- სარნა** (ფშ., ზ. აჭარ., ზ. იმერ.) წყაროსთვის დადგმული გეჯი, დიდი, უხეში ჭურჭელი ხისა. ნ. ისარნა¹ (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.; შ. ნიქარ.).
- სარო** (ქართლ., მესხ., ჯავახ., ზ. აჭარ., ლენხ.) ლაშქარა, მცენარეა (ა. მაყ.; შ. ნიქარ.).
- სარხალა/ე-ა** (იმერ.) გაწყვეტა, დახოცვა, ჭირი. „გეგერიით სარხალეა“ (ვ. ბერ.).
- სარსარიკა** (ქართლ.) ყბედი, ჭორიკანა ჭალი (მ. მესხ.).
- სარსლ-ი** (ქართლ.) ხახვის ფურცელსა და ფურცელს შუა თხელი გარსი (გ. შატბერ., 90).
- სარუე** (ხევსურ.) წისქვილის წყლის არხი (ა. ჭინჭარ., 208).
- სარუკა** (ფშ.) თივის პატარა ზეინი (ა. ჭინჭარ., ფშ.).
- სარულ-ი** (იმერ.) ცურვის სახე: მოცურავე სწორად დგას ღრმა წყალში, ხელები შეუძლია ზევით აიშვიროს, თითქოს ფეხები ფსკერზე უბრჭენიაო (ი. ქავთ.).
- სარფ-ი** (ქართლ.) ყუთი (დიალექტ., 642).
- სარქალ-ი** (კახ., ფშ., თუშ.) ბინის მწყემსების უფროსი, ბინის თავი (ლ. ლენხ.). სპ. sárkar.
- სარქე¹** (იმერ.) გამომცხვარი პურის რგოლი (ი. ქავთ.).
- სარქე²** (ქართლ.) ადგილი, სადაც ხბოს რქა ამოსდის (გ. შატბერ., 90).
- სარქენ-ი** (ხევსურ.). ნ. სარქე².
- სარქვა¹** (იმერ., გურ.) საქონლის დაბმარქებით (ვ. ბერ.).
- სარქვა²** (ლენხ.) ყინვა, გაყინვა (მ. ჩიქ.).
- სარქვიელ-ი** (ლენხ.) ქვევრის სარქველი, თავსახურავი, ფართო, ბრტყელა ქვა

ან ფიცარი (მ. ჩიქ.; დიალექტ., 679).
 სარყ-ი (თუშ., ფშ.) სამანი. ნ. სარყანი
 (თ. უთურგ.).
 სარყანი (მთიულ.) გათლილი ჯობები
 სათიბის გარშემო ჩასმული, რომ შიგ
 საქონელი არ შეუშვან (ლ. კიშ.).
 სარშვალა (აქარ.) საშუალი (ი. მეგრ.).
 სარჩველა (ქართ.) სარჩვეი, რითაც
 არჩევენ, ვთქვათ, სიმინდს (ქეგლ).
 სარჩიალი-ი (მოხ.) არჩევანი (ო. ქაჯ.).
 სარჩიელა (იმერ.). ნ. სარჩველა.
 სარჩილი-ი (რაჭ.) რკინის რგოლი ცულის
 ტარზე მისამარებლად (ვ. ბერ.).
 სარჩლომა (რაჭ.) ბჭობა, მსჯელობა, სჯა-
 ბაასი (დიალექტ., 688); შდრ.: ნ.
 ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
 სარჩუტი-ი (ქართლ.) ძველი დაფუტურე-
 ბული, უვარგისი სარი (ი. ჭყონ.; შ.
 ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
 სარჩხინავ-ი (გურ.) სახლის სახურავის
 უმაღლესი ნაწილი შიგნიდან, ჭერს
 ზევითა ნაწილი. ნ. ნაბურავი (გ. შა-
 რაშ.).
 სარცხ-ი (ფშ., ქიზიყ., ლეჩხ.) ქვევრის
 გამოსარეცხი (ვაჟა, IV, ა. შან.; ს.
 მენთეშ.); ქვევრის სარეცხი, აკეთე-
 ბენ ბლის, არყის ქერქისაგან (მ. ჩიქ.;
 დიალექტ., 679); სარცხელი, ქვევრის
 საწმენდი ბლის ქერქი (ნ. ჩუბ.; ქეგლ).
 სარცხა (ხევსურ.). ნ. მწყურთელა.
 სარცხათ-ი (ხევსურ.) რძის საწურია (ს.
 მაკალ.).
 სარცხელი-ი (ზ. იმერ.). ნ. სარცხი.
 სარცხლი-ი (იმერ.). ნ. სარცხი.
 სარძელა-ი (ქართლ.) საწველელი (შ.
 ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
 სარწყეო ჩაფ-ი (იმერ.) ტბილის ჩაფი
 ერთგვარი (ლ. ლეჟ., 71).
 სარწყილა (თუშ.) წითელი გვირილა,
 მცენარეა. ნ. რწყილიკალია (ა. მაყ.).
 სარწყული-ი კვახ-ი (რაჭ., ლეჩხ., ზ.
 იმერ.) მწარე კვახი, ხრიაკა, წყლის
 ტურტელი; მისგან აკეთებენ კოპესი
 (ნ.), ორშიმოს (ნ.). ნ. მწარე კვახი
 (მ. ჩიქ.; ბ. წერეთ.; ა. მაყ.).

სარხვიელ-ი (რაჭ.) ლობიოს ჭიგო, (საქართველო)
 („კომუნისტი“, № 187, 1968).
 სარჯ-ი (მესხ.) სასჯელი; დასარჯვა
 დასჯა; სარჯვა დასჯა. „დასარჯა
 დიდი სარჯით“ (კ. დონდ., 376).
 სარჯელი-ი (გურ., აქარ.) სასჯელი (ა.
 ლ.; შ. ნიქარ.).
 სარჯულავ-ი (ფშ.) რჯული, სარწმუნოე-
 ბა (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
 სასაგულე (მოხ.) კაბის საგულისპირე
 ნაჭერი (დიალექტ., 563).
 სასაგძლე (ხევსურ.) ბეწვეგაუცლელი
 ხბოს ტყავისაგან გაკეთებული გულა,
 რომელშიაც მთესველი თესლს ჩაყ-
 რის. „ხელამ ტყულით გამტენა,
 როგორც სასაგძლე სხლიანი“ (ა.
 ჭინჭარ., 199, 250).
 სასალ-ი (ქიზიყ.) სუსტი, უღონო ადა-
 მინი; დაერთმინი ადამიანი (ს. მენ-
 თეშ.).
 სასალა-ი (გურ.). ნ. სასელი, სასალო.
 სასალაკ-ი (ქიზიყ.) ენის კლიტე (ს. მენ-
 თეშ.).
 სასალაღ-ი (თუშ.) მთის მდინარის წურ-
 ბლის მსგავსი ჭია (პ. ხუბ.).
 სასალო (ლეჩხ., ოკრიბ.) მსხლის ადრე-
 ული ჯიშია (მ. ჩიქ.; მ. ალაფ.).
 სასანი-ი (ქიზიყ.) ძლიერი ნდომა რისამე,
 სურვილით შეპყრობა, გაფაციცება
 ჭამისათვის. „რა მოგივიდა, რა სასა-
 ნი გჭირს, გოგო, ყველაფერზე?!“ (ს.
 მენთეშ.).
 სასანთბე (ხევსურ.) შანღალი, რომელ-
 ზედაც სანთბეს ანუ ჩირაღს (ჩი-
 რახს) დებენ (ა. ჭინჭარ., 292).
 სასარცხე (ხევსურ.). ნ. მწყურთელა.
 სასასმო (ზ. იმერ.) სასმისი (ბ. წერეთ.;
 ქეგლ.)
 სასაფურე (რაჭ.) ორხელიანი მაღალი
 ქოთანის (ვ. ბერ.).
 სასაჭმო (ზ. იმერ.) საჭმელი (ბ. წერეთ.).
 სახელა-ი (გურ.) მსხლის ადრეული ჯი-
 შია ერთგვარი. ნ. სასალო (კ. ვვარ.,
 950; ა. ლ., გურ.).

- სასელა-ა²** (ინგილ.) სახლის გარშემო წვიმის წყლის სადენი ღარი. ნ. ოჭვათო (მ. ჯან.).
- სასელი** (ლენჩ.) საზაფხულო მსხალი. ნ. სასალო (მ. ალაფ., 1).
- სასერავ-ი** (ლენჩ.) ყავრის სახდელი დანა (დიალექტ., 679).
- სასვარი-ი** (ფშ., რაჭ.) წყალში მოძულე-ბული ქათო ძაღლების საქმელად, სალაფავი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).
- სასველე** (ქართლ.) ღვინოს რომ ამორწყავენ, მყიდველს რასაც ზედმეტად დაუსხამენ სათვალავს გარდა — სასველეა (ი. ჭყონ.).
- სასთაულ-ი** (ფშ.) სასთუმალი (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- სასინათო** (ქართლ.) მცირე სარკმელი, სინათლის ჩასასვლელი (დიალექტ., 642).
- სასინათობელ-ი** (მთიულ.) ფარანი (ლ. კაიშ.).
- სასირხატო** (ფშ.) უვარვისი მიწა (ს. მაკალ.).
- სასნა** (ქართლ.) ხარბად ჭამა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- სასოფლო სათიბე** (ხევსურ.) სათიბე, რომელსაც ყოველ წელს კენჭის ყრით (წილის ყრით) ანაწილებენ (ა. ჭინჭარ., 223).
- სასრაველა** (ფშ.) დაჭრელებული ხშიადი, პატარა კვერები (ს. მაკალ.).
- სასრევ-ი** (მოხ.) სალესი, ცელ-ნამგლის გამოსაპირავი ქვა (დიალექტ., 563; საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ.).
- სასტ-ი** (ქართლ.) ბრძანება (კირიონი).
- სასტვენლა** (ფშ.) სასტვენი, მცენარეა (ა. მაყ.).
- სასტულ** (ინგილ.) სასთუმალი, ბალიში (მ. ჯან.; დიალექტ., 622).
- სასუდარმამკედარო** (ხევსურ.) სასისხლო გადასახადი—ერთი დღის სახნავი მიწა, რომელიც მეხელეს (ნ.) მოკლულის ოჯახისათვის უნდა მიეცა (ს. მაკალ.).
- სასულა** (ხევსურ.) საყლაპავი მილი პირუტყვისა (ა. ჭინჭარ., 239).
- სასულავა** (მთიულ.) ჩხირი, რომლითაც აწეულ პურს ჩხვლეტენ, რომ არ გასკდეს (ლ. კაიშ.).
- სასულე** (ქართლ.) სარკმელი (კირიონი).
- სასუნებელ-ი** (კახ.) სუსამბარი, მცენარეა (ა. მაყ.).
- სასურაო ცოცხ-ი** (ხევსურ.) ცოცხი, რომლითაც ხევსა და ნამკუდს (ნ.) აცალკეებენ; კალოს მასურაებ ალდასურაება კალოს ვაწმენდა ცოცხით (ა. ჭინჭარ., 205).
- სასუტებელა** (მოხ.) ჭინჭრის დედა, ჭინჭრის დედა, მცენარეა (ა. მაყ.).
- სასუტელა** (ფშ.) წუწუნელა, მცენარეა თაფლოვანი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).
- სასუტკა** (ფშ.) ფუტკარა, მცენარეა (ი. ჭყონ.; ა. მაყ.).
- სასუფთია** (ფშ.) სეფისკვერი ან ხატში მისატანი ქადა-პურები (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).
- სასქლე** (ფშ.) მატყლის უხეში ნართი, ძაფე ფლასის, ფარდავის, ტომარისა და მისთ. მოსაქსოვად (დიალექტ., 594).
- სასწორაფ-ი** (თუშ.). 1. ვაკე ადგილი; 2. ვაკე ადგილზე გაყვანილი გზა (თ. უთურგ.).
- სასწრაფო¹** (ზ. იმერ.) სამუსიკო იარაღი, სოლინარი (ბ. წერეთ.).
- სასწრაფო²** (ფშ.) ჩანთა მასრებიუროთ, რომლებშიც წინასწარ თითო გასროლა წამალია ჩაყრილი (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- სასხამ-ი** (იმერ.) საწყაო ჩაფის პირამდე გასაგები ღვინო, ცალკე დოქით ეჭირათ და კასრში ჩაცლის წინ უმატებდნენ ჩაფს (ი. ჭავთ.).
- სასხებია** (მოხ.) ღიმი, ატოლი, მცენარეა (ა. მაყ.).
- სასხიპ-ი** (ხევსურ.) მრგვალი ფიცარია, რომელსაც ადებენ ხოკერში (ნ.) ჩაწყობილ ნამტენებს (ნ.), ე. ი. გაჩე-

- ჩილ მატყლს, რათა ის არ აიწეწოს, უფრო დაიწინოს, რაც შემდეგ რთვის აადვილებს (ა. ჭინჭარ., 254).
- სასხიპავი (ზ. აჭარ.) ნედლი ტყავის გასაქიმიავი ჯოხი (შ. ნიჭარ.).
- სასხიპურა (ფშ.) ჩიტების მახევა ერთგვარი (ა. ჭინჭარ., ფშ.).
- სასხლიპავი (რაჭ.) ნ. სასხიპავი.
- სასხოთო (ხევსურ.) პირუტყვის სალანძღავი სიტყვაა, სასხვათო (ა. ჭინჭარ., 233).
- სატალახო (იმერ., ლეჩხ.). 1. ქეიფის დროს, თუ მსმელი ადგა შარდზე გასასვლელად, მას ჯარიმად ასმევენ ღვინოს, რომელსაც სატალახო ჰქვია (გ. ბერ.; მ. ჩიქ.); 2. ფეხის ქირა (მ. ჩიქ.).
- სატანი-1 (თუშ., ქიზიყ., ფშ.) ყველი, ხაჭო, ვერბო—ყველაფერი, რაც პურთან ერთად იჭმევა, რასაც პურს შეატანენ (თ. უთურგ.); ხმელი შექამადი, პურის შესატანებელი ყველი, ხორცი და მისთ. (ს. მენთეშ.); ჭამის დროს პურთან შესატანებელი, მისაყოლებელი (ი. ქეშიკ.).
- სატანი-2 (ხევსურ.) მოხდილი ყველი, დამზადებული ძროხის რძისაგან; საერთოდ ყველი (ა. ჭინჭარ., 268); ძროხის მოხდილი რძის ყველი (დიალექტ., 556).
- სატანტა (გურ.) ენამჭერი, ჩქარმეტყველი, ენაკვიმატი; ავი ქევეისა (ა. ლ.).
- სატანტურა-ა (გურ.) საყოხტოსავით. „ახლა ქალებს მუუწყით მოვის კაბა სატანტურაა; რავაც მიხვალ, ასე ვეტყვის: რას მოსულხარ ასე ტყულაა“ (გ. შარაშ.).
- სატარელა (ინგილ.) სასეირნოდ; სატარელა წაჰდნენ სასეირნოდ, გასართობად წაივინდნენ (მ. ჯან.).
- სატატია (ფშ.) ბავშვის სავლელი ჯოხები, ქოჭინა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900).
- სატაფურ-ი (ლეჩხ.) ბარის ტარში გაყ-
- რილი ჩხირი ფეხის დასაბრჭენად (ა. ლავ., 1).
- სატე (იმერ.) სავანთა, ნივთთა ან სხეულთა დამტევენლობა (ი. ჭყონ.).
- სატევა-ი (გურ.) მცენარეა ბალახეული (ა. ლ.).
- სატეკველა (რაჭ.) ტარდაგებული ფიცარი საკალოე მიწის მოსასწორებლად („კომუნისტი“, № 187, 1968).
- სატენ-ი (ქიზიყ.) მსხვილი კეტი ფეხილისა და მისთ. ჩასატენად ტომარაში (ს. მენთეშ.).
- სატეხე (ქართლ.) გუთნის ნაწილი, საკვეთი. „საჭრეთლით დახვრეტილი ხარ, არ გირეგია სატეხე“ (გ. შატბერ., 91).
- სატენია (ქვ. იმერ.) ურმის ხელნაში ჩასობილი რკინა (მ. ალავ., 3).
- სატენის ხე (რაჭ.) სახლის თავის ხე, რომელიც ვაცაზეა (ნ.) დაყრდნობილი (გ. ბერ.); სახლის თავზე, საქუდე („კომუნისტი“, № 187, 1968).
- სატილია (აჭარ.) ურთხმელი, მცენარეა (ა. მაყ.).
- სატაჩუნა (აჭარ.) ონტკოფა, მცენარეა (ა. მაყ.).
- სატკივარ-ი (თუშ.) ბავშვის შობის დროს მოსვლა, დადგომა (დიალექტ., 584).
- სატრე (ფშ.) ბოლში გამოყვანილი გამზირი ხე, რომლისაგანაც სართავ ტარს (თითის ტარს) აკეთებენ (დიალექტ., 594).
- სატრია (ფშ., ხევსურ.) ჭანჭყატი, მცენარეა ნ. ჭანჭყატი (ა. მაყ.).
- სატუკ-ი (რაჭ.) სუთისებრი ჯოხი ლობიოს მოსაზღვლად („კომუნისტი“, № 294; 1967).
- სატუკელი (რაჭ.) ნ. სატუკი.
- სატუკელა (რაჭ.) ნ. სატუკი.
- სატუჩარ-ი (ლეჩხ.) ტუჩისათვის დატოვებული ცარიელი ადგილი სავესე ქიქაში (მ. ალავ., 2).
- სატყეშებელა (მოხ.) ჭიპანტა, მცენარეა (ა. მაყ.).

- საუკუნემაგვდარო** (ხეცსურ.) სასისხლო გადასახადი — 5 ძროხა. თუ მკვლელს საწესოები გადახდილი აქვს და თავსისხლის გათავებამდის მეშუღლემ იგი მიინც მოკლა, ამ უკანასკნელს საუკუნემაგვდარო გადახდება (ს. მაკალ., 88).
- საუნდომო** (გურ.) ავადმყოფისათვის მომზადებული საქმელი. ნ. უნდომი, სამხიო (გ. შარაშ.).
- საურ-ი** (მთიულ., გულამაყრ.) საბნის გარსაკრავი (ე. ვირსალ.).
- საუტმელი** (ქართლ.) სიდერის მიერ სიძისთვის ნაჩუქარი ზღლი (პ. გაჩეჩ.).
- საუხანო** (რაჭ.). ნ. ჩეჩმა.
- საუხიკო** (მოხ.) უხერხული (ა. ყაზბ., IV, შ. ძიძ.).
- საფაიდო** (გურ.) სახეირო, სარგებლიანი (გ. შარაშ.).
- საფანდარ-ი¹** (მოხ., მთიულ.) მთიდან შეკრული თივის დასაგორებელი ხელსაწყო (ო. ქაჯ.); თივის პატარა ზვინი. მთაში, სადაც სათარის (ნ.) ან ვალდახის (ნ.) გამოყენება ვერ ხერხდება, სახელდახელოდ დადგამენ პატარა ზვინს. შემდეგ საფანდარს მოაგროვებენ კლდის თავზე და იქიდან გადმოყრიან (ს. მაკალ.; დიალექტ., 563).
- საფანდარ-ი²** (ქსნის ხეობ.) თარო (ე. სომხიშვ.).
- საფანდარა** (მთიულ.). ნ. საფანდარი¹.
- საფანდრე** (ხეცსურ.). ნ. კოლნაბო.
- საფანდურ-ი** (მთიულ.) ბალახი, რომელსაც ჩონგურს სიმებად უბამენ (ლ. კაიშ.).
- საფარავ-ი** (ფშ.) საფარცხავი (ი. ქეშიკ.).
- საფარებ-ი** (მთიულ.) ზარფუში (ლ. კაიშ.).
- საფართ-ი** (ფშ., თიან., თუშ.) ფიცრის კალპოტია ახლად მოქსოვილი წინდის წამოსაცმელად და ფორმის მისაცემად („კომუნისტი“, № 294, 1967); საფართ-ი ჩითის (ნ.) კალპოტი (ს. მაკალ.).
- საფართხელა, შაფართხელა** (ხეცსურ.) ხმიადის (ნ.) ფორმის, ოღონდ ცოტა უფრო მცირე ზომის პური (ა. ჭინჭარ., 212).
- საფარჩხველ-ი** (ლეჩხ.) ფარცხი (მ. ჩიქ.).
- საფარცხველ-ი** (ხეცსურ.) თივის ასაღები, ასაკრფი იარაღი. „გაოტრდა ცელი, საფარცხველიო თორმეტის მთიბლის სამყოფინიო“ (ა. ჭინჭარ., 226).
- საფაფ-ი** (იმერ.). ნ. ლაფაფი.
- საფაფე** (ხეცსურ.). ნ. სარეფანი.
- საფაფურ-ი** (იმერ.) კედელსა და სახურავს შუა დარჩენილი ცარიელი ადგილი („კომუნისტი“, № 294, 1967).
- საფაქიან-ი** (ლეჩხ.) სუსტი, ავადმყოფი, შეუძლო (მ. ალაფ., 1).
- საფეც-ი** (ფშ.) ჭურჭლის პირსაცობი, საცობი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.; ვაჟა, I, 1946, ა. შან.).
- საფეთქ-ი** (ოკრიბ.). ნ. ფეთქი.
- საფენ-ი** (რაჭ.) გადასახურავი, წასაბურავი, მიცვალეზულის ჭირისუფალთათვის შემწეობის აღმოჩენა (ე. ბერ.).
- საფერავ-ი** (ვახ.) ჭიაფერა, მცენარეა (ა. მაყ.).
- საფერტე** (მოხ., ფშ., თუშ., მთიულ., გულამაყრ.) საჭდომი ცხენი (ო. ქაჯ.; ლ. ლღონ.; ი. ქეშიკ.; თ. უთურგ.; ე. ვირსალ.).
- საფეტვიავ** (ლეჩხ.) თეთრი ქლიავის ჯიშია, ჭანჭურისებრ ნაყოფს ისხამს (მ. ალაფ., 2).
- საფეშველა** (ქსნის ხეობ.) ბალახია ერთგვარი (ე. სომხიშვ.).
- საფეხნო** (ხეცსურ.) ნაგებობაა, წინა კედელი არა აქვს. ვართობის მიზნით თავშესაყრელი ადგილი. აქ თავს იყრიან მხოლოდ მამაკაცები. დიაცებს სხვაგან აქვთ გასართობი ფეხონი. ნ. საფეხნო (ი. ჭყონ.; ა. ჭინჭარ., 273, 300); საფეხნო სასაუბრო (ს. მაკალ.).
- საფთურა** (რაჭ.) კეტი, წისქვილის ბორბლის ფთეში დებენ, როდესაც

ბორბლის გაჩერება უნდათ (ვ. ბერ.).
საფთრობი-ი (ქართლ.) უკუა-გონება, ან-
 გარიში, გაგება (პ. ვაჩეჩ.).

საფთური-ი (იმერ., გუდამაყრ., მთიულ.)
 უნაგირის სამკაულია: ოთხკუთხედი
 სქელი ტყავი აბჯანდს ქვეშ ამოფა-
 რებული (ვ. ბერ.; ლ. ლეონ.).

საფთხული-ი (ფშ.) საფრთხული, საფრთ-
 ხობელა. „ბინაში აღარ მივიშვა, სუ
 საფ(რ)თხულივით დაგყუდო“
 (ი. ქეციკ.).

საფიფხვნი (ფშ.) ერის შესაყრები ად-
 გილი, ყრილობის ადგილი. ნ. საფეხ-
 ვნი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138,
 1900; ი. ჭყონ.).

საფიცხი (ლენჩ.) ქვა ან ყელმოტეხი-
 ლი დოჭი, რომელზეც კეცს ააყუდე-
 ბენ და ცეცხლზე მიაფიცხებენ (მ.
 ალავე, 2).

საფიცხებელი-ი (რაჭ.) ხორბლის საშრო-
 ბი შენობა, მოდგმული ღუროიან (ნ.
 სახლზე (შ. ძიძ., 213).

საფიცხობელი-ი (რაჭ.) კალოზე გაკეთე-
 ბული აივანი პურის გასამზებლად
 (ვ. ბერ.).

საფოთარა/ე (ლენჩ.) ქათმის ფრთისაგან
 გაკეთებული პატარა კონა, ხმარობენ
 ხრილის სახვეტად წისქვილში (მ.
 ალავე, 1).

საფოთლე (ხევსურ.) საეჭიმო გადასახა-
 დი (ს. მაკალ.).

საფოქარი-ი (თუშ.) ჩვარი (თ. უთურგ.).
საფრიალა (ოკრიბ.). ნ. ფეთქი.

საფრიანი (მთიულ.) ხაშინი (ლ. კაიშ.).

საფრინდაო (თუშ.) საბჭეო, ადგილი,
 სადაც ბჭობა, თაბიირი იმართებო-
 და (ს. მაკალ.).

საფხე (ლენჩ., გურ.) საფხე (დიალექტ.,
 679).

საფუარი (ინგილ.) ხაში (მ. ჯან.).

საფუნებელი-ი (ზ. იმერ.) საფუარი (ბ.
 წერეთ.).

საფურცლობო წვიმა (გურ.) გაზაფხუ-
 ლის ჭუჭუნა წვიმა, რომელიც ფოთ-

ლების გაშლას ხელს უწყობს (გ.
 შარაშ.).

საფურცქვენლა (ქვ. რაჭ.). ნ. საფცქვენ-
 ლა.

საფუხარი-ი (ფშ., გურ.) ხელთათმანი (თ.
 რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900);
 ორთითი, საჩვენებელ თითზე გაკეთე-
 ბული მეშის საფარველი მიმინოს და-
 სასმელად (ა. რობაქ., 164).

საფუხრე (ფშ., მთიულ.). ნ. საფუხარი.
საფხნილე (გურ.) ძროხის თვალის ავად-
 მყოფობაა, ფრხნილის მსგავსად ამო-
 ნაზარდი გაუჩნდება თვალის კილოში
 (გ. შარაშ.).

საფცქვენლა (კახ., მთიულ.) მამულა,
 მცენარეა. ნ. წერეთ., სერნა (ა. მაყ.).

საფხი-ი (რაჭ.) ლესვაზე გადანაცალი
 რკინის პირველი პირი (ვ. ბერ.).

საფხაჭი-ი (იმერ.) ხუროთა იარაღია. ნ.
 სათქიჩი (ვ. ბერ.).

საფხინალი-ი (ფშ.) სახეხავი (ვაჟა-ფშ.
 მც. ლექსიკ.).

საქალებო (რაჭ.) კერის ის მხარე, სა-
 დაც მხოლოდ ქალები სხდებოდნენ
 (დიალექტ., 688).

საქაღეთი-ი (ქართლ., ქიზიყ., მოხ.) ქა-
 ლები, ქალთა საზოგადოება (შ. ძიძ.,
 ნ. კეცხ., პ. ხუბ.: ს. მენთეშ.; ა. ყაზბ.,
 II, III, შ. ძიძ.).

საქაღე-ა (თუშ.) ახლად დაბადებული
 ბავშვი მდებდრობითი სქესისა (თ.
 უთურგ.).

საქარი-ი (იმერ.) საქარული (ნ.), საფარი.
 სხლტე ქარისაგან დასაფარავი (ვ.
 ბერ.).

საქარე (ქიზიყ.) საკოჭედ მოწორებული
 სახლის გვერდის კედლებზე, კოჭების
 მალა, ერთიმეორის პირისპირ პირა-
 მიდულად აყვანილი ცალპირი კედე-
 ლი, რომელზედაც გადებულია სათავე-
 საქარეს უფარდებენ ქარის მიმართუ-
 ლებას (ს. მენთეშ.).

საქაჩი-ი (გურ.) მსხვილი ლურსმნის გაზი,
 მარწუხი (გ. შარაშ.).

- საქაჩველი-ი (ზ. იმერ.) კაპის საწური პრესი. ნ. საქაჩავი (ბ. წერეთ.).
- საქ.ჩავი-ი (ქართლ.) ყუოდნის საწნეხი ხელსაწყო. ნ. საქაჩველი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- საქაღავი-ი (გურ.) ფიცრები, რომლებიც ფარავენ სახლის სახურავსა და კედლებს შუა დარჩენილ ღია ადგილს (გ. შარაშ.).
- საქედურ-ი (კახ., ხევსურ.) ტაბიკებს შუა ამოწეული, ამოწნევილი ნაწილი უღლისა (ა. მარტ., გ. იმნ.); ნაწილი უღლისა, რომელიც ხარს ქედზე ადევს (ა. ჭინჭარ., 198).
- საქევი (ჯავახ., მესხ.) ნ. საქევი.
- საქევაბე (ლენხ.) ნაჷა, სხენიდან ჩამოშვებული ჯაჷვი, ქვაბის დასაკიდი (მ. ჩიჷ.; მ. ალავე, ზეპირსიტყვე.; დიალექტ., 679).
- საქევაბე-ა (თუშ.) ფარდული, სადაც სასოფლო ლუღის მოსახარში ქვაბი (ან ქვაბები) დგას (თ. უთურგ.).
- საქევე (მესხ.) საწოლი, ძველებური დიდი ტახტი (ი. მაისურ.).
- საქეო-ა (თუშ.) მეტიჩარა, პრანჷია (პ. ხუბ.).
- საქელეში-ი (ქართლ., კახ.) გუთნის ნაწილი: რკინის ფრთა, რომელიც სანახევროდ ფარავს საკვეთელს, იცავს ადვილად დაზიანებისაგან ხმალსა და ფრთებს (დიალექტ., 642; ნ. ზუკაჷ., ე. ხუციშვი.; ქეგლ).
- საქმრეულ-ი (მესხ.) ქმრის ნათესავნი, ქმრისეულნი (ი. მაისურ.).
- საქნარ-ი (ხევსურ.) რიგი, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გაწეული ხარჯი (შ. ძიძ., ქრესტ.).
- საქო (ხევსურ.) ხის პატარა კასრი არდოტის ხეობაში. ნ. ჯიმური (ა. ჭინჭარ., 217).
- საქოკაღები-ი (თუშ.) ოჩოფეხები; წოვქოკ ფეხი (თ. უთურგ.).
- საქოლი-ი (რაჷ.) სახლის სახურავზე უღურსმნოდ დახურული ყავრის დასამაგრებელი ქვა ან სხვა რამ („ყო-
- მუნისტი“, № 294, 1967; № 187, 1968).
- საქოლე (რაჷ.) სახურავზე დაწყობილი ქევი ბასკების (ნ.) მავიერ. ნ. საქოლი (გ. ბერ.).
- საქონ-ი (ხევსურ., ფშ., თუშ., მთიულ., გუღამაყრ.) საქონელი, მსხვილფეხა პირტუყვი, ცხვარიც (ა. ჭინჭარ., 229; ი. ქეშვი.; ლ. ლენ.; დიალექტ., 556; 594; თ. უთურგ.; ე. ვირსალ.).
- საქონე (გურ.) ვერცხლის ან თითბრის კურტყელი, რომელშიც მეომარი ქონს ინახავდა (გ. შარაშ.; ქეგლ).
- საქონის მყურე (ხევსურ.) საქონლის მომვლელი (ა. ჭინჭარ., 229).
- საქრულ-ი (იმერ.) საფარი, სხლტე ქარისაგან დასაფარავი. ნ. საქარი (გ. ბერ.).
- საქსაქ-ი (იმერ., გურ.): ენის საქსაქ-ი ენის ტრიალი, ენის გამოყოფა; გადატ. გრძელი ენა (ა. ლლ.).
- საქსლე (ხევსურ.) ოცდაოთხი ტარი, ე. ი. სამი ჯარატარი ერთად (ა. ჭინჭარ., 257).
- საქსოვლი-ი (მოხ.) საქსოვი, ქსოვისათვის გამზადებული ქსელი (დიალექტ., 563).
- საქსოლი-ი (მოხ.) ნ. საქსოვლი.
- საქუდელი-ი (ქართლ.) წისქვილის კრიქიდან საფქავი ჩადის საქუდელში, რომელიც ზედაქვაზე, დოლაბზეა მოთავსებული (გ. შატბერ., 91).
- საქუხლე (რაჷ.) მარხილის ნაწილი (შ. ძიძ., 214; ქეგლ).
- საქუჩებელი-ი (თუშ.) სმის დროს ჯარიმის სახით ზედმეტი ღვინის დაღვევება (პ. ხუბ.).
- საქციელი-ი (რაჷ., ლენხ.) დუროიან (ნ.) სახლში გარკობილი დირე (შ. ძიძ., 214); სახლის თავზეზე დაყრდნობილი ლარტყა, იყენებენ ყავრით გადახურვის შემთხვევაში („კომუნისტი“, № 187, 1968); მსხვილი ღვლეკი (მ. ალავე. 1).
- საქცივლიან-ი (თუშ.) ზრდილობიანი (ი. ბუქურ., 136).

- სალა (გურ.) საღლა. „ს ა ლ ა ი შოვეთ“ (ე. ნინ., II, თ. კიკვი).
- სალადარია/ე,-ი (გურ.) ნალვერდლის, ლადრის ასაღები ნიჩაბი. ნ. სალადრია (ს. ჟღ.).
- სალადრია (იმერ.) თიხეულის ნატეხი ღადრისა და ნაცრის ასაღებად (ე. ბერ.).
- სალავათ-ი (ლენხ.) შეღავათი (მ. ალავე, 3).
- სალამეთ-ი (აქარ.) ღამის გასათევი (პ. ჯაჯან.).
- სალამო (ხევსურ.) საგებ-სახურავი, აკეთებენ ცხვრის ტყავისაგან (ა. ჭინჭარ., 251).
- სალამოჯარი-ი (ზ. იმერ.) სალამო ხანი (ქ. ძოწ.).
- სალამურ-ი (თუშ.) ლოგინი. ნ. სალამო (თ. უთურგ.).
- სალან-ი (აქარ.) სპილენძის დიდი თევზი (ი. მეგრ.). არაბ.-თურქ. sahan.
- სალარი-ი (ფშ., მთიულ., გულდამყარ., თუშ.) ცხენი შუბლზე თეთრი ნიშნით (ი. ქეშიკ.; ე. ვირსალ.); თეთრშუბლიანი ცხენი (თ. უთურგ.); შუბლთეთრი ცხენი (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ).
- სალარავ-ი (ზ. იმერ.) წისქვილის ყორე, რომელზედაც ღარები ჰყილია (ბ. წერეთ.).
- სალდიკარი-ი (აქარ.) საყდარი (პ. ჯაჯან.).
- სალღებელ-ი (გულდამყარ.) გასაღები, კლიტე (დიალექტ., 574).
- სალენჭელ-ი (მობ.) ტყავის მოსაქნელი, საზელი ხელსაწყო (ო. ქაჯ.).
- სალერღელ-ი (გურ.) ბევრი ლაპარაკის მოყვარულზე იტყვიან ხოლმე: სალერღელი აეშალო, ე. ი. ბევრს ლაპარაკობსო (ა. ღლ.).
- სალეჭელა/ე,-ა (იმერ.) საქონლის ავადმყოფობა, ენაზე ჰყრის და ჰმამს ძლიერ უშლის (ე. ბერ.).
- სალვანავ-ი (გურ.) ბადის ქვედა კიდე, რომელშიც თევზი მოყვება ხოლმე (გ. შარაშ.).
- სალვარე (ფშ., კახ.) წისქვილის ქვეშ ადგილი, სადაც ბორბლებიდან გადის (ი. ჰყონ.).
- სალვარია/ე,-ი (გურ.) ნაწვიმარი წყლის გასასვლელი თხრილი, საღვარე (ს. ჟღ.).
- სალვერავ-ი (ხევსურ.) ირმის მსხალა, მცენარეა (ა. მაყ.).
- სალვიძლა (თუშ.) ბურბუშელა, ბალახია. ნ. ღვიძლა (ა. მაყ.).
- სალვრიალა (გურ.) ბზრიალა. ნ. ღვრიალა (გ. შარაშ.).
- სალინ-ი (ინგილ.) მეწველი საქონელი (შ. ძიძ., ქრესტ.). აზერბ. сағын.
- სალინჭილა-ი (გურ.) პატარა მდინარეზე მოწყობილი წისქვილი, რომელიც ძლივს-ძლივობით, ღინჭილით (ნ.) ფქვავს (ა. ღლ.).
- სალორე (ხევსურ., ქართლ., თიან., მთიულ.) საღვარე, ქვედა სართული წისქვილისა. ნ. საღვარე (ა. ჭინჭარ., 208; დიალექტ., 642; 600; 569; ლ. კაიშ.).
- სალრეჭელ-ი (ლენხ.) ავადმყოფობაა ერთგვარი (მ. ჩიქ.).
- სალხალაჯ-ი (ქიზიყ.) მაგარი ხეა, წვრილი ფოთლები აქვს (ს. მენთეშ.; დ. ჩუბ.).
- სალუნწე (იმერ.) კეფის ძვლის ბოლოს, თავის ქალისა და კისრის ძვლების შესაყარზე ჩალრმავებული ადგილი (ი. ქავთ.).
- საყადელ-ი (გურ.) ზომა შეშისა, უდრის 1,5 საუნეს (ი. ჰყონ.); ერთი საენი შეშა (ს. ჟღ.).
- საყანვარი-ი (ლენხ.) საყანური, საყანე მიწა. „ს ა ყ ა ნ ვ ა რ ე ბ ი ჯ რ ბ ა რ შ ი დ ი ხ ე ნ ე ბ ა და მ ე რ ე თ ა შ ი“ (მ. ალავე, 2).
- საყანულ-ი (გურ.) ყანის, მიწის ღალა (ი. ჰყონ.); მიწის გადასახადი, მოსავლის გარკვეული ნაწილი. „ბატონს თავისი საყანული ეძლეოდა“ (პ. ჯაჯან.).
- საყარი-ი¹ (ქართლ.) ადგილი, სადაც ზაფხულში ნახირს დაყრიან დაასვე-

- ნებლად (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).
- საყარ-ი² (ქსნის ხეობ.) საქონლის მიერ რომელიმე ადგილის ამოჩემება საწოლად (ვ. სომხიშვი.).
- საყარ-ი³ (იმერ.) სენია, წითლად ყრის ტანზე, ძნელი მოსარჩენია (ვ. ბერ.).
- საყაბურ-ი (ზ. აქარ.) საყბურთა, გამომარყუებელი ბაწარი პირუტყვის დასაბმელად (შ. ნიქარ.).
- საყბო (გურ.) სალაყბო, დასაცინავი, გასაკილავე. „ქვეყნის საყბოთ გულებთია თავი“ (ა. ლ.).
- საყე (გურ.) — საყენი, ნაკრძალ მიწაში ჩარჭობილი სარი იმ ადგილის შეუვალობის აღსანიშნავად. „რავა გაჩერებულხარ საყესა ვით“ (გ. შარაშ.; ქეგლ); იგივე ხალა (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- საყელაყ-ა (ჩ. თუშ.) წვრილი ჯოხი, რომელსაც ნაღების საწურავად ხმარობენ (კ. ჭრელი., 260).
- საყენი (ქიზიყ.). 1. კონკილა, ურმის შესადგამი; 2. ნალბანდის ხელსაწყო (ს. მენთეშ.).
- საყენებლ-ი (კახ.) ღერძის საბრუნავ ადგილას ურმის ხელნაში ჩაყრილი ჭინჭილაჭი, რომ ღერძი წინ ან უკან არ წავივრდეს (ა. მარტ., გ. იმნ.).
- საყენელა (ფშ.) საქსოვი დაზგის ნაწილი (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- საყვერბია/ე (ლენხ.) ადგილი, სადაც ყვერბის (ნ.) ქვა მოიბოვება (მ. ალაფ., 2).
- საყვებურ-ი (გურ.) შუაეცხლის დასანთები ადგილი სამზად სახლში (ა. ლ.).
- საყვითლო¹ (მესხ.) ღვიძლის ავადმყოფობა, სიყვითლეს იწვევს (ი. მაისურ.).
- საყვითლო² (აქარ.) ქრისტესისხლა, მცენარეა (ა. მაყ.).
- საყვიარ-ი (ფშ.) მამლის ბოლოს გრძელი ბუმბული. „საყვიარები სულ დაგლიჯა“ (ი. ქეშიკ.).
- საყვიარ-ი (ქსნის ხეობ.) საწყენი, დამაციკრებელი სიტყვაა. „ისეთი საყვიარო უთხრა, რომა...“ (ვ. სომხიშვი.).
- საყლ-ი (მთიულ.) ტყავის საწმენდი იარაღი (ლ. კაიშ.).
- საყმაწვილო¹ (გურ., ქვ. რაჭ.) ძირმწარა, ყანისია, მცენარეა (ა. მაყ.).
- საყმაწვილო² (გურ., იმერ.) ბავშვის ინფექციური ავადმყოფობა ერთგვარი (ა. ლ.); ავადმყოფობა ერთგვარი (ვ. ბერ.).
- საყმე-ა (თუშ.) ახალდაბადებული ბავშვი მამრობითი სქესისა (თ. უთურგ.).
- საყმო (ფშ.) ფშაველების რწმენით, ლაშარის ჯგარი მათი ბატონია, ისინი ყმები ია, ფშავი კი საყმოა ლაშარისა (ვაჟა, I, ა. შან.).
- საყოლ-ი¹ (გურ., მთიულ., აქარ.) სანაშენე საქონელი, შინაური პირუტყვი საერთოდ (ა. ლ.; ლ. კაიშ.); შინაური ცხოველი, ფრინველი (შ. ნიქარ.).
- საყოლ-ი² (ზ. იმერ.) ცხოლოური, ცოლის სახლი (ვ. ბერ.); ქალის ოჯახი, საიდანაცაა გამოთხოვილი (ქ. ძოწ.).
- საყსალაჯ-ი (ქიზიყ.). ნ. სალსალაჯი.
- საყუათო (იმერ.) საკმელზე იტყვიან, როცა ის შესარგოა ადამიანისათვის, ყუათიანიო (ი. ჭყონ.; ქეგლ). არაბ. kuvvat 'ძალა', 'ღონე'.
- საყუდ-ი (იმერ.). ქვა ან ხე, რომელსაც ძირს უდებენ ირწევანს (ი. ჭყონ.).
- საყუდ-ი კეცისა (ქართლ.) ცეცხლზე მიფიცხებული კეცის საყრდენი ხის ან ქვისა (ბორჯომი, თ. რევაზიშვილი).
- საყუდარ-ი (ქვ. იმერ.) კეცის საყენებელი, რომ აყუდებისას არ წაიქცეს (ზ. ჭუმბურ., 282).
- საყუე (ფშ.) თავზე (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- საყუფ-ი (ხევსურ.) გზის მისახვევ-მოსახვევი. „თქვენ უფრო გამაარჩევდით, საყუფ თქვენ იცით გზისაო“ (ა. შან., 212).
- საყულა (ოკრიბ.) კარის შიგნიდან ჩასაკეტი ძელი, მოკლე ურ-

დული. „ქიშკარი საყუნტალო დაკეტა“ (მ. ალავე).

საყუნტალო (ზ. იმერ.) საქანელა, ქვაზე გადებული ფიცარი ბავშვთა საქანელად. ნ. ყუნტალი (ბ. წერეთ.).

საყუნწურე (მთიულ.) მდინარის ნაპირზე აშენებული ქვეთვირის კედელი (ლ. კაიშ.).

საყუნწურები-ი (თუშ.) კარის თავები, რომლებითაც კარი ჩამჯდარი ზღურბლსა და თაღში. საყუნწური ეწევა ანჯამის მავივრობას. კარს ორი საყუნწური აქვს (თ. უთურგ.).

საყურა (ქართლ.) პატარძლის ყვავილი, მცენარეა (ა. მაყ.).

საყურები-ი (ქსნის ხეობ.) სამწყესურში აღებული გასამრჯელო (გ. სომხიშვი.).

საყუყუნაღი-ი (თუშ.) უგულო ღეროსგან ბავშვების მიერ გაკეთებული საყვირი (პ. ხუბ.).

საყურჩი-ი (ფშ., ხევსურ., მთიულ., გუდამაყრ.) საფარი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.); სამალავი, საფარი, ჩასასაფრებელი ადგილი. „ალარცად საყურჩი მავქლეთ“ (ა. შან., 196); თავშესაფარი, ხელოვნური ნაგებობაცაა და ბუნებრივიც. „უხენ-ზეით ვადმაიარა, დახედეს საყურჩად ქვანია“ (ა. ჭინჭარ., 299); საფარი ადგილი (ე. ვირსალ.; დიალექტ., 556).

საშალი-ი (ფშ.) ჭახრაკების მოსატრიალებელი იარაღი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).

საშევარი-ი (ჩ. თუშ., მთიულ., გუდამაყრ.) ჯოხი, რომელიც შეშშია გაყრილი (ე. ჭრელ., 268; ს. მაკალ.; ა. ბექ., 225).

საშვეტელი-ი (ზ. იმერ.) მახეა ერთგვარი (ბ. წერეთ.).

საშვრიე (ხევსურ.) ქურსლის (ნ.) წინა ნაწილია (ა. ჭინჭარ., 198).

საშრობი (ზ. აჭარ.) თამბაქოს ფოთლის გასაშრობი ფარდული (შ. ნივარ.).

საშუალო (მთიულ.) ძროხა, რომელიც წელგამოშვებით იგებს (ლ. კაიშ.).

საშუბლე¹ (მთიულ.). 1. აიგნის სივრცის ფიცარი, რომელზედაც აიგნის კოჭები აწყვია, თავზე; 2. ჩიხტი (ლ. კაიშ.).

საშუბლე² (კახ.) საოფლე, რომელიც ოფლისაგან იცავს თვალებს (ნ. ზუკაკ., ე. ხუციშვი.).

საშუე (რაჭ.) კავის ნაწილია (შ. ძიძ., 214).

საშუშ-ი (ლეჩხ.) ქვევრის თავზე დასაყრელი ფხვიერი მიწა, თირი. იგი სარქველზე დატკეპნილ აყალო მიწას იცავს; თიხა აღარ დასქდება გვალვაში (მ. ალავე, 2).

საშხაფუნა (აჭარ.) ფუტკარა, მცენარეა. ნ. მაწვიმარა (ა. მაყ.).

საჩადლ-ი (ხევსურ.). ნ. საგულები.

საჩალე¹ (კახ.) ჩალის საზიდი ურემი (ა. მარტ., გ. იმნ.).

საჩალე² (იმერ.) გრძელი ორკაბა ჯოხი ხეზე ან მაღალ ზეინზე დასაკიდებელი ჩალის კონის მისაწოდებლად (ი. ქავთ.).

საჩეკი¹ (ფშ.) საჩხრეკი, ნაღვერდლები-სა და მუგუზულების მისაწევი-მოსაწევი მოკაქული ჯოხი (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

საჩეკი² (ლეჩხ.) ჯირკი ან დაბალი სამტოტა ძელი, რომელზედაც სარს, კიგოსა და მისთ. დაჩეკენ, წვერს წაუთლიან, წაუმახვავენ (მ. ალავე, 2).

საჩენჩელა/ე-ა (იმერ.) სიმინდის საფშენელი, ჩერხულა (ე. ბერ.).

საჩერნე (ფშ., ხევსურ.) მუხლებს ქვემოთ ასაფარებელი ჯაჭვი (ი. ჭყონ.); საწვივე ჯაჭვი (ვაჟა, 1, 1946, ა. შან.); ჩერნის ანუ წვივის დასაცავი (ა. ჭინჭარ. 308).

საჩეროებელი-ი (ზ. იმერ.) საჩრდილობელი (ქ. ძოწ.).

საჩეხ-ი (ხევსურ.) სამშობიარო ქოხი არბოტულად (ს. მაკალ.; ა. ჭინჭარ., 301).

საჩეხე (ზ. იმერ.) საქონლის საზაფხულო სადგომი, სამწყვრევი (ქ. ძოწ.).

- საჩვილე (მთიულ.) განყოფილება ცხერის ბინაში (ლ. კაიშ.).
- საჩიბე (რაჭ.) საჭმლის შესანახი (შ. ძიძ., 214).
- საჩივარი (გურ.) ლექსები, ყანურის (ნ.) ტექსტი (ა. წულ., ეთნოგრ. გურია, 1971, 17).
- საჩიქილე (ფშ.) საღეჩაქე, სათავშლე (ვაეა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- საჩივანა (ქსნის ხეობ.) მოფერებ. პატარა, მცირე (ვ. სომხიშვი.).
- საჩქევა (მთიულ.) ჩანჩქერი (ლ. კაიშ.).
- საჩხატაღ-ი (თუშ.). 1. წყაროზე გაკეთებული პატარა ღარი; 2. წყალვარდნილი (პ. ხუბ.).
- საჩხატე (მთიულ.) საწვიმარი ღარი (ლ. კაიშ.).
- საჩხინავი (გურ.) სამზარეულო სახლის სახურავის შუა ადგილი, სადაც საკვამლეა გაკეთებული. ნ. სარჩხინავი (ს. ელ.).
- საჩხრეკაღ-ი (თუშ.) დოში არეული ქუმელი, თხელია, დაილევა (თ. უთურგ.); ცოტათი ქუმელმოკიდებული დო (შრათი ან წყალი), სვამენ სიცხეში ან ძალიან დაღლილზე (დიალექტ., 584); მეფე დოს საქმელია (ს. მაკალ.).
- საჩხრეკელა (ქსნის ხეობ.) ჯოხი, რითაც ფურნეში ნაკვერცხალს ჩხრეკენ (ვ. სომხიშვი.).
- საჩხუნავი (ხევსურ.). ნ. ცურთიკრუნა, ჩხუნია (ა. ჭინჭარ., 234).
- საჩხუტი (ქართლ.) უვარგისი სარი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900).
- საცალო (ქიზიყ.) ბაწრის ტომარა (ს. მენთეშ.).
- საცდურ-ი (მესხ.) საფრთხე, საშიშროება. „ვართ ერთ საცდურში“ (ი. მაისურ.).
- საცერა (ქიზიყ.). 1. საქმეზე გულდაუდობელი და თანაც მკვებარა ადამიანი; 2. მეტსახელია კაცისა (ს. მენთეშ.).
- საცერელ-ი (ფშ.) ცერზე გასაკეთებელი ლითონის რკალი, ჩხუბში სახმარი (ი. ჭყონ.).
- საცერულ-ი (ქართლ., ხევსურ., კახ., ფშ.) სათითური (ნ.), ცერზე წამოსამელი (დიალექტ., 642); პატარა ცივი იარაღია ერთგვარი. ნ. საცერელი (ა. ჭინჭარ., 305); მკის დროს ცერზე წამოსმული სათითური (გ. მაჭავარ., 288); ცერზე გასაკეთებელი ლითონის რგოლი ჩხუბში სახმარად (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900).
- საცეხვარი (ზ. იმერ.) საცეხვი ჯოხი (პ. წერეთ.).
- საცეხველა (ქართლ.) თოხმახი. ნ. საცეხვარი (ი. ჭყონ.).
- საცვეთ-ი (გურ., ქიზიყ.) საძუგვის მალალი საწვივე, რომელსაც ჩაქურა შარვლის ტოტის ზემოდან იცვამენ (ე. ნინ., I, თ. კიკვი.); შალის პაიჭი, შარვლის ტოტებს ინახავს, მწყემსებს აცვიათ მინდვრად (ს. მენთეშ.: დიალექტ., 609); ნატის პაიჭი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- საცვეთებ-ი (ქვ. იმერ.) ურმის ზესადგრის (ნ.) მსხვილი ნაწილი, ღერძთან შეხების ადგილი (ზ. ჭუმბურ., 285).
- საცივი (გურ.) წყარო (ვ. ბერ.; ს. ელ.; ა. ლ., გურ.).
- საცივო (ჩავახ.) საცხოვრებელ სახლზე ჩრდილო მხრიდან მიდგმული ოთახი (დიალექტ., 649).
- საციჟველ-ი¹ (რაჭ., ზ. იმერ., გურ.) მათხოგრის მისაცემი შემწეობა (ვ. ბერ.); მეალილოების ან მეჭონეების საჩუქარი (ბ. წერეთ.).
- საციჟველ-ი² (თუშ., ფშ., მესხ.) საოჯახო ინვენტარი: ტომარა, ჯამი, ხურჯინი და სხვ. (თ. უთურგ.); მეზობლისაგან ნათხოვარი საოჯახო ნივთი (ი. ქეშიკ.); ყოველდღიურად სახმარი საოჯახო მოწყობილობა (ი. მაისურ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქველ.
- საციჟველ-ი (მობ.) საოჯახო იარაღი და ჭურჭლეულობა ერთად. ნ. საციჟველი² (ო. ქაჯ.).
- საციცქარი (ლენხ.) მცირე მშრალი საჭმელი თავის შესაქცევად. „ბოშს ხელ-



ში უჭირავს საციცკპარი — ყველი და ჰადის ნატეხი“ (მ. აღავ., 2).

საცნაური¹ (გურ.) ხელსაწყო, რომლითაც წისქვილს ააწყობენ ხორბლის წვრილად ან მსხვილად დასაფქვავად (გ. შარაშ.).

საცნაური² (გურ.) გონება, შეგნება, აზრი; საცნაურის შეშლა გონების დაკარგვა, უაზროდ ქცევა (ა. ლ.).

საცნაურა (ხევსურ.) გამოცანა (ა. ჭინჭარ., 253).

საცორველა (რაჭ.) რკინა, რომელზედაც წისქვილის ბორბლის ფეხი ბრუნავს (გ. ბერ.).

საცოცხა-ი (მოხ.) ნ. სამახაი.

საცრე (ფშ.) ბაჟი, საწველი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 168, 1900):

საცურაჟ-ი (თუშ.) გულდაფშუტა (პ. ხუბ.).

საცუხაჟ-ი (თუშ.) საციგაო ადგილი (პ. ხუბ.).

საცხა (გურ., იმერ., აჭარ., ლეჩხ.) სადაცა-ლა, სადაც, სადღაც (ს. ელ.; დიალექტ., 666; ენინ., I, თ. კიკვ.; დიალექტ., 660; 672; 679).

საცხებ-ი (ქართლ.) ერბო ან ქონი, საპოხი (თ. სალარ.).

საცხვრე (ხევსურ.) მეორე სართული ქვიტკირის შენობისა, სადაც ცხვარია მოთავსებული (ა. ჭინჭარ., 279).

საცხოვრის-ი (ყაბ., ფშ., ქსნის ხეობ.) სარჩო-საბადებელი, ქონება-დოვლათი, საცხოვრებელი (ა. მარტ., გ. იმნ.); ქონება, საცხოვრებელი (დიალექტ., 594); საცხოვრებელი ბინა (გ. სომხიშე.).

საძახა (რაჭ.) — სადაცა-ლა, სადღაც. ნ. საცხა (დიალექტ., 688).

საძევი (ხევსურ.) საძებნი (დიალექტ., 556).

საძეღო (ზ. აჭარ., იმერ.) შესანახი სათესლე სიმინდი (შ. ნივარ.); კაი ღვინო, მეორე წლისათვის შესანახავი ღვინო (გ. ბერ.).

საძვიარ-ი (მთიულ.) საძეუ, ცხენის ძუაზე ამოდებული თასმა, რომ უნაგირი წინ არ გადაეარდეს (ლ. კაიშ.).

საძიგველი-ი (აჭარ.) საცხველი. ნ. ჩამური (პ. ჯაჭან.).

საძილისკულო (ფშ.) ვახშმის შემდეგი ჯერი (დიალექტ., 594).

საძირე¹ (მოხ.) საძირკველი (ო. ქაჯ.).

საძირე² (გურ.) გოდრის დასაღობი ბრტყელი ტყეჩი, რომელზედაც წვრილ ტყეჩს აღობავენ (გ. შარაშ.).

საძირო¹ (ქართლ.) ბაგაზე საქონლის მისაბმელი წნელი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

საძირო² (ქსნის ხეობ.) პალო, რომელზეც საქონელს აბამენ (გ. სომხიშე.).

საძმო (ხევსურ.) სასისხლო გადასახადი, რომელიც უნდა გადაეხადა მეხელის (ნ.) ბიძაშვილებს მიკლულის გვარი-სათვის (ს. მაკალ.).

საძნაურ-ი (მთიულ.) საძნე, ძნის შესანახი ადგილი (ლ. კაიშ.).

საძნოვარი (ფშ.) კალო და მის გარშემო შემოღობილი ადგილი მთლიანად (დიალექტ., 594); ძნის დასადგმელი ადგილი. ნ. საძნაური (ი. ქეშვიკ.).

საძნური (ყაბ.) საძნური, ძნისა და თივის საზიდი მალაღჭალებიანი დიდი ურემი (ა. მარტ., გ. იმნ.).

საწანკლავ-ი ენა (იმერ.) ავი ენა; საწანკლავი ენა აქ ავი, მწარე ენა აქვს, წანკლიანია (ი. ქავთ.).

საწარბავ-ი (ფშ., ქიზიყ.) ღურგლები იარაღია (თ. რაზიკ., „ივერია“, № 168, 1900; ი. ჭყონ.); ხუროს იარაღი: თხელი სატხივითაა, ხისტარიანი, ხმარობენ ფერსო-სოლის ნაპირების სასწორებლად. ნ. წარბვა (ს. მენთეშ.).

საწარბე (მესხ.) ძველებური მიწური სახლის კედლის თავზე „კომუნისტი“, № 295, 1967).

საწაღმართო (ფშ.) ხატის ძღვენი (ს. მაკალ.).

საწბელე (იმერ.) ჭკპის გამოსაწურავი ხელსაწყო (ლ. ლეი., 72).

- საწებრავი (ლენხ.) ჭაჭის საპრესი (მ. ჩიქ.); საქაჯავი, ჭაჭის საწურავი, ჭახრაკივითაა, ღარი აქვს, ჭაჭას ჩაყრიან და წურავენ (დიალექტ., 679).
- საწდე-ა (თუშ.), ხევისურ.) ღიდი ჭურქელი, რომლითაც ლუდი გამოაქვთ ხალხში და იქიდან თასებით არიგებენ (თ. უთურგ.; დიალექტ., 584; კ. ჭრელ., 260); ჭურქელი, რომელშიაც ლუდი ასხია (ა. ჭინჭარ., 217; დიალექტ., 556); საღვინე (საბა; დ. ჩუბ.).
- საწეზ-ი (რაქ.) შეჭამადი, ყოველგვარი კერძი, რის შეტანებაც პურთან შეძლება (დიალექტ., 688).
- საწევრობა (ფერეიდნ.) შემწეობა (დიალექტ., 631).
- საწელ (ინგლ.) საწველი ძროხა და სხვ. (მ. ჯან.).
- საწელე (მთიულ.) შარვლის ნაწილი, რომელშიც ქამარს უყრიან (ლ. კაიშ.).
- საწელურ-ი (ქართლ.). 1. უნაგირის შუა მოსართავი, ცხენის წელზე შემოსაჭერი; 2. ყოველნაირი ქამარი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- საწენგული (ლენხ.) წელისა და გულის ტერითი. შრომაგასაწვევი, საჯაფო. „დამხმარე არევიან ხავს, თელ ქონებას მარტევი ის უვლის და პატრონობს, ყველაფერი მისი საწენგული არი“ (მ. ალავ., 2).
- საწესო-ა (თუშ.) ძღვენი (თ. უთურგ.).
- საწენურ-ი (იმერ.). ნ. საყუდი.
- საწვეთელა (იმერ.). ნ. ოჭვათო.
- საწვიე, საწვიენ-ი (ხევსურ.) კაცის ტალავარია (ა. ჭინჭარ., 264); საწვიევე პაჭიჭი (ს. მაკალ.).
- საწვიევე (რაქ.) საღიაცო პაჭი (დიალექტ., 688).
- საწვიროთო (ხევსურ.) ბულული (ნ.) თივისა, ერთად თავმოყრილი თივა (ა. ჭინჭარ., 226).
- საწვიურ-ი (მთიულ.) უთათო წინდა, პაჭიჭი (ლ. კაიშ.).
- საწვიკ-ი (მთიულ.) თივაზე გამობმული გრძელი საბელი სათრევეად (ლ. კაიშ.).
- საწირ-ი (მთიულ.) ხატის შესაწირავი (ს. მაკალ.).
- საწიფლო (ქართლ.) ცოტ-ცოტა-საფქვაკის დაფქვა (კირიონი).
- საწიწკარა (გ. კახ.) ფრინველის ზურგი ნეკნებით (ლ. ლეონ.).
- საწვერტ-ი (იმერ.) უნაგირის წინა ან უკანა ტახტზე თავისუფალი თასები, ნაბდის ან სხვ. მისაკრავად (ი. ჭყონ.).
- საწვეტელა (რაქ.) დამდგარი წყლის ბალახია, მავთულივით გრძელი იზრდება, ბუსუსებთან ყვავილი აქვს („კომუნისტი“, № 187, 1968).
- საწვეტელა/ე, საწვეტელა/ე (ლენხ.) კილი (მ. ალავ., 2).
- საწინდარ-ი (იმერ.) ვაზის ლერწი (ლ. ლეყ., 66).
- საწინდია-ი (ფშ.) დართული ძაფი მატყლისა. წინდის მოსაქსოვად დამახული (დიალექტ., 594).
- საწიწკარ-ი (ფშ.) ცოტა რამ კბილის გასაკრავი, საწიწკნი (ვაეა, I, ა. შან.).
- საწიწკნარა (ქართლ.) ფრინველის მკერდის ორკაბა ძვალი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- საწმინდარ-ი¹ (ფშ.) სატანსაცმლე ქსოვილის მოსაქსოვად დართული ძაფი მატყლისა, სატოლე ნართი (დიალექტ., 594).
- საწმინდარ-ი² (ფშ.) წმინდად დაფქული ფქვილი (ქეგლ).
- საწმინდარ-ი³ (მთიულ.) ხატობა-დღეობისა და ქორწილისათვის შემონახული ხორბალი (ლ. კაიშ.).
- საწოვა (მოხ., თიან., იმერ., რაქ., ლენხ.) ჭინჭრის-დედა, ჭინჭრის-დედა, ყანის სანთელა, ჭიქა. ნ. ჭიბაურა, ჭაჭვეკალა (ა. მაყ.).
- საწოლა (მოხ.) ცოლ-ქმრის დასაძინებელი ოთახი (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).
- საწოლავიანი-ი (მთიულ.) ფარდავისა და ხალიჩის ერთგვარი სახე (ლ. კაიშ.).
- საწორავ-ი (ქართლ.) საწურავი, ვადსაგდები, ღარის ან რუს ჩასაკეტი

- წყლის გადასადგებად (დიალექტ., 642).
- საწოწნელა** (მთიულ.) წითელი სამყურა, მცენარეა (ა. მაყ.).
- საწრობინა** (ზ. აჰარ.) ტყის ფურისულა, იზრდება ხეებში, ხმარობენ სამყურნალოდ ძეღვების მშრალი ტყვილებს დროს (შ. ნიქარ.).
- საწუალო** (რაქ.) საქანელა (დიალექტ., 688).
- საწუთრო** (მესხ.) ყოველდღიურად აუცილებელი საკვები პროდუქტები, საზრდელი; ხორავი, ჭირნახული და ყოველნაირი სასმელ-საჭმელი (ი. მაისურ.).
- საწურავი** (ლენჩ.). ნ. საწებრავი.
- საწურავაი** (მოხ.) კეწერა, მცენარეა (ა. მაყ.).
- საწუწკნელა, წუწკნელა** (მესხ., ჯავახ.) ჭინჭრის-ღედა, ჭინჭრის-ღედა, მცენარეა (ა. მაყ.).
- საწუხისი** (კახ.) სადარდებელი, შესაწუხებელი (ა. მარტ., გ. იმნ.).
- საწყავი** (აჰარ., გურ.) საწყაო, ჭურჭელია, ჩაფი, რომელშიაც ორი ფუთი ღვინო ჩადის (დიალექტ., 660; ე. ნინ., 11, თ. კიკვი.).
- საწყაო** (ჭიზიყ.) მოსარგები, სარგო. „ჩემი საწყაო ტანისამოსი“ (ს. მენთეშ.).
- საწყვეტი¹** (ჭიზიყ.) უნაგირის ტახტაზე (წინ და უკან) ჩაბმული წყვილი თასმა ხურჯინის ჩასაკრავად. ნ. საწყვეტი (ს. მენთეშ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- საწყვეტი²** (ჭიზიყ.) შოლტის ბოლოს მობმული სატყლაშუნებელი თასმა (ს. მენთეშ.).
- საწყლე** (იმერ.) ხელსახოცი, პირსახოცი (ვ. ბერ.).
- საწყლია** (მთიულ.) საქონლის წყლის ბუშტი (ლ. კაიშ.).
- საწყობი** (აჰარ.) ჩიტის მახეა ერთგვარი (პ. ჯაჯან.).
- საწყური** (გურ.) მდინარის ტოტი, რომ-
 7. აღ. ლლონტი, სიტყვის კონა.
- ლითაც წყლის გადადგება შეიძლება თევზის დასაქერად (გ. შარაშ.).
- საქე** (ჭიზიყ.) ორკაბა პალო, სიგრძით ერთი მეტრი. კაპების მხრიდან ასობენ მდინარის პირას, წვეგრზე აქვს თოკით მობმული ჩანგალი, რომელიც წყალშია ჩაშვებული თევზის დასაქერად (ს. მენთეშ.).
- საქვართი** (აჰარ.) მაგარი ხის მორი, ჭირკი, რომელზედაც წვეგრს წაუთლიან სარს, ჭიგოს (შ. ნიქარ.).
- საქვრეთა** (ხევსურ.) პურის საქვრღებელი იარაღია (ს. მაკალ.).
- საქვრეთელი** (თუშ., მთიულ.) ტყავის სახერეტი იარაღი, ერთგვარი სადგისი, ბრტყელპირა. ნ. ჭვრეთა (თ. უთურგ.; ლ. კაიშ.).
- საქიალი** (აჰარ.). ნ. საჯიალი.
- საქიყი** (ხევსურ.) მოსართავი ცხენისა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).
- საქიკა** (თუშ.) სარტყელია, შდრ.: საქიკი (ს. მაკალ.).
- საქილოვა** (რაქ., ლენჩ.) ჭილი, მცენარეა (ა. მაყ.).
- საქინჭილავე** (მოხ.) ურმის ღერძის ბოლოებში გაყრილი ჯოხი, თვალი რომ არ წასძერეს (თ. ქაჯ.).
- საქიპური** (ქართლ.) ტყის ჭიპის ადგილი (გ. შატბერ., 91).
- საქირნივე** (ფშ.) სანაგვე (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).
- საქირობელი** (ლენჩ.) ძნის შესაკრავი გრძელი თოკი (მ. ალავე., 1).
- საქშო** (ფშ., ჭიზიყ.) რკო და წიწიბო ღორის საქმელი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.); საქმელი (ს. მენთეშ.).
- საქორტიყო** (ფშ.) საქორაო (ი. ქეშიკ.).
- საქრელა** (მოხ.) ფარსმანდუცი, მცენარეა. ნ. მკერვალა (ა. მაყ.).
- საქურია-ა** (აჰარ.) მსხლის ჯიშია ერთგვარი (შ. ნიქარ.).
- საყეები** (ლენჩ.) სათამაშო დღეში ხედრუისაგან გაკეთებული (მ. ჩიქ.).

- სახადილო** (მესხ.) გასართობი, დროს გასატარებელი, სახუმრო (ი. მაისურ.).
- სახაო** (ზ. აჟარ.) ავადმყოფობაა ერთგვარი (შ. ნიჟარ.).
- სახარბაქე** (ფშ.) ბოსლისმაგვარი შენობა ქვიტიკირისა, რომელშიაც ხატი-სადმი შეწირულ ხარ-კურატებს ათავსებენ (ს. მაკალ.).
- სახარდენ** (ზ. იმერ.) სავენახე ადგილი (ბ. წერეთ.).
- სახარო** (ფშ.) სასიხარულო, გასახარებელი (ი. ქეშიკ.).
- სახაფიფო** (რაჭ.) მეტად საყვარელი რამ (ვ. ბერ.).
- სახაქუნაი** (გურ.) ბავშვის გასართობი, ჩხრიალა სათამაშო ან სხვა რამ ნივთი (გ. შარაშ.).
- სახახანაი** (იმერ.) მთის კალთაზე დაყოლებული ღარი ხე-ტყის ჩამოსაგორებლად. ნ. შურო, ნაშვავო, სათრი, სათრიელი (ვ. ბერ.).
- სახდურაი** (ფშ.) ჭამისას შესაყოლებელი, შესატანებელი (ი. ქეშიკ.).
- სახედ-ი** (მოხ.) ხეზე ან კედელზე მისადგმელი კიბე („კომუნისტი“, № 187, 1968).
- სახევებელა** (ფშ.) არხის, რუს სათავე (ი. ქეშიკ.).
- სახევიანი** (თუშ.) მიხვეულ-მოხვეული (ი. ბუჭურ., 136).
- სახელავ-ი** (ქსნის ხეობ.) ადგილი, სადაც თიხას ზელენ ჭურჭლის გასაყეთებლად (ვ. სომხიშვი.).
- სახელვანო** (გურ.) ხელსაწყო, ხელოსნის იარაღები საერთოდ (გ. შარაშ.).
- სახემშვენიერა** (გურ., ქვ. იმერ., ქვ. აჟარ.) ტყის ფურისულა, მცენარეა (ა. მაყ.).
- სახემში** (ქიზიყ.) წვრილი სოლები, რომლებითაც ურმის თვალში (მორგვაში) ღერძს გასჭედავენ, მოხეშავენ. ნ. ხეში (ს. მენთეშ.).
- სახეშითაო** (ლენჩხ.). 1. ადგილი, სადაც ხეშისთავი (ნ.). ანუ მვევლედ ღვას და ნათესებში დაჭერილ საქონელს ამწყვდევენ; 2. ნატურალური ვადასახადი (პური, სიმინდი), რომელიც მეველეს გასამრჯელოდ ეძლევა წლიურად კომლიდან (მ. ჩიქ.).
- სახეჩლე** (აჟარ.) ბოძი, გრძელი ხე, რომლის გარშემო გარკვეული წესით დააზვინავენ ჩალას (შ. ნიჟარ.).
- სახეხავი** (ფშ.) ქსლის საქსოვი იარაღია (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).
- სახვარბლე** (ქიზიყ.) წისქვილის ნაწილია: ხეშირი, პირამიდისებურად შეკრული ყუთი, რომელშიაც დასაფქვავ ხორბალს ყრიან (დიალექტ., 609).
- სახვეტელ-ი** (ზ. იმერ.) ჩიტის მახეა. ნ. საშვეტელი (ბ. წერეთ.).
- სახვეწაღ-ი** (თუშ.) კურდღლის მახე (ბ. ხუბ.).
- სახვიელ-ი** (ფშ., ხევსურ.) წინდის სახვევი (ი. ჭყონ.); ასახვევი თვალებისა (დიალექტ., 556).
- სახვრეტაღ-ი** (თუშ.) დამყავებელი რძე ხაჭოთი (თ. უთურგ.).
- სახვრეტ-ი** (მთიულ.) სასმელი, თხელი კერძი, წენიანი (ლ. კაიშ.). შდრ.: დ. ჩუბ.
- სახიშ-ი** (ლენჩხ.) სწორი ჯოხი, რითაც ძალლი არის დაბმული (მ. ალავე., 2).
- სახიჩრიანი** (მთიულ.) მახინჯი, სახიჩარი (ლ. კაიშ.).
- სახლი** (ყიზლ.-მოზდ.) კომლი, ოჯახი, (დიალექტ., 602; ქეგლ).
- სახლიდი** (ინგილ.) სახლის დიდი, უფროსი (მ. ჯან.).
- სახლიკაც-ი** (რაჭ.) ბიძა (დიალექტ., 688; ქეგლ).
- სახლისმამალ-ი** (გურ.) საჯიმედ დატოვებული საუკეთესო მამალი (გ. შარაშ.).
- სახლისაშვილ-ი** (ლენჩხ.) გათხოვილი ქალის შვილიშვილი, სახლიშვილის (ნ.) შვილი ან მისი შემდგომი შთამომავალი (მ. ალავე., 2).

სახლიშვილი-ი (ლენჩ.) გათხოვილი ქალის შვილი. „სახლიშვილი დედულს ეწვია“ (მ. ალავ., 2).

სახლოსნობა (მესხ., ჯავახ.) სახლის მოწყობილობა, საოჯახო ნივთებისა და ავეჯის ერთობლიობა (ი. მაისურ.; დიალექტ., 649).

სასწიმატირო (ხევსურ.) ტირილი-სათვის (დატირებისათვის) განკუთვნილი ჯილდო (დ. გოგოჭური).

სახმობ-ი (მთიულ.) ცხენის დაავადებაა, რომლის დროსაც ცხენს ნესტოში ძვალი ეზრდება (ლ. კაიშ.).

სახმუწ-ი (ფშ., ხევსურ.) პირის მოსაყრავე. ნ. საბრუწი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 138, 1900; ი. ჭყონ.).

სახნაურ-ი (ლენჩ., ხევსურ.) სახნავი (მ. ალავ., 2); სახნავი მიწა (ს. მაკალ.).

სახნაურა (ფშ.) ფრინველია ერთგვარი (ს. მაკალ.).

სახოპე-ი, **სახჩრეკ-ი** ბადე (იმერ.) ამოსასმელი ბადე, ოთხკუთხედიანი ჯვარედინი ჯოხებზე მიმაგრებული, თევზის საჭერი ბადე (ბ. წერეთ.; ი. ქავთ.).

სახორბ-ი, **ჩოლახ-ი** (ქიზიყ.) დიდი სატეხი მორგვის გულის გამოსაღებად, რომ მორგვში ღერძი გაუვლონ (ს. მენთეშ.).

სახოურ-ი **ბაწარ-ი** (გურ.) ერთგვარი გრძელი თოკია, ხმარობენ ხეზე გიძლის (ნ.) ასაწე-ჩამოსაშვებად (გ. შარაშ.).

სახოც-ი (გურ.) ქალის თავსაფარი, ხილბანდი (ე. ნინ., I, თ. კიკვი.).

სახრამუნა-ა (აქარ.) მსხლის ჯიშია ერთგვარი (შ. ნივარ.).

სახრელ-ი (ჩ. თუშ.) ხის პატარა ნაჭერი, რომელშიც თითისტარს ატრიალებენ (კ. ტრელი., 265).

სახრეშ-ი (ქართლ.) წისქვილის ქვის მოსაკოდავი რკინისპირიანი იარაღი (დიალექტ., 642).

სახრო მიწა (გურ.) ქვიშნარი (გ. შარაშ.).

სახლამათ-ი (ყიზლ.-მოზლ.) სადი, ჯანმრთელი (დიალექტ., 602).

სახსადაჯ-ი (ქიზიყ.) ნ. სალსადაჯი.

სახსნია (მთიულ.) ყველის შესაწური ჭურჭელი (ლ. კაიშ.).

სახუნარი-ი (ლენჩ.) ჩასასაფრებელი ადგილი. „კი სახუნარი ვიშოვეთ, თვარა გავვიჭირდებოდა ი დათვის მოკვლა“ (მ. ალავ., 1).

სახუნდარი-ი (ქიზიყ.) ადგილი, სადაც ნადირობისას მსროლელები სხდებიან და ნადირს მათგან ერეკებიან (ს. მენთეშ.).

სახუცო (ხევსურ.) ხუცესისათვის განკუთვნილი ჯილდო, გასამრჩელო (დ. გოგოჭური).

საქნურ-ი (ხევსურ.) ნ. ურნატა.

საქარავნო¹ (ხევსურ.) ჯამაგირი მეტარავენისა, ხარების ნახირის მწყემსისა (ა. ჭინჭარ., 230).

საქარავნო² (მთიულ.) ხარის ჯოვის სადგომი ადგილი (ლ. კაიშ.).

საქარე¹ (ხევსურ.) თივა ორი და მეტი კაცის ტვირთული (ა. ჭინჭარ., 226).

საქარე² (მთიულ.) ნ. საქარავნო².

საქელურაჟ-ი (თუშ.) მისაჭმელი. პურთან შესატანებელი რძის ნაწარმი: ყველი, ხაჭო და მისთ. (დიალექტ., 584).

საქევქმელოდ (ფშ.) საქვეყნოდ, მთელს ქვეყნიერებაზე. მთელ დედამიწაზე (დიალექტ., 594).

საქელქურო (თუშ.) ბოლომოქარგული სახელოები (ბ. ხუბ.).

საქერულეზ-ი (მთიულ.) ხელთათმნები, რომელსაც მომკელი ხელზე იცვამს, რომ ხელი არ გაუფუჭდეს; ცალთითა ხელთათმანი (ლ. კაიშ.).

საქეჩ-ი (ანგილ.) ატმის ჯიშია, სახლეჩი (ა. შან., 356).

საქენიელი (ხევსურ.) გუთანი (ა. ჭინჭარ., 198).

საქიჩარი-ი (ქიზიყ.) ხეივანი, პრილობებისაგან დამახინჯებული (ს. მენთეშ., დამ.).

საქლებ-ი (მთიულ.) ხელზე წამოსაცმელი თასმა; ხელნებში გაყრილი თასმა (ლ. კაიშ.).

საქლეჩელა (ფშ.) ხილის (მსხლის, ვაშ-

- ლის...) მოსაკრეფი ჯობი (ა. ჭინჭარ, ფშ.).
- საკნაურა** (მთიულ.) ჩიტია ერთგვარი. ნ. მოკნია (ლ. კაიშ.).
- საკორქელი**-ი (მთიულ.) თაღორი ცხენის კაბებიანი ლაგამი (ლ. კაიშ.).
- საკსარა**-ი (ქიზიყ.) ორ ერთნაირ საგანს შუა დარჩენილი ხარვეზი (ს. მენთეშ, დამ.).
- საკსნე** (მთიულ.) დვრიტა (ლ. კაიშ.).
- საქ-ი¹** (ქიზიყ., თუშ.) პურის საცხობი, ტაფასავით, თუჯისა, მწყემსებს აქვთ (ს. მენთეშ; პ. ხუბ.); ტაფა (დ. ჩუბ.).
- საქ-ი²** (ზ. აჭარ., ჯავახ.) თუნუქის ნაჭერი, რომელსაც კეცს ახურავენ ნაღვერდლის დასაყრელად (შ. ნიჟარ.); თუჯის დისკო, დიდი თასის მსგავსი პურის საცხობად (ი. მაისურ.). თურქ.-აზერბ. sac.
- საქ-ი³** (მთიულ.) სწორი აკური, რაზედაც მეცხვარე ფათილეს (ნ.) აცხობს (ლ. კაიშ.).
- საქალაქე** (ქართლ.) ადგილი ჭალაში, სადაც საგანგებოდ ახარებენ ეკლიან ბუჩქნარს (ქაცვისას, ასკილისას, ჩიტავაშლასას, ძეძვისას), რომ შემდეგ აჩებონ და ჯალჯი დაამზადონ (შ. ძიძ, ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- საქამე** (მთიულ.) ჯამ-ჭურჭლის შესანახი ხის ყუთი (ლ. კაიშ.).
- საქამია** (მთიულ.). ნ. საბაკნია.
- საქანჯღარო** (თიან.) სასიარულო, სვალ-სატარებელი (დილაექტ., 600).
- საქაოხურა**-ი (გურ.) ნაღური სიმღერა ერთგვარი (ა. ლ.).
- საქარა**-ა (თუშ.) სამხლე მცენარეა (პ. ხუბ.).
- საჯარე**, **საჯარე**-ა (ფშ., ხევსურ., თუშ.) ხატში ხალხის დასასხდომი ადგილი (ი. ჭყონ.); ადგილია ხატში, სადაც ხალხი სხდება (ვაჟა, I, ა. შან.); ნაგებობა დარბაზის გვერდზე, სადაც საოცოცად მოსული ხალხი იყრის თავს (ა. ჭინჭარ., 300); ადგილი, სადაც ჯარი (ნ.) იმართება (თ. უთურგ.).
- საჯარჯე** (ლეჩხ.) შურო (ნ.), ტყიან მალალ მთაში ან მის ყამირ კალთაზე დაშვებული თხრილი, ნაღვარევი, რაზედაც ჯარჯები (ნ.) თრევით ჩამოაქვთ (მ. ალავე., 2).
- საჯაყ-ი** (გურ.) სასირცხვო; მოჯაყვა შერცხვენა, ჯაყვით თავმოჭრა; მომჯაყა შემარცხვინა (ი. ჭყონ.).
- საჯვარო** (ფშ.) ნამცხვარია ერთგვარი (ს. მაკალ.).
- საჯიად-ი** (აჭარ.) სამფეხი (პ. ჯაჯან.). თურქ.-აზერბ. sacayağı.
- საჯიგვე**-ა (თუშ.) ცერის ბეჭედი (პ. ხუბ.).
- საჯიგუელი**-ი (მოხ.) ორ თითზე წამოსაცმელი რკინა, იყენებენ ჩხუბისას (ო. ქაჯ.).
- საჯიქიო** (გურ.) ღორის ზურგის ხერხემლის წინა ნაწილი. „აგი საჯიქიოა“ (ე. ნინ., II, თ. კიკვი); საკლავის კისრიდან აღებულ ხორცს ეძახიან (ს. ელ.).
- საჯობინარი**-ი (გურ., იმერ.) აღრიანი საუხმე, დასაძლევია რამ (გ. შარაშ.).
- საჯოხე**-ა (თუშ.) ცხერის მომვლეის განსამრჯელო ჭედლიასა თუ ფულის სახით (პ. ხუბ.).
- საჯურუმო** (ხევსურ.) საჯარიმო, ჯარიმა (ს. მაკალ.).
- საჯღღემღე**-ი (თუშ.) საღეჭი, მაგ., ოჭი (კევი) (პ. ხუბ.).
- საპეიზ-ი ფოთოლ** (ინგილ.) მრავალძარღვა, მცენარეა (ა. მაყ.).
- სებეზ-ი** (იმერხ.) საბაბი, მიზეზი. „დედე სებეზი გემიხა“ (ნ. მარი; შ. ძიძ., ქრესტ.). არაბ.-თურქ. sebeb.
- სებელი**-ი (ლეჩხ.) ვაზის ჯიშია (მ. ჩიქ.).
- სევა** (მოხ.) სუსხი. „ქქელმა შამადის და ცული სევა აქუ“ (ო. ქაჯ.).
- სეღოგარი**-ი (გუდამაყრ.) სოვდაგარი, დიდვაპარი (დილაექტ., 574). სპ., თურქ.-აზერბ. səvdəkar.
- სეზგი**-ი (აჭარ.) სპილენძის (ან სხვა ლითონის) ცხრილი, სუზგი (პ. ჯაჯან.). თურქ. süzgi.

- სელიო-ი** (ფერეიდნ.) სეირი, სანახაობა (დიალექტ., 631). არაბ.-სპ. seyr.
- სეინ-ი** (გურ.) საინი, თეფში (დიალექტ., 666).
- სეირან-ი** (იმერ., გურ.) ფეხისალავი (ვ. ბერ.); კუჭის მოჭმედეზა (გ. შარაშ.); ფეხისადვილი. შდრ.: სელიო (ს. ჟღ.).
- სეკო** (იმერ.) სოკო (თ. ოჭროშიძე, ჰოლვეი).
- სელ** (ინგილ.) შრატო, სველი (მ. ჯან.).
- სელ-ი** (ზ. აქარ.) ბორბლიანი მარხილი— ორთელაინი. ნ. ბოლოთრია (შ. ნიჟარ.).
- სელვა** (ქართლ.) დიდი სეტყვა, ქარიშხალი წვიმიტურთ. შდრ.: სელვაპი (თ. სალარ., აღგ., 85).
- სელვაპი** (ზ. აქარ.) წყალდიდობა, მდინარეების ადიდების შედეგად ნათესებისა და ქალების წალეკვა (შ. ნიჟარ.).
- სელშავი** (ფშ.) მოცეკ, მცენარეა (ა. მაყ.).
- სემა-ა** (ინგილ.) სულელი (დიალექტ., 622). თურქ. დიალექტ. seme 'ბრიყვი'.
- სემერი** (აქარ.) კრამიტის ყალიბი (შ. ნიჟარ.).
- სემსე** (აქარ.) ქოლგა (მ. ჯაჯანი). თურქ. şemsiye.
- სენე** (ხევსურ.) რძის შესანახი სპეციალური ბინა ხევსურულ სახლში (ა. ჭინჭარ., 267); სახლის ნაწილი (ს. მაკალ.).
- სენთ-ი** (გურ.) ადგილმდებარეობის გარკვევა, გამოცნობა—რა მხარეს არის აღმოსავლეთ-დასავლეთი; დასენთება მოსახერხებელი მხარე (გ. შარაშ.); ხერხი (ს. ჟღ.); ხერხი, უნარი, აღლო. „ქვე ხედავს, იქვე ედანა, მარა გალაპარაკების სენთი არა აქ“ (ა. ლღ., გურ.). არაბ., თურქ. semt.
- სენცეცხლა** (ფშ.) კანის ავადმყოფობა ერთგვარი, სრვილსა ჰგავს; კანს აწყულულებს (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- სეჟან-ი** (ინგილ.) აიჟანი; წინკარი (დიალექტ., 622).
- სერ-ი** (ქართლ., კახ.) საქონლის მფლობელის პატრონის მიერ დადებული ნიშანი — ადგილსაცნობად. ნ. სერა¹ (ლ. ლონ.).
- სერა¹** (მთიულ.) ნიშანი ცხერის ყურზე (ლ. კაიშ.).
- სერა²** (ხევსურ., მთიულ., გუდამაყრ.) საქონლის ფაშის ნაჭერი, გაფეცილ-გასუფთავებული, რომელსაც ვარიას (ნ.) ნახვრეტზე აფარებენ ხოლმე (ა. ჭინჭარ., 270); სადღევბლის პირმოსაკრავი თხელი ტყავი (ლ. კაიშ.; ე. ვირსალ.); ხბოს, თხის ტყავი, მსხვილ-ფეხა საქონლის კუჭის აპკი ან ბუშტი სადღევბლის პირის გადასაკრავად (დიალექტ., 569); ქოთნის პირის მოსაკრავი (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- სერაბახ-ი** (გურ.) სახლის სახურავის დაბლა შემოვლებული ფიცრები, რომლებზედაც დაყრდნობილია სახურავის კაევი და წყლის მილები. ნ. სარაბახი (გ. შარაშ.).
- სერათ-ი** (მთიულ.) საქონლის ბუშტი (ს. მაკალ.).
- სერესკელი-** (გურ.) სერასკირი, დიდი ჯარი. „მეიყვანა სერესკელი, გურულეზს გავწყვეტო“ (ე. ნინ., I, თ. კიკვი.). სპ.-არაბ. ser ('თავი')+asker ('სამხედრო პირი'). აქ: დიდი ჯარი.
- სერიკულა, სირიკულა** (ქიზიყ.) მეხუთე-ჯერ, ნავაშმევეს ჰამა პურისა (ს. მენთეშ.); ვახშმის უკან დაწოლის დროს ჰამა (დ. ჩუბ.).
- სერკვი** (ხევსურ., თუშ.) მომკილი იფქლის ძნა (ა. ჭინჭარ., 203; თ. უთურგ.; ს. მაკალ., ხევსურ., თუშ.). მარტილის უბე, ძნების (პურეულის) ზეინი, ქვეშ უგებენ უხეშ ბალახს (დიალექტ., 556).
- სერნა** (მთიულ.) მამულა, მცენარეა (ა. მაყ.).
- სერობა** (ფშ.) საღმრთო (ს. მაკალ.).
- სეფა** (გურ., იმერ.) ფარდული დიდი წვეულებისათვის სადილის ან ვახშმის მისართმევეად (ი. ჭყონ.); სახელდახე-

- ლოდ გაკეთებული გრძელი ფანჩატური, რომელშიც სტუმრებისათვის სუფრას შლიან დიდი ქორწილის ან ქელეხის დროს (დიალექტ., 666). შდრ.; ქეგლ.
- სეფეთი**-ი (გურ., აჰარ.) კიღობანი (კ. გვარ., 950); პატარა ძველებური ყუთი (პ. ჯაფან.); გოდორი (ი. მეგრ.). თურქ. *sepet*.
- სეჟე-ი**¹ (მესხ., ზ. აჰარ.) ბუხრის თავი (გარედან), ბუხრის ქვას ზედა ქიმი გამოწვეული აქვს თაროსავით, ზედ წერილმან საოჯახო ნივთებს აწყობენ (ი. მაისურ.). თურქ. *seki*.
- სეჟე-ი**² (ზ. აჰარ.) ძელურ სახლებში მთელი კედლის გასწვრივ მიშენებული ტახტი, შეიძლება სეჟევი ორივე მხარეს იყოს მიშენებული. ნ. საქვე (შ. ნიქარ.).
- სეჟიღონჯა-ი** (გურ.) ტყის მხალეული მცენარეა (გ. შარაშ.).
- სეჟვა, დასეჟვა** (იმერ.) ძალზე მობრეგვა, გალახვა, დაძვამბილება (ვ. ბერ.).
- სეხნა** (გუდამაყრ.) თანამოსახლე, სახელის მოზიარე (დიალექტ., 574); ორთავ რომ ერთი სახელი ერქვას (საბა); სახელმოდგამი, სახელთზიარი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- სეილაყუღუშ-ი** (რაჭ.) შემადღებელი ადგილი (შ. ძიძ., 214).
- სეიან-ი** (ქართლ.) ტყის ერთი ნაწილი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); მოჭრილი ხის დასაცურებელი ადგილი ტყეში (მ. მესხ.).
- სეარ, სასვარ-ი** (ხევსურ.) სალაფავი (ა. შან.).
- სეგ**¹ (ხევსურ., ქიზიყ., ფშ., მთიულ., თიან., ჩ. თუშ.) სეია, ფშალა (ა. შან.; ა. ჭინჭარ., 219; ს. მენთეშ.; ა. მაყ.; დიალექტ., 600; კ. ჭრელი., 260).
- სეგ**² (თუშ., ქიზიყ., ქართლ.) მკის, თიბვის დროს ერთ ჯერზე გატანილი კვალი (დიალექტ., 584); ველი, რაც მომკელებს მიაქვთ (თ. რაზიყ., „ივერია“, № 168, 1900).
- სეილ-ი** (იმერ., გურ., ლეჩხ.) ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე, რომლისაგანაც ხაჭოს ადუღებენ, შრავი (ვ. ბერ.; დიალექტ., 672; ს. ჯღ.; დიალექტ., 679).
- სეენა** (მესხ.) მინდვრის ხელივი მწვანე ფერისა (ი. მაისურ.).
- სეერულ-ი** (ზ. იმერ.) სიმღერა აერთგვარი სოფ. სევრის მცხოვრებთა (ბ. წერეთ.).
- სეილ-ი** (ხევსურ., კახ., ფშ.) ჭვავი (ა. შან.; გ. მაჟავარ., 286; ა. ჭინჭარ., 200; დიალექტ., 556; 594).
- სეინა** (ქართლ.) ნუფის მუჯავარე (ნ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); შვილის მომნათლავი (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- სეინტალ-ი, წვინტალ-ი** (იმერ.) ოხერი, ეშმაკი, გაუტანელი; უზრდელი, ტუტუცი (ვ. ბერ.).
- სეინტარ-ი** (ფშ., ოკრიბ.) ბოსტნეულია (ვაჟა, I, 1946, ა. შან.); ტყის მხალეული, გაზაფხულზე მოდის (ნ. ალავე).
- სეიოდ-ი** (თუშ.) სრულიად, სავსებით (პ. ხუბ.).
- სეირ-ი** შეშა (ქართლ.) ხმელი, ადვილად საწვავი შეშა. „ისე ადუღდა ეს ქვაბი, კარგი სეირი შეშაი რომ შეუკეთო“ (ა. ლ., ქართლ., 267).
- სეირილი-ი** (თუშ.) სურვილი (პ. ხუბ.).
- სეირსალ-ი** (მთიულ.) გარჩეული ღობიო (ლ. კაიშ.).
- სეიტ!** (ფშ.) ძაღლის წასაქვებელი, მისასევი შეძახილი (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- სეიტოლე** (ლეჩხ.) აყლაყუდა, კოჭმალელი (მ. ჩიქ.).
- სელება** (ხევსურ.) იფქლისა და სეილის (ნ.) ერთგვარი ავადმყოფობა. „იფქლს სელება მაშინ ვაშინდების, ახა მარცვალს კილჩი წყალ ჩაუდგას“ (ა. ჭინჭარ., 202).
- სვლეკა, შვლეკა** (იმერ.) გამოღება, გარტყმასაც ნიშნავს. „ვიშვლეკე თილიყამყამი (ნ.) და წიკება ვავადენიე ყურის ძირში“ (ვ. ბერ.).

- სიდიოფალა** (ლექს.). ნ. დედალობა.
- სივსივალ-ი** (თუშ.) გარეული ფრინველია ქათმისოდენა. უყვარს გუნდად ცხოვრება. იკმება (პ. ხუბ.).
- სიზარულ-ი** (მესხ.) სიზარმაცე (ი. მაი-სურ.).
- სიკინძის ფეხ-ი** (გურ.) რკინის ნაჭერი, რაზედაც დამაგრებულია წისკვილის ბორბალი. ნ. სიკინძის ფეხი (ა. ღლ.).
- სიკინძილა** (იმერ.) სათამაშოა (ვ. ბერ.).
- სიკორკობილა** (გურ.) სათამაშოა. ნ. ოკა-წონა (ვ. ბერ.).
- სიკორკობილა/ე** (გურ.) საქანელი. ნ. სიკორკობილა (ს. ჟღ.).
- სიკორწიალა** (იმერ., გურ.) კორწიანა, კორწიალა, საქანელა, რწიანა. ნ. სიკორკობილა, სიკორკობილა (ვ. ბერ.; ა. ღლ.).
- სილი-ი** (იმერ.) უბედურება. „სიმდიდით ნასუქია [ინდაური], სილი და ჭირი არ მამეცეს“ (ი. ქავთ.).
- სილა** (ქართლ.): სილაქურქველ-ი მარცვლეულით, აგრეთვე ფქვილით ზუსტად პირამდე სავსე ჭურჭელი; გასილავებულ-ი მარცვლებით სავსე ჭურჭელი (გ. შატბერ., 92).
- სილა-ი, სილაღ-ი** (იმერხ.) იარაღი, თოფ-იარაღი (დიალექტ., 654).
- სილაბანდურა-ი** (გურ.) უშინაარსო მსჯელობა, უადგილო ლაპარაკი. „მოყვეი ახლა შენებურა სილაბანდურაი“ (გ. შარაშ.).
- სილაგ-ი** (ხევსურ.) სილაქი, დამკავებულ შრატში ცოტა მარილს ჩაყრიან და ალო ფქვილს მიუმატებენ. ხმარობენ ტყავის გასაწმენდად ბეწვებისაგან (ლ. ლეონ.).
- სილამ** (მოხ.) სანამ, ვიდრე (დიალექტ., 563).
- სილაღ-ი** (გურ.) იარაღი, საჭურველი (ა. ღლ.). არაბ. silāh.
- სილვაშლა, სირვაშლა** (რაქ., ლექს., იმერ.) ჩიტვაშლა, მცენარება (ა. მაყ.).
- სილინგი-ი** (რაქ.) თოფების ან ისრების ერთად სროლა. „სილინგი გადა ისრისა“ (შ. ძიძ., 214).
- სილის სოკო** (იმერ., გურ.) სილიო (ა. მაყ.).
- სილურის-ი** (ქიზიყ.) დაყალიბებისას აგურის გადასასმელი ფიცარი მოსასწორებლად (ს. მენთეშ.).
- სილფიჩ-ი** (ქიზიყ.) დაბალხანაში გამოყვანილი ტყავის გასასუფთავებელი (თრიმლის ნარჩენის მოსაშორებელი). ცხენის ძუა ან ხარის კუდი სავველასავით ან ფუნჯივით გაკეთებული (ს. მენთეშ.).
- სილქანი** (ქიზიყ.) ხვარხვარა, მცენარება. ნ. უშუ (ა. მაყ.).
- სიმარტელ-ი** (ინგილ., თუშ.) სიმარტლ, ზღმარტლი (მ. ჯან.; ა. მაყ.).
- სიმაურ-ი** (გურ.) სიმამრი (ს. ჟღ.; დიალექტ., 666).
- სიმარტე-ა** (თუშ.) სიაცე, ბორბტება (პ. ხუბ.).
- სიმურ-ი** (ხევსურ.) წყალი ხატის ენაზე (ა. ჭინჭარ., 215; დიალექტ., 557).
- სიმქაშ-ი** (ქიზიყ., იმერ.) ოქრომჭედლის იარაღი: ბრტყელწვერა ვაზია ოქროს მავთულის გასაწევადა (ს. მენთეშ.; ვ. ბერ.).
- სიმჭლის ბალახ-ი** (ზ. რაქ.) აბზინდა, მცენარება (ა. მაყ.).
- სიმჭრივე** (ქიზიყ.) სიბასრე, მჭრელობა. „ამ ოტერ დანამ ერთი ბეწო სიმჭრივე არა აქ“ (ს. მენთეშ.).
- სინა¹** (იმერ., გურ.) მავთული (ვ. ბერ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- სინა²** (მთიულ.) ლურჯი ქანგი მოთქალავ სპილენძის ჭურჭელზე (ლ. კაიშ.).
- სინა³** (იმერ.) თუჯის ან სპილენძის ქვაბი (ი. ქავთ.).
- სინათ-ი** (მთიულ.) ჭუჭრუტანაში შემოსული შუქის ზოლი; სინათთე სინათლე (ლ. კაიშ.).
- სინაბარე** (თუშ.) სხვისი იმედით (პ. ხუბ.).
- სინგვლა** (ლექს.) ლანძღვა, თათხვა (მ. ჩიქ.).

- სინდილიანი**-ი (ქართლ.) ზერე-ქვერე ავადმყოფი ხანგრძლივად (მ. მესხ.).
- სინის გემო** (იმერ., გურ.) მოუკალავი ქურჭლის თავისებუთი გემო (ი. ქავთ.).
- სინორი** (მესხ., ჯავახ.) მიჯნა, საზღვარი (მ. ძიძ., ქრესტ.). ბერძნ. თურქ. *SINIR*.
- სინსლი**-ი (ქიზიყ.) ტინელი, წვრილ წვი-
მაზე იტყვიან (ს. მენთეშ.).
- სიოჰე!** (ქართლ.) შეძახილი ცხერის
გასარკეავად (მ. ძიძ., ნ. კეცხ., პ.
ხუბ.).
- სიპი**-ი (ხევსურ., თუშ., ფშ., მთიულ., ინ-
გილ., ქიზიყ.) ფიქალი, შიფე-
რი (ა. შან.); ბრტყელი, თხელი ქვა, იყე-
ნებენ სახურავად (ა. ჭინჭარ., 274; ვაჟა,
I, ა. შან.; დიალექტ., 569; მ. ჯან.);
გალესილი, გლუვი, ზედაპირმოლესი-
ლი (ს. მენთეშ.); ქვა პირგლუსუნი
(საბა); ჭაბა მაგარი და პიტალო (ნ.
ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- სიპი**-ი² (იმერ., გურ.) მუცლის ნაწილი
ქიბს ქვემოთ (ქეგლ).
- სიპა** (გურ.). ნ. სიპი².
- სიპრიელა** (ხევსურ.) თხელი, პატარა
ზომის ქვა. ნ. სიპი (ა. ჭინჭარ., 274).
- სიპერდა** (ხევსურ.) ქვის სახურავი სახ-
ლისა (ა. ჭინჭარ., 273); მონადირეთა
მიერ მთაში აგებული ქოხი (იქვე,
301).
- სიპტანდელი**-ი (ინგილ.) პირველი, პირ-
ვანდელი (მ. ძიძ., ქრესტ.).
- სირი**-ი (ქართლ., მესხ., ჯავახ.) რიგი. ნ.
სირა² (მ. ძიძ., ქრესტ.).
- სირა**¹ (მთიულ.) ყალიონში გაყრილი
მილი (ლ. კაიშ.).
- სირა**² (გურ., ზ. აჭარ., მესხ., ქიზიყ.,
ინგილ.) ჭერი წისქვილზე საფქვავისა
(ს. ჟღ.); ჭერი, რიგი (მ. ნიყარ.; დია-
ლექტ., 660); რიგი, მწკრივი, ჭერი.
„ჩემი სირაც მოვა“; სირისი-
რიოთ რიგრიგად, მწკრივად (ი. მაი-
სურ.); ჭერი, რიგი, მორიგეობა (ს.
მენთეშ.; გ. იმნ.).
- სირამ** (მესხ.) სანამ (კ. დონდ., 376).

სირენჩა (გურ.) ჩიტის მახევა ერთგვარი
(ა. ლ.).

სირთ-ი (ზ. აჭარ.) სერი, ქედი, მთა.
„სერთი-სერთზე მივდიოდი,
მოვდენიდი ჩიტებსაო, გოგუები მეზ-
გეწევა, ჩამახუტე ბიჭებსაო“ (მ. ნი-
ყარ.). თურქ. *SIRT*.

სირიკულა (ქიზიყ.). ნ. სერიკულა.

სირისირით (ზ. აჭარ., იმერ., მესხ.). ნ.
სირა.

სირისკული-ი (გურ.) ვახშამს მოყოლე-
ბული სამხით (ნ.) საჭმელი (ს. ჟღ.).

სირისკულა¹ (ქართლ.) სახელდახელო
საჭმელი, უმთავრესად კი ხილეული
და ხმელი ხილი. ნ. სირისკული (მ.
ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

სირისკულა² (ლეჩხ., მთიულ.) საღამოს
ცალკე სუფრას გამართავენ მაყრბი,
როცა დიდი სუფრიდან აღგებიან. ამას
სირისკულა ჰქვია (მ. ჩიქ.); ჩეჩენის
დროს მეორე ვახშამი (ლ. კაიშ.).

სირისუა (გურ.) ეუწერტუკი, მცენარეა.
ნ. ბოწოწო, ბოწოწუა (ა. მაყ.).

სირიქა-ი (გურ.) კეანწიასავით (გ.
შარაშ.).

სირილი-ი (ქიზიყ.) ღობეზე ან ბოძზე გა-
დებული ლატანი (ს. მენთეშ.). თურქ.
SIRIK 'ჭოკი', 'გრძელი ჭოხი'.

სირიხე (ქიზიყ.) გრძელი ლატანი თამბა-
ქოს თოკების გასაბმელად. ნ. სირილი
(ს. მენთეშ.).

სირონი-ი (ზ. აჭარ.) ნამცხვარია: პურის
ცომის თხელ ფენებს შეაზაგებენ შაქ-
რითა და ნაღვლით ან კარაქით და
შეწვევენ კეცზე ან საოჯახო ფურნე-
ში. სახელდახელოდ მისატანი სტუ-
მართან (მ. ნიყარ.). თურქ. *SIRIN*.

სირსვალ-ი¹, **კირკაე**-ი (ქიზიყ., ვურ.).
ლობილ ან მუხუდო მოხარშული, გა-
დაწურული, შეუღესავად (მრგვლად)
შენელებული ზეთსა და ხახვში (ს.
მენთეშ.; ს. ჟღ.); რაღაც მარცვალი
წყლით ოდენ მოიხარშება (საბა); კირ-

სიფრო (მოს.) ტაბლა, სუფრა, მავიდა (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.; ო. ქაჯ.; დიალექტ., 563). არაბ. *sufra*.

სიფსიფ-ი (იმერ.) ჩიფჩიფი: სი ფ ს ი ფ ე ლ ა მეტსახელი ჩიფჩიფა ქალი-სა (მ. ალაფ., 3).

სიქევახე (ფშ.) სიმდიდრე, შეძლებულად ცხოვრება (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

სიქილონჯა, **ჯიჯილოჯა** (გურ.) ფერისცვალა, მცენარეა (ა. მაც.).

სიქინძის ფეხ-ი (გურ.) ნ. სიქინჯის ფეხი.

სიქინჯის ფეხ-ი (გურ.) რკინის საფუძველი, რაზედაც წისქვილის ბორბლის ფეხია დაყრდნობილი (გ. შარაშ.).

სიუმილ-ი (ფშ.) შიმშილი (ი. ქეშიკ.).

სიჩლო, **სიჩრლო** (მესხ.) ჩრდილო, დაჩრდილული ადგილი (ი. მაისურ.).

სიჩხიე (ქართლ.) ცხიმოვნება, სიჩხინტე (ნ.), ყუათი (ს. მენთეშ.).

სიჩხინტე¹ (მესხ.) საქმლის ძალა, ყუათი (ი. მაისურ.).

სიჩხინტე² (ქიზიყ.) სიმსუქნე (ს. მენთეშ.); მცირე რამ ცხიმი (საბა); მცირედი სიმსუქნე წვენისა (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

სიჩხნაკე (ქიზიყ.) ბორბოტება, შხამინობა (ს. მენთეშ.).

სიძრის-ი (მთიულ., გუდამაყრ.) უნარი მოძრაობისა (ე. ვირსალ.); ძვრა. „სი ძ რ ის ი არა აქვს“ (ლ. კაიშ.).

სიწირფლე (ხევსურ.) სუფთად ყოფნა. „მიერეოდი ფეკითა, სი წ ი რ ფ ლ ე უნდა ჯვარსაო“ (ა. შან., 205).

სიწლო (ქიზიყ.) სიწვრილე; სიგანე. „ერთი თითი სი წ ლ ო იქნება“ (ს. მენთეშ.).

სიწუნტე (ფშ.) სივერაგე, სისაძაგლე (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

სიხაშლე (ქიზიყ.) ცხვრის ავადმყოფობა (ს. მენთეშ.).

სიხიმს-ი (კახ.) სიმსუქნე. ნ. სიჩხინტე (ა. მარტ., გ. იმნ.).

სკა¹ (ხევსურ., მოს., მთიულ.) პირუტყვის ტვინზე გადაკრული აპკი (ა. ჭინჭარ., 239); კვერცხის აპკი, ცილასა და ნაქუქს შორის მოთავსებული სიფრიფანა კანი (დიალექტ., 563; ლ. კაიშ.).

სკა² (გურ.) ფუტკარი (ს. ჟღ.; ა. ლ., გურ.; დიალექტ., 666).

სკალატი-ი (გურ., ზ. აქარ.) მუღდის საშარტლე, უფრო შავი ფერისა. ნ. სკლატი (გ. შარაშ.; შ. ნიჟარ.) შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

სკამლოგინ-ი (ზ. იმერ., გურ., რაჭ.) მთლიანი ხისგან გამოჭრილი ვრძელი სკამი, რომელსაც ცალ ან ორივე მხარეს ხის მუთაქა აქვს (ზ. წერეთ., ა. ლ.; დიალექტ., 666); ძველებური ხის საწოლი (შ. ძიძ., 214; დიალექტ., 688). შდრ.: დ. ჩუბ., ქეგლ.

სკამ-საკაცე (რაჭ.) კერისთან დადგმული საპატიო სავარძელი უფროსისათვის (შ. ძიძ., 214).

სკარტუნ-ი (ფშ.) კაყუნი (ი. ქეშიკ.).

სკევი-ი (რაჭ.) კევი (დიალექტ., 688).

სკერტვა (ფშ.) ჩანისკარტება (ი. ქეშიკ.).

სკვანტილა, **სკვანტილო** (ზ. იმერ., რაჭ.) ბუსკანტურა, მცენარეა (ა. მაც.); მხალია ერთგვარი (ი. ქავთ.).

სკვარამ-ი (გურ., იმერ.) წკვარამი (ნ.), უფსკრული, ქვესკნელი (ი. ჭყონ.; ა. ლ.).

სკვაჯუნ-ი (აქარ.) ვულგ. მოუზრიდებლად, უშნოდ მოძრაობა, — ანცობა, მოუსვენრობა (შ. ნიჟარ.).

სკვიობა (ფშ.) ხტუნობა კალისა ან ფრთამოტეხილი ფრინველისა (თ. რაზიყ., „ივერია“, № 168, 1900; ი. ჭყონ.).

სკვილენჯ-ი (ქვ. იმერ.) ოფი, მცენარეა (ა. მაც.).

სკვინჩა (გურ.) ჭრელფრთებიანი პატარა ფრინველი (ე. ნინ., II, თ. კიკე.; ს. ჟღ.; საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ.).

სკვინჩაის მაცარი-ი (გურ.) გადატ. პატარა

- ტანის, მოქნილი მიმოხერის კაცი (გ. შარაშ.).
- სკიბაჯგი** (ლენხ.). 1. სკის ბარჯგი, საფუტკრის ბოძი; 2. დაბალი ტანის კაცი, ჩაფსკენილი (მ. ჩიქ.).
- სკისბარჯღი** (იმერ.). ნ. სკიბაჯგი.
- სკივ-ი** (ხევსურ., თუშ.) ნაპერწყალი (ა. ჭინჭარ., 290; პ. ხუბ.).
- სკინკლ-ი** (კახ.) ცალფეხზე ხტომა (ა. გვენც., თ. ბერიაშვი.).
- სკიპარტაყ-ი** (თუშ.) წყიბურტი (პ. ხუბ.).
- სკიპარქ-ი, სკიპარქვა** (გურ.) უზრდელად, უზნოდ წაქცევა, თანაც წაქცევა ისე, რომ ფეხები ზევით აიწიოს (გ. შარაშ.; ა. ლ.).
- სკიბ და რუჯ** (იმერ.) ჩაჯდომა-ადგომით ხტომა; თამაშის მოსათვალავი: გადაჯექი, გადმოჯექი, სკიბ და რუჯ (ი. ქავთ.).
- სკლატ-ი** (თუშ., ხევსურ.) მალდი. „ტანს ს ი ს ვ ი ს კ ლ ა ტ ი ჩ ე ე ც ვ ა“. ნ. სკლატი (თ. უთურგ.; დიალექტ., 557).
- სკმანვა** (იმერ.) მალვა (ი. ქავთ.).
- სკმა-გლა** (აჭარ.) მოუსვენრად ყოფნა, თავაწყვეტით მოძრაობა (შ. ნიყარ.).
- სკმევა** (იმერ.) რტყმევა, ცემა, გაღახვა (ი. ქავთ.).
- სკორე** (რაჭ.) ყინულოვანი მთა, მყინვარი (შ. ძიძ., 214); დიდი ნაპრალი მუღმივ თოვლსა და ყინულში (ვ. ბერ.).
- სკორო** (რაჭ.). ნ. სკორე.
- სკუნელ-ი** (ქართლ.) კუნელი, მცენარეა (ა. მაყ.).
- სკუპელა** (ქართლ.) სკუპ-სკუპით (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- სკურტუმალ-ი** (რაჭ.) კურტუმო (შ. ძიძ., 214).
- სკუტურა/ე,-ა** (იმერ.) წიწილების ავადმყოფობაა ერთგვარი (ვ. ბერ.).
- სკუჯ-ი** (აჭარ.) თაღლითი, ფლიდი, ონავარი, ენამყრალი (შ. ნიყარ.).
- სლაჯ** (ინგილ.) თხელი წვენი (მ. ჯან.).
- სლაქვა** (იმერ., გურ.) ტლაქვა (ნ.), ლოკვა (ი. ჭყონ.); ერთ ლოკვა. ნ. ამოსლაქვა (ა. ლ.).
- სლიან-ი** (გურ.) სრიალი მოლიპულ ადგილზე. „ფეხი დამისკლიანდა და კელამ დევიენტრიე ცხვი-პირი“ (გ. შარაშ.).
- სლივანა** (ლენხ.) ერთგვარი მატლია (მ. ჩიქ.).
- სლივ-ი** (გურ.) ანკარა, ქვეწარმავალი (კ. გვარ., 950).
- სლიკინ-ი** (ფშ.) ცურვა, სრიალი. ნ. სროპიალი (ი. ქეშიკ.).
- სლინვა** (გურ.) ქვეწარმავალთა გლინვა, სელა, ძვრომა (გ. შარაშ.).
- სლურტვა** (ქიზიყ.) წურვა, კრუნჩხვა; ვიწრო ტანისამოსში ვაჩრა. „რაჲ ისლურტები, ბიკო, ქცივა?“ (ს. მენთეშ., დამ.).
- სმაფიცილა** (ქართლ.) სვამს და ამბობს, არა ვსვამო (გ. შატბერ., 95).
- სმენაობა** (ხევსურ.) დიდ ხეთშაბათს (კუდიანთ წუხრას) სამ წერის კერას შუქვამს გასათხოვარი ქალი ან უცოლო ვაჟი, მთელ დღეს წყალს არ დაღევს, არც პურს ჭამს და საღამოზე (კუდიანთ წუხრას) წავა სოფლის განაპირას რომელიმე ხიდთან ან წყლის პირზე და იქ სმენაობს. ხევსურთა რწმენით, ეშმაკები (კუდივნები) მე სმენაებს დაუძახებენ. თუ ვინაა მისი საბედო. „ტანიეს სმენაობამა სრულ გონ-წარით გადაყარნათა“ (ა. ჭინჭარ., 213).
- სმეულობა** (ქართლ., მთიულ.) დიდი სმა, ღრეობა, ქეიფი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); მაგარი სასმელის სმა (დიალექტ., 569).
- სმორტ-ი** (რაჭ.) თოკმომხული ჩხირი კოლოტის ყელის მოსაკრავი (ვ. ბერ.).
- სმულობა** (ფშ.). ნ. სმეულობა.
- სმუსნ-ი** (გურ.) ოდნავ შენძრევა (ძილ-ში). „ისე ეძინა, რომე სმუსნი არ უქნია“ (გ. შარაშ.).
- სნაკება** (მოხ.) სლოკინი (თ. ქაჯ.).

სწავლა (ფშ., იმერ., თუშ.) მტკივანი ადგილი რომ ფეთქავს და თრთის (თ. რაზიკ, „ივერია“, № 138, 1900; ი. ჟუონ.); ავადმყოფობის გამო სხეულის ამა თუ იმ ნაწილში ჩხვლეტა და მით გამოწვეული კენესა (პ. ზუბ., თუშ.).

სწულა (იმერ.) დიდი, გრძელი ბუზი, ხმაურით დაფრენს, კატა ქამს (ი. ქავთ.).

სწოლა, მესწოლე (იმერ.). ნ. სწულა-სწო-ი (ინგილ.) სვია, მცენარეა (ა. მაყ.).

სობა (აქარ.) ღუმელი (პ. ჯაჯანი). თურქ. soba.

სობა-ვაშლა (ზ. აქარ.) ვაშლის ჭიშია ერთგვარი (შ., ნივარ.).

სობელი-ი (აქარ., გურ.) სველი, ნესტიანი (დილაქტა, 660; ა. ლ.).

სობისურა (ქართლ.). ნ. სობურა.

სობურა (ქართლ.) სობისურა (ნ.), საბისურა, ათერეკალა, მცენარეა (ა. მაყ.); ლენცოფას ეკლიანი ნაყოფი (მ. მესხ.).

სოგო (მთხ.) ნესტი, სინოტივე (ო. ქაჯ.).

სოგორ-ი (იმერ., ლეჩხ.) ოდნავ შემადლებული ადგილი ვაკეზე, ბეგობი, ბორცი (ი. ქავთ.); დაბალი სერი (მ. ალავე, ზეპირსიტყვა.).

სოღინ-ი (მთიულ., გუდამაყრ.) კლდე (ე. ვირსალი); ძნელად მისადგომი მაღალი კლდე („კომუნისტი“, № 294, 1967).

სოღომ-ი (მთიულ.) ნესტიანი (ლ. კაიშ.).

სოი (გურ., ზ. აქარ., ქიზიყ.) ნაირი, ფასონი, მოდა; ორი სოისა ორნაირი, ორგვარი (ი. ჟუონ., ფლ.; ა. ლ., გურ.; შ. ნივარ.; ს. მენთეშ.). თურქ. soy 'გვარი', 'ნაირი'.

სოია (აქარ.) ნ. ბოყვი, 4.

სოია² (თუშ.) სვავი, ფრინველია (ს. მაკალ.).

სოინარი-ი¹ (იმერ.) მდარე არაყი (ი. ქავთ.).

სოინარი-ი² (გურ.) ძველი ხალხური სამუსიკო ინსტრუმენტი (გ. შარაშ.).

სოი, სოი! (გურ.) იხევის დასმობა (ა. ლ.); ბატ გადენის კმა (საბა).

სოკოკვერცხა (გურ.) ნიყვი, სოკოა ერთგვარი (ა. მაყ.).

სოიო (აქარ.) სოია, მცენარეა (ა. მაყ.).

სოლახა-ა (ინგილ.) მარცხენა (ლილაქტა, 622). აზერბ. solaxaj 'ცაცია';

სოლე! (ზ. აქარ.) შორისდ. გაჩუმდით იუუჩე! შ. ნივარ.).

სონთქი-ი (ლეჩხ.) გაუმძლარი ადამიანი. ნ. ონთქი (მ. ალავე, 3).

სონილ (ინგილ.) საწებელი, სუნელი (მ. ჯანი).

სოჲ, სოჲ (იმერ.). ნ. დოჲ-დოჲ!

სორატი-ი (იმერ.) ძლიერ ვიწრო გზა, ბილიკი (ვ. ბერ.). არაბ. surať.

სორბოთლობა (ქიზიყ., ფშ.) მუსაიდო, ბასი. „მუუდროზე დასდებთან დედაკაცები და გააბამენ სორბოთლობაჲ“ (ს. მენთეშ.); ამბის თბობა, სჯა-ბაასი. „დაიწყეს სორბოთლობა აჭა-იჭაური ამბისა“ (ი. ქეშიკ.).

სორომკორომოთ ქცევა (გურ.) ივარქმნა. მოსპობა, განადგურება (ა. ლ., გურ.).

სოროტი-ი წვიმა (გურ., ზ. აქარ.) თხელ წვიმას ეძახიან (ი. ჟუონ.); ავდარი, ქარიშხალი, თავსხმა, დელგმა, კოკისპირული წვიმა (შ. ნივარ.).

სოსანი-ი (ოკრიბ.) გასხეპილი ან ბუნებრივად სწორი, უტოტო ხე (მ. ალავე).

სოსიად-ი, გასოსიადება (იმერ.) სრიალი, გასრიალება, ცოცვა, ცოციალი (ვ. ბერ.).

სოსელი (ოკრიბ.). ნ. სასალო.

სოსინ-ი (თუშ.) კანკალი; ასოსანებს აკანკალებს (თ. უთურგ.).

სოსლოტინა (მესხ.) უშნოდ ტანაყრილი, წვრილი და გამხდარი ადამიანი, წოწოლა (ი. მაისურ.).

სოსმანდ-ი, **სოსმანდილ**-ი (იმერ.) ტუტია, ყრუ კაცი (ვ. ბერ.).

სო-სო-სო! (ჯავახ.) ძალღების მოსახმობი შეძახილი (ი. მაისურ.).

სოსოტ-ი (გურ.). ნ. ისოსოტებს.
სოულეზიანი-ი (იმერ.) მემკვიდრეობის პატრონი, მდიდარი, ქონებიანი, მათევიანი (ი. ქავთ.).
სოულობა (იმერ., გურ.). ნ. სოულეზიანი.
სოფლობა (რაჭ.) ყრილობა (ვ. ბერ.; ქეგლ).
სოღ-ი (ქიზიყ.) ხახვის, ნიერისა და მისთანათა თავის გამოშვებული ღვი, ფოჩი (ს. მენთეშ.).
სოღო (ქსნის ხეობ.) ბოლომოგლეჩილი წიწილა, ან წიწილა, რომელსაც ბოლო არ ეზრდება (ვ. სომხიშვ.).
სოჩხეთურა (ოკრიბ.) ადგილობრივი ვაშლის ჯიში, საზამთრო. თეთრია, წითელზოლებიანი, მოგრძო, საშუალო ზომისა, კარგად ინახება (მ. ალავე.).
სოხ-ი (გურ.). ნ. სოხვი.
სოხანე, სოხანო (რაჭ., იმერ.) იატაკად დატეხილი მიწა (ი. ჭყონ.).
სოხანო (რაჭ., იმერ.). ნ. სოხანე.
სოხან-ი (მესხ., ჭავჭავ., გურ.) ვიწრო გასასვლელი სახლებს შუა (ი. მაისურ.); ორ მოსაზღვრე ღობეს შუა დატოვებული ერთობ ვიწრო ადგილი, ვიწრო ორღობე (ი. ჭყონ.). არაბ sokak "შუკა".
სოხვი (გურ.) ქლაკვი, უთავო ხახვი (კ. გვარ., 950; გ. შარაშ.).
სოხრა (ჭავჭავ.) ბეგარა (დიალექტ., 649).
სპანი (რაჭ.). ნ. ისპი, ისპანი.
სპარა-ი (გურ.) ქვევრი ან ხალაში ზეითა ნაწილგატეხილი, მარცვლეულის ჭურჭლად ხმარობენ (გ. შარაშ.).
სპარს-ანგელოზ-ი (მობ.) მხეორობის, ლაშქრობის ღვთაება—სპას ანგელოზი. ცნობილია სალოცავი წვერის სპარს-ანგელოზისა (წვერის მთა — სოფ. სნოსთან, ყაზბეგის რ.) (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).
სპერვა (ლეჩხ.) მოკვეთა (მ. ჩიქ.).
სპირო (ქართლ.) ბლის ქერქის აბჯა (ნ. კეცხ., 21).

სპონდიო (ლეჩხ.) მჩატე ქვა მტკნარისა (მ. ალავე, ზეპირსიტყვ.). შდრ.: საბა, დ. ჩუბ., ქეგლ.
სრა (მობ.) სროლა, სრევა (დიალექტ., 563).
სრავ-ი (იმერ.) ღვინით სავსე ქვევრის თავზე გაშლილად მოტივტივებული და მოდებული ყურძნის კურკები (ი. ქავთ.).
სრავალ-ი (მობ.) ადგილი, სადაც აფენენ, ამრობენ, ახმობენ დასაფქვავ ხორბლულს (ა. ყაზბ., II, შ. ძიძ.).
სრე (ქსნის ხეობ.) გრძელი ზოლი, რომელსაც თიხის ჭურჭელს გარს ავლებენ (ვ. სომხიშვ.).
სრევა (თუშ., ხევსურ.) სროლა (ი. ბუქურ., 136; დიალექტ., 584; ა. ჭინჭარ., 311).
სრელი-1 (ხევსურ.) ვიწრო და გრძელი ყანა (ა. ჭინჭარ., 196).
სრელი-2 (გურ.) მიწის მოხუნული ან დათესილი ნაკვეთი; გუთნის ერთი გავლა, კვალი, ნ. სვრელი (ა. დლ., გურ.).
სრელა (ფშ.) გარდი-გარდმო ზოლი. ნ. სრე (დიალექტ., 594).
სრევალ-ი-1 (ხევსურ.) საფქვავი, მარცვალი. „გაღმამეშარნეს მურღვანი, მავფანტენ როგორც სრევალი“ (ა. ჭინჭარ., 207).
სრევალ-ი-2 (მთიულ., გუდამაყრ) თვალმარგალიტი (ე. ვირსალ.).
სრიელ-ი (ლეჩხ.) მუშაობის დროს ერთ ჯერზე (დასვენებიდან დასვენებამდე) გათოხნილი ან დაბარული ნაწილი მიწისა, მომკილი ნაწილი პურეულის ყანისა (მ. ალავე, 2).
სრიკა (ქიზიყ.) ცეკვის დროს ფეხის სწრაფად გასმა. ვაჟმა იცის მხოლოდ, ჭალისაგან არ შეიძლება, სათაქილოა. „აბა, ერთი კი სრიკა გაუსეი, ბიჭო!“ (ს. მენთეშ.).
სრინვა (ქიზიყ.) სუნთქვის დროს ხმის გამოცემა, ქშენსავით (ს. მენთეშ.; დ. ჩუბ.).



- სრინკა (ქიზიყ.). ნ. სრინკა.
- სრიფუთა-ი (გურ.) ჭარა (გ. შარაშ.).
- სროლ-ი (იმერ., გურ.) მანძილი ორ აღნიშნულ ადგილს შუა. „ამ ერთ სროლ ადგილს მეც დავამუშავებ“ (ი. ჭყონ.).
- სროპიალ-ი (იმერ.) სრიალი, დაცურება (მიაიკოვსკი, ზ. ტყაბლაძე).
- სროსალ-ი (ქიზიყ.) ლულასავით დაგრძელებული ტალახი ქვევრის შემოსაქნელად (ს. მენთეშ.).
- სროვან (ინგილ.) სუყველვან, ყველვან (დიალექტ., 622).
- სროუქიან-ი (იმერ.) ქაჩალი, სვრიჭიანი (ვ. ბერ.).
- სტება (იმერ.) სხლტება, ცურდება. „მოყინულზე ფეხი სტება“ (ი. ქავთ.).
- სტენა (ინგილ.) ცდენა; აასტინა ააცდინა; ასტა ასცდა (მ. ჯან.).
- სტვა (გურ.). ნ. შესტვა.
- სტვინელა (ჯავახ.) სასტვენა, მცენარეა (ა. მაც.).
- სტივა-სტივა (იმერ.) ხარშვის დროს ქვაბს თუ გასდიოდა, ფქვილს ჩააფრქვევდნენ, ნაპირებზე ქვაბს ხელს დაჰკრავდნენ და იტყოდნენ სამოთხვერ: სტივა-სტივა... ცრურწმენით, ქვაბიდან სითხის დენა შეწყდებოდა (ი. ქავთ.).
- სტილ-ი (ხევსურ.) ერბოსა და ყველის საწონ-საზომია, ორი კვერცხის წონა, 200 გრამი (ს. მაკალ.).
- სტომ-ი (თუშ.) წითელი მოცვი, მცენარეა (ა. მაც.).
- სტუმრე (ლენჩ.) თურმე (მ. ალავე, 1).
- სტუპალაჟ-ი (თუშ.) ისარი. ასეთ ისარს ზროდ (ნ.) აქვს შაშხანის ან სხვა იარაღის ტყვია (პ. ხუბ.).
- სტურე (ლენჩ.). ნ. სთურე.
- სტუცერ-ი (ფშ.) თოფია ერთგვარი (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- სუ (ქართლ., გუდამაყრ., თუშ., ფშ., ქიზიყ. ჯავახ.) სულ: მუდამ (დიალექტ., 642; 574; 584; 594; 609; 649). შდრ.: ქეგლ.
- სუბრეტ-ი (გურ.) ყმაწვილი ქალაქი ან და მარჯვე (ი. ჭყონ.).
- სუდა (ჯავახ.) ჩვეულებრივი შვრია, მცენარეა (ა. მაც.).
- სუდე (ლენჩ.) ვრძელი ჩირვე (მ. ალავე, 1).
- სუქე (მოხ.) სვე, მკის დროს ერთ ჯერზე გატანილი ზოლი, სვრელი. ნ. სრიელი, სრელი² (დიალექტ., 563).
- სუქელი (მოხ., გუდამაყრ.) ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე, შრადი, სველი (დიალექტ., 563); რძიდან ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე (ა. ბექ., 223).
- სუთ-ი¹ (იმერ., გურ., ლენჩ.) ღობის დასაზელი ღამაზად გათლილი მოყლე ჯობი. ნ. ჩოვანი (ი. ჭყონ.; ს. ელ. დიალექტ., 679).
- სუთ-ი² (ზ. იმერ.) სველი ქსოვილის დასაჯანდრავი ფიცარი, რომელიც წინათ უთოს მაგივრობას სწევდა (ბ. წერეთ.).
- სუთლი-ი (აქარ.) რძეში მოხარშული ბრინჯი (დიალექტ., 660). თურქ. sütlü.
- სუთლი-ი (მოხ.) სვილი, ქვავი (დიალექტ., 562).
- სუჯა¹ (ზ. იმერ.) ხის სვეტებზე, სვეტი-სა და თაროების თავებზე ან ხის აუჯზე გამოხარატებული წიბოები (ბ. წერეთ.); ოთხკუთხად გათლილი ხის წიბოები (პ. ჯაჯან., IX, 262).
- სუჯა-ი² (ქართლ.) გულშესული მწვანე ღობით (თ. სალარ.).
- სულ-ი (გურ.) სუნი (ა. ღლ.).
- სულად-ი (ქართლ., ფშ., თუშ.) მარცვლეული (ე. ბაბუნ., 271; თ. უთურგ.); საზრდო (საბა); საზრდო, ანუ საგზალი, ნუზლი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- სულგაპარულ-ი (მთიულ.) მსუნავი (ლ. კაიშ.).
- სულგუნ-ი, სურგუნ-ი (იმერ.) მოხარშული და გადაზელილი ყველი (ვ. ბერ.; ქეგლ.).
- სულე! (მესხ.) შორისდ. მოწოდება-გაჩუქებისა, სუ! აკვანში მტირალ ბავშვს

- ჩასახებენ: „სულე, დააჰინე!“ (ი. მისურ.; ქველ).
- სულეთი** (ფშ., ხევსურ., თუშ., მოხ.) საიჭიო, სულების სამყოფი (ვაჟა, 1, ა. შან.; ი. ჭყონ.; ი. ბუქურ., 136; თ. უთურგ.; ო. ქაჯ.; ქველ).
- სულთი** (ლენხ.) ღომის საზელი ჯოხი. ნ. სუთი¹, ჩოგანი (მ. ჩიქ.).
- სულთა** (ლენხ.) მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე (მ. ჩიქ.).
- სულთაყრება** (მთიულ.) მიცვალებულის მოხსენება დიდმარხვის მესამე კვირას (ს. მავალ.).
- სულთაობა** (ქართლ.) მიცვალებულის სულის მოხსენების დღე; მოდიოდა 14 სექტემბერს ძვ. სტილით. ნ. სულთა (გ. შატბერ., 95).
- სულთაჭათი** (ქიზიყ.) სულის აჭეთი, სულის გარდა ყველაფერი, რაც მოვბოვება. „ჩემი სულთაჭათი იმათ წაიღება“ (ს. მენთეშ.).
- სულთარევა** (თუშ.) საეკლესიო დღესასწაული იყო, გარდაცვლილთა მოსაგონარი დღე (მ. ხუბ.).
- სულთობა** (იმერ.) აღების დღეები— ხსნილ-ს უკანასკნელი კვირა (მ. ალავე, 3).
- სულის ახსნა**¹ (გურ.) მიცვალებულის გარდაცვალებისა და დაკრძაოვიდან რამდენიმე დღის გასვლის შიშოვ (ზოგჯერ ორმოცი დღის გასვლის შემდეგ) ხორცის ჭამა (ა. ღლ., გურ.: ს. ჟღ.; ა. წულ., ეთნოგრ. გურია, 1971, 198).
- სულის ახსნა**² (ქიზიყ.) მარხვაში გარდაცვლილი და მარხვაშივე დასაფლავებული ადამიანისათვის ხსნილში (რამდენიმე თვის შემდეგ) გამართული ქელები. ცხვარს უკლავდნენ უემველად; ცხვრის სულია მიცვალებულის სულის ასახსნელად განკითვნილო, შეიძლებოდა ძროხაც დაეკლათ (ს. მენთეშ., დამ.).
- სულის ცანკვლა, ცანკვლა** (ქიზიყ.) სულის წასვლა ნდომისაგან (ს. მენთეშ.).
- სულკათანი** (გურ., ფშ.) იგივეა, რაც სულძალიანი, სალანძღავი სიტყვაა (ა. ღლ.); სალანძღავი სიტყვაა: ნიშნავს სულში კატა ჩააკვდესო (ი. ქეშკი.).
- სულმაუთი** (ქართლ.) სულსწრაფი (მ. მესხ.).
- სულმოწინებულ-ი** (ზ. იმერ.) სულსწრაფი, მოუთმენელი (ბ. წერეთ.).
- სულპურ** (ინგილ.) აღაბი, ორმოცის წირვა (მ. ჯან.).
- სულუფა** (ქიზიყ.) ბურჩხა, მცენარეა (ა. მავ.).
- სულუქად** (თუშ.) ადვილად, იოლად (მ. ხუბ.).
- სულუხსარი** (გურ.) ხარბი, სულმოკლე, მოუთმენელი (გ. შარაშ.).
- სულღუმი** (ფშ.) ერთგვარი ზღაპრული ფრინველია (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- სულწუხი** (ხევსურ.) სადღე ცხენი, გიჟი, ჩქარი (ა. ჭინჭარ., 243).
- სულხავი** (ლენხ.) გაუმძღარი, ხარბი, ღორმუცელი (მ. ჩიქ.).
- სუმახ** (ინგილ.) თუთუბო, მცენარეა (ა. მავ.). არაბ.-აზერბ. сумах.
- სუმფე** (ლენხ.) მოშვებული, ფუმფი. „ღვედი ისე მოგიჭერია, წელვაწყვეტილივით ჩანხარ. ცოტა მეისუ მფე, შე კაცო!“ (მ. ალავე, 1).
- სუნავი** (გურ.) მსუნავი. ნ. სულუხსარი (ა. ღლ.).
- სუნავი** (ინგილ.) მსუნავი (მ. ჯან.).
- სუნავლი**¹ (გურ.) ხარაზის იარაღი, ლანჩის გასაგლუვებელი მრგვალი ჯოხი (გ. შარაშ.).
- სუნავლი**² (ქართლ.) წუწკი, მსუნავი (მ. მესხ.).
- სუნავლის გაკრა** (ზ. იმერ.) ხმის გაკმენდა. „გაკრა სუნავალი“ (ბ. წერეთ.).
- სუნდო, სუნდური** (მესხ.) საოჯახო ფურნის კარს ზევით დატოვებული სასულე, საპაერო ხერელი („კომუნისტი“, № 294, 1967).
- სუნდური** (ქართლ., მესხ.) ღობე-ყორე-

- ში დატოვებული სარწყალი წყლის ვასავალი (კირიონი); ფურნის სასულე, ხერელი. ნ. სუნდო („კომუნისტი“, № 294, 1967).
- სუნელი-¹** (გურ., იმერ.) ულუმბო, მცენარეა (ა. მაყ.).
- სუნელი-²** (გურ.) სულ-ნელი, კერძის საკმაში, სანელებელი ბოსტნეული (ა. ლ.).
- სუნელი-³** (რაქ.) სულელი (შ. ძოდ., 214).
- სუნე** (ფერეიდნ.) სულყველა (ა. ჩიქ.).
- სუნსული** (ფშ., ლეჩხ.) ყნოსეა-ყნოსვით სიარული (ვაჟა-ფშ. მ. ც. ლექსიკ.), ცუნცული (მ. ჩიქ.; ქველ); ნადირის მიერ დროგამოშვებით შეჩერება სუნის ასაღებად (ლ. ლონ.).
- სუნციცი** (რაქ.) კამაში სულწასული, სულხავი (ვ. ბერ.).
- სურაია** (ქიზიყ.) მოაჯირის რიკულები. ჩარსში გამოყვანილი (ს. მენთეშ.; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- სურანიტრა** (ქიზიყ.) წყლის ჭურჭელია თიხისა, კოკასა ჰგავს (ს. მენთეშ.).
- სურბელა** (ოკრიბ.) მოთმინება. „სურბელა წოუვიდა“ (მ. ალაგ.).
- სურბუტა** (ლეჩხ.) სუნციინცი (ნ.), ჰამაში სულწასული (მ. ალაგ., 1).
- სურგუნი** (იმერ.). ნ. სულგუნი.
- სურიელი-¹** (ფშ.) გველი. „სხვას ყველას გაეძლებოდა, სურიელს ექნა ძალია“ (ი. ქეშიკ.).
- სურიელი-²** (ლეჩხ.). ნ. სრიელი.
- სურიობალახი** (მთიულ.). ნ. საფეკვენლა.
- სურივანდი**, **სურივანდა** (ზ. იმერ., აჭარ.) გველის სურო, მცენარეა (ა. მაყ.).
- სუროჯი** (ქვ. იმერ.) ოფი, მცენარეა. ნ. სკვილენჯი (ა. მაყ.).
- სურიწვილია** (ლეჩხ., ოკრიბ.) გველის სურო, მცენარეა (ა. მაყ.).
- სურხალი** (ქსნის ხეობ.). ნ. სრე.
- სურხვანა** (იმერ.) გაწმენდა, გახვეწა, გაბზიანება; შექმას, ერთიანად ჩაყლაპვასაც ნიშნავს. „ისე ჩასურხვნეს, ფინჩხა არ დარჩენილა!“ (ვ. ბერ.).
- ს. ალ. ლლონტი**, სიტყვის კონა.
- სურსულ-ი** (ლეჩხ.) კანის ავადმყოფობაა (მ. ჩიქ.).
- სურსულა/ე,-ა** (გურ., იმერ.) კანის ერთგვარი ავადმყოფობაა. ნ. სურსული (ს. ჟლ.; ვ. ბერ.).
- სურსულმალ-ი** (ლეჩხ.) ლოგინში ტრიალი (მ. ჩიქ.).
- სურსუტი-ი** (იმერ.) მოთმენელი, სულწასული. ნ. სურბუტა (ვლ. ბზვან., „ივერია“, № 172, 1900; ი. ჭყონ.).
- სურული-ი** (ლეჩხ.) სურვილი (მ. ალაგ., 3).
- სურუნჯი-ი** (აჭარ.) წიწკა, ბოსტნეულის ჯიშია (ა. მაყ.).
- სურუნჯა-ა** (ზ. აჭარ.) ლობიოს ჯიშია ერთგვარი (შ. ნიქარ.).
- სურუბი** (ხეცსურ.) ხის დასაბობი იარაღი (ა. ჭინჭარ., 278).
- სუს** (ინგილ.) დათვის კანაფი, მცენარეა (ა. მაყ.).
- სუსი** (ქიზიყ.) მოდგმა, ჯიში, გვარი (?). „იმათი სუსი უნდა გავაჭრო, იმათი სუსი რო აქ არ იყო“ (ს. მენთეშ.).
- სუსამბარი** (ქიზიყ., იმერ.) სურნელოვანი მცენარეა, გრძელი, მობრტყო ფოთოლი აქვს, რეჰანსა ჰგავს (ს. მენთეშ.; ი. ქავთ.). თურქ.-არაბ. süs + amber.
- სუსამბარა** (ქიზიყ.). ნ. სუსამბარი.
- სუსმატ** (ინგილ.) ძლიერ სულწასული, სულწრაფი, ვერ მომთმენი საკმლისა (მ. ჯან.).
- სუსური-ი** (იმერ.) იარაღის მოღერება ხუმრობით ან შესაშინებლად. „ნუ შევბი, არ ვარგა დანის სუსური“ (ი. ქავთ.).
- სუტვა** (ქართ.) სრუტვა (შ. ძოდ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- სუფრა** (გურ., რაქ., ჯავახ.) გრძელი, ვიწრო და დაბალი ხის მაგიდა. „ერთი სუფრა ძლიერ დამორებული იყო მეორედან“ (ე. ნინ., II, თ. კიკე; ა. ლლ.); დაბალი, მოგრძო (ზოგჯერ მრგვალი) მაგიდა, ოთხფეხი ფიცარი:

- ოთხფეხი სუფრა (დიალექტ., 688);
 ოთხკუთხი, მრგვალი დაბალი მაგიდა
 (დიალექტ., 649). არაბ. *suflra*.
- სუფრის დაკავება** (ზ. აპარ.) დედოფ-
 ლის მყარი სასიძოს ოჯახში ჰამა-
 სმის შემდეგ სუფრას მინამ არ გაა-
 ტანს, არ აალაგებინებს მასპინძელს,
 სანამ გათამამებული მყარი თავის
 ახირებულ მოთხოვნას არ დაიკმაყო-
 ფილებს. ხშირად სუფრის დაკავე-
 ბისას მოითხოვენ ძნელად საშოვნელ
 საქმელს, ხილსა და სხვ. (შ. ნიყარ.).
- სუქი-სუქი!** (იმერ.) შორისდ. შეძახილი
 დაკლული წიწილის გაპუტვისას.
 „ეკვირინემ დაავლო ხელი წიწილს, თა-
 ვით ჩარგო გაცხელებულ წყალში,
 მიატრიალ-მოატრიალა შიგ და თან
 დასძახოდა: სუქი, სუქი! — ვითომდა
 გამხდარი წიწილი ამით მსუქნად ვა-
 დაიქცეოდა“ (მ. ალავე, დ. კლდ.
 ლექსიკ.).
- სუყელა** (გუდამაყრ.) სუ(ლ) ყველა, სუ-
 ყველაფერი (დიალექტ., 574).
- სუყელყან** (გუდამაყრ.) სუყველყან,
 ყველყან (დიალექტ., 574).
- სუყველაყა** (მთიულ.) სულყველა. ნ. ყვე-
 ლაყა (ლ. კაიშ.).
- სუჩიანი**-ი (მესხ.) ბრალიანი, დამნაშავე,
 ცოდვიანი (დიალექტ., 652). თურქ.
 suç 'დანაშაული'.
- სუც** (თუშ.) სულაც (დიალექტ., 584);
 სუცაწ ნამდვილად, სრულიად (პ.
 ხუბ.).
- სუხსურ**-ი (ქართლ.) დიდი იხვი (კირი-
 ონი).
- სფორა** (რაჭ.) მარხილის ნაწილია (შ.
 ძიძ., 214).
- სწორფრებ**-ი (ხევსურ.) ტოლები, ერთი
 ასაკის ქალები და ვალები; სწორფე-
 რ-ი ტოლი. ნ. წაწალი (დიალექტ.,
 557).
- სხავ**—(ა)-**სხია** (ხევსურ.) ყრია: დიდ-
 დიდი ქვა რო სხავ (დიალექტ., 557).
- სხამა** (ხევსურ., თუშ.) შხამა, მცენარეა
 (ა. მაყ.).
- სხალანა** (რაჭ.) მსხლით მოშენებული
 ადგილი, მსხალნარი (ვ. ბერ.).
- სხალტკბილა** (ქსნის ხეობ.) მსხლის ჯი-
 შია ერთგვარი, ტკბილი გემოს ნაყოფი
 აქვს (ვ. სომხიშვი.).
- სხალყვითელა** (გურ.) მსხლის გვარია (ქ-
 გვარ., 950).
- სხაპ**-ი (გურ.) ფრინველების საჭერი
 ძუის მახე (ე. ნინ., II, თ. კიკვი.); მა-
 ხე, მსხელით მკედის ძაფით გამართუ-
 ლი (გ. შარაშ.); ჩიტის მახე (ს. ელ.);
 მახე, ხაფანგი, „ტურები გადამეკიდენ,
 ასი სხაპი მომიწყვესო!“ (ა. ლ.,
 გურ.). გასხაპული-ი გადატ. მახე-
 ში გაბმული, დაპატიმრებული (ი.
 მეგრ., 187).
- სხაპ**-ი² (ლეჩხ.) დაკლული საქონლის
 კისრის ნაწილი (მ. ჩიქ.).
- სხენ**-ი (რაჭ., ლეჩხ.) მშობიარობის
 შემდეგ პირველად გამოწველილი
 უვარგისი რძე, ხსენი (ვ. ბერ.): წყლი-
 ანი რძე, ხბოს მოგებად და შემდეგ
 ორი კვირის განმავლობაში (მ. ჩიქ.;
 დიალექტ., 679).
- სხეპვა** (აპარ.) სხლევა, გასხვლა (დია-
 ლექტ., 660).
- სხეპლ**-ი (მესხ.) წეპლა, მოქნილი ჯოხი
 საცემრად. „ერთი სხეპლი კილო
 გადაუშვილა“ (ი. მისიურ.).
- სხვანებურ**-ი (რაჭ.) უცხოური, სხვა
 მხარისა (შ. ძიძ., 214).
- სხვათაშვილობა** (ქიზიყ.) მოჯამაგირო-
 ბა. ნ. სხვიშვილი (ს. მენთეშ.).
- სხვენი**-ი (გურ.) ადგილი სახლის ჰერსა
 და სახურავს შორის. ნ. ცხვენი (ე. ნინ.,
 I, II, თ. კიკვი.).
- სხვიმის, სხუმის** (იმერ.) სხვა დროს (ვ.
 ბერ.; ქეგლ).
- სხვიშვილ**-ი, **სხვისშვილ**-ი (ფშ.) მოჯამა-
 გირე. „ძალია ტუშურის შვილი, არ
 დაიყენებს სხვისშვილსა“ (ი. ქე-
 შიკ.); მოჯამაგირე, დაქირავებული მუ-
 შაკი. „დედაო, დედა-შვილობამ, მეც
 ბევრი ვნახე ჰირია, ოცს წელს სრულ

ს ხ ე შ ვ ი ლ ა დ ა ვ არ, სამშობლო გამიწირია“ (ვაჟა, II, 1961, 74).

სხველრტი-წვიმა (კახ.) წვრილი წვიმა, თქორა (ა. მარტ., გ. იმნ.).

სხიერობა (ზ. იმერ.) რელიგიური დღესასწაული იყო იენისში (ბ. წერეთ.).

სხილთობანი (გურ.) ვაზის ჯიშია ერთგვარი, შავი ყურძენი იცის (ა. ლ.).

სხინჯილ-ი (ლენჩ.) გადაქარბებული და სწრაფი ლაპარაკი ქალიშვილისა; ს ხ ი ნ კ ი ლ ო ბ ს თამამად და სწრაფად ლაპარაკობს (მ. ალავ., 2).

სხიანი-ი (ლენჩ.) სხაპა-სხუპით ლაპარაკი (მ. ალავ., 2).

სხლიკვინა (იმერ.) ვასაკა—ხის ბაყაყი (მ. ალავ., 3).

სხლიშვა (ლენჩ.) ვასახმობად ჯობებით ტყავის გაჭიმვა (მ. ჩიქ.).

სხლირტი-ი (ქართლ.) სხირტლი, ფიჩხის კიწაწები (მ. მესხ.).

სხმარტალ-ი (იმერ.) ძნელმდგომარეობაში მყოფი ცოცხალი არსების ცდა განთავისუფლდეს ან მდგომარეობა

გაიუმჯობესოს; მოუსვენარი მოძრაობა, სავსავი (ი. ქავთ.).

სხმარტლი-ი (გურ., აჭარ., ლენჩ.) ზღმარტლი (ა. მაყ.).

სხო (გულამაყრ.) სხვა (დიალექტ., 574).

სხომინდებურათ (გურ.) წინანდებურად (ე. ნინ., I. თ. კიკვი.; ს. ულ.).

სხომის (გურ.) სხვა დროს. ნ. სხვიმის.

სხოყურა (ინგილ.) სხვაგვარი (შ. ძიძ., ქრესტ.).

სხრაანვა (ფშ.) კრთომა, შეტოყება (ი. ქეშიყ.).

სხრიალ-ი (იმერ.) ბავშვთა ხმაურობა—ტირილი (ვ. ბერ.).

სხრუშელ-ი (ქიზიყ.) ღუღუღი, პატარა მუწუქივით (ს. მენთეშ.).

სხუტრტა (მოხ.) ტოტების გაშორება, ვასხება (ო. ქაჯ.).

სხუმის (გურ., რაჭ., ლენჩ.) ნ. სხვიმის, სხომის.

სხურკლ-ი (ოკრიბ.) კორძი ხის ტანზე (მ. ალავ.).

ტ

ტაბაკ-ი (ქართლ., ქიზიყ., ფშ., ლენჩ.) პატარა თაბახი, ხისაგან გამოთლილი სინისებრი ჭურჭელი, რომელსაც ხორბლის სარკვევად (საწმენდად) ხმარობენ (დიალექტ., 642); მთლიანი ხისაგან ჩარხში გამოჭრილი მრგვალი ჭურჭელია სინსავით, ზედ პურსა და ხმელ საქმელს აწყობენ (ს. მენთეშ.); საფქვავის დასარკვევი ხის ჭურჭელი, გობის მსგავსი, ოღონდ უფრო პირვადშილი და ნაკლებ ღრმა (დიალექტ., 594); დაბალი სუფრა, გრძელი ფიციარი ოთხ ფეხზე საქმლის დასადებად და მოსასხდომად (დიალექტ., 679); შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

ტაბაკა (მთიულ.) ჯიქა, მცენარეა (ა. მაყ.).

ტაბაკა ლედვი-ი (ქიზიყ.) ლედვის ჯიშია, მაკრატელა ფოთოლი აქვს, შავი ბრტყელი ნაყოფი იცის (ს. მენთეშ.).

ტაბაკაშხალ-ი (მოხ.) ქუთქუთა, მცენარეა (ა. მაყ.).

ტაბარუნ-ი (ხევსურ.). ნ. ტორზო.

ტაბარუჟ-ი¹ (ხევსურ.). ნ. ტორზო.

ტაბარუჟ-ი² (ქიზიყ.) უქონელი, ღარიბი, ლატაკი. „შინ რომ კატა არა ჰყავს და გარეთ თავი“ (ს. მენთეშ.); გლეხი ახალმოსული (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ტაბარუჟ-ი³ (ქართლ., მთიულ.) მსუბუქი ხასიათის ადამიანი, — ტუტუცი (ქეგლ); ჩერჩეტი; ბევრი ლაპარაკის მოყვარული; კაცი, რომელსაც კარგად აცვია და იპრანჭება (ლ. კაიშ.).

- ტაბარუკა** (თუმ.). ნ. ტაბარუკი².
ტაბარჯუკი-ი (გურ.). ნ. ტაბარჯუხი.
ტაბარჯუხი-ი (გურ.) ტყავის ჩანთა, ზურგზე მოსაკიდებელი, მონადირენი ხმარობენ (გ. შარაშ.). თურქ. dağarcık.
- ტაბასკვერა**¹, **ტაბასკვერა** (ლეჩხ., ოკრიბ.) დაბალი, ჩაფსკენილი ტანის კაცი (მ. ჩიქ.); დაგვარჯული (ნ.), დაბალი (ქოლევე, მ. ოყრეშიძე).
- ტაბასკვერა**² (რაჭ.) ფუნისა და ნაცრისაგან გაკეთებული კეცი აბრეშუმის მურის (თოთო ჭიის) დასაჯენად (ვ. ბერ.).
- ტაბარნა** (ჯავახ.) ფეხზე ან ბორბალზე მიკრული ტალახი („ცისკარი“, № 4, 1971, 114).
- ტაბაქა-ა** (აქარ.) მსხლის ჭიშია ერთგვარი (შ. ნიჟარ.).
- ტაბაყურო** (იმერ.) დაჯობებული ადგილი საერთოდ („კომუნისტი“, № 294, 1967).
- ტაბაცუნე**-ი (გურ.) მოხარშვა, თევზის მოხარშვაზე იტყვიან; მო ა ტ ა ბ ა ც უ ნ ა მოხარშა (ა. ლ.).
- ტაბახი**-ი (გურ.) ცხენის ავადმყოფობა, სასაში უჩნდება (გ. შარაშ.).
- ტაბელა**-ი (გურ., აქარ.) 1. ბალახია ერთგვარი (ვ. გვარ., 950; ა. ლ.); 2. მოკლე და მსხვილი (კოტიტა) თითი; 3. ტ ა ბ ე ლ ა ა ბ ა ღ ა ნ ა მსუქანი, ჯანღონით სავსე, ბუთხუზა ბავშვი (შ. ნიჟარ.).
- ტაბლა**¹ (გურ.) ღომის ფქვილისაგან გაკეთებული ნამცხვარი; ნამცხვარი (ა. ლ.; პ. ჯაჭან.).
- ტაბლა**² (ხევსურ., მოხ.) გაწყობილი სუფრა (ა. შან.); სუფრა (ა. ჭინჭარ., 212); სუფრა, მაგიდა პურის საქმელად (დიალექტ., 564; 557).
- ტაბლა-ა**³ (ინგილ., ქიზიყ., მთიულ.) მკვდრის კერძი (მ. ჯან.); მიცვალებულის საწესო (ს. მენთეშ.); მიცვალებულისათვის გამომცხვარი დიდი ქადა (ლ. კაიშ.).
- ტაბლა**⁴ (ქიზიყ.) 1. ჯარას ნაწილი, რა-
- ზედაც ჯარას ფეხები დარტყული და ჯარა დგას; 2. მეჭურჭლის ჩარხის ფეხის საცემი ქვედა ფიცარი (ს. მენთეშ., დამ.); 3. საჩეჩლის ნაწილია (დიალექტ., 609). შღრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- ტაბლობა-ა** (ინგილ., ფშ.) ახალი მკვდრის (ან ძველთა) მოსახსენებელი აღაბი (მ. ჯან.); საწესჩვეულებო სუფრის გაშლა (ვაჟა-ფშ., მც. ლექსიკ.).
- ტაბო**¹ (გურ.) ღომის საცხებლის (ჩამურის) ნაწილი (პ. ჯაჭან.).
- ტაბო**² (ქ. აქარ.) ხილის საწურავი მოწყობილობის ნაწილი, მომრგვალებული ფიცარი (შ. ნიჟარ.).
- ტაბოც**-ი (ქიზიყ.) 1. ფიცრის ურო, სახურავის ჩალის თავებს სცემენ, რომ დაასწორსწორონ; 2. სარეცხის საზეპელი, ხის ურო ან ხვედა, ან ბრტყელი ქვა, რომელსაც სარეცხს სცემენ, რომ ქუჭყვი გამოადინონ; 3. გადატ. ტ ა ბ ო ც ი ს ც ე მ ა ადამიანი რომ სხვას სიტყვებით აშინებს, ემუქრება. „რა იყო, რა ტ ა ბ ო ც ს ი ც ე მ ი ნ ე ბ ი“ (ს. მენთეშ.).
- ტაბუც**-ი (გურ.) ფეხშიშველი სიარული; ტ ა ბ უ ც ა -ი ფეხშიშველი (ა. ლ.).
- ტაბუცუნე**-ი (გურ.) მთლიანად მოხარშული თევზი მარილწყალში. ნ. ტაბაცუნე (ი. ჭყონ.).
- ტაბუხ**-ი (მოხ., გურ.) თემოს ძვალი (ა. ყაბზ., IV, შ. ძიძ.); მუხლის ძვალი (ა. ლ.); მუჭლის თავი გლენურად (საბა); თემოს თავის ძვალი, მოდიდო და მრგვალი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- ტაბუხის თავი**-ი (იმერ.) გემრიელი საქმელი საბატიო სტუმრისათვის; ირონ. გადატ. „ესტუმრე, ერთბაშად ტ ა ბ უ ხ ი ს თ ა ვ ს მოგიტანს!“ (ი. ქავთ.).
- ტაბანი**¹ (ფშ., თუმ., კახ.) ხის ვედრო, რომელშიაც ფურს წველიან (ვაჟა, IV, ა. შან.); ხის სამარილე. ნ. საკიდელი (თ. უთურგ.).
- ტაგანი**-ი² **ტაგანა** (გურ., აქარ.) ტეგანი, მცენარეა (ა. მაყ.).



ტავანა¹ (მოხ.) წყლის საზიდი კასრი (ა. ყაზბ., I, II, შ. ძიძ.); ხის კასრი, რომლის ერთი თავი ღიაა და იხმარება წყლის მოსატანად (ო. ქაჯ.).

ტავანა² (აჭარ.). ნ. ტავანი².

ტავარ-ი (ქართლ.) თალარი, დიდი ბრტყელძირიანი ქვევრი. ყურძნის დაწურვისას ტკბილს ჯერ მასში ასხამენ და შემდეგ გადააქვთ ქვევრებში (დიალექტ., 642); ტკბილის სადგომი (საბა); ახლად დაწურვილის ტკბილის ჩასადინარი აუზი სსწნახელს ქვეშ (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ტავინძურა (აჭარ.) ვაზის ჯიშია ერთგვარი, წითელი, მაღლარი (შ. ნიყარ.).

ტავრუც-ი (ხევსურ.) ჩუქურთმანი, დპრელებული სწორკუთხედის ფორმის მაღალი ყუთი, წვრილმანის შესახები (ს. მაკალ.; ა. ჭინჭარ., 296; ქებღ.).

ტავარჯული (ზ. აჭარ.) ხალთა, ტყავის ჩანთა მხარზე გადასაკადი გუდასავით (შ. ნიყარ.). თურქ. dağarcık.

ტავშირა (ქიზიყ.) მანჯანიკის (ნ.) რკინის მოკაული ნაწილია, რომელშიც გადის აბრეშუმის ძაფი და ბორბალს ეხვევა. ნ. ტავშურა. (ს. მენთეშ.).

ტავშურა (ქიზიყ.). ნ. ტავშირა.

ტაია¹ (აჭარ.) ბიძა, დედის ძმა; ტაიაშვილ-ი ბიძაშვილი დედის მხრით (ი. მეგრ.). თურქ. dayı.

ტაია² (ლენხ.) პანდური (მ. ალავ., 1).

ტაკვეც-ი (ზ. აჭარ.) ოდნავ მოღუნული მსხვილთავა კეტი, რომელსაც სიმინდის საფშენელად იყენებენ (შ. ნიყარ.).

ტაკოზ-ი (ზ. აჭარ.) ხეები, რაზედაც სახურავის ბოძებია დაყრდნობილი (შ. ნიყარ.). თურქ. takoz.

ტაკოული (ლენხ.) ტაკება, ქიდაობა (მ. ჩიქ.).

ტალ-ი¹ (თუშ., ხევსურ., მოხ.) კაფი (თ. უთურგ.; ა. ჭინჭარ., 275; დიალექტ., 564); კაფი, საღრტილი (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ტალ-ი² (ლენხ., იმერ.) ლაქა. „სახეზე

ტალები გასჩენია“ (მ. ალავ., 2); მზის დაწვისაგან გადაეცვრის სახეზე, (ვ. ბერ.). შდრ.: ქებღ.

ტალავარ-ი (ფშ., თუშ., ხევსურ.) ტანი-სამოსი (ვაჟა-ფშაველ. მც. ლექსიკ.; ს. მაკალ.; ი. ბუჭუჩ., 136).

ტალავერ-ი (ქართლ.). ნ. ტალავარი.

ტალალუკა (ქიზიყ.) მოსულელო, სულულურად რომ ხან ერთს იტყვის და ხან მეორეს — ისეთი ადამიანი (ს. მენთეშა დამ.).

ტალამაშ-ი (ფშ.) ქიმუნჯი (ნ.), მუჯლუგუნის ჩაკერა (ი. ქეშვიკ.).

ტალანჩა (რაჭ.) უსაქმოდ მოხეტიალე (ვ. ბერ.).

ტალახა-ა (ინგილ.) ელენთა (მ. ჯან.).

ტალიკ-ი (ზ. აჭარ.) თევში (შ. ნიყარ.).

ტალიკა-ა (მოხ.) ჯოხი თამაშობაში: ბურთი და ტალიკა (ო. ქაჯ.).

ტალიკანა (ხევსურ.) მსუბუქად ჩაემულიან შიშველი კაცი. „გათენებს ტალიკანაი, დიდო ღამეო სთვლისაო“ (ა. ჭინჭარ., 261).

ტალიკ-ტალიკ-ი ბიჭები, **ტალიკ-ი ბიჭები**-ი (ქართლ., კახ., ქიზიყ.) ახალგაზრდა, ჯანმრთელი, მოსული, ყოჩაღი და მარჯვე ბიჭები (ი. ჭყონ.; ს. მენთეშ.; ქებღ.).

ტალმა (მოხ.) მოსასხამი (ა. ყაზბ., II, შ. ძიძ.; ქებღ.).

ტამალი (ქიზიყ.) დამალი, კბილებთან არსებული სასის ნაწილი, ჩამოზრდილი ალვეოლი. ეს ნაწილი ეზრდება ცხენს და ჭამას უშლის. ამიტომ აჭრიან მას გაზაფხულობით (ს. მენთეშ.). თურქ. damak.

ტამსმოზ (ინგილ.) ტანისამოსი, ტანსაცმელი (დიალექტ., 622).

ტამსოზ (ინგილ.). ნ. ტამსმოზ.

ტამსმუნ (ინგილ.). ნ. ტამსმოზ.

ტამფაობა (ხევსურ.) თამაშობა ერთგვარი (ს. მაკალ.).

ტანი-ი (ქართლ.) მიწის დიდი ნაკვეთი (თა. სალარ., ალგ., 89).

- ტანაშ-ა¹** (ინგილ., ზ. აქარ., ქიზიყ.) ხზო, ხზო ერთ წლამდე (მ. ჯან.; დილექტ., 622; შ. ნიყარ.); ხზო (საფურეც და სახარეც) წლიდან ორ წლამდე (ს. მენთეშ.); წლის დეკეული (დ. ჩუბ.) თურქ. dana.
- ტანაშ-ა²** (მოხ.) ჯიხვის კოჭი (ო. ქაჯ.).
- ტანავირ-ი**, **ტანაჯორ-ი** (ქიზიყ.) გამოზამთრებული, ერთ ზამთარ-გამოვლილი მუტრუკი (ს. მენთეშ.).
- ტანამანა** (ქიზიყ.) წვრილფეხა რქოსანი საქონელი: ხზორები და მისთ. (ს. მენთეშ.).
- ტანაშაშ-ი** (თუშ.) სხეულის რომელიმე ნაწილის გაფხაჭნისას გადამძვრალი ტყავი (თ. უთურგ.).
- ტანაჯორ-ი** (ქიზიყ.). ნ. ტანავირი.
- ტანაჯორა-ი** (გურ.) წყლის მწვანე ფერის ბუზია (ა. ლ.).
- ტანდაშეშრილ-ი** (ფშ.) ტანდამსკდარი, ტანდაშაშრული (ვაეა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- ტანთ-ი** (მესხ., ჯავახ.) ტანსაცმელი, ტანისამოსი (ი. მაისურ.; დილექტ., 649; 652).
- ტანისნება** (იმერ.) სიჯანმრთელე, ჯანსაღობა. „თუ ღმერთმა ტანისნება მისცა, კაი ბიჭი უნდა გამოვიდეს“ (ვ. ბერ.).
- ტანკეტ** (ინგილ.) მცირე კალათა (მ. ჯან.).
- ტანკორტი** (მოხ.) ტანსაცმელი. „რაკარგი ტანკორტით გამაიარაო“ (ო. ქაჯ.).
- ტანტალ-ი**, **გატანტალება** (იმერ.) ძლიერ გასუფთავება, გაპირალება, გაკირალება, გასანსალება (ვ. ბერ.).
- ტანტალიკონ-ი** (ინგილ.) შიშველნი. „ლექები იქ ტანტალიკონი (შიშველნი) არიან, რადგან შიშველად იმარბებიან“ (მ. ჯან., 167; ა. შან., 352).
- ტანტრა-ჩილიკ-ი** (მესხ.) თამაშობაა, ჩილიკა ჯოხი, ჩილიკაობა (ი. მაისურ.).
- ტანტუალ-ი** (ლენხ.) ნაკლულ ჭურჭელში წყლის მოძრაობა, ჯღანჯღალი (მ. ჩიქ.).
- ტანფეხ-ი** (გურ.) ტან-ფეხსაცმელი (ა. ლ.; ქეგლ).
- ტანწყალ-ი** (გურ.) მდინარის მთავარი ნაწილი, შენაკადების გარეშე (გ. შარაშ.).
- ტანჯ-ი** (გურ., ფშ.) ტანჯვა, წვალება (ა. ლ.; ვეა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- ტაო** (ქიზიყ., ქსნის ხეობ.) სიცივისაგან აშლილი ბალანი სახეზე (ს. მენთეშ.); ბალანი. „ტაო აიყარა, აიბურქა“ (ვ. სომხიშე.).
- ტაბტაპ-ი** (აქარ.) ტარტარი, ზედმეტი, უშინაარსო ლაპარაკი (შ. ნიყარ.).
- ტარ-ი** (ხევსურ., თუშ., გურ.) თითისტარი, მატყლის სართავი იარაღი, საგრეხელა (ა. ჭინჭარ., 254); თითისტარი (თ. უთურგ.); დიდი თითისტარი. ნ. ჩერიე (ა. ლ.).
- ტარაბო** (გურ.) თითისტარი. ნ. ტარი (გ. შარაშ.).
- ტარაბუა¹** (მესხ.) ძაფის ამოსახვევი ხის მოწყობილობაა. ნ. ტარი (ი. მაისურ.).
- ტარაბუა²** (გურ., ლენხ., ზ. იმერ.) თებრუს დასხმა; რეტი, რეტის დასხმა; ტარაბუა-ი დამეხსარეტი, თებრუ დამეხსა (გ. შარაშ.; ს. ულ.; ა. ლ.; მ. ჩიქ.; ბ. წერეთ.).
- ტარაბუა³** (ქიზიყ.) ჭახრაზე დაგებული მოძრავი საშულავე (ნ.), ძაფის ამოსახვევის დროს ტრიალებს. ნ. ტარაბო (ს. მენთეშ., დამ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- ტარაბუკა** (იმერ.) სოკოა ერთგვარი მსხვილღეროიანი (პ. ჯაჯან., X).
- ტარაბუკა-ა** (მოხ.) ქარაფშუტა, ტუტუცი (ო. ქაჯ.).
- ტარავალ-ი** (მოხ.) ტალავარი (ნ.) ტანისამოსი, ტანსაცმელი (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.; დილექტ., 564).
- ტარაკვიც-ი** (გურ.) დათუას (ნ.) გასაღები (პ. ჯაჯან.).
- ტარაკუა-ი** (თუშ.) შიტეს (ნ.) გორგლად ამოსახვევი იარაღი (თ. უთურგ.).
- ტარაკუა** (ქართლ., ქიზიყ.) მეტიჩარა

- (კირიონი); მოსულელო, არამკითხე მოამბე, მეტიჩარა (ს. მენთეშ.; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ).
- ტარანიანა-ა** (თუშ.) უღარდელო (პ. ხუბ.)
- ტარაუცი** (ქართლ.) ნ. ტარაუჭა.
- ტარალ-ი** (ზ. იმერ., მესხ.) ქვის სათლე-ლი იარაღი (ბ. წერეთ.); ქვის სათლე-ლი ან წისქვილის ქვის მოსაკოდავი საგანგებო ჩაქუჩი (ი. მისურ.). თურქ. tarak.
- ტარალანა** (ქიზიყ.) თევზია, წვრილი ძვა-ლი აქვს (ს. მენთეშ.; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ).
- ტარახუტ, ტორახუტ** (ინგილ.) კამა, მცე-ნარეა (ა. მაყ.).
- ტარბ-ი** (ქიზიყ.) ფრინველია, შროშნის სიმსხო, მაგრამ მერცხალივით ჭრელი; კვირკვილი! (ნ.) (ს. მენთეშ.; საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ი. ჭყონ.; ქეგლ).
- ტარბაქ** (ინგილ.) აპოხტი მსხვილი ნაწ-ლავისა (მ. ჯან.).
- ტარდ-ი** (ჯავახ.) ძირს დაგებული მშრა-ლი ნაკელი, საიდანაც წივას ჭრიან, იღებენ (ი. მისურ.).
- ტარილ-ი** (რაჭ.) ხის თავი, რომელსაც მხერხავნი დაუხერხავად ტოვებენ (ვ. ბერ.).
- ტარკვირისთავ-ი** (ლენხ.) დიდი თითის-ტარი, რომელზედაც დართულ ძაფს დაძახავდნენ. ნ. ტარი (მ. ალავე., 2).
- ტარკოშა** (ხევსურ.) კოში! (ნ.) ოდნავ მოზრდილი ტარით (ა. ჭინჭარ., 217).
- ტარკოშაჟ-ი** (თუშ.) ტარიანი სასმისი ლუდისათვის, სამიდან ხუთი ლიტრა ჩადის (თ. უთურგ.; კ. ჭრელ., 260).
- ტარმოკლია** (ხევსურ.) კოში! (ნ.) რგლი-სა. „სანამეტნაოდ კვირიკას კოში დაუდგით რგლისაო“ (ა. ჭინჭარ., 217).
- ტაროცი-ი** (ფშ.) მზადყოფნა. „ის ტა-როცსვე არის, როგორც მშეირა ნადირი“ (ი. ქეშიკ.).
- ტაროშაჟ** (თუშ.) ტაროში, ხის ტოტის ნაჭერი (პ. ხუბ.).
- ტარტაბუცა** (კახ.) შტერი, ჩერჩეტი (ა. მარტ., გ. იმნ.).
- ტარტალ-ი** (გურ.) ტარტარი, შერქმულ-ლო განუწყვეტელი ლაპარაკი (ა. ლ.; ქეგლ).
- ტარტლ-ი** (ქიზიყ., ქსნის ხეობ., მთი-ულ.) ჭუჭყი, სიბინძურე, წვირე (ს. მენთეშ., დამ.); ჭუჭყიანი მატყლი (ვ. სომხიშვი.); ჭუჭყიანი ნაბარკლი მატყლი (ლ. კაიშ.).
- ტარულა** (ქიზიყ.) მოხეტიალე ადამიანი (ს. მენთეშ.).
- ტარულ-ი** (გურ., იმერ.) ტატყანი, და-ვა, ქაჭყანი, აყალმაყალი (ა. ლ.); ღარღალი, ყბედობა (ვ. ბერ.).
- ტარულალა** (ქართლ.) უშარგლო, უნიფ-ხვო. „ე ბალღი რა მთელი დღე ტარ-ულალა დარბის?!“ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ტასოყვავილა** (ქართლ., კახ.) ნ. კვირის-ტავა.
- ტატ-ი** (მთიულ.) ტატი, ბავშვის ნელო სიარული ვისმეს დახმარებით. ტ ა ტ ი-ა ო ბ ი თ ტ ა ა ტ ი თ (ლ. კაიშ.).
- ტატ-ი** (ფშ.) საკომლო გადასახადი (ი. ქეშიკ.).
- ტატა-ა** (ინგილ.) ცაცი (მ. ჯან.).
- ტატა-ა** (ინგილ.) დიდი ტორი (მ. ჯან.).
- ტატა-ი** (ზ. იმერ.). 1. ხის კოვზი; 2. მზლის საკეპი ნიჩბის ფორმისა (ბ. წე-რეთ.).
- ტატაბ-ი** (ოკრიბ.) რკინის პატარა ნიჩა-ბი — ლადარ-ნაცრის გასაშლელ-ასა-ღები, ასტამი (მ. ალავე.).
- ტატაბა/ე-ა** (იმერ.) პატარა ჩოგნისებუ-რი ჯოხი ღერძზე საპნის წასასმელად; ტატაბას ხმარობენ აგრეთვე მთიბავნი ცელის პირის მოსაწყობად (ვ. ბერ.).
- ტატან-ი** (ფშ.) ცის პირი, ტატნობი, ჰო-რიზონტი (ი. ჭყონ.; ი. ქეშიკ.); შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- ტატაწურა** (ქიზიყ.) ერთგვარი ხეა (ს. მენთეშ.).
- ტატკელა-ა** (ინგილ.) საქსოვის დასა-კიდებელი სამფეხა (მ. ჯან.).
- ტატლა/ე-ა** (იმერ.) კრიალოსანი (ვ. ბერ.).

- ტატკუნა (ზ. იმერ.) ფუნთუშა, მცენარეა (ა. მაც.).
- ტატრაყუნა (ქიზიყ.) წელს ქვევით შიმველი ადამიანი (ს. მენთეშ.).
- ტატულავ! (ზ. აქარ.) ბავშვისათვის სააღერსო მიმართვა (შ. ნიყარ.).
- ტატუნ-ი (იმერ., გურ.) ქაჭყანი, ჯაჭლანი, უსაბუთო ლაპარაკი. ნ. ტარღალი (ვ. ბერ.).
- ტატუნ-ი, მოტატუნება (იმერ.) ხელის ნაზად მოთათუნება, ცაცუნა (ვ. ბერ.).
- ტაფ-ი (მოხ., თუშ.) ჩაღრმავებული ადგილი (ო. ქაჯ.); ტაფობი (პ. ხუბ.).
- ტაფა¹ (გურ., ზ. იმერ.) ბუხრასძირა ქვა, რაზედაც ცეცხლს ანთებენ (ა. ლ.; ქეგლ).
- ტაფა² (ლეჩხ., იმერ.) ყურძნის საწნები მოწყობილობის ქვის საყრდენი ნაწილი, რომლის ღარიდან გადმოდის ტბილი (ქეგლ).
- ტაფა³ (ხევსურ.) ძველებური თოფის პირისწამლის ადგილი (ი. ჭყონ.).
- ტაფა⁴ (იმერ.) მარხილის ხელნების შემეგრთებელი ღარტყა კოფოს ქვეშით (ქეგლ).
- ტაფაობა (რაჭ.) ბავშვთა თამაშია, რიყტაფელობა, ჩილიკაობა (ვ. ბერ.).
- ტაფები (მთიულ.) ტაფობი, ვაკე ადგილები ტყეში (ლ. კაიშ.).
- ტაფელა (იმერ.) პატარა, წითელი ფერის თევზი (ვ. ბერ.).
- ტაფვა (ზ. იმერ.) თლა, წვეტება; წა-ტაფვა ჯოხისა წათლა, წაწვეტება, წაჩეკა (ნ.) ჯოხისა (ბ. წერეთ.).
- ტაფოულ-ი (ლეჩხ.) ტაფამწვარი (მ. ალაფ., 1).
- ტაფუნაშ-ი (თუშ.) ვაკე, ოდნავ ჩაღრმავებული ადგილი (ო. უთურგ.).
- ტაყიან-ი (მოხ.) კოჭლი ორივე თეძოთი (ო. ქაჯ.).
- ტაყტაყა (გურ.). ნ. ტახტახა.
- ტაშ-ი (თუშ.) მათრახის ბოლოზე დამაგრებული ტყავის წყვილი ნაჭერი (პ. ხუბ.).

- ტაშიმუშ-ი (ქიზიყ.) ტაში და მუშტი, ცალი ხელი გაშლილია და მეორე მომუქული (ს. მენთეშ.).
- ტაშირ-ი (ქიზიყ.) ღია, გაშლილი ადგილი (ს. მენთეშ.).
- ტაშკანა (ქართლ.) მეტიჩარა, უფრო ახალგაზრდა ქალზე იტყვიან (მ. მესხ.).
- ტაშაშ-ი (თუშ.) გამოსარჩენი, ხალტურა, უგულოდ გაყვება რაიმე საქმისა (პ. ხუბ.).
- ტახ-ი (კახ.) ძველი ხალხური თამაშობა-წარმოდგენა, ყველიერის კვირაში იმართებოდა (ა. მარტ., გ. იმნ.).
- ტახტა (მოხ., ფშ., გურ.) კეხის წინ და უკან ამოშვებული ნაწილი (ა. ყაზბ., II, შ. ძიძ.; დიალექტ., 594); უნაგირის წინა ნაწილი, საჯდომი (ს. ელ.).
- ტახტარ-ი (რაჭ.) ტახტა (ნ.), უნაგირის წინ და უკან შემადლებული ნაწილები. „წინა-უკანას ტახტარსა ვარდნი რათ არ გიყვიანო?“ (შ., ძიძ., 214).
- ტახტახა (გურ.) ქათმის კუჭა, მცენარეა (ა. მაც.).
- ტახუნ-ი (გურ., იმერ.) რტყმევა, რახუნ-ი; თავში ჩარტყმა ან თავის რამეზე მირტყმა: ჩატახუნება დარტყმა ისე, რომ ხმა გავიდეს. „საწყალი სულ კედელს უტახუნებდა თავს, შვილის სიკვდილს ისე გეგმწარება“ (ვ. ბერ.; ს. ელ.; ა. ლ.).
- ტაჯირა (თიან.) დაჯირა, მცენარეა (ა. მაც.).
- ტევანდი-ი (გურ., აქარ.) მტევანდილი, შავი ყურძნის ჯიშია ერთგვარი (ა. ლ.; დიალექტ., 660).
- ტევრ-ი (გურ., ლეჩხ.) ახლად აზრდილი ტყე, ბუჩქი, ბალახი; გატევრებული გავრანებული, გატყვეებული; გუუტევრდა ეზო გაუვერანდა, ტყედ გადაექვა ეზო (ა. ლ.); მრავალწლიანი, ხშირი ტყე (მ. ალაფ., ზეპირსიტყვე.; დიალექტ., 679).
- ტელა-ა (ინგილ.) დაბრტყელებული ცომი, მოხარშული ხინკლად (მ. ჯან.).

ტენილ-ი ყველ-ი (მესხ.) გადახარშული ყველი (ი. მისურ).

ტენტერი-ი (გურ.) უსაქმოდ ხეტიალი, ყიალი, ღლაბუცი, ბარბაცი; ტენტერი-ო ფს უსაქმოდ დაეხეტება (ა. ღლ., გურ.).

ტენტერა (იმერ.) შტერი, დაბნეული. ნ. ტენტერი (ი. ქავთ.).

ტენცო (აქარ.) ტყის პიტნა (შ. ნიყარ.).

ტნჰა-ა (ინგილ.) ცემა, ტყუება; დამტნჰა მცემა (მ. ჯან.).

ტერფაბუერა (ფშ.) ვირისტერფა, მცენარეა (ა. მაყ.).

ტეტჩი-ი (მთიულ.) ჩერჩეტი (ლ. კაიშ.).

ტეტკვა¹ (იმერ.) ჭეჭევა (ნ.). „ღამანებუთაჲ, შენთან ლაპარაკჲში ენა მოვიტეტკვე“ (ვ. ბერ.).

ტეტკვა² (გურ., ზ. იმერ.) 1. ცემა, რტყმევა; სტეტკა დარტყა, ვთქვათ, კეტი, ჯოხი (ა. ღლ.); დარტყმა. „ერთი მაგრად სტეტკა თავში“ (ბ. წერეთ.); 2. გატეტკვა გაფითრება, ფერის დაკარგვა; ჩატეტკილ-ი გაფითრებული, ფერდაკარგული (ა. ღლ.).

ტეფა (ზ. იმერ.) ხის ტოტის კანი (ქ. ძოწ.).

ტეხა (იმერ., გურ.) ჭირნახულის მოწევა (ვ. ბერ.); სიმინდის აღებას ეძახიან: სიმინდის ტაროს (მო)ტეხა (ს. ჟლ.).

ტეხა-კრეფა (გურ.) მოსავლის აღება (სიმინდის ტეხა, ე. ი. აღება, და ყურძნის კრეფა, ე. ი. რთველი). შემოდგომი; ნატეხნაკრეფები შემოდგომის მიწურული, მოსავლის აღების დამთავრების შემდეგი დრო. ნ. ტეხა (ა. ღლ.); სიმინდის ტეხა და ხილის კრეფა (შ. ნიყარ., აქარ.).

ტეხება-ა (ინგილ.) ატყლომა; ნუ მეტეხებ-ი ნუ მიტყდები, ნუ მყევი (მ. ჯან.).

ტეხილა (აქარ.) ფუჩფუჩა, მცენარეა (ა. მაყ.).

ტეხისობა (ოკრიბ.) დღესასწაული იყო ხალხური. იხდიდნენ აღდგომის მესა-

მე კვირას სოფ. გურნაში (მ. ალავე). **ტვინ-ი** (ქართლ.) მრგვალი ხე, ლატანი (თ. სალარ., ალგ., 95).

ტვინა (მთიულ.) ძაფი, რომელიც ფარდაგის ქსოვის დროს გარჩეულ ძაფშია გაყრილი (ლ. კაიშ.).

ტვინიერი (იმერ.) ტვინიანი, ნიჭიერი (მ. ალავე, 3).

ტვიტველა (მთიულ.) ტიტველა (ლ. კაიშ.).

ტვლეა (ფშ.) წინიანი საკმლის ხარბად ქვამა (ი. ქეშვიკ.).

ტვლიკ-ი (ქართლ.) დიდი ხორციანი ძვალ-ი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 16მ, 1900; ი. ჭყონ.).

ტვლიპანა (იმერ.) შიშველ-ტიტველი, შეუმოსავი (დილაქტ., 672).

ტიალ-ი¹ (ფშ.) სულ ამოგდებული, მთლად დაქცეული (ვაჟა, I, ა. შან; საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ.).

ტიალ-ი² (გურ.) ღია ფერისა (გ. შარან.).

ტიალ-ი³ (გურ.) ნათელი, გარიყრავი, გათენება; გატიალ და გათენდა, განათდა (ვ. ბერ.; ს. ჟლ.; ა. ღლ.).

ტიალ-ი⁴ (გურ.) ცარიელი, ტიტველი ადგილი; გატიალება და ცარიელება, მოტიტვლება; ტიალ-ი მინდორ-ი ცარიელი, მოტიტვლებული მინდორი (ა. ღლ., ქეგლ.).

ტიაც-ი (იმერ.) ძლიერი, თვალმომტრელი სინათლე; გატიაცებულ-ი გაკაშკაშებული, ძალიან განათებული (ვ. ბერ.).

ტიბფირ-ი (ქიზიყ.) ჯარატარის ხის კოჭი, მორგვი, რომელზედაც ლამბია მოდებული დასატრიალებლად (ს. მენთეშ.); ჯარატარის კვირისტავი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ტიგურა (იმერ., გურ.) უშნოდ აჭრელე-ბული პირუტყვი (ვ. ბერ.); ნაცრის-ფერი საქონელი (ს. ჟლ.).

ტიკა-ა (ინგილ.) წიწილა (მ. ჯან.).

ტიკავ-ტიკავ-ი (ლეჩხ.) ცემა-ტყევა. „შეიქნა ჩხუბი, ტიკავ-ტიკავ-ი“ (მ. ალავე, 2).

- ტიკება (გურ.) კბენა, ჩხვლეთა; უტიკა უჩხვლეთა. წყევლა: „გველმა გიტიკა მაგ ენაზე!“ (გ. შარაშ.).
- ტიკვა¹ (ფშ.) გაბერვა, გასიება (ი. ქეშიკ.).
- ტიკვა² (გურ., იმერ.) ფეხის ან ხელის ჩაკვრა წყალში, ღომში, ლაფში. „თვალეებში სტიკა თითი“. ნ. ტიკება (ს. ჟღ.; ვ. ბერ.).
- ტიკზარ-ი (მესხ.) გულდასტივრი (ი. მაისურ.).
- ტიკნა (გურ.) წიწკნა ხორცისა; მოტიკნა მოწიწკნა (ა. ლ.).
- ტიკურ-ი (იმერ.). ნ. ტიგურა.
- ტილაბ-ი (ხევსურ.) კირქვა (ა. ჰინჭარ., 275).
- ტილიფ-ი (ჭავჭავ.) ტირიფი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ტილიფობა (ლექს.) რელიგიური დღესასწაულია, მეთათე დღე ამადლებს შემდეგ, სულიწმინდის მოფენა (მ. ალავე, 2).
- ტილჩუტა (ფშ.) სენია ერთგვარი, მომეტებული ფეხისა და ხელის გულებში დაემართებათ ხოლმე. შიგნით, კანქვეშ საშინელ ქაველსა და წვას გრძნობს ადამიანი. წამლად ხმარობენ ნედლი თხილის ჯოხს, რომელსაც მოჭრიან, ცეცხლში გააცხელებენ და იმით დადაღვენ იმ ადგილს, სადაც ქაველს გრძნობენ (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).
- ტინ-ი (ქართლ., ქიზიყ., ფერეიდნ., ლექს.) ქვა, ლოდი; სალი კლდე (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ს. მენთეშ.; დიალექტ., 609; 631; მ. ჩიქ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქველ.
- ტინგიცი-ი (იმერ., მესხ.) მასხარა ადამიანი, ტაკიმასხარა, ოინბაზი (ი. მაისურ.) უზრდელი, უნამუსო (ვ. ბერ.).
- ტინგიცი-ი (იმერ., ქიზიყ.). ნ. ტინგიცი.
- ტინტველა (ლექს.). ნ. ტინტილა.
- ტინტილ-ი, გატინტილეზა (იმერ.) ჩქარა წასვლა, გარბენა, გაქცევა, გასრიალეზა. „წატინტილდი ერთი, შენს გაზრდას, და მომირბენიე ცივი წყალი!“ (ვ. ბერ.).
- ტინტილა-ი (გურ.) ხელიკი (კ. გვარ., 950); პატარა ხელიკი. „ტინტილა ტინტილოსანი, ტინტილა პატოსანი“ (გ. შარაშ.); ხელიკის მაგვარი პატარა ქვემძრომი, ჯოჯო. „კვერცხები ბლომათ მოგვართვეს, გმადლობთ, გმადლობთ, ჩვენო ეკა, დეაჟინეთ, იმ წყეულმა ტინტილები გამოკეკა“ (ა. ლ.).
- ტინტრაქა/ე-ი (გურ., იმერ.) შიშველი, ტიტველი, ტიტლიყანა (ს. ჟღ.; ვ. ბერ.).
- ტინტრიქა-ი (გურ.) ტიტველი, ტიტლიყანა, ტანგახდილი; დატინტრიქობს ტიტველი დადის. ნ. ტინტრაქა (ა. ლ.).
- ტინტყლ-ი (ქართლ.) უფუარი, სველი, გამოუშუშებელი, ჭყინტლი (თ. სალარ., ალგ., 97).
- ტინუორა (ინგილ.) ღიმი, ატოლი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ტირილ-ი (გურ.) მიცვალეზულის დასაფლავების ცერენონიალი, დატირება (გ. შარაშ.).
- ტირტირ-ი (მესხ.) ზედმეტი, გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა, ტარტარი. „რას ტირტირებს თვითონაც არ იცის“ (ი. მაისურ.).
- ტირყილაჲ-ი (თუშ.) უსაქჰური (თ. უთურგ.).
- ტირშლ-ი (ლექს.) ტიშლი, ბრკე (მ. ჩიქ.).
- ტისენა (ქართლ.) თავის გახილვა, მკბენარის—ტილის მოშორება. „ბუჩქებში მიმჯდარიყო და იტისნებოდა“ (გ. შატბერ., 96).
- ტისნა (ფშ.) მკბენარის მოშორება. ნ. ტისენა, ხილვა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).
- ტიტა (მთიულ.) ბალახია მინდვრისა (ს. მაკალ.).
- ტიტბვა (ინგილ.) ხარშვა; დატიტბვა გამოხარშვა (ა. შან., 253).

ტიტვა (ქიზიყ.). 1. დამლაშება, ძალიან დამარილება. „რაჯულა ატიტავ კერძ, ჭამა აღარ გინდა?"; 2. წყევლა: „რასა ატიტავ, დედაკაცო, მა ბაღღ მავრე, რა დავიშავა?" — ეტყვიან დედას, როცა იგი თავის შვილს სწყევლის (ს. მენთეშ.).

ტიტვირ-ი (აჭარ.) ბაგე, ტუჩი (შ. ნიყარ.).

ტიტვნა (მოხ.) ძღვევა, მორგება. ნ. დ. ტიტვა¹ (ო. ქაჯ.).

ტიტიბ-ი (ქიზიყ.) ბროწეულის ქერქი. შავად ღებავს, თუ თეთრი შაბით არის დადებული, ხოლო — წაბლისფრად, თუ კაკლის წინგოთი (ს. მენთეშ.); ბროწეულის ნარჩევი ქერქი (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეველ).

ტიტკვი (ლენჩხ.) ნორჩი პარკი. ნ. ჭყაბი (მ. ჩიქ.).

ტიტკვინა (იმერ.) მსუქანი, ჯიჯგვინა (ვ. ბერ.).

ტიტყინ-ი (იმერ.) ჭიკყინი, ჯიჯღ-ნი, დიდლინი, ყბედობა (ვ. ბერ.; ქეველ).

ტიტყნა¹ (იმერ., გურ.) თითხნა; სერა; დატიტყნილი — დასერილი (ვ. ბერ.); თითხნა, ტალახში სიარულში, ტალახში ამოსვრა (ა. ღლა.). შდრ.: ქეველ.

ტიტყნა² (ქიზიყ.) ხელში ჭერისაგან დაჩაგვრა (ს. მენთეშ.).

ტიფელ-ი (მთიულ.) ფთილაზე უფრო მორბილი გაჩეჩილი მატყლის კონა, რომელსაც ნაბდის ქუდებისათვის ხმარობენ (ლ. კაიშ.).

ტიფილა-ა (მოხ.) თივის პატარა შეკვრა (ო. ქაჯ.).

ტიფოლა (მთიულ.) სიგარძზე ძირს დაგებული თივა, რომელზედაც შემდეგ სხვა თივას აგებენ (ლ. კაიშ.).

ტიღა¹ (ლენჩხ.) ობოლი, უპატრონო (მ. ალავე, 1).

ტიღა² (ქიზიყ., მთიულ.) შავ-შავი, ულახათო ბავშვი (ს. მენთეშ.); მეტად შავგერემანი კაცი (ლ. კაიშ.).

ტიღაშ (რაჭ.) გამხდარი, დამწვარი მოზვერი (ვ. ბერ.).

ტიღვი-ი¹ (იმერ.). 1. ტიტველი ბარტყიან წიწილა, ტიღველი (ვ. ბერ.); ნახევრად ტიტველი, მოფეღელი ბავშვი; უბუმბულო წიწილა (ი. ქავთ.).

ტიღვი-ი² (ზ. იმერ.) ქათმის ბუმბულის ძირი. „ქათამი საძაგლათაა გაპუტული: სულ შავი ტიღვები ჩარჩენია ხორცში" (ბ. წერეთ.).

ტიღვი-ი³ (ლენჩხ.) შიშველი მკლავა (მ. ჩიქ.).

ტიღველა (იმერ.). ნ. ტიღვი¹.

ტიღინტო (იმერ.) კისერტიტველა ქათამი (ი. ქავთ.).

ტიღუა (ფშ.) ტიღუნა, ქართლში შავ-შავი ბიჭი (თ. რაზიყ., „ივერია", № 140, 1900; ი. ჭყონ.).

ტიუვა ნაწლევი-ი (ქიზიყ.) ბრმანაწლევი. „ტიუვა ნაწლევი აბტკივდა" (ს. მენთეშ., დამ.).

ტიშლი (ლენჩხ.) ბრკე (ბრკე), უჩნდება გაუვსებელ ქვევრში ჩასხმულ ღვინოს (მ. ალავე, 1).

ტიხა-ა (ინგულ.) კრიალოსანი ჩამჩისა, ზრიალა ნიგვზისა; დატიხა ტიხეში აასხა (მ. ჯან.).

ტიხარო (იმერ.) საქონელი, რომელსაც ზურგზე თეთრი ზოლი აქვს გადაყოლებული სარტყელივით (ვ. ბერ.).

ტიხრ-ი (ინგულ.) მეტად მაგარი მიწა; ქუთატიხრ ქვატიხრი (მ. ჯან.).

ტკაპან-ი (ფშ.) წკლაპანი. „ქველავ მოის-მა ტუჩების ტკაპანი" (ი. ქეშვიკ.).

ტკარცალ-ი (გურ.) სიცილი, კისკისი; სიცილ-ტკარცალ-ი სიცილი. ნ. კარკაცი (ა. ღლა.).

ტკაცუნა (აჭარ.) ჭყუპანტა, მცენარეა (ა. მაყ.).

ტკაცუნა სიმინდ-ი (ქართლ.). ნ. კუჭუჭა-სიმინდი.

ტკბილ-ი (გურ., მთიულ.) აღუღებული და ქაფგაცილი წიწილი ყურძნისა (ა. ღლა.); ლუღის დუღების დროს სვეს (ნ.) დაყრამდე აღუღებული ფორიანი (ნ.) წყალი (ლ. კაიშ.).

ტკბილ-ის კვერ-ი (გურ., მესხ.) ფელამუ-

- შის ტყლაპი (ა. ღლ.); თუთის ტყლაპი (ი. მაისურ.).
- ტკბილა** (მითულ.) ფორისაგან (ნ.) დამზადებული გული ცომში გამოცხვარი (ლ. კაიშ.).
- ტკბისველა** (ხევსურ.) შრავი, რომელიც ყველის ამოღების შემდეგ რჩება ქვაბში (ა. ჭინჭარ., 268; დიალექტ., 557).
- ტკენი**-ი (ზ. აპარ.). ნ. ტკენი.
- ტკეტკევა** (იმერ., ლეჩხ.) კლდისდუმა, მცენარეა (ა. მაყ.).
- ტკეფა** (ინგილ.) ტკეფა, პირისპირამდის ჭედით ამოვსება (მ. ჯან.).
- ტკეჩი**-ი (გურ., იმერ., ლეჩხ.) თხილის წნელის თხლად ახდელი კანი, რითაც გოდრებს, კალათებსა და ვიდლებს წნავენ (ს. ჟღ.; ა. ღლ.); მუხის ან თხილისაგან ახდელი კანი კალათების დასაწნავად (ვ. ბერ.); კაბრის, მუხის ან თხილის მსხვილ წნელს ცეცხლზე გაახურებენ (გააცხელებენ) და დახლებენ თხელ-თხელ ფენებად, თითოეულ ანახლეს ტკეჩი ჰქვია. მით წნავენ კალათს, სალასტოს, გოდორს, გიდელს (მ. ჩიქ.).
- ტკეჩი**-2 (ლეჩხ.) წისქვილის ფშტილის (ნ.) ნაწილია (მ. ჩიქ.).
- ტკეცილაობა** (თუშ.) ჩხუბი (ს. ჯაკოლ.).
- ტკვაბში**-ი (გურ.) მუწუკი, სხმო; ატკვაბშულ-ი აბურცებული, დასივებული, კანი ამობერილი. ჩნდება ჩვეულებრივ სხეულზე მდულარე წყლის გადასხმის შედეგად (ა. ღლ.).
- ტკვარუნ**-ი (ლეჩხ.) გამზმარი ნამცხვრის (უმეტესად კანის) სწრაფი და მოუთმენელი ჭამის დროს გამოცემული ხმა. „ტბილებს ტკვარუნ ი ვაჰქონდა“ (მ. ალავე, ზეპირსიტყვე.).
- ტკ(ვ)არცალ**-ი¹ (იმერ.) სიცილი, კისკისი (ი. ქავთ.).
- ტკვარცალ**-ი² (იმერ.) კვერცხის დადების შემდეგ ქათმის კაკანი; ხმამალალი კარკაცი (ვ. ბერ.).
- ტკვაფში**-ი (გურ., ზ. აპარ.) დამწვარი, ამობერილი კანი; ატკვაფშულ-ი ამობერილი კანი (გ. შარაშ.); ამობერილი, დამწვარი კანი. ნ. ტკვაფში (გ. შარაშ.; შ. ნიქარ.).
- ტკვაჩი**-ი (გურ.). ნ. ტკვაფში.
- ტკვერა** (იმერ., გურ.) კნეტა. „ძალდი ტკვერს ძვალს“ (ვ. ბერ.; ა. ღლ.; ქველ).
- ტკვეფა** (ქიზიყ.). 1. დახურვა (საბნისა და მისთ). „რა ძალიანა მტკვეფამ, ადამიანო, არ დამაჭრო!“; 2. ძალიან მსხმოიარობა (ს. მენთეშ.).
- ტკვილა**-ი (გუდამაურ.) ტკვილიანი, ტკვილი ჭადა (დიალექტ., 574).
- ტკვიფი**-ი (თუშ.) აღმური, ბუნდრი (ნ.), დიდი სიცხე (მ. ხუბ.).
- ტკვლიცინა, ტკიცინა** (იმერ.) ძალზე მსუქანი, საესე, პუტკუნა (ნ.), პუნტულა (ნ.), გაპუტკუნებული; გატკელიცინებული ძალზე გასუქებული (ვ. ბერ.).
- ტკიაც**-ი (რაქ., ლეჩხ.) რიტმიული ხმის გამოცემა (მ. ალავე, 3).
- ტკიპლობიო** (ქიზიყ.) აბუსალათინი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ტკლეცა** (გურ.); გატკლეცა ჭურჭლისა ჭურჭლის გახეთქა; სტკლეცა სილა გააწნა (ა. ღლ.).
- ტკოთი**-ი (ზ. იმერ.) მკვებ ტყემლის წვენი საწნელებლით შეზავების შემდეგ ხელმოვრედ მოდულებული (ბ. წერეთ.).
- ტკოჩი**-ი (იმერ.) პატარა ნაფოტისებრი ნაწილი ფიცრისა. „ყავარს ლურსმნის დაქედების დროს ნაპირზე ტკოჩი ავარდა“ (ი. ქავთ.).
- ტკპილისკერი**-ი (ლეჩხ.). ნ. ტკპილისკერი.
- ტკრეცა**¹ (ქიზიყ.) ალანძვა, ცეცხლის სიახლოვისაგან კანის აწვა. „ძირიპურები არ აიტკრიცოა, მიახედე, ქა!“ (ს. მენთეშ.).
- ტკრეცა**² (ფშ.) უკადრისობა, წყენა. „ეს სიტყვა... ერთმა ძალიან იტკრიცა“ (ი. ქეშვიკ.).
- ტკრციალ**-ი (ფშ.) მეხის ხმა. „გაჩნდება მეხთა ტკრციალი, ათრთოლდებიან ხეები“ (ვაფა, 1, ა. შან.); ცეცხლის

- ტყროლა (საბა); ბგერა, ქეჭა, ხმა საყრავთა, ანუ მტუტრებისა (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ).
- ტყუნჩა-ჲ (აჭარ.) ბუშტარა, ბუთარა სიმინდი, იყეთებს პატარა წვრილმარცვლიან ტაროებს (შ. ნიჭარ.).
- ტყუნჯა (ლენხ.) ერთბაშად დაღვევა გადაკვრა. „რას წრუბავ მა ღვინოს, ტყუნჯე ბარემ!“ (მ. ალავე, 1).
- ტყუსვა (იმერ., გურ.) გარტყმა, ცემა. ნ. ტეტკვა² (ვ. ბერ.).
- ტლაკვი (ლენხ.) მსხვილი უშნო ფეხი (მ. ალავე, 1).
- ტლაკვა (იმერ., გურ.) ლოკვა (ი. ქავთ.).
- ტლაკუნ-ი¹ (ქართლ.) როცა კაცი უბელო ცხენზე ზის და ფეხები მიწაზე ეთრევა, ამას ეტყვიან ეტლაკუნე ბაო (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900).
- ტლაკუნ-ი² (იმერ.) პლაკუნი, გაბოლება. „ის კი დამჯდარა, სახლიდან არ გადის და მხოლოდ ყალიონს ატლაკუნე ბეს“ (მ. ალავე, დ. კლდ. ლექსიკ.).
- ტლაყუი (თუშ.) რბილი (თ. უთურგ.).
- ტლაყვი (ქიზიყ.) ტიტველი ბარკალი გავიანად, ბარკლის რბილი ნაწილი. ნ. ტლაკვი (ს. მენთეშ.).
- ტლუნა (გურ.) ურიგოდ ზელა; მოტლუნელი-ი ცუდად მოზეილი (მ. შარაშ.).
- ტლევკა¹ (გურ., ლენხ.) ლოკვა. ნ. ტლაკვა (ი. ჭყონ.; მ. ჩიქ.).
- ტლევკა² (ლენხ.) ტლახში დაცემა (მ. ჩიქ.).
- ტლიკვი (გურ.). ნ. ტინტრიქაი.
- ტლიკინ-ი¹ (გურ.) უთავბოლო ლაპარაკი, ყბედობა, ლაქლაქი: გატლევკილი-ი გაიძეკრა, ცრუ, ლაქლაქა (ა. ლ.). შდრ.: ქეგლ.
- ტლიკინ-ი² (ფშ.) გადაბოტებით, დიდი ნაბიჯით სიარული (ი. ქეშკა.).
- ტლიკინა/ე-ი (გურ.) ბევრის, ზედმეტის მოლაპარაკე, მოლაყბე; ლაქლაქა (ს. ჟლ.). შდრ.: ქეგლ.
- ტლინკაობა (ქართლ., კახ., ფშ.) წეტყვის (ლ. ლეონ.).
- ტლო (ქართლ.) ნ. ტლუ.
- ტლოკ-ი (ქართლ.) ტიტველი კანკი ან წვივი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.); ბარძაყი, ფეხი მუხლიდან მენჯამდე (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ტლოპანა (იმერ.) უთმო თავი (ვ. ბერ.).
- ტლოყვი, ტლოყვებ-ი (თუშ.) მსუქანი ბავშვის ლოყები (პ. ხუბ.).
- ტლუ (ქართლ.) უტოტო, სწორი მაღალი ხე. ვადატ. ტლუ ბიჭ-ი მარტოხელა, ობლად გაზრდილი ბიჭი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- ტლუკ-ი¹ (ქართლ.) ფინთი, სულელი (კირიონი).
- ტლუკ-ი² (იმერ.) დიდი, მოსული, ფინიკურად ძლიერი (პ. ჯაჭან., IX, 263).
- ტლუყვი (ლენხ.). ნ. ტლუკი.²
- ტმაკუნ-ი (თუშ.) ტოკვა, რხევა (პ. ხუბ.).
- ტმაკუნა (ქართლ.) წარამარა მოლაპარაკე, „ისეთი ტმაკუნა ბავშვი არ მიწახავს“ (მ. მესხ.).
- ტმოშტი (თუშ.) თავსახურიანი, სამფეხა ხის ან სპილენძის დიდი თასი, გობი (პ. ხუბ.).
- ტმუკვა (ფშ.) ხტომა, ტოკვა (ი. ჭყონ.).
- ტმუკიანი (ხევსურ.) მწიხლავი, უწვრთნელი ჭიუტი ჯორი (ა. ჭინჭარ., 242).
- ტობ-ი (გურ.) თევზი; თევზების გროვა, გაზაფხულზე ქვირითის დასაყრელად რომ მოგზაურობს (ს. ჟლ.; ა. ლ.).
- ტობობა (ზ. იმერ., ლენხ.) თევზის მიერ ქვირითის დაყრის დრო. ნ. ტოფობა (ბ. წერეთ.); ტობობს მრავლდება (ქ. ძოწ.).
- ტოგონ-ი (გურ.) ოთხკუთხად გათლილი ხის დიდი მორი (პ. ჯაჭან.).
- ტოკა (ინგილ.) კოტიტა თითი (მ. ჯან.).
- ტოკვი (გურ.) ვაზის ჭიშია ერთგვარი, მსხვილმარცვლიანი მტევანი იცის (მ. შარაშ.).



ტოკვეცი-ი (ზ. აქარ.) ოდნავ მოღუნული მსხვილთავე კეტი. „ოთხნივე კუთხეში ოთხი კაი შესახედავი კაცი ტოკვეციები თ დადგენ“. ნ. ტაყეცი (შ. ნიქარ.).

ტოკლე (იმერ.) კოჭლი (ვ. ბერ.).

ტოკმარია (ქიზიყ.) აიწონ-დაიწონის ფიციარი (ს. მენთეშ.).

ტოლ-ი¹ (მოხ., ფშ., თუშ., ხევსურ., მთიულ.) შინმოქსოვილი შალი, საჩოხე (ო. ქაჯ.; ს. მაკალ.; დიალექტ., 557; 594; 564; თ. უთურგ.); ქსოვილი (ა. ჭინჭარ., 257); შინმოქსოვილი შალი ტანსაცმლისათვის (ლ. კიშ.).

ტოლ-ი² (თუშ.) ხის ტოტი (თ. უთურგ.).

ტოლ-ი³ (ქიზიყ.). 1. ხუთი კვერცხის წონა; 2. ერთჯერობაზე მოქსოვილი შალის სიგრძე; 3. ტოლის მოღებ აროცა უღელში არათანაბარი ღონის ხარები აბია, უღლის გადაწევა ღონიერი ხარისავენ, სუსტი ხარის მხარეს უღლის დაგრძელება. ამ წესით უსწორებენ მეტნაკლები ღონის მქონე ხარებს უღელს, ტოლს უღლებენ (ს. მენთეშ.).

ტოლაღი (ქიზიყ., ინგილ., თუშ.) წვივებზე (კოჭებზე) და მაჯებზე შემოსახვევი არტახები მკედლისაგან ნაქსოვი; ფეხის კოჭებზე შემოსახვევი ბრტყელი და გრძელი ჭრელი ნაჭერი, შეკერილი ორპირად (დიალექტ., 622; ს. მენთეშ.; პ. ხუბ.). თურქ. t/dolak.

ტოლიაქობა-ა, **ტოსიკაქობა-ა** (თუშ.) გასროლილი სავნის მიერ ტრაექტორიის დაკარგვა რაიმე მიზეზის გამო (თ. უთურგ.).

ტოლიყ-ი (იმერ.) მირტყმა-მორტყმა, ჯგვლენა (ვ. ბერ.).

ტოლიკაჟ-ი (თუშ.) წმინდა მატყლის მსხვილი ძაფისაგან ნაქსოვი ფარდაგი (პ. ხუბ.).

ტოლომანი-ი (ფშ.) მაზარა (ი. ქეშიკ.). **ტომაგ-ი** (თუშ.) ადამიანის სხეული (პ. ხუბ.).

ტომაყ (ინგილ.) კეტი, კომბალი, ჩომბახი (მ. ჯან.; დიალექტ., 623).

ტომბახ-ი (ქიზიყ.) გადატ. მაღარიჩი. „აბა, რაკი შვილი გადავიჩა, ერთი ტომბახი ჩამასხი“ (ს. მენთეშ.; ქეგლ.).

ტომბოყო (გურ.) მიწაზე დამდგარი წყალი, წუმპე (გ. შარაშ.).

ტომონ-ი (გურ.) ჭაობი (პ. ჯაჯან.).

ტომოყო (ზ. აქარ.) წყლიანი ორმო, მიწაზე დამდგარი წყალი. ნ. ტომბოყო (შ. ნიქარ.).

ტომრულ-ი (აქარ.) გაუთლელი მრგვალი მორი (პ. ჯაჯან.). თურქ. tomruk.

ტონტლე (ქართლ.) დონდლე, სქელი და უშნო აგებულების ადამიანი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ტონტორ-ი (ლეჩხ.). ნ. ტლუკი.²

ტონტორიკ-ი (ფშ.) დარტყმით დამუქრება, მოღერება (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

ტოპალ (ინგილ.) ძირხვენას, ზამბახისა და მისთანათა თავთავი, რომელიც ფოთლად ან ყვავილად გადაიშლება (მ. ჯან.).

ტოპალ-ი (იმერ.) უხეირო, უგეზო ცურვა („კომუნისტი“, № 187, 1968).

ტოპირ-ი (ქიზიყ.) ლასტია, საწინახელში ყურძენს ქვეშ ამოუღებენ ხოლმე, რომ ჭაჭა არ გააყვეს ტყბილს, ტუპკირი (ს. მენთეშ.; ქეგლ.).

ტოპირა (ქიზიყ.) წყლიანი ღვინო (ს. მენთეშ.).

ტოპარაკა (ქიზიყ.) ტილოს უბრალო პარკი, პატარა ჩანთა (ს. მენთეშ.).

ტორ-ი (გურ.) ორივე ხელის ერთმანეთს მიდებული მტევანი, პეშვი ორივე ხელისა (ა. ლ.).

ტორათ-ი (აქარ.) წითელი ცხენი (ი. მეგრ.). თურქ. torat.

ტორახუტ (ინგილ.). ნ. ტარახუტ.

ტორვა (ფშ., იმერ., მთიულ.) ხარბად ჭამა, ყლაპვა (ი. ჭყონ.; ლ. კიშ.). შდრ.: ქეგლ.

ტორზო (ხევსურ.) კაცი, რომელსაც დახეული ტანსაცმელი აცვია (ა. ჭინჭარ., 261).

ტორიალი-ი (ქართლ.) ტრიალი, ერთ ადგილას გაუჩერებლობა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ტორიკი-ი (იმერ., გურ.) უაზროდ ხეტიალი (გ. ბერ.); ყილი, ხეტიალი; ტორიკოფს უსაქმოდ წრიალებს (ა. ლ.).

ტორილა (ქართლ.) საყრამიტე მიწის სახელი კასრი, მიწაში ჩაფლული (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ტორტვა (იმერ.) სიტყვის უცებ წამოცდენა. „ძალიან თავდაპირილი მეგონა, მარა იმისთანა რალაცა წამოტორტლა, პირი დავაფჩინე“ (გ. ბერ.).

ტორუა (ქართლ., ფშ., ქიზიყ.) ტოროლა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ვაჟა, II, ა. შან.; ს. მენთეშ.).

ტორუღი (ზ. აქარ.). 1. თამბაქოს მცენარის სულ ზემოთა ფოთოლი, მისგან კარგი ხარისხის თამბაქო გამოდის; 2. ხის წვერი (შ. ნიჟარ.). თურქ. doruk.

ტორღვლება-ა (თუშ.) ჯონის, იარალის ხელში უთავბოლოდ ტრიალი (პ. ხუბ.).

ტორღალი-ი (გურ.) ლაქუცი, აკიდება; ეტორღალიება ეტმასნება, ელაქუცება, ატორღიალებული-ადვენებული, მიტმასნილი; გამზიარულებული, აჩქარებული (ა. ლ.; ქეგლ.).

ტორყილაყი (თუშ.) უქნარა, ზარმაცი (პ. ხუბ.).

ტოტი¹ (ხევსურ., ფშ.) ხელი კაცისა, ფეხი ცხენისა (ა. შან.); ხელი (დილაქტ., 594); ცხენის (ცხოველის) წინა ფეხი (ვაჟა, I, ა. შან.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

ტოტი² (ხევსურ.) მთიბელის მიერ ერთ გავლაზე გატანილი ნამჭრევი (ნ.); ტოტიჩით გამაგდება. ტოტის მაჭრა მთიბელის გამოყვანა მწყობრიდან. „მთიბელთ თავითა გეხვიწები, დედაშენისა მანდელითა: ნამჭრევსა ტოტსა ნუ მაიჭრი, ნუ დამაბრუნებ ტირილითა“ (ა. ჭინჭარ., 224).

ტოტაობა (ხევსურ.) ხელების (ტოტების)

შეხებით თამაშობა, ხელების ფათური (დილაქტ., 557).

ტოტბაჩაყი (თუშ.) არამკითხე, მეტიჩარა (პ. ხუბ.).

ტოტია-ა (მობ.) ქურდი (ო. ქაჯ.).

ტოტიაობა (ქსნის ხეობ.) ქურდობა. „ახლა ტოტიაობაც დაიწყო“ (ე. სომხიშე).

ტოტმანიანი-ი (მთიულ., გუდამაყრ.) სწორფეხიანი (ე. ვირსალ.).

ტოტნა (ქართლ.) ხელით მიწვდომა, შეწვდომა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ტოტნაჩია (ფშ.) უსაქმური, უქნარა, არაფრის გამკეთებელი (დილაქტ., 594).

ტოტო-ა (თუშ.) ხელი ბავშვის ენაზე (პ. ხუბ.).

ტოტიქი (აქარ.) ურმის, მარხილის ქალი (შ. ნიჟარ.).

ტოტონი-ი (იმერ.) ყოყონი; გატოტონებულ-ი გაყოყონებული (მ. ალავე, 3).

ტოტონება (ქართლ.) რაიმეს მითვისება; გადატ. ცოლის შერთვა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ქეგლ.).

ტოტონინა (ქართლ.) დიდი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ქეგლ.).

ტოტყვა (იმერ.) უსაქმოდ სიარული, თრევა. „რავა მშვიერი ძაღლივით დატოტყავ წარამარა!“ (გ. ბერ.).

ტოტყიალი (იმერ.) ფეხშიშველი სიარული ტალახში, საერთოდ თრევა, ხეტიალი. ნ. ტოტყვა (ი. ქავთ.).

ტოულო (იმერ.) გრძელი ბაწარი; დატოულება საქონლის საბალახოზე დაბმა (გ. ბერ.).

ტოფი-ი (იმერ.) ქვირითის დაყრა თევზის მიერ (ე. ბერ.).

ტოფობა (ლეჩხ.) ქვირითის დაყრის პერიოდი. ნ. ტობობა (მ. ალავე, ზეპირსიტყვი; ქეგლ.).

ტოქე (ქართლ.) უშნოდ მაღალი და შესმენელი ადამიანი (თ. სალარ.).

ტოღები-ი (ქიზიყ.) გადატ. მსგავსები, ტოღები (ს. მენთეშ.).

ტოღო¹ (გურ.). ნ. ტოღუაი.



- ტოლო² (ზ. იმერ.) მოსული, დიდი (ქ. ძოწ.).
- ტოლორა (იმერ.) ცხენისკუდა, მცენარეა. ნ. ვირიკუდა (ა. მაც.).
- ტოლუა-ი (გურ.) ბუმბულნაკლები წიწილა (გ. შარაშ.).
- ტოლუბი-ი (თუშ.) ტოლუნი, ტოლები, წყვილები (პ. ხუბ.).
- ტოში-ი¹ (ხევსურ., ფშ.) ტაში (ა. შან.; ვეჯა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- ტოში-ი² (ლეჩხ.) ორივე ხელის გული, ბეშვი. „მონადირემ აუვისო ტოში წამლითა და ნავერცხლებით“ (მ. ალაფ., ზეპირისტყვე).
- ტოშება (გურ.) გაკვირვება, გაოცება; იტოშა გაიკვირვა, გაიოცა. „მაირაცხა ნამეტარი მეტოშა!“ (გ. შარაშ.; ა. ლ.).
- ტოშვა (ზ. იმერ.) ნ. ტოშება.
- ტოცორ-ი (გურ.) ახოვანი, ლამაზი, მოხდენილი სახისა და ტანის ვაგი (ა. ლ.).
- ტპა-ი (გურ.) ტბა; ჩაღრმავებული, საბანაო ადგილი მდინარეში (ა. ლ.).
- ტპე! (ფშ.) კამჩის გასარეკი შეძახილი (ვეჯა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- ტრაზანა (ქართლ.) კრაზანა, მცენარეა (ა. მაც.).
- ტრაკუნ-ი (იმერ., გურ.) უსაქმოდ სიარული (ვ. ბერ.); უგზო-უკვლოდ ხეტიალი, უსაქმოდ წრიალი (ა. ლ.).
- ტრამი (იმერ.) ძალიან იაფი. „ღღესსულ ტრამათ იყიდებოდა ყველაფერი“ (ვ. ბერ.).
- ტრანტიტი-ი (ინგილ.) თული, ყაჩაღი, ავაზაკი (მ. ჯან.).
- ტრატრუ (ქიზიყ.) წიგნის კითხვის ხმის მიბაძვა. „მე შენი ტრატრუ არ ვიცო, წამო, ბარი აიღე!“ (ს. მენთეშ.).
- ტრავა (ქიზიყ.) მკვებარა, ბაქია (ს. მენთეშ.).
- ტრახანა (ქართლ.) ბატის ფრთისაგან გაკეთებული საბავშვო თოფი (კირიონი).
- ტრელა¹ (გურ.) მტრედო, ხრაშუნა, მცენარეა (ა. მაც.).
- ტრელა² (მთიულ.) თეთრი ძროხა (ლ. კაიშ.).
- ტრედისფხა-ი (გურ.) ვაზის ჭიშია ერთგვარი (გ. შარაშ.).
- ტრედისყელა (ხევსურ.) იისფერი (ა. ჭინჭარ., 260).
- ტრელ-ი (ფშ.) ლაჩარი, მშიშარა (ვეჯა, IV, ა. შან.).
- ტრეტა (იმერ.) რღვევა (ვ. ბერ.).
- ტრი-ი (ინგილ.) გრძელკუდა (უღღმერ) ცხვარი (მ. ჯან.; ლ. ლეონ.).
- ტრია/ე-ი (გურ.) მღრღნელი ცხოველია (კ. გვარ., 950); მინდვრის თავის მსგავსი ცხოველი, გრძელი ჯონჯოლა უკლი აქვს, თრითინა (ს. ძღ.).
- ტრიალა (მოხ.) შვიტა, მცენარეა. ნ. ბორბალა (ა. მაც.).
- ტრიაშელ-ი (იმერ.) ტრიალი (მაგ., მინდორი), დაცემული ვაკე (დილაშტ., 672; ქეგლ).
- ტრიან-ი (ინგილ.) ჭიშია გოგრისა. ნ. გუგრაა (ა. შან., 352).
- ტრიასკუდა-ი, ტრეისკუდა-ი (გურ., აჭარ.) ყვითელი ძურწა, მცენარეა (ა. მაც.).
- ტრიაფი (ქიზიყ.) ტრიალი, ტაშირი (ნ.), გაშლილი ადგილი (ს. მენთეშ.).
- ტრიბუცა (იმერ.) ლაზლანდარა, ურცხვი, უზრდელი (ი. ქავთ.); მატრაკეცა (ბ. წერეთ.).
- ტრიე (გურ.) თრითინა. ნ. ტრია (ა. ლ.).
- ტრეისკუდა-ი (გურ.) სარეველა ბალახია. ნ. ტრიასკუდა (გ. შარაშ.; ს. ძღ.; ა. ლ.).
- ტრიზა¹, ტრიზნა (იმერ.) კილეა, მასხარად ავღება (ვ. ბერ.).
- ტრიზა² (ლეჩხ.) დაცდენა, გამოტყუება ამბისა (მ. ჩიქ.).
- ტრიკ-ი¹ (გურ., იმერ.) ბუში, ნაბიჭვარი, უკანონოდ შობილი (გ. ნინ., I, თ. კიკვი; ვ. ბერ.; ს. ძღ.; ა. ლ.).
- ტრიკ-ი² (ქართლ., იმერ.) ფუში, სენია ერთგვარი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.); ფუში, იმერლები ხმარობენ (საბა).

ტრიკინა-ი (იმერ., გურ.) მუცელკეთილი, მუცელბატონები, მუცელა (ვ. ბერ.); მუცელაშლილობა, ფაღარათი, ავადმყოფობა (ა. ლ.).

ტრიკინა, გატრიკინებული-ი (იმერ.) ძალზე გამძლარი, მუცელწამობერილი (ვ. ბერ.).

ტრინჯვა (მესხ.) ჩაშტერებით სინჯვა, დათვალიერება (ი. მაისურა).

ტრინი-ი (იმერ.) ზმავრობით სხმა. „ძან ტ რ ი შ ი ნ-ტ რ ი შ ი ნ ი თ მოდიოდა წვიმა“ (ვ. ბერ.).

ტრიშნა (ოკრიბ.) მოუსვენარი, გარეთ-მოსიარულე ქალიშვილი (მ. ალავე).

ტრიხინ-ი (იმერ.) ზმავრობით სეირნობა, სიარული (ვ. ბერ.).

ტროკიალი-ი (გურ.) უსაქმოდ ხეტიალი. ნ. ტორიკი (ვ. შარაშ.).

ტროყ-ი¹ (ქართლ., ქიზიყ.) ძალიან მსუქანი (ს. მენთეშ.).

ტროყ-ი² (აჭარ.) დიდი ტანისა, აყლაყულდა, ახმახი (შ. ნიფარ.).

ტროყია (კახ.) დიდი და ძალიან მსუქანი, უშნო ქვევისა და შესახედაობის ადამიანი. ნ. ტროყი² (ა. მარტ., გ. იმნ.).

ტროყიალი-ი (აჭარ.) უსაქმოდ ხეტიალი, ყიალი. ნ. ტორიკი (შ. ნიფარ.).

ტროკვი-ი (თუშ.) მალალი, მსუქანი, მძიმე ადამიანი (პ. ხუბ.).

ტრუბუცა (ქართლ.) ცულლუტი, გაქნილი (კირიონი).

ტრუკვა (ქიზიყ.) მედიდურობა, ამპარტავნობასავეთ (ს. მენთეშ.).

ტრუნჯი-ი (იმერ.) დამწვარი, გაშავებული, გახუხული (ვ. ბერ.).

ტრუნჯვა (ზ. იმერ.) სმა, ყლურქვა, ერთბაშად გადაკვრა (ზ. წერეთ.).

ტრუქვა (ფშ.) მარტოდმარტო დგომა, ყოფნა (ი. ქეშიკ.).

ტრუპანტული-ი (გურ.) სპირალური (გ. შარაშ.).

ტრუხუნ-ი (ქართლ.) ღრუტუნის ღორისა; ტ რ უ ხ უ ნ ა ღორი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ქეგლ).

9. ალ. ლლონტი, სიტყვის კონა.

ტრფუა! (ქართლ.) კამეჩის შეძახილი, რომ წავიდეს (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ტუ (იმერ.) ცური, ჯიქანი (დიალექტ., 672).

ტუა (ლენჩ., გურ.) ცური, ჯიქანი. ნ. ტუ (მ. ალავე, 1; გ. შარაშ.; დიალექტ., 679).

ტუარ-ი (აჭარ.) ფუნდამენტი, საძირკველი, საფუძველი (პ. ჯაჭან.).

ტუგა-ტუგა! (ქართლ.) ძალის დამახება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ტუგანა-ა (ინგილ.) ტუგია, ლეკვი (მ. ჯან.).

ტუგუ-ტუგუ (კახ.) ძალის დამახება. ნ. ტუგა-ტუგა (ა. მარტ., გ. იმნ.).

ტუზარა (ქსნის ხეობ.) უზრდელი, მოუხეშავი კაცი (ვ. სომხიშვე).

ტუზლუყვი-ი (ქიზიყ.) დამდგარი (დაყენებული) მარილწყალი (ს. მენთეშ.). თურქ.-აზერბ. tuzluk.

ტუვი-ი¹ (ქართლ.) სამ კვირტზე გასხლული ვაზი (კირიონი).

ტუვი-ი² (გურ., იმერ., ლენჩ.) კეტი, სიმინდის, ლობიოს დასაფშენელი კეტი ან გრძელტარინი ურო ხისა; და ტ უ კ ვ ა კეტებით ცემა (ვ. გვარ., 950; ა. ლ.; ვ. ბერ.; მ. ალავე, 2; ქეგლ). **ტუაღუა** (ქიზიყ.) ბოლჩასავით გამოკრული სამგზავრო რამეები: საგზალი, ტანისამოსი და სხვ. (ს. მენთეშ.).

ტუცნა (მთიულ.). 1. უმკროსი შვილი; 2. სიარულში ან თამაშში ჩამორჩენილი (ლ. კაიშ.).

ტულფ-ი (მესხ.) ტურფი, ფიწლის ან ფოცხის შუბლი, ტარზე სივანით წამოცმული ხე, რაზედაც კბილებია დასმული (ი. მაისურა).

ტუმარ-ი (გულდამაყრ.) ტომარა; საწყაოა, უღრის თთხ ფუთს (დიალექტ., 574).

ტუმნა (ხევსტრ.) კარგი მოსავლიანი. მდიდარი, პოხიერი მიწა (ა. კინჭარ., 196).

ტუნტე (მთიულ.) ფეიხუმი, უსუფთაო (ლ. კაიშ.).

ტუნტვრა (იმერ.) ხელის რაშიმე უცებ ჩაკვრა (ვ. ბერ.).

ტუნტრუცა-ი (გურ.) უზრდელი, ტუტუცი (ა. ლღ.).

ტუნტუო (ლენჩ.): „რავა დეილევა, ტუნტუბოსავითაა ე წყალი“ (მ. ალავე, 1).

ტუნტული-ი¹ (ქართლ., იმერ., ქიზიყ., ქსნის ხეობ.) სიარული უდროოდ დროთი (ი. ჭყონ.); ტანტალი, წანწალი (ს. მენთეშ.); ძუნძული, გამუდმებით სიარული (ვ. სომხიშვი.).

ტუნტული-ი² (ხევსურ.) რბილი სატანი (ნ.), ყველი (ა. ჭინვარ., 269).

ტუნტუბო (ლენჩ.) თხელი ტალახი (მ. ჩიქ.).

ტუნტური-ი¹ (ფშ.) ხეტიალი, წანწალი (ი. ჭეშვიკ.).

ტუნტური-ი² (ქსნის ხეობ.) მუშტის ქნევა მუქართ (ვ. სომხიშვი.).

ტუნტული (იმერ.) წვინტილი, ცხვირიდან გამონადენი სითხე სურდოს დროს (ი. ქავთ.).

ტური, **ტურიკო** (ქიზიყ.) სააღერსო მიმართვა ბავშვებისათვის (ს. მენთეშ.).

ტურაკანკა (გურ.) სახურავის დასამაგრებელი ხის ჭოკი (პ. ჭაჩან.).

ტურალობიო (იმერ.) სოია ანუ ძაძა („კომუნისტი“, № 294, 1967).

ტურაქალა/ე-ი (იმერ.) კუდიანა ქალი (ვ. ბერ.).

ტურტური-ი¹ (ფშ.) ჩურჩული (ვაჟა, I, ა. შან.).

ტურტური-ი² (ქიზიყ.) დაღერება, მოქნევა ჯოხისა ან სხვა რამისა. „ამთენ ტურტურ დარტყმა მჯობია“ (ს. მენთეშ.).

ტურტყ-ი (გურ.) ხის ღრუში ჩამდგარი მღვრიე წყალი (ვ. შარაშ.).

ტურულა (ქიზიყ.). 1. სტვირი; 2. კანკის ძვალი; 3. გრძელი და ვიწრო რამე, რომელსაც მასრასავით გული ფულურო აქვს (ს. მენთეშ.).

ტურქნა (ქიზიყ.) უმიზეზოდ წარამარა

დატუქსვა ბავშვებისა, უმთავრესად დედინაცვლის მიერ (ს. მენთეშ.).

ტუსვა (ქართლ., ქიზიყ.) ტრუსვა, ცეცხლის ალზე მოტარება ბალნის, ჭაგრის, ბუმბულის მოსაწვავად (ს. მენთეშ.); თმათ წვა (საბა).

ტუსლანგა (ქართლ.) ავმუცელა, ღორმუცელა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ტუსტუს-ი (ქართლ., ქიზიყ.) ბავშვის სიარულზე იტყვიან (ი. ჭყონ.); ფიცხლად და მოკლე ნაბიჯით სიარული, ბავშვმა რომ იცის (ს. მენთეშ.). შდრ.: ქეგლ.

ტუბა¹ (მთიულ.) ძალიან მლაშე (ლ. კაიშ.).

ტუბა² (იმერ.) ნაცარი (ვ. ბერ.).

ტუბლუბ-ი (მთიულ.) მეტად ცომი, ჩაცომებული (ლ. კაიშ.).

ტუბულაყ-ი (მესხ.) სტვირი, სალამური, საერთოდ ჩასაბერი საკრავი (ი. მაისურ.).

ტუბური-ი¹ (ლენჩ.) ტუჩი, პირი, ბაგეები. ანდაზა: „თავის ქონით ყურდგლის ტუტურს სწვადენო“ (მ. ალავე, 1; მ. ჩიქ.; დიალექტ., 679).

ტუბური-ი² (იმერ.) გაუფრთხილებლად ტრიალი ხელში ცეცხლის მსროლელი იარაღისა (ი. ქავთ.).

ტუტყნა (ქიზიყ.) ქუჭყიანი ხელების ხლება: ცომისა და მისთანათა ბავშვებისაგან ან დიდისაგან უხეიროდ ქვლეტა; თავის გაჭუჭყიანება (ს. მენთეშ.).

ტუტყუნი (ლენჩ.) უკმაყოფილოდ ხმადაბლა ლაპარაკი (მ. ჩიქ.).

ტუქსუს-ი (იმერ.) უნდო; ურცხვი; გაუტანელი. ნ. ცუხი² (ი. ქავთ.). აზერბ. ТУКСУС.

ტუყ-ი (ზ. აქარ.) დაბალი, ჩია, უწნო ტანის ადამიანი (შ. ნივარ.).

ტუჩალა (მთიულ.) დიდტუჩებიანი (ლ. კაიშ.).

ტუცი-ი (იმერ.) საღვისის ნემსი (ვ. ბერ.).

ტუხ-ი¹ (ფშ.) ბალახია მინდვრისა (ს. მაკალ).

ტუხ-ი², ტუხი-ტუხი! (ქიზიყ.) ღორის დაძახება (ს. მენთეშ.); ღორის მოწოდება (საბა); ღორთმოწოდება (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ).

ტუხტუხ-ი (ქიზიყ.) არევ-დარევა, არეულობა, უწესოება (ს. მენთეშ.).

ტუხიი! (ქართ.) ცხვრის დაძახება, როცა მარილს უყრიან (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ტუაბუჩა/ე-ა (იმერ.) ინფექციური ავადმყოფობაა, ტუავის გაძრობა იცის (ვ. ბერ.).

ტუავნი (ხევსურ.) ქურჭი (ა. ჰინჭარ., 249).

ტუამაღ-ი (იმერ.) ნაკლულ ჭურჭელში შენძრევისას სითხის ხმაური (ი. ქავთ.).

ტუაია (ქართ.) მსხლის ჯიშია (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ტუაბტუა-ი (ქიზიყ.) კეცხნა, ბაქიბუჭი (ს. მენთეშ.).

ტუაუნ-ი (იმერ., გურ.) წყალსა და ტაღაში სიარული, ტუაფუნი (ვ. ბერ.; ა. ლ.: ქეგლ).

ტუაუნა¹ (ქიზიყ.). 1. ტრაბახა, მკეცხარა; ნ. ტუაბტუაი; 2. ლალი, თამამი მცენარეული (ს. მენთეშ.).

ტუაუნა² (ქსნის ხეობ.) მსხლის ჯიშია ერთგვარი (ვ. სომხიშვი.).

ტუარტუარ-ი (ქიზიყ.) სიწითლის ელვარება, ფერის კაშკაში (ს. მენთეშ.).

ტუაჩანი (ქიზიყ.) ტულაშანი, მძიმე საგნის წყალზე ერთგზის დაცემით გამოწვეული ხმა (ს. მენთეშ.).

ტუაქანი (ქიზიყ.). ნ. ტუაჩანი.

ტუაჭუნი (ქიზიყ.) გადატ. მომამებურებლად ლაპარაკი (ს. მენთეშ.).

ტუელ (ინგილ.) ბრტყელი, ფართო (დიალექტ., 623).

ტუეთა წმინდა (ლენჩხ.) ნადირთ უფროსი (მ. ჩიქ.).

ტუვაპე (რაჭ.) ჩავარდნილი ადგილი

მთებს შორის („კომუნისტი“, № 294, 1967).

ტუვეპერა/ე-ა¹ (იმერ.) ლაყე კვერცი (ვ. ბერ.).

ტუვეპერა² (იმერ.) ტლანჭი, უწნო, მოუხეშავი. „იმ ქალს ტუვეპერა სახე აქვს“ (ვ. ბერ.).

ტუვეპი (იმერ.). ნ. ტუვეპერა/ე-ა¹.

ტუვილფას-ი (იმერ.) მუქთი, ძალზე იაფი; ტუვილფასში გაყიდვა მუქთად, ძალზე იაფად გაყიდვა (მ. ალავე. დ. კლდ. ლექსიკ.).

ტუმაღ-ი (ქიზიყ., ინგილ.) ტუემაღი (ა. მაყ.).

ტუიორობა (ლენჩხ.) გაზაფხულზე ტუის გაფოთლება (მ. ჩიქ.).

ტუი-ი (ლენჩხ.) უხეირო, უვარგისი, გლახა (მ. ჩიქ.).

ტუიანი (ლენჩხ.) არაპატივისცემი ლაპარაკი, არამკითხაობა (მ. ჩიქ.).

ტუის გვიშრა-ი (გურ.) მთის ჩაღუნა, მცენარეა (ა. მაყ.).

ტუის გღერტა (იმერ.) მჭადა, მცენარეა (ა. მაყ.).

ტუის გუმბრა-ი (გურ.). ნ. ტუის გვიშრაი.

ტუის ვაშლ-ი (ლენჩხ.) მწარე ვაშლი, მაყალო (ა. მაყ.).

ტუის თუთუნ-ი (ლენჩხ.) ლენცოფა, მცენარეა (ა. მაყ.).

ტუის ხარო (ხევსურ.) ფუტკარა, მცენარეა (ა. მაყ.).

ტუის ტაბელა (გურ., ქვ. იმერ.). ნ. ძროხიენა.

ტუის ქათამ-ი (გურ.) გარეული ფრინველია. ნ. ჭყრიამპო (ა. ლ.).

ტუის ქონდარა (იმერ.) ონჭო, მცენარეა (ა. მაყ.).

ტუის ყაყაჩო (ქართლ., ქიზიყ.). ნ. გუგულის კაბა.

ტუის წიწმარიტა (გურ.) ტუის წიწმარი, მცენარეა (ა. მაყ.).

ტუის ჭორიკანა (ზ. იმერ.) მჭადა, მცენარეა (ა. მაყ.).

- ტყეა** (რაკ.) მწერია ტყის მსგავსი (ლაგვანთა, ი. თავაძე).
- ტყაბ-ი** (ფშ., ლეჩხ., ზ. აქარ., მთიულ., ქსნის ხეობ.) ლაბაში, გაცვეთილ ფეხსაცმელში ჩაგებული ტყავის ნაჭერი (ვაჟა, I, 1946, ა. შან.; ქველ); გახეულ ქალამანში ჩასატანებელი ტყავი (მ. ჩიქ.); ქალამანში ჩასაგები ტყავის ნაჭერი, ლანჩა (შ. ნივარ.); ნაგლეჯი ძველი ქსოვილისა, ჩვეულებრივ, ძველი ტანისამოსისა (ლია-ლექტ., 569); საკერებელი ნაჭერი. «ერთი ბეწო ტყლაპი რამ დაადე, დახეული რო გაქ ე ხალათი» (ვ. სომხიშვი).
- ტყაბ-ი²** (ჩ. თუშ.) ერთხელ გარეცხილი მატყლი (ვ. ჭრელ., 264).
- ტყაბა** (რაკ.) ურმის ხელნების ქვედა პირზე დამატებული ხის ნაჭერი, დათვეა (ვ. ბერ.); ურმის ნაწილია (შ. ძიძ., 214).
- ტყაპანა** (კახ.) ლობიოს ჭიშია ერთგვარი (ა. მარტ., გ. იმნ.).
- ტყაპუნა ჩალა** (ქიზიყ.) შხაპრი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ტყარტ-ი** (მთიულ.) გამოუმშრალი, დაცემული, ლეკეზა (ლ. კაიშ.).
- ტყარტვა** (ქართლ.) თავის გამოდება, მედიდურობა, დღლარძვა (ი. ჭყონ.; ქველ).
- ტყაშანი** (ქიზიყ.). ნ. ტყაჩანი.
- ტყაშუნა** (კახ.). ნ. ბანგა.
- ტყაჭვა** (ქიზიყ.). ნ. ტყარტვა.
- ტყაქა** (იმერ.) ღონივრად რტყმევა. «ძალიან იჯიმებოდა, მარა რტყლზე გატყლიქეს» (ვ. ბერ.).
- ტყლი** (გურ.) ელენთა; ტყლიპიანი-ი ელენთადსივებული, მუცელგამობერილი (ა. ლ.).
- ტყლიპზე გასიება** (იმერ.) გადატ. ძალზე ვალახვა. «გვიდევით თონი ფხარზე და ყანაში წადი, თვარა სულ ტყლიპზე გაგასიეფ, იმდენ გირტყამ» (ვ. ბერ.).
- ტყლიპი** (გურ.) ტყლიპიანი კაცი; ზოგჯერ მეტსახელი ტყლიპიანი კაცისა (ა. ლ.).
- ტყლიყვა** (იმერ.). ნ. ტყლევა.
- ტყლურტი** (ქიზიყ.) ჩვილი ცომი; ტყლურტი-ი პურ-ი ცომი, გამოუმცხვარე პური (ს. მენთეშ.).
- ტყლურტვა** (ქართლ.) მეტისმეტი სმა (წყლისა, ღვინისა, არაყისა და სხვ.). «ჩვენსა მოხვალ—ღვინოს ტყლურტვა, თქვენსა მოვალ—თვალებს მხუტავ» (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ტყლუსური** (ქიზიყ.). ნ. ტყრუშული.
- ტყობრა-ი** (გურ.) ხის კანი, ხმარობენ კარვების დასახურავად ტყეში (გ. შარაშ.).
- ტყრამუნ-ი** (თუშ.) მტვრევით ღებვა (პ. ხუბ.).
- ტყრიალ-ი** (ხევსურ.) ხმა ტაშისა და ფანდურისა (ა. შან.).
- ტყრიშიალ-ი** (მოხ.) ძლიერი ხმა, ხმაურობა (ო. ქაჯ.).
- ტყრომა** (ფშ.) გრიალი, ქეჭა (ი. ქეშვიკ.).
- ტყრუშული ღობე** (ქიზიყ.) წნული ღობე (ს. მენთეშ.); სხვლი წნელის ღობე (საბა; დ. ჩუბ.; ქველ).
- ტყრშიალ-ი** (მოხ.). ნ. ტყრიშიალი.
- ტყულა-ი** (გურ.) ტყვილა. «აფერი არ მწყენია, ასე ტყულა ი» (ე. ნინ., II, თ. კიკვი; ა. ლ.).
- ტყუპალა** (იმერ.) ქანჭური ანუ კორკი-მელი («კომუნისტი», № 294, 1967); ქლიავის ჭიშია (მ. ალავ., 3).
- ტყურუშული** (კახ.) ტყრუშული ღობე (ნ.) (პ. ხუბ., ანგარიში).
- ტყუპი** (ქიზიყ.) ტყუპი, ორი და ორზე მეტი ერთმანეთს შეზრდილი ნაყოფი ვაშლისა, კაკლისა, თხილისა და ა. შ. (ს. მენთეშ.); ტყუპი ხილისა, წყვილი (საბა; დ. ჩუბ.; ქველ).
- ტყუჭალა-ა** (აქარ.) ნ. ბოჯახი.

უ

უა (იბერ.) ცხენის კისრის ავადმყოფობა (ვ. ბერ.).

უა (ქსნის ხეობ.) კნინ. სუფიქსი, დაერთვის ო-ზე დაბოლოებულ საკუთარ სახელებს: ვანო—ვანუა, ვასო—ვასუა, სანდრო—სანდრუა, ნიკო—ნიკუა... (ვ. სომხიშვი.).

უამურ-ი¹ (ქიზიყ.) უსიამოვნო, არასასიამოვნო (ს. მენთეშ., დამ.).

უამურ-ი² (გურ., ზ. აჭარ.) რომ არაფერს გასიამოვნებს, ისეთი ადამიანი (გ. შარაშ.); გონჯი, უნდლი, ხელგამოუსვლელი ადამიანი; კაცი, რომელიც არაფერს გასიამოვნებს (შ. ნიგარ.).

უარება (ლენხ.) აუარება, აუარებელი (მ. ჩიქ.).

უბარ-ი (აჭარ.) 1. ცუდი, არასასიამოვნო, დაუშვებელი, მიუღებელი; 2. უვარგისი (შ. ნიგარ.).

უბაშარო-ა (თუშ.) უღონო, სუსტი (პ. ხუბ.).

უბეურ-ი (ქართლ., ქიზიყ., ქსნის ხეობ.) კვადრატული, ოთხკუთხი (ი. ჭყონ.); კვადრატული, ერთი განით ირიბად მოკეცილი და შემდეგ გადაჭრილი ნაჭერი (ს. მენთეშ.; ვ. სომხიშვი.; ქეგლ.).

უბეჩებელი-ი (გურ.) გაუკეთებელი, დაუძლეველი, შეუხრულებელი (პ. ჯაჭან.).

უბირ-ი¹ (ფშ.) უვიცი, უწიგნური; გონჯი, უშნო, ულამაზო (ვაეა, I, ა. შან.); გამოუცდელი, უცოდინარი, ბრიყვი (ვაეა-ფშ. მც. ლექსიკა.).

უბირ-ი² (ლენხ.) 1. ყამირი, უყი მიწა; 2. ტინიანი, მოუტეხავი (მ. ჩიქ.).

უბირ-ი³ (რაქ.) აყალო მიწით დაგლეხილი ქვევრის თავზე მოყრილი სუფთა ფხვიერი მიწა („კომუნისტი“, № 187, 1968).

უგაბ-ი¹ (გურ.) უშნო მიხვრა-მოხვრის ადამიანი (ი. ჭყონ.); უხეში, მოურიდებელი, ცუდი ქცევის ადამიანი (ა. ლა.).

უგაბ-ი² (ლენხ.) დაუმწიფებელი, მკვახე ხილი (მ. ალავე, 2).

უგაბ-ი³ (რაქ.) უმარალო საკმელი (ქიორა, მ. რეხვიაშვილი).

უგაბა-ი (გურ.) ავადმყოფი, დაპატარავებული ჭია აბრეშუმისა (გ. შარაშ.).

უგაბავ-ი¹ (რაქ.) უხარშავი, უგბილი (ვ. ბერ.).

უგაბავ-ი² (რაქ.) იტყვიან უმწიფარ, მკვახე, შემოუსვლელ ხილზე („კომუნისტი“, № 294, 1967).

უგალავ-ი (ლენხ.) 1. მოუხარშავი; 2. დაუმწიფებელი. „რალა ამ უგალავ მსხალს ჭამ, კუტა!“ ნ. უგაბავი^{1,2} (მ. ალავე, 1).

უგალობ-ს (მთიულ.) ა რ უგალობს არ ეხერხება, არ შვენის რაიმე საქმის კეთება (ლ. კაიშ.).

უგანგებო (ლენხ.) უგუნური, შეუხგნებელი (მ. ალავე, 1).

უგდული-ი (ქსნის ხეობ.) ურდული (ვ. სომხიშვი.).

უგერაილო (ქართლ. ფშ. ქიზიყ.) ნ. უგერგო.

უგერგო (ქართლ.) უფხო, მოუხერხებელი, უმარჯვო ადამიანი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

უგერშოთ, უგეშოთ (ქიზიყ.) უკვალოდ, უნიშნოდ (ს. მენთეშ., დამ.).

უგეშ-ი (გურ.) მოურიდებელი, წინდაუხედავად მოქმედი (გ. შარაშ.).

უგეშოთ (ქიზიყ.) ნ. უგერშოთ.

უგვი (ზ. აჭარ.) მოხარდი, ბერწი საქონელი (შ. ნიგარ.).

უგლაგარჯ-ი (მესხ., გურ., ქართლ.) უშნო, გონჯი, მიიმახი (ი. მაისურ.; ა. ლა.); უგლაგაჯ-ი (ს. მენთეშ., ქართლ.; მ. მესხ.).

უგლავ-ი (ლენხ.) დიდი ტანის ავი მამაკაცი (მ. ალავე, 2).

უგონთო (მოხ.) უგონო, უქკუო, გონებადახშული (ო. ჭაქ.).



უგრეხელა (ფშ.) უგრეხელი, მცენარეა (ა. მაყ.).

უგულო (ქსნის ხეობ.) მსხლის ჭიშია ერთგვარი (ვ. სომხიშვი.).

უღა (ხევსურ.) არაყი და ლუდი ბავშვის ენაზე (ა. ჭინჭარ., 216).

უღარღავი (ზ. იმერ.) უმარავი, ბევრი (ქ. ძოწ.).

უღარღარელა (ქსნის ხეობ.) დიდი, უზარმაზარი. „ერთი უღარღარელა პური ეჭირა ხელში“ (ვ. სომხიშვი.).

უღგამი¹ (მთიულ., ქიზიყ.) უხმარი ჭურჭელი (ლ. კაიშ.); ჭურჭელი, ჭერი რომ არაფერი ჩასხმულა. პირველად ჩასხმულს თავისებურ გემოს აძლევს (ს. მენთეშ.).

უღგამი² (ხევსურ.) მეწველი საქონელი, რომელსაც რძე აქვს, მაგრამ არ იძლევა (ა. ჭინჭარ., 233).

უღერღი (თუშ.) ბევრი (დიალექტ., 584; თ. უთურგ.).

უღიარი (ქართლ., მოხ.) უდიერი, უგულოდ რომ ექცევა ადამიანს, საქონელს (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ტანჯვა, წვალება (ო. ქაჯ.).

უღმაღაძე (თუშ.) ჩუმიად (დიალექტ., 584; თ. უთურგ.).

უღოჭშელე (ინგილ.) დაუშლელი (დიალექტ., 623).

უღუღური (იმერ.) უკუყო, მოუბრუნებელი, ტუტუცი (ვ. ბერ.).

უღუღეველი (აჭარ.) დაუღეველი, უღვივი, გაუთავებელი (შ. ნიყარ.).

უღუშლივ (ფშ.) ჩუმიად, მიპარვით (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიყ.).

უღუძინებელი (აჭარ.) დაუძინებელი (შ. ნიყარ.).

უღღებმო (ხევსურ.) ბეჩავი, საწყალი. ნ. მწერელტყვე (ს. მაყალ.).

უვარღება (ინგილ.) ერგება. „ამ ღღეს მკვდარს საკლავი არ უვარღება... მოსულ ხალხს ყველით, პურიითა და სხვ. ისტუმრებენ“; ჩაუვარღება მიერგება. „სულის პური მკვდარს ჩაუვარღება... მხოლოდ

სამშაბათს, ხუთშაბათს, ან შაბათს“ (გ. ჯან., 161, 162; ა. შან., 348).

უზაბაკო (ლეჩხ.; გურ.) უნაკლო, უმიზეზო. „უზაბაკო შვილები მყავს დიახაც“ (მ. პლაყ., 1).

უზადკვატო (ფშ.) უზადო და უნაკლო (ი. ქეშვიკ.).

უზი (თუშ.) უქენი, უყავი. „ქისტო, რად უზი ღალატი, რად ჭარ, გაღაღვი გონზედა“ (პ. ხუბ.).

უზალიკი (მესხ.) ნ. უზალუგი.

უზალუგი (მესხ.) მარამ საყმელა, სამკურნალო ბალახია (ა. მაყ.; ი. მიისურ.).

უზანი (ქიზიყ.) ხეა, კარგი სახრე და ჭობი იცის, შოლტად და მთრახის ტარადაც კარგია (ს. მენთეშ.).

უზანდარაი (გურ.) კარადა სამზარეულო სახლში საქმლისა და ჭურჭლის შესანახად (ს. ელ.); სამზარეულო სახლის კედლებში დატანებული კარადა საოჯახო ნივთებისა და დამზადებული საქმლისათვის. ნ. ოზანდარა (ა. ღლ.). თურქ. musandira.

უზარმაცი (ვახ.) აზარმაცი (ა. მარტ., გ. იმნ.).

უზაური (ლეჩხ.) უზარმაზარი, დიდი, ვებერთელა (მ. ალაყ., 2).

უზაფთო (იმერ.) უღონო; მოუხერხებელი (ი. ქავთ.); უზაფთოთ (ლეჩხ.) უსიცოცხლოდ, უუნაროდ (დიალექტ., 679).

უზღელა (გუდამაყრ.). ნ. ბაჩა¹.

უზმი (გურ.) უზმო, დილით უსმელ-უქმელი; უზმათ მუედი უსმელ-უქმელი მოვედი (ა. ღლ.).

უზნი (ქართლ., კახ., აჭარ.) უზანი, მცენარეა (ა. მაყ.).

უზნაური, **უზნოური** (გურ.) ცუდი ზნის, უვარგისი, ავი ხასიათისა (გ. შარაშ.).

უზნოური (გურ.). ნ. უზნაური.

უზუგი (იმერხ.) ბუჭედი (ნ. მარი; შ. ძიძ., ჭრესტ.; დიალექტ., 654). თურქ. yüzük.

უზურში ყოლა (ქართლ.) მხედველობაში ყოლა, გულისხმება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

უთავუშხა (ქიზიყ.) მიარტყა; გადატ. გადაჭრა, დალია ღვინო, არაყი და მისთ. (ს. მენთეშ.).

უთულ-ი (ლენჩხ.) მეტსახელია ერთგვარი (მ. ჩიქ.).

უთხოვარი¹ (კახ., ფშ., ხევსურ.) ურთხმელი (ა. მაყ.).

უთხოვარი² (მოხ.) თხოვა-გარიგების გარეშე ამორჩეული საცოლუ (დიალექტ., 564).

უინცარი (ლენჩხ., იმერ.) ეშმაკი, მოუსვენარი (მ. ჩიქ.); უცნაური (თ. ოქროშიძე, სოფ. ჭოლევი).

უკადრისა (გურ.) შეველეა, მცენარეა. ნ. ექესყური (ა. მაყ.).

უკავატო (ხევსურ.). ნ. ფოხალი.

უკახქნელო (ლენჩხ.) კარგის უქმნელი; ადამიანი, ვინც კარგს არ იქმს, შერება (მ. ალავე, 3).

უკარა-ა (მესხ.) მიუკარებელი, მარტოდ ყოფნის მოყვარე ადამიანი (ი. მაისურ.).

უკაფ-ი (ქართლ.) ჭალის ტყის მოვლილი ნაკვეთი, სადაც ხეებს არ კაფავენ, უელიან და ზრდიან (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

უკენ, **უკენა** (ხევსურ., მოხ., მთიულ., გუდამაყრ., თუშ.) უკან, უკანა (ა. შან.; დიალექტ., 564; 569; 574; 584).

უკენა (მოხ., მთიულ., გუდამაყრ.). ნ. უკენ.

უკვდავა (გურ., აქარ.) დანდური; კლდის ვაშლა, მცენარეა (ა. მაყ.).

უკვდავა ფხალი (იმერ., გურ.) მსუქანა, მცენარეა (ა. მაყ.).

უკვენ, **უკვენა** (ფშ., თუშ., ქართლ.) უკან, უკანა (ვაჟა, I, ა. შან.; დიალექტ., 594; 584; 642).

უკვენა (ფშ., თუშ.). ნ. უკვენ.

უკვირმაკვირი (ლენჩხ.) ადამიანი, ვისაც სხვისი ნამოქმედარი არ მოსწონს, ნიდავ აკვირვებს (მ. ალავე, 2).

უკლაკავო (ფშ.) უეჭველი, საიმედო (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

უკილოდ (ფშ.) უკილოდ, უადგილოდ, უშნოდ, მოუხერხებლად, უწესოდ, ურიგოდ (ვაჟა, IV, ა. შან.; ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

უკლო-ა (თუშ.) ბეჩავე; ობოლი (თ. უთურგ.).

უკლონ-ი (ფშ.) შევეთში მყოფნი გარდაცვალებულთა სულნი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 168; 1900; ი. ჭყონ.).

უკმაყური (გურ., იმერ.) უწმარური, უხეირო (გ. ბერ.); ახირებულის, უვარგისი, ავი ხასიათისა, უხეირო. „ერთმა ღარიბმა კაცმა ითხოვა ცოლი, რომელიც ძალიან ანჩხლი, ენამწარე და უკმაყური ხასიათისა გამოდგა“ (ა. ლ.).

უკმაიხ-ი (ფშ.) უკადრისი, თავმოწონე (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).

უკმობ-ი (გუდამაყრ.) უკმები, საწყენი (დიალექტ., 574).

უკუ (გურ.) ყვიინი, კვილი, ყვირილი; უკუს გადაძახება დაყვიინება, დაკვილებმა, მიცვალებულის შეცხადება. ნ. უბუ (ა. ლ.).

უკუმ-ი (მთიულ.) უკუნი (ლ. კაიშ.).

უკუნ-ი (გურ.). ნ. წარმო.

უკუნეთ-ი (იმერ.). ნ. კუკუნეთი.

ულამ-ი (ქართლ., მთიულ., მოხ., ქსნის ხეობ.) მოხმარება შეშის მოტანაში, ნადი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ლ. კაიშ.; ო. ჭაჯ.; დიალექტ., 564; ვ. სომხიშვი.). თურქ. ulam.

ულაილი¹ (ქიზიყ.) კაცის სადა ფეხსაცმელი (ს. მენთეშ.).

ულაილი² (იმერ.) წულის კალაპოტი (გ. ბერ.). თურქ. uluayak.

ულაფ-ი (აქარ.) თივა (მ. ჭაჯან.). თურქ. არაბ. alaf.

ულაში-ი (ქართლ.). ნ. ურმაში.

ულეწავა (რაქ., ლენჩხ.). ნ. ულეწელა.

ულეწელა (ქართლ., კახ.) ვარდვაჭა, მცენარეა (ა. მაყ.).

- ულიგმოტო** (ხევსურ.) უმარილო რამე (ა. ჭინჭარ., 269).
- ულმაში**-ი (ქართლ.). ნ. ურმაში.
- ული** (ქართლ., მოხ., კახ.) ძნის შესაკრავი დავრებილი სველი ან დამბალი პურის თამამი ლეროები (დიალექტ., 564; 642). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- ულულუგი**-ი (ჭიზიყ.) უცხიმო და უმარილო შეჭამადი, უგემურია (ს. მენთეშ.).
- ულურს**-ი (ფშ.) ციმციმა, ბრწყინვალე (ი. ქეშიყ.).
- ულული**-ი (ფშ.) გარეგნობა, შეხედულება (ი. ქეშიყ.).
- ულლუნი**-ი (კახ.). ნ. ილლუნი.
- ულუფარდ**-ი (გურ.) თეთრი ღუმფარა, მცენარეა (ა. მაყ.).
- ულულან** (ინგილ.) იაღლუნი, მცენარეა (ა. მაყ.).
- უმ, უმე** (ინგილ., აჭარ.) რომ (დიალექტ., 660; შ. ძიძ., ქრესტ.).
- უმ, უნდ** (ინგილ.) უნდა, საჭიროა (დიალექტ., 623).
- უმალამდეღი**-ი (ზ. იმერ.). ნ. უმანდეღი.
- უმანდეღი**-ი (რაჭ., აჭარ., გურ.) წინანდეღი, უწინდეღი, ადრინდეღი (დიალექტ., 689; შ. ძიძ., ქრესტ.; ა. ლ.).
- უმანი**, **ფოთორო** (გურ.) სორო (გ. შარაშ.).
- უმანილო** (ხევსურ.). ნ. ვამხანე.
- უმართისა** (მთიულ.) ძროხა, რომელიც ადრე (ორ წლამდე) იხარებს და მოიგებს (ლ. კაიშ.).
- უმარილი**-ი (გურ., იმერ.). ნ. უმარული.
- უმარტისოთ** (ქართლ.) უდროოდ (ი. ჭყონ.); **უმარტის**-ი მოუმწიფებელი საქონელი ადრე დამაკებული (პ. გაჩეჩ.).
- უმარული**-ი (გურ.) უმარილი, პირსაცხებელი ქალთა. ამზადებენ ვერცხლის წყლისა და გოგირდის სიმკვავის შერთებით (ა. ლ.).
- უმატისა**-ი (გურ.) რაც არ მატულობს, არ იზრდება. „რას შობა შენი უმატისაი ხდოი?“ (გ. შარაშ.).
- უმდილი**-ი (მთიულ.) მკვახე (ლ. კაიშ.).
- უმი ხე** (ჭიზიყ.) მოჭრილი და გაუთლელი ხე, მორი (ს. მენთეშ.).
- უმსვენელი**-ი (ფშ.) შეურყვენელი, შეუბღალავი, შეურცხვენელი (ი. ქეშიყ.).
- უმსნელი**-ი (ჭიზიყ., ქსნის ხეობ.) გაურცხელი, ახალთახალი (ს. მენთეშ.); უხმარი, სრულიად ახალი რამ (გ. სომხიშე.).
- უმუსო** (მოხ.) სხვა დროს. „უმუსოდ სულ აქა და ეხლა სადღა წავიდაო“ (ო. ქაჯ.).
- უმყოფლავ**-ი (ხევსურ.) სახლი, სადაც ჯერ არავის უცხოვრია. შდრ.: ნამყოფლავი (ა. ჭინჭარ., 289).
- უმძრახი**-ი (ჭიზიყ., ქართლ., ხევსურ., მოხ., ქსნის ხეობ.) უბარი, უბრად მყოფი, დამდურებული, გაბუტული. ნ. უმძრახი (ს. მენთეშ.; დიალექტ., 557; 564; გ. სომხიშე.). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- უნა** (მთიულ., ჭიზიყ., ქართლ., ჯავახ., იმერ., რაჭ.) უნდა (დიალექტ., 569; 609; 642; 649; 672; 689).
- უნა, უნიკა** (რაჭ.) კნის სუფიქსები: გოგუნა, თოხუნა, კეტუნა, ერთუნა... ბიჭუნია (დიალექტ., 689).
- უნაგირა** (ხევსურ.) ნაჭარგის (ნაქსოვის) სახეა ერთგვარი (ს. მაკალ.; ა. ჭინჭარ., 262).
- უნაირო** (იმერ.) უნირო, უმსგავსო, უმნო (დიალექტ., 672; ქეგლ.).
- უნანდაურო** (ფშ.) ვისაც სასურველი თანატოლი, წაწალი არა ჰყავს. „ფშავეთში უნანდაუროდ. მგონია, ხეჰვაც არ იყო“ (ი. ქეშიყ.).
- უნას**-ი¹ (რაჭ., ზ. იმერ.) გველი (შ. ძიძ., 214; ქ. ძოჭ.; ქეგლ.).
- უნას**-ი² (ხევსურ.) პირუტყვის სალანდავი სიტყვაა (ა. ჭინჭარ., 233).
- უნაური**-ი (ლენჩ.) ეშმაკი, მაცდური (მ. ალავე, 1).
- უნაფქვით** (ჭიზიყ.) უფქვილოდ (ს. მენთეშ.).
- უნაფქობა** (ქართლ.) უფქვილობა, წის-

ქვილის დატვირთვისა თუ უწყობის გამო საფქვავის დაუფქველობის მიზეზით ფქვილის ვაჭირვება (მ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

უნაქსო (ქიზიყ.) უბარაქო. „რა უნაქსოა ჩვენებიანთ მოსე, ერთ დღეა რო აქ, მეორე დღეა აღარა აქ“ (ს. მენთეშ.).

უნაქფო (ქართლ.) უფქვილო. ნ. უნაფქობა (პ. გაჩეჩ.).

უნაყრო (მთიულ.) უსაუზმო, უზმი (დილაქტ., 569; ლ. კაიშ. ქეგლ).

უნაწილო (მთიულ.) ნ. უნაყრო.

უნახველა (გურ.) ქვეწარმავალია ერთნაირი (გ. შარაშ.).

ონაჩიშო (ქართლ.) უჯიშო, უგვანო, ცუდი შთამომავლობისა (გ. შატბერ., 97).

უნდი (მესხ.) ლაქაში, მცენარეა (ა. მაყ.).

უნდავი (ფშ.) ვისაც არ უყვარს; ვინც არ გიყვარს, არ მოგწონს, არ გინდა (ფაქა, I, ა. შაშ.).

უნდარის (ფშ.) უნდა (დილაქტ., 594).

უნდილი-ი¹ (ქიზიყ.) გამოუწვავი ჭურჭელი; ვადატ. უფხო, მოუხერხებელი ადამიანი (ს. მენთეშ.; დილაქტ., 609).

უნდილი-ი² (ქიზიყ.) უმწიფარი, შემოუსვლედი საზამთრო, ნესვი, გოგრა და მისთ. (ს. მენთეშ.).

უნდომი (გურ.) ცოტათი სნეული (ი. ჭყონ.); ავადმყოფი, სნეული. „უნდომების ვადაკიდეს დამყოფნდა შევამარხვამდის“ (ა. ფლ., გურ.; ს. ჟლ.).

უნელი-ი¹ (გურ.) მოუხრჩენელი, მოუწელებელი. „გაგიჩნდა, შვილო, უნელი“ (ვ. ბერ.); უწელებელი, ჩაუქრობელი ხანძარი; წყევლა: „უნელში გამეგზავნე განგების წყალობით!“ (ა. ფლ.); „უნელად მივსპე!“ (ს. ჟლ.); უცნაური; უსაშველო, გაუნელებელი. „ქვალი შამუაფრინდა უნელი“ (გ. შარაშ.; ქ. სიხ.).

უნელი-ი² (ზ. აპარ.) უცნაური, უჩვეულო (შ. ნიქარ.).

უნვაში (ქართლ.) ნ. ურმაში.

უნიაგაბო (გურ.) უმსგავსი, საძაგელი. „ასე უნიაგაბო და უხეირო ნასაქმობი იცოდა“. ნ. უგაბი! (ე. ნინ., II, თ. კიკე.; გ. შარაშ.; ს. ჟლ.).

უნოსკო (მოხ.) უნასკვო, უკვანძო, უმარყუტო (დილაქტ., 564).

უნშუ (გურ.) მანდარინის გავრცელებული ჯიში ძველად, უნშიუ (ა. ფლ.).

უნძრახი (მოხ., ქართლ.) ნ. უმძრახი.

უნჩხა (ლენჩხ.) ნ. ცირცხა.

უნჭილი (იმერ., გურ.) ცუდი, გამხმარი, დავალული, ჭირიანი. „იმისთანა უნჭილი ვაშლი კაცს კი არა, ღორს არ ეჭმება“ (ვ. ბერ.); მოუხარშავი, მკვახე (პ. ჯაჭან.); უმწიფარი (ი. მეგრ., 188).

უნჯი-ი¹ (მთიულ.) სპილენძის ჭურჭელი (ლ. კაიშ.).

უნჯი-ი² (მოხ., ფშ., გურ.) განძი, ქონება (ა. ყაზბ., III, შ. ძიძ.; ე. ნინ., I, თ. კიკე.).

უპუ (გურ.) გამოძახილი, ექო, ყიფინა (ი. ჭყონ.; გ. შარაშ.).

უპწკელი (ქართლ.) უხმარებელი, გამოუყენებელი (მ. მესხ.).

უემურ-ი¹ (გურ.) ჭაობის ციებ-ციხელება (ე. ნინ., I, თ. კიკე.; ს. ჟლ.; ა. ფლ.).

უემურ-ი² (ფშ.) გვიანი ღამე, უდროოდრო (ა. ჭინჭარ., ფშ.).

უემურა-ი (მთიულ.) კრაზანა, მცენარეა. ნ. ჩაის ყვავილი (ა. მაყ.).

უემურის ყვავილი (ხევსურ.). ნ. ჩაის ყვავილი.

ურად-ი (ქართლ.) ურვათი (ნ.) (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ქეგლ).

ურატა (გურ., იმერ.) ხის პატარა ურო, დურგლების ზელსაწყო (ვ. ბერ.; ა. ფლ.).

ურბა (იმერხ.) ნ. რემა¹.

ურბეთ-ი¹ (ხევსურ.). ნ. ურვათი.

ურბეთ-ი² (ფშ.) სახსარი, ტყვის გამოსახსნელი სასყიდელი (დილაქტ., 594).

ურდიანი (თქშ.) მრავალი (ი. ბუქსურ.).

- ურდუმი-ი (რაკ.) ბოსლის სარკმელი ნებვის გადასაყრელად (ი. ჭყონ).
- ურეკი-ი (გურ.) ბნელი, ღრმა, გაუვალი ადგილი, ტყე; უ რ ე კ ი ტყე-ი გაუვალი, უდაბური ტყე (ს. ჟღ.; ა. ლღ.).
- ურვა (მთიულ.) საქონლის წმენდა, ურვაება (ლ. კაიშ.).
- ურვად-ი (მოხ., მთიულ.). ნ. ურვათი.
- ურვათ-ი, ურვად-ი (მოხ.) საქონლით გადასახადი საცოლისათვის (სასიძო აძლედა საცოლის მშობლებს) (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.; ო. ქაჯ.).
- ურვილ-ი (ფშ.) შეწუხებული, მოწყენილი, დაღონებული (ი. ქეშიკ.).
- ურთხველა (რაკ., ლეჩხ., იმერ., გურ.). ნ. ურთხველა.
- ურთხლ-ი (ქართლ., გუდამაყრ.) ურთხელი (ა. მაც.; დილაქტ., 574).
- ურთხმელა (რაკ., ლეჩხ., იმერ., გურ., აჭარ.) ურთხელი (ა. მაც.).
- ურიალა (იმერ.) ბავშვთა სათამაშო პატარა ურემი (ვ. ბერ.).
- ურიკლე (რაკ.). ნ. რიკლება.
- ურიშა (ქართლ., ზ. იმერ.) ბურჩხა, მცენარეა (ა. მაც.).
- ურკელა-ა (მოხ.) დეკის წიქლის კონა (ო. ქაჯ.).
- ურმაშ-ი (ქართლ.) ულვაში (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ურნაბ-ი (გურ.) უნაბი, მცენარეა (ა. მაც.).
- ურნალ-ი (რაკ., ლეჩხ., ზ. იმერ.) ურო (ნ.), ბალახია ერთგვარი (ა. მაც.; ვ. ბერ.).
- ურნაველის ბალახ-ი (ზ. იმერ.). ნ. ლომფეტვა.
- ურნატ-ი (თუშ.) გუთნის მიერ ვატანილი პირველი კვალი (პ. ხუბ.).
- ურნატა (ხევსურ.) ფრინველია ერთგვარი, რომელიც კვალზე, ე. ი. ორნატზე დაეძებს ხოლმე ჭია-ღუსას და ამიტომ მიუღია ეს სახელწოდება, ნ. მებანიე, საქნაურა (ა. ჭინჭარ., 199).
- ურო¹ (ფშ., ქიზიყ.) ბალახია. ნ. მურო (ვაჟა, I, 1946, ა. შან.); წმინდა ბალახია ჩვენი ველებსათვის დამახასიათებელი (ს. მენთეშ.; ა. მაც.).
- ურო² (რაკ.) უბედური (ვ. ბერ.).
- უროზანდ-ი (ვახ.) მცენარეა. ნ. ურო¹ (ა. მაც.).
- უროცოცხა (ქართლ.) ბალახია ერთგვარი. ნ. ურო¹ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- უროკვედა (ქიზიყ.) ურო+კვედა, უროზე პატარა და ხვედაზე დიდი. „ახალ ურემ გავეყთებ, კვლთ დავიჭერ უროკვედას“ (ს. მენთეშ.).
- ურსა (ხევსურ.) პატარა ცივი იარაღი ერთგვარი (ა. ჭინჭარ., 305).
- ურუბა (ზ. აჭარ., გურ., იმერ.) ტანსაცმელი, ტანისამოსი. ნ. რუბა (შ. ნიყარ.; შ. ძიძ., ქრესტ.).
- ურუშ-ი (იმერ.) უპურმარილო, უხასიათო კაცი (ვ. ბერ.).
- ურუღვიან-ი (ხევსურ.) ზავთიანი (თ. რაზიყ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).
- ურუშ-ი (ლეჩხ., აჭარ.) შავი მჭადი, ფეტვი (მ. ალაფ., 1); ცოცხის სორგო (ა. მაც.); ცოცხის მცენარე (ი. მეგრ.).
- ურუშა (ქართლ., ზ. იმერ.). ნ. ურიშა.
- ურჩოდ (ფშ.) მოუტრუნელად, განუყურნებლად (ი. ქეშიკ.).
- ურჩხ-ი¹ (ქსნის ხეობ.) ყველის დედა (ვ. სომხიშვი.).
- ურჩხ-ი² (იმერ.) იგივე „ხმელი სისხლი“ ან „სისხლის გავლა“. (იტყვიან: სისხლმა გაუარაო), უეცარი ციება პირუტყვისა. გადარჩენა შეიძლება ყურის გაჭრითა და სისხლის გამოშვებით (დილაქტ., 673).
- ურჩხ-ი³ (ქართლ., ზ. იმერ.) ბურჩხი (ნ.), ურიშა (ნ.), მცენარეა (ა. მაც.).
- ურჩხა (რაკ., იმერ.). ნ. ურჩხი³.
- ურძან-ი (ფშ., ქართლ., მთიულ.) ჯავის გვარი მცენარეა (ი. ჭყონ.); მცენარეა, რომლისაგანაც ჯოხებსა და მათრახის ტარებს აკეთებენ. მისი ნაყოფი იჭმება (ვაჟა, I, IV, ა. შან.).
- ურძენ-ი (ფშ., ქართლ., ხევსურ., მთიულ.). ნ. ურძანი.
- ურძენა (მთიულ.) ხერომელსაყ დრე-

- კადი ტოტები აქვს. ნ. ურძანი (ლ. კაიშ.).
- ურწანი** (ქართლ., ქიზიყ., მოხ., ხევსურ., ინგილ., მთიულ.) უშვილო, ბერწი პირუტყვი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ს. მენტეშ.; ო. ქაჯ.; ა. ჭინჭარ., 232; მ. ჯან.; ლ. კაიშ.); ცხენი უზვი (საბა); უზვი, ბერწი კამბენი, ანუ ცხენი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
ფიფინა (რაჭ.) რძისაგან შემზადებული საჭმელია ერთგვარი (შ. ძიძ., 215); წყლისა (რძისა) და პურის ფეჭელის ფაფა, შეკუმული ერბოთი, მარილითა და სხვ.; თხელი ფაფა (დიალექტ., 688).

ფიფინაკ-ი¹ (იმერ.) პურის ფეჭელის თხელი ფაფისებრი ნახარში კედელზე წასასმელად და შპალერის ასაკრავად (ი. ქავთ.).

ფიფინაკ-ი² (იმერ.). ნ. ფიფინა.

ფიფინდურ-ი (რაჭ.) გულ-მკერდის შესამკობი (შ. ძიძ., 215).

ფიფინურბ-ი (ქართლ.) მორთულობა, სიმდიდრე, ფიფინაური ფოლი, ერთი ბისტი ანუ ორი კაპიკი (ა. ლ., ქართლ., 288).

ფიფქი-ი (ზ. იმერ.) აბრეშუმის დაუძახავი თეთრი ძაფი. ნ. გამოფიფქვა (ბ. წერეთ.).

ფიფქვი-ი (იმერ.) მოჭრილი ხის ძირი, რომელიც ამოიყრის (მ. ალავე, 3).

ფიფქვარა თოვლ-ი (მთიულ.) ახალმოსული, გაუტკეპნავი თოვლი (ლ. კაიშ.).

ფიშაკ-ი (მესხ.) სანაძლეო, წილი (შ. ძიძ., ქრესტ.).

ფიშორ-ი (რაჭ.) კანაფის თოკი („კომუნისტი“, № 294, 1967).

ფიშტო (გურ.) სასროლი იარაღია ერთგვარი, დამბაჩა (გ. შარაშ.). თურქ., იტალ. *pištov* (||*pistola*).

ფიჩვ-ი (მთიულ., მესხ.). 1. ხორბლის ან მისთ. საფენი ყდებში მოქსოვილი; 2. ძონძი, ნაგლეჯი (ლ. კაიშ.); მატყლის ფარდავი (კ. ღონდ., 377).

ფიჩინ-ი (ლენჩ., გურ., იმერ.) გადაფიჩინება, სუნთქვის შეწყვეტა ტირილის დროს (მ. ალავე, 1; ა. ლ.).

ფიჩინალა/ე-ი (გურ.) მეტად მსუბუქი, მჩატე (გ. შარაშ.; ს. ელ.).

ფიჩინხ-ი (ქიზიყ.) ხუთიოდე წლის ხე.

მოჭრილი თავის შტობიანად (ს. მენტეშ.).

ფინხაური-ი (გურ.) მოზრდილი საღვინე დოქი (ს. ჟღ.), დიდი საღვინე ჭურჭელი, დიდი დოქი (ა. ლ.).

ფინხურაყი-ი (თუშ.) სკინჩა (პ. ხუბ.).

ფიცარა (ხევსურ.) ქერის ჭიშია ერთგვარი (ს. მავალ.).

ფიცარქერი-ი (ხევსურ.) ორმწკრივიანი ბრტყელი ქერი (ა. მავ.).

ფიც-ვეცხლი-ი (ფშ., ხევსურ.) ფშა-ხევსურეთში როცა ორი ვაჟკაცი დაძმობილდებოდა, არაყში ან ღვინოში ვერცხლს ჩაფხვდნენ და იმას დაღვედნენ. ამის შემდეგ ძმები ხდებოდნენ და ღალატი ან ფიცის გატება შეუძლებელი ხდებოდა. ამას ფიც-ვეცხლის ქაშა ჰქვია (ი. ჭყონ.).

ფიცხი-ი ადგილი-ი (კახ.) ქვიშიანი, კირნარევი, ქვიანი ადგილი (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფიწალი-ი (გურ., ზ. აქარ.) ორთითი, თივის ასაღები (ს. ჟღ.; დიალექტ., 667; შ. ნიქარ.).

ფიწალო (მთ.) პიტალო, სიბი კლდე, მალალი კლდე (ა. ყაზბ., II, შ. ძიძ.).

ფიწალო კლდე (მთ.) პიტალო, სიბი კლდე (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).

ფიწილი-ი (ქიზიყ.) ფიწალა, ტყირბი, ელენთა (ს. მენტეშ.).

ფიჭონა (ზ. იმერ.). ნ. ფიტონა.

ფიხვნობა (ფშ.). ნ. ფიხნობა.

ფიხნობა (ფშ., თიან.) მეზობლებს თავშეყრა და თათბირი (ს. მავალ.; დიალექტ., 600).

ფიხონი-ი (ფშ.) ლაყბობა, ლაზღანდარობა; ყრილობა (თ. რაზიყ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).

ფიჯინა-ა (ჯავახ., აქარ.) უდროოდ ხბოს მოგვები ღვეული (ქველ, შ. ნიქარ.).

ფლაკვაშიჩი-ი (ქსნის ხეობ.) საწურავი (ვ. სომხიშვი.).

ფლანი-ი და **ფსტანი**-ი (ქიზიყ.) სიტყვის მასალაა. „მე ფლანი და ფსტანი არ ვიცი“ (ს. მენტეშ.).

ფლარტე (გურ.). ნ. ფლარტი.

ფლასი-ი (ჩ. თუშ., ხევსურ., ფშ.) ჭრელი ფარდაგი (კ. ჭრელი, 259; ა. ქინჭარ., 293); მდარე ხარისხის შალის უხეში ქსოვილი ფარდაგივით. ხმარობენ მზეზე გასაზმობი საფქვევის, ჩირისა და მისთ. დასაფენად, აგრეთვე ქვეშ საგებად, დასახურავად და სხვ. (დიალექტ., 595).

ფლასი-ი² (მთიულ.) დახეული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი; ძონძი (ლ. კაიშ.).

ფლასაყი-ი (თუშ.) ჩიტია ერთგვარი, ბელურის ოდენა (პ. ხუბ.).

ფლასტი-ი (ქიზიყ.) საშინაო ფეხსაცმელი, ფოსტალივით სახელდახელოდ წამოსაცმელი (ს. მენტეშ.).

ფლატე (ფშ., მოხ.) სისველისაგან ჩამონანგრევი მიწის პირი (ვაჟა, IV, ა. შან.); მდინარის ჩამონგრეული კიდე, ნაპირი (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).

ფლაფა (ქიზიყ.) შეუვრგხვად რთვა (ს. მენტეშ.).

ფლაყვი-ი (ქიზიყ.) დუნფ. მოშვებული ადამიანი, ბლაცვი (ს. მენტეშ.).

ფლაშვა¹, **მოფლაშული**-ი (იმერ.) ძალიან სრული ტანსაცმელი და უშნოდ მოქცეული (ვ. ბერ.).

ფლაშვა² (გურ.) ცუდად კერვა; მოფლაშული-ი ცუდად, ულაშაზოდ შეკერილა (ა. ლ.).

ფლახვი-ი (ქიზიყ.) ფეხზე ნაცვამი დიდი ფეხსაცმელი, ფოლხვი (ს. მენტეშ.).

ფლეკვე (იმერ.) პირში ჩალაგამოვლებული (?). „მან წეილა ყველაფერი, მე ქე დავრჩი ფლეკვე“ (ვ. ბერ.).

ფლეკვინი-ი (იმერ., გურ.) უხმოდ და თავდაპირილი ტირილი (ი. ჭყონ.); ჩუმი ტირილი (ს. ჟღ.).

ფლეკვინი-ი (იმერ.). ნ. ფლეკვინი.

ფლოსტი-ი (ქიზიყ.) ფოსტალი, ფეხის წასაყოფი ფეხსაცმელი, საპირე მხოლოდ თათზე აქვს, უქუსლოა (ს. მენტეშ.).

ფლოქვი-ი (იმერ.) რქიანი საქონლისა და აქლემის ფეხი, ჩლიქი; ფლოქვი ორი ჩლიქისაგან შედგება (ი. ჭყონ.).

ფოდალა პური-ი (მესხ.) მრგვალი და შუ-

აში გახვრტილი გამომცხვარი პური (ი. მაისურ.).

ფოდოლა (მესხ.) ფურანში გამომცხვარი მრგვალი თხელი პური, შუაში გახვრტილი ხელის მოსაკიდებლად, თითბურა, თითდაკრული („კომუნისტი“, № 187, 1968).

ფოთი (ქიზიყ.) ჩქარი (საქმეში), ფიცხი; გადატ. გივი, ცოფი. „ოო, ძალიან ფოთია ჩვენი ბიჭი, გულ მაიწყვეტამს ხოლმე საქმეში“ (ს. მენთემ.).

ფოთოლქალა (ფშ.) წითელი ღვია, მცენარეა (ა. მაყ.).

ფოთორიკი (ლენხ.) ადელეება სასწრაფო საქმის გამო (მ. ალაფ., 1).

ფოთორი (გურ.). ნ. უმანო.

ფოთქი-, **ფოთქვი** (ჯავახ.) ხახვის შემხმარი კანი (ი. მაისურ.).

ფოლ-ი¹ (იმერ., გურ.) ცხენის, ჯორის, ვირის ერთიანი ჩლიქი (ი. ჭყონ.).

ფოლ-ი² (მთიულ., ფშ.) პირველად ნაჩეჩი მატყლი (ლ. კაიშ.; დიალექტ., 595).

ფოლ-ი³ (მოხ.) ერთგვარი ყვავილი მორუხო (დიალექტ., 564).

ფოლვა (გურ.) წუნება. „ჩემი ნამუშიერი დამიფოლეს“ (გ. შარაშ.).

ფოლიანცი (გურ.) უწყსრიგობა; აფოლიანცება აფორიაქება, აფოლორცება (გ. შარაშ.).

ფოლიკა (ხევსურ.) პირველად გაჩეჩილი მატყლის პატარ-პატარა ქულები (ა. ჭინჭარ., 253).

ფოლისი (ქართლ.). ნ. ფოლსათალი.

ფოლო (გურ.) დიდი უშნო ფეხი (გ. შარაშ.).

ფოლონცხო (გურ.) სხეულის უკანა ნაწილი. უშნოდ მოყვანილი (გ. შარაშ.).

ფოლორსიანი (მთიულ.) მლიქვნელი (ლ. კაიშ.).

ფოლორჩი (ქართლ.) დიდი და ღრმა ტალახი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ფოლორცი¹ (ქართლ.). ნ. ფოლორჩო.

ფოლორცი² (კახ.) ლაქუცა (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფოლორცი³ (იმერ.). I. განებივრებუ-

ლი ბავშვი; 2. გაცარიელებული, გამცდარი ადგილი (პ. ჯაჭან., X).

ფოლორცი **ქალ-ი** (ქართლ.) მსუბუქი ყოფაქცევის ქალი (კირიონი).

ფოლორცა (მოხ.) სოფლის გზა წვრილი, ქუჩა, ორღობე (დიალექტ., 645).

ფოლსათალი (ლენხ.) მკედლის ხელსაწყო იარაღი (მ. ჩიქ.).

ფომფლე, **ფოფლე** (ქიზიყ.) მოშვებული, არამჭიდრო; კაცი, რომელიც ვერც სიცხეს იტანს და ვერც სიცივეს, ვერც მუშაობს. ნ. ფომფო (ს. მენთემ.).

ფომფო (იმერ., გურ., ზ. აკარ.) სრული, არამოჭირებული (ვ. ბერ.); არა შემტყიცებული, დუნე, მოშვებული (ს. ელა; ა. ლ.; შ. ნიქარ.).

ფონდიკი (გურ.). ნ. ფინდიკი.

ფონდიკა არ ეკიდება (გურ.) იტყვიან ისეთ კაცზე, რომელიც ბევრს შრომობს და ხეირს ვერ ეწევა. „გამარჯვლი ძალიანია, მარა ფონდიკა არ ეკიდება“ (ი. ჭყონ.).

ფონე ქსოვა (მთიულ.) თხლად მოქსოვა (ლ. კაიშ.).

ფონთო (გურ.) ჩვილი. „ფონთო ბალანაი ვიყავი“ (ე. ნინ., II, თ. კიკც.); თითო, ჩვილი, ნორჩი (ა. ლ.).

ფონთხელი (ზ. იმერ.) თხელი ფონი (ბ. წერეთ.).

ფონცხო (ქათმისა) (იმერ.) ქათმის ზურგი გვერდებით (პ. ჯაჭან., X).

ფოჟილი (ქართლ., იმერ.) ცოდვილობა, ნელ-ნელა კეთება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ავადმყოფობის ან მოხუცების მიზეზით ნელი სიარული (პ. ჯაჭან., X).

ფოჟორო (ლენხ.) გამოღრუბებული ხე, ფედღორო (მ. ალაფ., 1).

ფორი¹ (ინგლა, აკარ., ზ. იმერ.) ობი (მ. ჯან.; შ. ნიქარ.; ჟ. ძოწ.).

ფორი² (ჩ. თუშ., მოხ., ხევსურ., მთიულ., თიან.) ალაო, არაყის ან ლუდის მასალა; ხელოვნურად აჯეჯილებული ქერი (კ. ჭრელ., 258); საარაყე, სალუდე ნელდუღილი (ო. ქაჯ.); ალაო, ლუდის ან არაყის გამოსახდელად შემზადებული (გადიგებული და დაღერ-

- ლილი) ხორბლეული (დიალექტ., 564); საარაყე ფქვილია (ა. ჭინჭარ., 215); ალაო (ს. მავალ.; დიალექტ., 557; 600).
- ფორა** (გურ.) წაგება; გაფორება წაგება; გავაფორე მოვუგე (ა. ლ.).
- ფორანი** (ლენხ.) ერთტენიანი ურემი (მ. ალაგ., ზეპირსიტყვი; საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ).
- ფორთქე** (ზ. იმერ.) რბილი ხე. „ფორთქე ხე რბილი ხეა; ხელს რომ აპკრავ ქვეიდან, ერთბაშად მიდის კანი ზევითამდის“ (ბ. წერეთ.).
- ფორიალ** (გურ.) მსუბუქი საგნის ან არსების (ფრინველის) ჰაერში მოძრაობა, ქანაობა, ფოფიალი, ფრიალი. „ვერ მივხთი, რა უნდა ამ ციციას რომ დეიარება და დააფორიალებს მაგ დარაიის კაბას?“ (გ. შარაშ.).
- ფორიო** (იმერ.) მფლანგველი, უბარაქო, უყაირათო (ი. ჭავთ.).
- ფორკა** (ზ. აჭარ.) კაბა (შ. ნიქარ.).
- ფორუანი** (რაჭ.) სართიანი ნამცხვარი: გაღვივებულ ალაოს ფქვილს მყავე წყლით მოზელდნენ, ის ტკბილი იყო და სართვად ხმარობდნენ. ასე სართვიან ნამცხვარს ფორუანი ერქვა (დიალექტ., 689).
- ფორფოტი** (ქართლ., იმერ.) სულელივით სიარული. „რო უყურეფ, ასე დაფორფოტობს, მარა საქმეს ქე აკეთებს“ (გ. ბერ.).
- ფორჭალი** (იმერ.) ლასლასი, უღონოდ, სუსტად ყოფნა ავადმყოფობის შემდეგ ან ღრმა მოხუცებულობის გამო (ი. ჭავთ.).
- ფორჩხი** (გურ.) წვალეობით ცხოვრება, ცოდვილი. ნ. ფორჩხი (პ. ჯაჭან.).
- ფორჩხი**¹ (გურ.) ჭლებიანი შტო ხისა, მოჭრილი და ფოთლებჩამოცილი (ი. ჭყონ.); გამხმარი შტო, უსობენ კიტრის ლერწმს, რომ ზედ აპყვეს (ს. ფლ.); მრავალწერილტოტა შტო ხისა. „ავჩარჩქე, ფორჩხს მივიკიდე“. ნ. ფარჩხი (ა. ლ., გურ.).
- ფორჩხი**² (იმერ.) ფოცხი (გ. ბერ.; ქეგლ).
- ფორჩხი**³ (კახ.) ფარცხი (ა. მარტ., გ. იმნ.).
- ფორჩხი**⁴ (კახ.) ჩუგრიაობის (ნ.) თამაშის ერთი ხერხია (ა. გვენც., თ. ბერიაშვი.).
- ფორცოხ** (ზ. აჭარ.) ფოცხვერი (შ. ნიქარ.); მაჩვი (პ. ჯაჭან.).
- ფორცხი** (ქიზიყ.) ფარცხი (დიალექტ., 609).
- ფორხილ** (იმერ.) წაფორხილება (იმერ.) ბორძიკი, წაბორძიკება, ფეხის რაზედმე წაკვრა (გ. ბერ.; ქეგლ).
- ფოსტ** (ზ. აჭარ.) ტყავი (შ. ნიქარ.). სპ.
- ფოტა** (გურ., იმერ.) ქსოვილისაგან შეკერილი ჭურჭელია ჩაის საკრეფად. ნ. ფუთა („კომუნისტი“, № 294, 1967).
- ფოტარო** (ქართლ.) ნ. ფოტორო².
- ფოტორო**¹ (იმერ., ლენხ.) ფუყე, უგულო (ი. ჭავთ.); ზეზე დამპალი ხე. ნ. ფუტურო (მ. ალაგ., 1).
- ფოტორო**² (მესხ.) ნიადაგგადაცილი ხრიოკი ადგილი მდინარის ნაპირებსა და ხევ-დეღეებში, ფლატე, დახრამული ადგილი (ი. მისიურ.); ფლატე (საბა; ქეგლ).
- ფოტრო** (გურ.). ნ. ფუტურო.
- ფოფვრა, გაფოფვრა** (გურ.) თმების გაშლა-გაიწევა; გაფოფრილ-ი გაიწევილი. „ცავ, ჩეხედე სარკეში, რაფერ ხარ გაფოფრილი!“ (გ. შარაშ.).
- ფოფინი**¹ (გურ.) ტირილი დაბალი ხმით, ცრემლის ღვრა; გულაფოფინებულ-ი ატირებული, აცრემლებული (ა. ლ.).
- ფოფინი**² (ქიზიყ.) ხუთი-ათი თვის ბავშვის თავისებური მოძრაობა: ხელების წინ წაწევა, ვინმესკენ მიწევა და ა. შ. (ს. მენთეშ.); ჩჩვლთაგან შხორკალი (საბა), ჩჩვლით ფორთხალი, ბორღღვა, შხორკალი (ნ. ჩუბ.), ქაფქაფი ყრმათათვის; ნელა სიარული (დ. ჩუბ.; ქეგლ).
- ფოფიალ** (იმერ.) ცოციალი, მჩატედ სიარული (გ. ბერ.).



ფოფხალი-ი (ხეცსურ., ფშ.) ჯანსაღი საქონელი (ა. ჭინჭარ., 233); ყოჩალი, სწრაფი (ა. ჭინჭარ., ფშ.).

ფოლო (ზ. იმერ.) ფულურო (ბ. წერეთ.).

ფოშტანი-ი (ლენხ.) ქვედატანი (მ. ჩიქ.).

ფონი¹ (ფშ.) მიწის ზედა ნაწილი (ღერო და ფოთლები) ბალახისა და ბოსტნეულისა (ვაჟა, III, ა. შან.).

ფონი² (ჭიზიყ.) 1. პურეულის ფოთოლი; 2. ხახვის ნაფუქვენი, შემხმარი ალყა; 3. ქსოვილის ფუნჯი (ს. მენთეშ.).

ფონი³ (ქართლ., იმერ.) სიმინდის უღვაშები (ქველ.).

ფონი-ი (გურ.; ქვ. იმერ.). ნ. ფონი¹, სიმინდის ტაროს უღვაში (ზ. ქუმბურ., 281; დიალექტ., 673).

ფონიანი-ი ფეტვი (მთიულ.) ფეტვია ერთგვარი (ა. მაყ.).

ფონის ხახვი-ი (ქვ. იმერ.). ნ. მორჩვი.

ფონისი-ი (გურ.). ნ. ფონისი.

ფონი-ი (ჭიზიყ., იმერ., გურ.) ფუნჯი, სიმინდის თავზე ამოსული ყვავილი, — ქოჩორი, კატარი (დიალექტ., 609; ქველ.).

ფონი-ი (ქართლ., რაჭ.). 1. ხის ფარცხი კბილებიანი, გორბიანი ხნულის დასაფარცხავად; 3. ფოცხი. ნ. ფონი² (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; დიალექტ., 689).

ფოცი-ი (ლენხ.) სწრაფად მომუშავე (მ. ალავე, 2).

ფოცვი-ი (რაჭ.) დაუდევარი, მოუსვენარი (ვ. ბერ.).

ფოცოცი-ი (ლენხ., ოკრიბ.) ბიბილო (მ. ალავე, 1); ყურცქვიტა (მ. ჩიქ.); წამონაზარდი ზოგიერთი ფრინველის (ქათამი, ოფოფი) თავზე, ბიბილო (მ. ალავე).

ფონი-ი (იმერ.) მოგონება; მეფოხა მოიგონა, მოახერხა (ვ. ბერ.).

ფონი-ი ხელისა (გურ.) ორთითი. ნ. საფუხარი (ა. რობაქ., 164).

ფონალი-ი (ჭიზიყ., ზ. იმერ.) საწყაო ერთეულია: 0,5 კოდი, ანუ 1,5 ფუთი, 24 კგრ (ს. მენთეშ.; ქ. ძოწ.). შდრ.:

11. ალ. ლლონტი, სიტყვის კონა.

საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქველ.

ფოხვი-ი (ფშ.). ნ. ბატიქუცა.

ფოხვერი-ი (აჭარ.) ტუხტი, მცენარეა (ა. მაყ.).

ფოხვერა (მესხ.) ბალახია ერთგვარი, ქატმი (ი. მაისურ.; ქველ.).

ფოხიალი-ი (ლენხ., იმერ., გურ.) ავადმყოფი ან მოხუცი ადამიანის შეუძლო მუშაობა, ლასლასი; ფოხი ალობს მსუბუქ სამუშაოს ასრულებს, ლასლასით დადის. „დაბერდა და გარეთ ველარ გამოდის, შინ ფოხი ალობს“. ნ. ფოხი (მ. ალავე, 2).

ფოხინდი-ი (მესხ.) ქუშელა, მოხალული ხორბლის ფქვილი (ი. მაისურ.).

ფოხლვა (ფშ.) ქვების ან ჯოხების სროლა (ვაჟა-ფშ. შტ. ლექსიკ.).

ფოხოცი-ი (ფშ.) გამხმარი, უხეში (ი. ქეშვიკ.).

ფოხველი-ი (ზ. იმერ.) ფერფლი. ნ. ფარველი (ბ. წერეთ.).

ფრანგვა¹ (ჭიზიყ.) ყარგად, აღმასივით ჭრა. „ჩემი კმალი იგრე; აფრანგავს, როგორც აღმასი“ (ს. მენთეშ.).

ფრანგვა² (გურ.). ნ. დაფრანგული¹

ფრანგული-ი (ფშ., მოხ., თუშ., ხეცსურ.) ერთგვარი ხმალია. რომელიც შუა საუკუნეებში საფრანგეთიდან (ე. ი. ევროპიდან) შემოვიდა ჩვენში (ვაჟა, I, IV, ა. შან.; ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.; ი. ბუჭურ., 136; ს. მაჯალ.).

ფრანგული¹ (ქართლ.) ვენახის ჭიშია ერთგვარი (ა. ლ.; ქველ.).

ფრანგული² (გურ.) აბრეშუმის ჭიის იტალიური ჭიში იყო, წვერილი პარკი იცოდა, მაღალი ხარისხის აბრეშუმს იძლეოდა (გ. შარაშ.); მსხლის ჭიშია (ლ. თავართქილაძე).

ფრანგული³ (ჭიზიყ.) ძველი, გაცვეთილი სამოსელი. „ერთი ბეწო ცეცხლი არა მაკრამ“ (ს. მენთეშ.).

ფრაციფრუცი-ი (ჭიზიყ.) ფაციფუცი, აჩქარებული საქმიანობა; ადამიანი, საქმიანობაში რომ ჩქარობს და ბზნევა (ს. მენთეშ.).

ფრაცუნა (ქიზიყ.) მსუბუქი, ქერქეტა ადამიანი; არადინჯი კაცი, საქმეს რომ აკეთებს და არა გამოსდის რა (ს. მენთეშ.).

ფრახ-ი¹ (ლენხ.) მეძავი ქალი (მ. ჩიქ.).

ფრახ-ი² (ქართლ.) გაუმადლარი, მეტად ხარბი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ფრახ-ი³ (კახ.) ღორი, რომელიც არ მკადება (ლ. ლეონ.).

ფრთაშეჭრილ-ი (ზ. რაჭ., ლენხ.) ფურ-ფურა, მცენარეა (ა. მაყ.).

ფრთილა (ლენხ.) ნ. ფთილა.

ფრთქვენა (გურ., იმერ.) ფრთხვენა, ფრუტუნე ცხენისა (ა. ლ.).

ფრთხინვა (გურ., იმერ.) ნ. ფრთქვენა.

ფრთხუ-ი (გურ.) ველური, მოუშინაურებელი (ს. ჟღ.); ფრთხუ-ი ქათამი-ი გაველურებული, მფრთხალი ქათამი. „გამი ფრთხუ დე მ ჰუ-ჰულები, ხომ ხედაე!“ (ა. ლ.).

ფრიათ-ი (კახ.) შფოთი, წივილ-კივილი, ერთი ამბავი (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფრიაკ-ი (ქართლ.) ნ. ფრიაქი².

ფრიაქ-ი¹ (ლენხ.) მჩატე ნივთი (მ. ალავე, 2).

ფრიაქ-ი² (ქართლ.) გაჩიუტება, გაკერპება, გაჩიქება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ქეგლ).

ფრინდომას- (თუშ.) წვრილი მატლი, რომელიც უჩნდება მოუფლელ ყველს, კალტს (ლ. ლეონ.; პ. ხუბ.).

ფრიტა/ე-ი (გურ.) ბრტყელი თევზია (გ. შარაშ.); პატარა თევზია ერთგვარი (ს. ჟღ.).

ფრიტინ-ი (იმერ.) ფარფატი, ფრიალი (დიალექტ., 673).

ფრიფინ-ი (ქართლ.) კარგად რომ არ უკიდა და იწყებს ხოლმე ქრობა-ბეუტვის ხმის გამოცემას (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ფრობა (იმერ.) სიმსივნის დაქრობა. მორჩენა. „ბზიკანკმენივით იყო დასიებული, მარა ახლა ქე და ფრა“ (გ. ბერ.).

ფროტალ-ი (ქართლ.) ბოდიალი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ფროწე, ფროწო (აქარ.) ეკლიანი, გაუგალი ტყე (ი. მეგრ.).

ფრუნტვა (გურ.) ნ. ფურტნა.

ფრუსტუნ-ი (მესხ.) ცხვირის დაცემინება, დაცხიკება (ი. მაისურ.).

ფრუტო (აქარ.) ფუტურო, ფულურო (შ. ნიყარ.).

ფრუ-ფრუ! (მთიულ.) ცხენის მოხმობის შეძახილი (ლ. კაიშ.).

ფრუშკვა (ფშ.) ზელა. „მე ცალკე მიჯობს, რომ ვიჯდე და ვ ფ რ უ შ კ ი ნაცარი“ (ი. ქეშკა).

ფრჩხალ-ი (ქართლ.) ვაზის უღვაში (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ფრჩხილ-ი¹ (კახ.) თორნის პურის თხელი გვერდი. ნ. ფაფხაჭა, ფაფხაჭელა (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფრჩხილ-ი² **საფრჩხილე** (იმერ.) საქონლის თვალის ავადმყოფობა (გ. ბერ.); თვალში რამ მცირე თეთრი შევა ტკივილითა (საბა).

ფრჩხილებ-ი (ლენხ.) კავები, რომლებითაც მარხილი ან ურემი მიბმულია ურემთან (მ. ალავე, 1).

ფსვალ-ი (იმერ., ქიზიყ.) სვალი, სოლი წულის კალაპოტის დასამატებელი (გ. ბერ.); სოლი, ხარაზის იარაღია (ს. მენთეშ.).

ფსვენ-ი (ხევსურ., მოხ., თუშ., იმერ.) უშხამო გველი (ს. მაკალ.); ხვლიკი (ა. ყაზბ., III, შ. ძიძ.; თ. უთურგ.); პატარა ყვითელზოლებიანი (მომწვანო-მოყვითალო) ხვლიკი (ი. ქავთ.).

ფსვლიკ-ი (მთიულ.) ხვლიკი (ლ. კაიშ.).

ფსვნიკ-ი (რაჭ.) ნ. ფსვლიკი.

ფსიორ-ი, აფსიორება (გურ., იმერ.) მალად და წვრილად ზრდა. „გვალვის გამო სიმინდი ისე აფსიორდა, რომე ტაროს ვერ გამოიღებს“ (გ. ბერ.).

ფსიტ-ი¹ (ფშ., მოხ., თიან., მთიულ., გუდამაყრ., ქიზიყ.) არჩვი, გარეული თხა (ი. ქეშკა; ო. ქაჭ.; ე. ვირსალ.; დიალექტ., 600); გადატ. ფსიტის რქის ყანწი (ს. მენთეშ.).

ფსიტი² (ქართლ.) სწორი და თხელი თმა (ლ. ნოზ.).

ფსკა (გურ.) სკა; ფუტკარი (ა. ლ.).

ფსლიკი-ი (ქსნის ხეობ.) ხვლიკი (ვ. სომხიშვი).

ფსლუკუნი-ი (მესხ.) სლუკუნი, ქვითინის ხმა (ი. მაისურა).

ფსონი-ი (გურ.) 1. წილი, საერთო ქონების ნაწილი. „ან შამოი ჩვენთან ფსონში, ან არა, აქიდან დაგვეკარქე“; 2. ანდერძი, დანაბარები, გულის ნადები. „ანდერძათ რომ დავიტოვე საიდუმლო გულის ფსონი, რომ დავპირდი, შეგისრულე, შენი ძმა ვარ ისონი“ (საფლავის ქვის ეპიტაფიდან, სოფ. დვამბუ, ა. ლ.).

ფსორი-ი (გურ.) მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი, სადაც წყალი დგას და იზრდება წყლის მცენარეები (ს. ულ.).

ფსრე (ხევსურ.) ფარცხის ნაწილია — ხშირწვეპლიანი ტოტები არყის ხისა (ა. ჭინჭარ., 198).

ფსრია (ხევსურ.) ნაქარგის ერთ-ერთი სახეობა (ქველ).

ფსრიტი-ი (თუშ.) სულწასული, მოუთმენელი (თ. უთურგ.).

ფსტვილა (იმერ.) ბალის ტყავისაგან დაწნული ჩანთა, ხმარობენ მწყემსები საკმლის შესანახავად (ვ. ბერ.).

ფსუ-ი (მთიულ.) მიწა უქვეო და გაუზერკნავი (ლ. კაიშ.).

ფსუარი-ი (ქართლ.) მტვრადქცეული მიწა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ქველ).

ფსუტი-ი (ქიზიყ.) შარდი; ფსუტიანი-ი შარდის ვერშემკავებელი (ს. მენთეშ.); ზინზლის სუნი (საბა).

ფსხილ-ი (რაჭ.) ნ. ბზლილა; მსხმალი (საბა).

ფსხიტი-ი (ზ. რაჭ.) მუწუკზე შემხმარი ჩირქი (ქველ).

ფსხლიკურწა (ლენჩ.) კანის ავადმყოფობა, „ბატონები“. ბავშვს ტანზე შავალ გამოყრის. ცხრა დღეს გრძელდება (მ. ალავე, 2).

ფუ (გურ.) ბურბუმელა, ბალახია (ა. მაყ.).

ფუა¹ (ქართლ.) სენი (ი. ჭყონ.).

ფუა² (ქიზიყ., კახ.) ბავშვის შეჭამადი, ფაფა, ერბოს უშვებიან და შაქრით ატეპობენ. ნ. ფუა¹ (ს. მენთეშ.; პ. ხუბ., ანგარიში).

ფუა³ (ხევსურ.) ცეცხლი ბავშვის ენაზე (ა. ჭინჭარ., 290).

ფუანი-ი (რაჭ.) კეცში გამოცხვარი დიდი პური (დილაქტი, 689).

ფუბაბუა (გურ.) ნ. ფუ.

ფუდულ-ი (ფშ.) უგულო, ყოყოჩი, ამპარტავანი, პრანჭია, ორპირი (ვაჟა, II, ა. შან.; ი. ქეშიკ; ქველ).

ფუთა¹ (ქართლ.) ხილის ვაჭრის წინსაფარი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ფუთა² (გურ.) ფოტა, შეკვრა ნივთებისა, ერთად შეკრული ტანსაცმელი, ხელში დაჭერა რომ შეიძლება (ა. ლ.).

ფუთარა (იმერ.) ქათმის მკებნარი (პ. ჯაჯან., X).

ფუთარაობა (ქართლ.) ფუსფუსი, განუწყვეტილად საქმიანობა ჩუმად, ბუღარაობა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ფუთლუხი¹ (მთიულ.) წყალში ან რძეში თხლად მოხარშული სიმინდის ან პურის ფქვილი, რომელსაც ერბოში მოდალულ ხახვს უმატებენ (ლ. კაიშ.).

ფუთლუხი² (ქიზიყ., ქართლ., ფშ., ხევსურ.) უხეირო, უნდილი, არა საქმის კაცი, მკვებარაც შეიძლება იყოს (ს. მენთეშ.); დონდლე, ლაყე, ბოთე, დოყლაპია (ქველ).

ფუთრიაკვა (ლენჩ.) სამკურნალო მცენარეა ერთგვარი (მ. ჩიქ.).

ფუთქი-ი (იმერ.) 1. ქინთლუშა, პატარა წყალჩამდგარი ბუშტუკი სხეულის ნაწილზე სიღამწერის ან ცემის შედეგად. „ეთონინდი და ხელის გულზე ფუთქები დამაჯდა“ (ი. ჭავთ.); 2. ვახის ზედმეტი რქა, რომელსაც ფურჩნის დროს აცლიან; 3. წვრილი ფიჩხის შუშა (ქველ).

ფუთქარი-ი (იმერ.) ქათმის ტილი. ნ. ფუთარა (ვ. ბერ.).

ფუთჟვა (იმერ.) დამწვარ სხეულზე კანის აბერჯა, აბუშტარება, ატკეცა (ვ. ბერ.).

ფუთხო (ზ. აჭარ.) ხმელი მუწუცი (შ. ნიქარ.).

ფული-ი¹ (ფშ.). 1. არევა ერთმანეთში (ვაჟა, IV, ა. შან.); 2. დუღილი. „მიწის სიცოცხლით ფული“ (ვაჟა, I, 1946, ა. შან.).

ფული-ი² (ხეესურ.) ლუდის დუღილი: ლუდი რამდენიმე დღეს იფულიებს (ა. ჭინჭარ., 220).

ფუინა (კახ.) წვრილი მწერი, ქინქლა (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფუკება (კახ.) გახურებული შამფურის გაყრა; უფუკებს გაუყრის შამფურს (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფუკობა (გურ.) ფუტკრის დღესასწაული (გ. შარაშ.).

ფუშფე (ლენხ.) ზარმაცი კაცი (მ. ჩიქ.).

ფუშფულა (ლენხ.) ფქვილით გაუტენელი ჭურჭელი (მ. ჩიქ.).

ფუშფულა (ზ. იმერ.) მაჭრის ქინქლა, ფუშფულა (მ. ალავე, 3).

ფუშფულა (გურ.) დამწიფებული, მოშუშებული მუწუცი (მ., ქ., თ. სიხარულიძეები, გოგოლიესუბანი).

ფუშფუარ-ი (მთიულ.). ნ. ფიფქარა თოვლი.

ფუნდრიაკ-ი (იმერ.) ჩხუბი, აყალმაყალი, არედარევა (მ. ჯაჯანი).

ფუნთხ-ი (იმერ., გურ.) თქორი, წვრილი წვიმა; ფუნთხავს ჭუჭუბლაგს, წვრილად წვიმს (ვ. ბერ.); წვრილი წვიმა გაზაფხულისა (ს. ელ.).

ფუნთხალ-ი (იმერ.) ვაზის უნაყოფო ტოტი (ლ. ლექა, 66).

ფუნია/ი (იმერ.). ნ. ტაბასკევრა.

ფუნჯვა (ქიზიყ.) შლა, მოშლა (ს. მენთეშ.).

ფუნჩხა (გურ.) ფინჩხა (ნ.), ნამცეცი, ნაფქვენი; დეიფუნჩხა დიმიხვრა, ნამცეცხად იქვა. „გოგომ დაფუნჩხა ქოთანი“ (ა. ლ., გურ.)

ფუნჩხულ-ი (გურ., იმერ.). 1. არამკვრი-

ვი, ფხვიერი, ფინჩხვად ქცეული; 2. მოხარშული ღომის მარცვალი, ნიგვითა და ზეთით შეზავებული. გამოცანა: „ზევიდან გადმოკიდული ერი ქოთანი ფუნჩხული“ (ლელვი) (გ. შარაშ.); საჭამადი, ღომით, ნიგვით, ხახვითა და ხორციტ შეზავებული (ა. ლ.); ღომის ღომი ნიგვითა და ხახვით შეზავებული (ვ. ბერ.).

ფუნჯ-ი (იმერ.) უნაგირის სამკაულია, მოსართავის გამოსაბამი (ვ. ბერ.).

ფუჟვა (იმერ.) ცეცხლის ცუდად მოკიდება. ნ. ჩუჟვა (ვ. ბერ.).

ფუჟულ-ი (ლენხ.) ცოდვილი, ბეჟტვა (მ. ჩიქ.).

ფურ-ი (ფშ.) მომგები ან მეწველი ძროხა მხოლოდ (ი. ქეშიკ.).

ფურბერწ-ი (თუშ.) ბერწი ჯიხვი. ნ. ფურბეწი (თ. უთურგ.).

ფურბეწ-ი (გურ.) ფურბერწი, უშობელი, ფური. ნ. ქურბეწი (ა. ლ.).

ფურედელა! (მთიულ.) ძროხის მოხმობის შეძახილი (ლ. კაიშ.).

ფურენგ-ი (აჭარ.) წყალსადენი თიხის მილი (შ. ნიქარ.).

ფურთყულა (თუშ.). ნ. ჯორთყულა.

ფურთუნა (იმერხ.) ქარიშხალი (დიალექტ., 654).

ფურთუნ-ი, მიფურთუნება (იმერ.) საქმის ჩქარა და ცუდად გაკეთება (ვ. ბერ.).

ფურთხ-ი (გურ.) გამვლელი წვიმა. ნ. სოროტი (ი. მეგრ., 186).

ფურიენა (გურ., ქვ. იმერ.). ნ. ძროხიენა.

ფურისელა (ქართლ.). ნ. ფანდურთიკი.

ფურისვილა (ფშ.) ტყის ფურისულა (ა. მაყ.).

ფურის ძუძუ (კახ.) ტყის ფურისულა (ა. მაყ.).

ფურტ (ინგილ.) ფილტვი (მ. ჯანი).

ფურტანა (გურ.) ფურთხება; მიაფურტანა მიაფურთხა (ა. ლ.).

ფურუნ-ი (აჭარ.) თორნე, ფურნე (მ. ჯაჯანი); ფურუნჯ-ი მეფურნე (შ. ძიძ., ქრისტ.).

ფურუჯი-ი (აჭარ.) შესანახად გამხმარი მსხალი, ყურძენი და მისთ. (შ. ნიყარ.).

ფურფუზი (გურ.) ქათმის მიერ ფრთების გაშლა და მტვერში ტრიალი (გ. შარაშ.).

ფურფუტი, **ფურფუტა** (იმერ.) ძალიან მსუბუქი, მჩატე (ი.ქავთ.; ქეგლ).

ფურფუჩა (ქართლ.) ფქვილისა და კვერცხის ნამცხვარი („კომუნისტი“, № 294, 1967).

ფურღველა (ზ. იმერ.) ბუერა, მცენარეა. ნ. ფურღვენა (ა. მაყ.).

ფურღვენა (ზ. იმერ.) ფართოფოთლებიანი მცენარეა, ბურღველა. ნ. ფურღველა (ბ. წერეთ.).

ფურღუნა (ქართლ.) ფართო ფოთლებიანი მცენარეა. ნ. ფურღვენა (ბორჯომი, თინა რევაზიშვილი).

ფურჩი (ქიზიყ.) ქარისაგან ნარყვევი ხის ნაპობი; აგრეთვე რკინას თუ გამოკვერვაში ნაკეცი შეპყვა, იტყვიან: ფურჩი აქვსო. ასეთი ხე და რკინა სამასაღედ არ ვარგა (ს. მენთეშ.); ილეკროს შუა ნაკეცი რომ დაპყვეს (საბა); პრწყალი რკინისა და სსუთაა მეტალთა, ანუ ნაკეცი შუა დარჩომილი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ფურჩა (ქვ. იმერ.) სიმინდის ფუჩეჩი (ზ. ჭუმბურ., 281).

ფურჩალა (ზ. იმერ.) კაბას მოვლებული ნაოჭა არშია. „ფურჩალა აქ მოვლებული კაბას ვარშემო“ (ბ. წერეთ.).

ფურჩანა (ქიზიყ., ქართლ.) ფურჩქნა, ილიაში გამოტანილი წვრილი შტოების, არამსხმოიარე რქები¹ა და ზედმეტი რქების (ტოტების) შეცლა (დიალექტ., 643).

ფურჩული (იმერ.) ჩურჩული (მ. ალავე, 3).

ფურჩუმელა (აჭარ.) შალამანდილი, მცენარეა (ა. მაყ.; შ. ნიყარ.).

ფურჩხი (ქართლ., ზ. იმერ., ლეჩხ., ქსნის ხეობ.) ფიჩხი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ბ. წერეთ.); მოჭრილი ხის განასხევი წვრილი შტოები, ნაკაფის

შეშა. ნ. ფორჩხი (მ. ალავე, 2); ფოთოლგაცვენილი ტოტი (გ. სომხიშე.).

ფურჩხვა (ლეჩხ.) წიწვა (მ. ჩიქ.).

ფურცელი (ქართლ., კახ., ქიზიყ., ყიზლ.-მოზლ., ინგილ.) თუთა, თუთის ხე; უნაყოფო (მამრობითი) თუთა (ა. მაყ.; ს. მენთეშ.; დიალექტ., 602; ა. შან., ინგილ.).

ფურცლითუთა (ქართლ.) თუთა, თუთის ხე. ნ. ფურცელი (ა. მაყ.).

ფურცუხი (რაჭ.) ძალზე დაქანებული დღამართი; აჩქარებით რისამე კეთებასაც ნიშნავს. ნ. ფურთუხი (გ. ბერ.).

ფურცქვა (ფშ.) ბღღვნა (ეფთა, II, ა. შან.; ქეგლ).

ფურცქვნა (ხევსურ.) ფრცქვნა (ქეგლ).

ფურცხვი (ლეჩხ.) საყოკიას ან კაქვიის ეკლიანი თავთავი, რომელსაც დოქზე დააცობენ და მაჭარს გაწურავენ (მ. ალავე, ოკრიბ.).

ფურცხუნა (იმერ.) ფუცხუნა (ქეგლ). **ფუსკული** (მესხ.) ფოჩი, ფუნჯი (ი. შაისურ.).

ფუსტაყ (ინგილ.) ფუნჩულა (მ. ჯან.).

ფუსუნელა-ი (გურ.) წკიპარტა, ყველის მატლი (გ. შარაშ.).

ფუსუსი (იმერ.) ძლიერ სუსტი (გ. ბერ.).

ფუსუსა (გურ.) ჭრაქი. ნ. პუტია (პ. ჯაჯან.).

ფუსფუსა-ი¹ (გურ.) ქათმის მანეე მწერი, წვრილი, ფრთებიანი (გ. შარაშ.).

ფუსფუსა² (გურ.) ბურბუშელა, მცენარეა (ა. მაყ.).

ფუტი-ი¹ (გურ., იმერ.) ბოლი, კვამლი (ე. ნინ., I, თ. კიკვი; ს. ელ.; დიალექტ., 673); გადატ. ოჯახი; ფუტის გაციება კერის მოშლა, ოჯახის განადგურება (ა. ლ.); ავი კვამლი (საბა; დ. ჩუბ.).

ფუტი-ი² (იმერ.). 1. ხის ქერქის ღარი; 2. ფუტურო, ფულურო, გამხმარი ხე; 3. ძალიან გამხდარი ქათამი (ქეგლ).

ფუტა (მთიულ.) ფუთა (ნ.), შეკვრა, ქსოვილში შეკრული ფარჩა ან სხვა რამ (დიალექტ., 569).

ფუტკვაობა-ა (თუშ.) ქათმების მიერ ფხვიერი მიწის ქექვა და მასში გორაობა (პ. ხუბ.).

ფუტკნა (ქიზიყ.) ქექა, აშლა. „ქათამი მუდამდღე ნაცარიში იფუტკნება და კბენარ იყრეინებს“ (ს. მენთეშ., დ. ჩუბ.).

ფუტკრის დედა (თუშ.) ნ. ნაბადა.

ფუტკრიქვა (რაჭ., ლეჩხ., ზ. იმერ.) ძაღლის სატაცური, მიხელიტა. ნ. ქავილა (ა. მაყ.).

ფუტფუტი (ქიზიყ.) ერთ ადგილას შექუჩებულთა ადგილობრივი მოძრაობა, რაც გამაღიზიანებლად მოქმედებს (ს. მენთეშ.).

ფუტურა-ი (გურ.) ფუტურო, ცარიელი, უგულო თხილი ან კაკალი. ნ. ფშუტურაი (ა. ლლ.).

ფუტურო (ქიზიყ., გურ.) დამბალი შეშა (დიალექტ., 609).

ფუფალა (ქიზიყ.) უფალი, ღმერთი ბავშვის ენაზე (ს. მენთეშ.).

ფუფლია (ზ. იმერ.) ქუთქუთა, მცენარეა (ა. მაყ.).

ფუფა¹ (იმერ.) ცუდი სუნი ან სიბინძურე საერთოდ — ბავშვის ენაზე (ი. ქავთ.).

ფუფა² (ქართლ.) ნატყენი, ტყვიელი ბავშვის ენაზე (კირიონი; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ფუფულ-ი (ზ. აჭარ.) გამხმარი, თავხმელი მუწუკი, ბავშვებს უჩნდებათ თავზე, თმაში (შ. ნიყარ.).

ფუფულა (გურ.) ნ. ფუფა².

ფუფუნ-ი (თუშ.) ქიების მოძრაობა სითხეში. ნ. ფუფუნა (პ. ხუბ.).

ფუფუნა (კახ.) ხშირი ჭია რამეზე დახვეული (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფუფქარ-ი (თიან., თუშ., ფშ.) თუთქელი ძალზე ცხელი ნაცარი (დიალექტ., 600).

ფუფქვა (ქართლ.) მდულრვა; ბუმბულის გასაცლელად მდულარე წყლის დასხმა (ა. ლლ.).

ფუფხ-ი (გურ.) კანის ავადმყოფობა;

და ფუფხვა ხმელი მუწუკების დაყრა. „სულ და ფუფხვა ტანზე რაცხამ აი ბაღანაი“ (გ. შარაშ.).

ფუქ-ი (კახ.) ბუქი, მტვერი (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფუქს-ი (კახ.) სპეციალური ხელსაწყო, გოგირდის დასაყრელი (ნ. ჯოხ., 59).

ფულვა (იმერ.) ბუზვა, აბუზვა ქათმისა (ქეგლ).

ფულო (აჭარ.) ნ. ფულუ.

ფულუ (გურ., იმერ.) თხუნელა, მუდუ (ვ. ბერ.; ს. ფლ.; ა. ლლ.).

ფუშ-ი (აჭარ., გურ.) ფაშვი (შ. ძიძ., ქრესტ.; შ. ნიყარ.).

ფუშვა (იმერ.) შესობა, შერქობა, ჩხვლეტა (ვ. ბერ.).

ფუშვარივა-ი (მთიულ.) ცხვრის წივანა. ნ. მწივანა (ა. მაყ.).

ფუშუარი-ი (აჭარ.) მაგარი, გამომშრალი ყველი (შ. ნიყარ.).

ფუშმან (ინგილ.) დამწუხრებულო, ნაღვლიანი, დადიანი (დიალექტ., 623). სპ. pişman.

ფუშრუკ-ი¹ (ქსნის ხეობ., მთიულ.) მესხ., ფშ.) წყალში გახსნილი ფქვილი (ვ. სომხიშვი.; ლ. კაიშ.); ფქვლის შექამადი (საბა, ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.); მოშუშული ფქვილისაგან დამზადებულ შექამადი ფაფისებურად (ი. მაისურ.); გაუცრელი ქერის პური (ი. ქეშვიკ.).

ფუშრუკ-ი² (ქართლ.): ფუშრუკ-ი ნიადაგი გამშრალი ნიადაგი (გ. შატბერ., 100).

ფუშტ-ი (გურ., ზ. აჭარ.) არასანდო, უნამუსო კაცი (გ. შარაშ.); ღალატი, ღალატობა, მოღალატე, გამცემი (შ. ნიყარ.). თურქ. puşt.

ფუჩ (ინგილ.) ფუქი (მ. ჯან.).

ფუჩინა (ქართლ., ქიზიყ.) ხბო (კირიონი; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ხბო; ნ. ბუჩინა (ს. მენთეშ.).

ფუჩინო-ფუჩინო! (მთიულ.) ხბოს მოხმობის შეძახილი (ლ. კაიშ.).

ფუჩინაობა (ქართლ.) საქმის კეთება უგერგილოდ, თავად (ა. ლლ., ქართლ.).

ფურენი-ი (გურ., იმერ.) ჩურენი, ხმაურობა, ფურჩული (ნ.), ჩურენი (ე. ნინ., I, თ. კიკე.).

ფურფურ-ი (იმერ., გურ., კახ.) ჩიფჩიფი; ჩურჩული (ა. ლ.).

ფუცა (გურ.) ნ. ფუცება.

ფუცება (გურ.) შეცდომა თამაშში; მფუცა შემეშალა, შემცდა. ნ. ფუწი (გ. შარაშ.).

ფუცანი (ფშ., თუშ.) ფუსფუსი, ფაციფუცი (ქეგლ).

ფუცანა (იმერ., გურ.) ნ. ცუცუნა, ფუცუცი.

ფუცანცელა (გურ.) ქინქლა, პაწაწკინტელა მწერი (კ. გვარ., 950; „კომუნისტი“, № 187, 1968).

ფუცანცელა (გურ.) კოლოზე პატარა მწერი. ქინქლა. ნ. ფუცანცელა (პ. ჯაჭან.).

ფუცანცულა-ი (გურ.) წვრილი მწერია. ნ. ფუცანცელა (ა. ლ.).

ფუცანცურა (გურ.) წეს-ჩვეულება იყო ერთგვარი, მიმართული ბუზებისა და ბუზანკალთა წინააღმდეგ (ე. ბერ.).

ფუცანცხო (იმერ.) ფრინველის ხორც-გაცილილი ან მცირე ხორციანი ძელები. ძალიან გამხდარი ქათამი (ი. ქავთ.).

ფუცანცი (იმერ.) ძლიერ პატარა, ნამცეცი (ე. ბერ.).

ფუცანცი² (ლექს.) ტანზე გამონაყარი, მცირე მუწუჯი (მ. ჩიქ.).

ფუცფუც-ი (გურ.) ფუსფუსი, ჩქარ-ჩქარა მისვლა-მოსვლა, საქმიანობა (ა. ლ.: ქეგლ).

ფუცქნა (რაჭ., იმერ.) ბეწვის, ბუმბულის გაცლა (ქეგლ).

ფუცხი (რაჭ., ლექს., მთიულ.) ხორცის ამოსაღები ჩანგალი; საკბილა ჩანგალი ჰოდან ვედროს ამოსაღებად (ლ. კაიშ.; ქეგლ); ფუცხვი ესე არს კავოედი რკინა ქვაბით ქორცთა ამოსაღებელი (საბა); რკინის ფოცხი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ფუცხუნ-ი (ქიზიყ.) სიფიცხე; ფუცხუნა ფიცხი, დაუდგარი, არადარბაისე-

ლი, საქმეში აჩქარებული აღმზრდელი (ს. მენთეშ.).

ფუცხუნა (იმერ.) ციცხინა ღვინო (ე. ბერ.).

ფუძე (ქიზიყ.) სახლის გვარის დასაბამი; გადატ. სახლის ადათი, სახლში ოდითვე დამკვიდრებული ყოფა-ცხოვრება, წესები და თვისებები. „ფუძე მართხოს, რო პატარძალიც ეგეთი იყო“ (ს. მენთეშ.).

ფუწი-ი (იმერ., გურ.) თამაშობის დროს შეცდომა; ფუწიმე! ამბობენ, როცა შეცდომის გასწორება სურთ: უკაცრავად, შემცდაო (ე. ბერ.); თამაშობის დროს შეცდომაზე იტყვიან (ს. ჟღ.).

ფუწა (გურ.) ნ. ფუცება.

ფუჭი (აჭარ.) ფიჭა უთაფლოდ (პ. ჯაჭან.).

ფუჭარი-ი (გურ.) წვრილი ბუზია, რომელიც მაჭარს ეხვევა (ს. ჟღ.).

ფუხარი-ი (გურ.) ბუხარი (ა. ლ.).

ფუხარა-ი (გურ., აჭარ., ჯავახ., იმერ.) ლატაკი. „ავი ნამეტარი ფუხარაი ყოფილა“ (ე. ნინ., III, თ. კიკე.); ღარიბი (დიალექტ., 649, 654, 660). თურქ. fukara.

ფუხლუხ-ი (ფშ.) ფქვილის შეჭამადია (ვათა-ფშ. მც. ლექსიყ.).

ფუხრუჯი (იმერ.) წვრილი, ბევრი საქმე, სამუშაო (თ. ოქროშიძე, სოფ. კოლევინ).

ფქვილუე (ლექს.) საქმელი სოკო (მ. ჩიქ.).

ფქილ-ი (ქართლ.) ყვავილის მტვერი (კირიონი).

ფშა (ქართლ., თუშ.) მდინარის პირს გამონაყონი წყარო ან ჰაობიანი ადგილიდან გამომდინარე გრუნტის წყალი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); წყლის ტოტი (დიალექტ., 643); ღელე ან მისგან გამომდინარე რუ (პ. ხუბ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

ფშალა, მშრალა (ზ. იმერ.) სვია (ა. მაყ.).



ფშალო (გურ., იმერ.) სვია. ნ. ფშალო (ა. მაყ.).

ფშან-ი (იმერ.). ნ. ჭილვა; ნერგი; გადაფშანგა გადანერგვა (დ. გეწაძე, ზესტაფონი).

ფშანტალ-ი (ფშ.) ძალიან რბილი ქვაა (თ. რაზიკ, „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).

ფშატი (მესხ.) ბერყენა, მცენარეა (ა. მაყ.).

ფშაქე (ლეჩხ.) შაბისებური გემო. „გომბრო ფსხალს დამწიფებამდე ფშაქე გემო აქვს“ (მ. ალავე, 2).

ფშვეე! (ქართლ.) ხარის დაძახება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., 3. ხუბ.).

ფშვინდ-ი¹ (ხევსურ.) მშვილდი; ფშვი-ნ დისარ-ი მშვილდ-ისარი (ა. ჭინჭარ., 303).

ფშვინდ-ი² (თუშ.) მშვილდი (თ. უთურგ.).

ფშვინდის ყეფა-ა (თუშ.) ხმა, რომელსაც გამოსცემს მშვილდი ისრის სროლისას (თ. უთურგ.).

ფშვინვა (გურ.) ხვრინვა (ა. ლ.).

ფშვინტი-ი (გურ.) სტვენა (ს. ძლ.).

ფშვრიო (კახ.) შვრია (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფშვარი-ი (იმერ.) პატარა ტყე სახლის ახლოს (გ. ბერ.).

ფშვიკორიე/ი (გურ.) გამზდარი, გაძვალტყავებული (ა. ლ.); ძალზე ხმელი, სუსტი აგებულების ადამიანი ან პირუტყვი („კომუნისტი“, № 294, 1967).

ფშვით-ი (ქართლ.) მკრთო, წვრილი, გამოფიტული (თ. ხალარ., ალგ., 98).

ფშვლარტა (მოხ.). ნ. საწურავაი.

ფშვშილ-ი (ქართლ.) ფშვინვა, ქშული (შ. ძიძ., ნ. კეცხ., 3. ხუბ.).

ფშვოლო (გურ.) ძაფის ან კანაფის ნაწილი (გ. შარაშ.).

ფშვრანტა (მოხ.) ფშალტა (ო. ქაჯ.).

ფშვრუება (ფშ.). ნ. აფშრუებული.

ფშვრუკ-ი (ქართლ.) ცოტა წყალში მოზე-ლილი ფქვილი ან ნაცარი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., 3. ხუბ.).

ფშვრუკვა¹ (ქიზიყ.) ოდნავ წყლისა და ფქვილის ან ნაცრისა და მისთანათა ერთმანეთში არევა და აზელა (ს. მენთეშ.).

ფშვრუკვა² (ფშ.) ცომის ასვრემა ან ნაცრის აზელა (ი. ჭყონ.).

ფშვრუკუნ-ი¹ (მოხ.) აცრემლებული ლაპარაკი (ა. ყაზბ., IV, შ. ძიძ.).

ფშვრუკუნ-ი² (ქართლ.). 1. ქშენა; 2. უსიტყვოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმის გამოცემით ტირილი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., 3. ხუბ.).

ფშვტილ-ი (ლეჩხ., ქე. იმერ.) წისკვილის ნაწილი, რომლისგანაც ბორბალს წყალი სცემს (მ. ჩიქ.); ფშვტირ-ი ხის ვიწრო მილი კოდის წისკვილისა ((ნ.) ზ. ჭუმბურ., 283).

ფშვტირი-ი (გურ.). 1. სიმღერის ხმაა ერთგვარი (გ. შარაშ.); 2. კოდანი წისკვილის მილი, რომლისგანაც ბორბალს წყალი ესხმება (ს. ძლ.).

ფშუკა (გურ.) შუკა, ორლობე (ს. ძლ.).

ფშუკვა (გურ.) ქრობა, ნელ-ნელა ქრობა ცეცხლისა (გ. შარაშ.).

ფშუკუნ-ი (გურ.) ცეცხლის უშედეგოდ ბერვა. „რომ უფშუკუნეფ მაგ ცეცხლს, ვერ დაანთე ამღონ ხანს?“ (გ. შარაშ.).

ფშუკურა/ე-ი (გურ.) ცარიელი, უვარგისი; ფშუკურა ნიგოზ-ი ცარიელი, უვარგისი კაკალი (ს. ძლ.); გადატ. ფშუკურა კაცვი ქარაფშუტა, მოსულელო (ა. ლ.).

ფშუნვა (ქართლ.). ნ. ფშმული.

ფშუტე (იმერ.) ცარიელი, უგულო. გადატ. უნიჭო (ი. ქავთ.).

ფშუჭ-ი (ლეჩხ.) რეტი. „შენი ცხენი ფშუჭიანია“ (მ. ჩიქ.).

ფშუტურა (გურ.). ნ. ფშუტურო, ფშუკურა/ე-ი.

ფშუტურო (გურ.) შიგნით ცარიელი (ი. ჭყონ.).

ფშუტვა (გურ.) სულის ძლიერი ამო-

- თქმა; ხარი ფშუქავეს ხარი ძლიერ სუნთქავს, ხენწის (გ. შარაშ.).
- ფშხალვა** (იმერ.) ბაგეების მანჭვა ნაწყენობა-უქმყოფილების ნიშნად (ი. ქავთ.; ქეგლ).
- ფშხლევა** (ლეჩხ.) წევა, გაშლა (მ. ჩიქ.).
- ფჩალვა** (ლეჩხ.) ტუჩების დამანჭვა ტირილის დაწყებისას (მ. ალავე. 1).
- ფჩენა, გაჩენა** (გურ.) პირის გაღება განიერად, გაბჩენა (გ. შარაშ.).
- ფჩილი-ი¹** (გურ.) ფჩილი; პირუტყვის თვალს ავადმყოფობაა ერთნაირი; საფჩილეს აჭრა ამ ავადმყოფობის მკურნალობა (ა. ლლ.).
- ფჩილი-ი²** (ქართლ.), ახლად გამოსული ჭერ კიდევ წერილი მწვანე ლობიო (თ. სალარ.).
- ფჩილა** (ქიზიყ.) საქონლის ავადმყოფობაა. ნ. ფჩილი (ს. მენთეშ.).
- ფცქილ-ი** (გურ.) პაწაწინა, ნამცეცი; ერი ფცქილ-ი ერთი ნამცეცი, პაწაწინა (გ. შარაშ.).
- ფხა¹** (ფშ., ხევსურ., თუშ.) პირი მჭრელი იარაღისა (ხმლისა, ხანჯლისა, დანისა და სხვ.); ზურგი ვორისა, მთისა; ფხიან-ი გალესილი, მოხერხებული, ყოჩაღი (ვაჟა, 1, ა. შან.; ა. შან.); მჭრელი პირი იარაღისა (ი. ბუქურ., 136).
- ფხა²** (ქიზიყ.) ყველაზე უმადლესი ხაზი ურგზე (დილაქტ., 609).
- ფხაკე** (ქართლ.) ხრიოკი გვერდობი (ქეგლ).
- ფხაკურ-ი** (იმერ.) ფაცა-ფუცი, ფხაკური (ვ. ბერ.).
- ფხალა** (ხევსურ.) ცბრილის ან ცხავის არა მტკიცედ დაწნული ძირი (ა. ჭინკარ., 206).
- ფხარისქევვა** (გურ.) ორიენტაციის გრძნობის დაკარგვა. „ფხარი მექცა და ველარ მევისენთე (ნ.), რა ადგილს ვიყავი“ (გ. შარაშ.); გზის დაკარგვა, დაბნევა, მიმართულების დაკარგვა (ა. ლლ.).
- ფხარკალ-ი** (იმერ.) ფართხალი. „დიდ-
- ხანს იფხარკალა საწყალმა და ბოლოს განუტევა სული“. ნ. შეფხარკალეზა (ვ. ბერ.).
- ფხარწითელა/ე-ი** (გურ.) მხარწითელა, ფრინველა ერთგვარი (ს. ჟლ.).
- ფხავს-ი** (გურ.) ხავსი (ა. ლლ.).
- ფხა-კინჭუხა** (ფშ.) კლდის ან გორის ქვიანი ქიმი (ი. ქეშიკ.).
- ფხასისხლიანი-ი** (ფშ., ხევსურ.) ხმლის ეპითეტია (თ. რაზიკ., „ივერია“, № 168, 1900; ა. ჭინკარ., 307).
- ფხაწლებ-ი** (მთიულ.) კლდე, დიდი აღმართი, მეტად გვერდო ადგილი (ლ. კაიშ.).
- ფხაჟ-ი** (ქიზიყ.) დურგლის იარაღი; ფიცრის კიდის გასახზავი ხელსაწყოა (ს. მენთეშ.).
- ფხაჟვა** (მთხ.) კაჟრვა, ფხაჟა (ო. ქაჯ.).
- ფხაჟიფ-ი** (თუშ.) კლდე-ლორღიანი გზა (პ. ხუბ.).
- ფხაჟი** (იმერ.) ხიოჭი, ძალზე გამხდარი კაცი (ვ. ბერ.).
- ფხაჟუა** (გურ.) მცენარეა ერთგვარი (კ. გვარ., 950).
- ფხე** (გურ.) ქალთა გვარების სუფიქსი, მეგრ. ხე (ს. ჟლ.); ქალიშვილი, ქალი, ასული; ჯიბუტი-ფხე ჯიბუტის ასული. „წივიყვან ჩხაიფხესაო“ (ა. ლლ., გურ.).
- ფხეკ-ი** (ლეჩხ.) ძლიერ დაქანებული ადგილი (მ. ჩიქ.).
- ფხეკის გაღენა** (გურ.) სწრაფად წასვლა, გაქცევა; ფხეკა გავადინე გავიქეცი (ა. ლლ.).
- ფხეკოლა** (ლეჩხ.) მწირი ფერდობი ადგილი (მ. ალავე., 3).
- ფხეწ-ი** (ზ. იმერ.), ნ. ფხრეწეში.
- ფხეჭ-ი** (გურ., მესხ.) კაკლის, თხილის, ნუშის, კვერცხისა და მისთ. გარსი, ნაჭუჭი, ქერქო. ნ. ლენჭეპო (ი. მაისურ.).
- ფხვლიკ-ი** (ქართლ.) ფხვლიკი, ხვლიკი (შ. ძიძ, ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ფხვრა** (ხევსურ.) პურის ფშენა (ა. ჭინკარ., 215).
- ფხვრიალ-ი** (ხევსურ., თუშ.) ცხენის ხმა-



დაბალი ხმიანობა. „ჩაჯოთ გიორგის ლურჯაი ფხერიალებს და უცემს ცხვირსა“ (ა. ჭინჭარ., 245); ფრუტუნის ცხენისა (პ. ხუბ.).

ფზინი (ხევსურ.) საქსოვი იარაღი (ს. მაკალ.); მეცხვარის კომბალივით თავმოკაუჭებული ხელსაწყო, რომელსაც მოხრილი მხარე სოლივით გათხლებულ-გამახვული აქვს, იყენებენ მატყლის ქსოვის დროს (ა. ჭინჭარ., 258).

ფზინი (მთიულ., გუდამაყრ., თუშ.) ტარგაყრილი ოთხკუთხი ფიცარი ლადარის გამოსაყრელად (ს. მაკალ.; ა. ბექ., ლ. კაიშ.; ქეგლ).

ფზიტი (ჭიზიყ.) ცქვიტი, ყურმახვილი, ყოჩალი, მარჯვე. „ფზიტი ბალღია“ (ს. მენთეშ.).

ფზიქა (მთიულ.). ნ. ფქიპა.

ფზიქო (იმერ.) გამხდარი, უხორცო, ხორცშეუსხმელი (ქეგლ).

ფზიქუა/ე-ი (გურ.) ხარაბუზა (ს. ქლ.).

ფზიჯა (თუშ., მთიულ.) კლდის ვაშლა, მცენარეა (ა. მაყ.); ბუსუსიანი ბალახი, ხმარობენ რძის გასაწურად (ლ. კაიშ.).

ფზლაკა (ფშ.) ვახტომა, ნ. ფზლაკვა.

ფზლაკვა (ფშ.) ხტომა, განძრევა, შეთამაშება (ი. ჭყონ.).

ფზლიკვი (თუშ.) ხვლიკი (პ. ხუბ.).

ფზო-ი (გურ.) ხფოი (ნ.), ხზო (ა. ლლ.).

ფზოვი (ფშ.) ფშავ-ხევსურეთი (ს. მაკალ.; ქეგლ).

ფზოველი-ი¹ (ქართლ., ლეჩხ.) ფზიანი, ძალიან ყოჩალი, მარჯვე (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.); მამაცი, მარჯვე. „ფზოველი-ი მეგრძოლები მოამზადეო“ (მ. ალავე, ზეპირსიტყვა).

ფზოველი-ი² (ქართლ.) ჭკვიან, გამჭრიახ და ენამეტყველ კაცზე იტყვიან (გ. შატბერ., 100).

ფზოლი (მოხ., ქსნის ხეობ., მთიულ.) მცენარეა ერთგვარი, წაავგეს მიწის ვაშლს (ო. ქაჯ.; გ. სომხიშვი.); კართოფლივით მცენარე მიწაში (ლ. კა-

იშ.); ფზოლის თავა ბალახია (ს. მაკალ., მთიულ.).

ფზორვა (იმერ.) გაბერვა. „რავა ინდოურივით იფზორებო?“ (გ. ბერ.).

ფზორთვა (კახ.) ქანობით, რამეზე ხელწავლებით სიარული (ა. მარტ., გ. იმნ.).

ფზოჭი (ქართლ.) სახვეწი, მოკაყული რკინის იარაღი კოვზის გულის ამოსაღებად (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ფზოჭა (ქსნის ხეობ.) გლეჯა, მოთქმით ტირილი (გ. სომხიშვი.).

ფზოჭვა (გურ.) კაწვრა, ფზაქნა; დაფზოჭვა დაკაწრვა (გ. შარაშ.).

ფზრე (ფშ., ხევსურ.). 1. ღია, ფარღალა-ლა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.; ი. ქეშვიკ.); 2. ძველი, დახეულ-დაფზრეწილი რამ (ტანსაცემელი და მისთ.); გადატ. მშენებარა (ქეგლ).

ფზრეწები-ი, **ფზეწები**-ი (ზ. იმერ.) კლდიან-მთავორიანი, მწირი ადგილი (მ. წერეთ.).

ფზრისქცევა (გურ., ზ. აჭარ.) ორიენტაციის გრძნობის დაკარგვა, მხრის ქცევა. ნ. ფზრისქცევა (შ. ნიყარ.).

ფზრიწინი-ი (იმერ., რაქ.) ფზრეწა, ქსოვილის გახვევით გამოცემული ხმა (გ. ბერ.).

ფზროკი (ფშ.) გამხმარი ტყავი; ფზროკის გულდა გამხმარი ტყავის გულდა, გაფზროკებული (ვაჟა, IV, ა. შან.).

ფზრუნწია (მთიულ.) პრანქია (ქალი) (ლ. კაიშ.).

ფზუკიანი-ი (გურ.) ამაყი, უკადრისი, მიუჯარებელი, თავდაუქერელი (ს. ქლ.).

ფზუკნა (გურ.) ჩიჩქნა; იფზუკნება ჩიჩქნის, თხნის მიწას (ა. ლლ.).

ფზუნება (ფშ.) სითხის მისხმა; მიფზუნება მიწრინტება (ი. ჭყონ.).

ფზურება (იმერ.). ნ. ფზუნება.

ფზუწა (ჭიზიყ.) ნამდვილი ძურწა, მცენარეა (ა. მაყ.).

ფქიპა (მთიულ.) ყველის მატლი (ლ. კაიშ.).

ქ

ქა-ე (ინგილ., აჭარ.) რქა (მ. ჯან.); ქა, მრ. რ. ქიები (ი. მეგრ.).

ქაბილა (ხევსურ., ჩ. თუშ.). ნ. კბილა; პატარ-პატარად შეკრული დაჩეხილი მატყლი (კ. ჭრელი, 265); ერთხელ და-დაჩეხილი მატყლი (ლ. ლეონ.).

ქაბილუა (ხევსურ.) გაჩეხილი მატყლი. ნ. ქაბილა (ს. ნაკალ.).

ქაბუზაჟ-ი (თუშ.) ბზრიალა (თ. უთურგ.).

ქადა (ქართლ., თიან., კახ.) ერბოში მო-შუშული ფქვილის გულიანი ტკბილი ნამცხვარი (დილაქტ., 600); ერთოთხედილი პური (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ქადაგა-ი (გურ.) მკითხავე, მარჩიელი; ქადაგი (ა. ლ.).

ქადიანი-ი (იმერ., რაჭ.). ნ. ქადა.

ქადინი-ი (თუშ.) მუქარა, ქადილი (ი. ბუ-ქურ., 136).

ქადნა (მობ.). ნ. ქადნოლი.

ქადნილ-ი (გურ.) ქადილი, მუქარა. „არ ვარგა, შევილო. ქადნილი“ (ა. ლ., გურ.).

ქადუნა (კახ., ქიზიყ.) ღორის ქადა, მცენარეა (ა. მაყ.).

ქავ-ი (ფშ., ხევსურ., თუშ.) ციხე, სი-მაგრე, ციხის ზღუდე, გალავანი (ვაჟა, I, IV, ა. შან.; ი. ჭყონ.), ნაგებობა, მაღალი კედელი, გაკეთებული მცირე მონაკვეთზე (ა. ჭინჭარ., 273, 299); საქონლის სადგომი, ყორე-შემოვლებული (თ. უთურგ.).

ქავილა (ქვ. აჭარ.) ძაღლის სატაცური, მიხელტა. ნ. ლეჟშურა (ა. მაყ.).

ქავქავ-ი (თუშ.) ცხენის იორღით ტარე-ბა. შდრ.: ქევქევი (თ. უთურგ.); თავ-მოშწონედ, კობტად სიარული ქალისა (პ. ხუბ.).

ქავციხე (ფშ.) ციხე-გალავანი (თ. რაზიყ., „ივერია“, № 168, 1900; ი. ჭყონ.).

ქაზდარ-ი (ხევსურ., ფშ.) სამყოფოს

(ნ.) იატაკი. „შენს დას სცევე ოქრო-ქსოვილი ზედ ვერცხლის ქამარ მაკ-რული, ქაზდარზე მიბრუნ-მამბრუ-ნავს, ქალი არა სჯობს სხვაენური“ (ა. ჭინჭარ., 289; დილაქტ., 557); მიწუ-რი სახლის იატაკი (ი. ქეშიკ.).

ქათამბარკალა (ზ. იმერ., რაჭ.) შავჩობა; მოქლიო, მცენარეა. ნ. ქიცნარა (ა. მაყ.).

ქათამნაცარა-ე (აჭარ., რაჭ.) გარეული მხალი, ნაცარქათამა (შ. ნიყარ.; ი. თა-გვაძე).

ქათამყიულ-ი (ფშ.) მამლის ყვილი, მამ-ლის ყვილის დრო (დილაქტ., 595).

ქათანა (გურ.) საუკეთესო, საგანგებოდ გამოშვებული დარაია, აბრეშუმის ქსო-ვილი (გ. შარაშ.).

ქათანაცარა (გურ., ლეჩხ., იმერ.) ბალა-ხეული მცენარეა, ნაცარქათამა (კ. გვარ., 950; მ. ჩიჭ.; ა. მაყ.).

ქათბ-ი¹ (ფშ.) ბეწვიანი ტანსაცმელი (ვაჟა, IV, ა. შან.).

ქათბ-ი² (ხევსურ.) ქალის ტანსაცმე-ლი (ა. ჭინჭარ., 265).

ქათბ-ი³ (ფშ.) მოკლე (მუხლებამდის) ზევიდან ჩასაცმელი ქალისა, სახა-ფხულო პალტოსავით (დილაქტ., 595).

ქათირა (ქიზიყ.) გლერძი, მცენარეა (ა. მაყ.).

ქათითო (ჯავახ.) ნაცარქათამა, მცენა-რეა (ა. მაყ.).

ქათიუჭუჭუა (კახ.). ნ. წითელუჭუა.

ქათმისკლანჭა (ქიზიყ.) მწვერფეხა, მცე-ნარეა (ა. მაყ.).

ქათმის ფერხვა (გურ.) კალანდის (ახალი წლის) მეორე დღეს ქათმის დღეობა (გ. შარაშ.; ს. ჟღ.); ამ დღეს ფეხბედ-ნიერი „ფერხავს ქათამს“. ჯერ გაავ-სებს დიდ მწარე ხაპს (ნ.) სიმინდის ან ღომის მარცვლებით და დაუყრის ქათ-მებს საკენკს. საკენკის ბნევის დროს მფერხავი დარბის და მღერის ამ სიტყვებით: „ჩივი, ჩივი, ვარიკო, გა-

- მოკევე ყველაყო. ასი დედალ, ასი მამალ, ასი მისი მოჩხოროზი“. ამ სიმღერისას ქათმები წას ზურგში მისდევენ და კენკავენ დაყრილ მარცვლებს. ბოლოს მფერხავი გაიერდება, მარცვლებით სავსე მწარე ხაბს (ნ.) ფეხით გატეხს, მარცვლები გადმოცევა და იტყვის: ასე გამარჯვლდეს ჩემი ქათმებიო (ა. ლ.).
- ქათმიქონა** (იმერ., გურ., ლეჩხ.) ქონა, მცენარეა (კ. გვარ., 950; ა. მაყ.); მხალია ერთგვარი (ი. ქაეთ).
- ქათქათ-ი** (ქიზიყ.) ყბედობა, ქარტალი; ქათქათა ყბედი (ს. მენთეშ.).
- ქაიდელა-ი** (გურ.) გულაგდებული, ხეტიალის მოყვარული (გ. შაჩაშ.).
- ქაიჯრობა** (გურ.) — ქარიჯვრობა, ქარის დღესასწაული ძველად (გ. შაჩაშ.).
- ქალ-ი** (ფშ.) გასათხოვარი მანდილოსანი, ქალიშვილი (ი. ქეშიყ.).
- ქალა¹** (ხევსურ., გუდამაყრ., მთიულ.) კინ-მოფერ. ქალი (დილაქტ., 557); გაუთხოვარი ქალი, ქალიშვილი (დილაქტ., 574); გოგონა 9—10 წლამდის (ლ. კაიშ.).
- ქალა²** (ქიზიყ.). 1. კარ-ფანჯრის ჩარჩოს ზემოთა ნაწილი; 2. ქუდის ზემო ნაწილი, ცა; 3. თავის ქალა, ქოჩრის ბრტყელი ნაწილი, თხემის ბრტყელი ნაწილი, რომელიც თითქოს თეფშით ადევს თავს; 4. ქალური ყოფაქცევა (ს. მენთეშ.).
- ქალა-ბიჭა** (მთიულ.) ძროხა, რომელიც სამ წლამდე და შემდეგაც არ მოიგებს (ლ. კაიშ.).
- ქალადო** (ქართლ.) ნ. ქალადოში.
- ქალადოშ-ი** (მესხ.) დოს შექამადი (ი. მაისურ.).
- ქალაკოდა** (რაჭ., ლეჩხ., იმერ.) ნიუკა, მცენარეა (ა. მაყ.); საჭმელი სოკოა (შ. ჩიქ.).
- ქალაკუდა** (რაჭ.) ბალახეული მცენარეა (შ. ძიძ., 215).
- ქალამ** (ინგილ.) ნ. ლახანა. აზერბ. **КАЛАМ**.
- ქალანქეშ-ი** (აჭარ.) ორტოტა ხე ქვის დასათრევად. ქვას აქვს ნახვრეტი, რომელშიაც ჭაჭვს ან ღვღერტს გაუყრიან და ისე დაითრევენ (შ. ნიქარ.).
- ქალკურა** (მთიულ.) შავი ქალი, იხმარება წყევლის დროს (ლ. კაიშ.).
- ქალატრუა** (ქიზიყ.). ნ. ქალა²4.
- ქალაქია დღე** (ქართლ.) ზაფხულის დიდი დღე (თ. სილარ., ალგ., 83).
- ქალაქობია** (იმერ.) ბავშვთა თამაშია (ვ. ბერ.).
- ქალადა** (ქართლ.) აბრეშუმის თევშალი, თავსაფარი ქალისა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ზუბ.).
- ქალადია** (გურ., კახ., ქიზიყ.). ნ. ქალადა.
- ქალაშა** (ფერეიდნ.) მოქსოვილი ფეხსაცმელი (ა. ჩიქ.).
- ქალაშვა** (მთხ.) შავთვალწარბა ქალი (ამასთანავე მოხეურში ამ სიტყვას მოფერებით-ირონიული ნიუანსიც აქვს: ვითომც შავთვალა, ვითომც ლამაზი) (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).
- ქალაქუა** (ქიზიყ.). ნ. ქალა²4.
- ქალაჯო** (ზ. აჭარ.) ქალანცხო, დოს შექამადი. ნ. ქალადოში (შ. ნიქარ.).
- ქალბანი¹**, **ქალბან-ი** (ხევსურ.) კაცის ტალავარია (ა. კინჭარ., 264).
- ქალბანი²** (მთხ.) მესტისებრი ყელზე ამოკერებული ქვედა ნაწილი ფეხსაცმლისა. საერთოდ ეწოდება ყოველგვარ ადგილობრივად გაკეთებულ ფეხსაცმელს გარდა ბანდულეებისა (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).
- ქალბანა** (გურ.). ნ. ქალვანა.
- ქალვანა** (გურ.) ქალბანა (ნ.), მცენარის ზეთი თუ წებოა ერთგვარი. „ლილა, ქალბანა, შველირის ხორცი. შავტარიანი დანა — ყველა შეგეწიოს და შეგიწყალოს“ (ლოცვა) (ა. ლ.).
- ქალზალ-ი** (თუშ.) ქალი და რძალა (დილაქტ., 584).
- ქალიშ** (ინგილ.) შალიფა, მცენარეა (ა. მაყ.).

ქალიწი (ხევისურ.) ტოტის (ნ.) გატანის დროს ზოლად დაყრილი მოთიბული ბალახი (ა. ჭინჭარ., 225).

ქალრძალი (ჭიზიყ.) ოთხიოდე წლის წინათ ჯვარდაწერილი პატარძალი საერთოდ. ნ. ქალზალი (ს. მენთეშ.).

ქალტა (გურ., იმერ.) ბაკი, ქართა. „დაამწყვდია ქალტაში“ (ე. ნინ., II, თ. კიკვი, კ. გვარ., 950; ი. ჭყონ.; ს. ჟ.; ა. ლ.).

ქალფათინი (ჭიზიყ.) ოქრომჭედლის იარაღი: ოქროს ან ვერცხლის მავთულის გამოსაწევი გაზია, ბრტყელი, დაკბილული პირი აქვს, რომ მავთულს კარგად მოეჭიდოს (ს. მენთეშ.).

ქალშავა-ი (მოხ., მთიულ.) საალერსო სახელწოდება ქალიშვილისა. ნ. შავქალა, ქალკუპრა (დიალექტ., 564).

ქალშავა-ი² (გურ.) მცენარეა ერთგვარი (ა. ლ.).

ქალწუა (მოხ.) ქალაჩუნა („კომუნისტი“, № 187, 1968).

ქამ-ი (გურ.) ნამი, სისველე; დაქამულ-ი დანამული, ნესტიანი, სველივით (გ. შარაშ.); ოდნავ სისველე; დაქამვა დასველება ოდნავ (ა. ლ.).

ქამა (იმერ.) ქამა სოკო: არ ვიცი, როგორია (ა. მავ.).

ქამალადო (ფშ.) მათარა, წყლის სასმელი, ირმის ფეხისაგან განაძრობი ტყავი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).

ქამანი (ჭიზიყ.) მჭედლისა და დურგლის იარაღი: ბურღის დასატრიალებელი მშვილდია (ს. მენთეშ.).

ქამაქინი (რაჭ.) გამკრავი ქარი („კომუნისტი“, № 294, 1967).

ქამბალი (თუშ.) ქალმანი (ბ. ხუბ.).

ქამბოხ-ი (რაჭ.) დადუღებული ტკბილი დამაპკრებამდე (ი. ჭყონ.).

ქამენია (გურ.) ნ. კამანია, ძალიქინძა.

ქამიანი (გურ.) მოსველო: დაქამვა დასველებასავით (ი. ჭყონ.).

ქამინია ე-ი (გურ.) ნ. ქამენია.

ქამუშ-ი (ლენჩ.) სწრაფი და დახარბებული ქამისას გამოცემული ხმა. „რას ქამუშო ბ ლორივით“ (მ. ალავე, 1).

ქამფოლარ-ი (ზ. იმერ.) ავი, ბოროტი (ქ. ძოწ.).

ქამფურ-ი (ზ. აქარ.) სადურგლო იარაღი: ფიცრის კიდეების საპვრეთელი — იატაკის ან კედლის ამოყვანის დროს ფიცრები რომ ერთმანეთში მტკიცედ ჩაისვას (შ. ნივარ.).

ქანი-ი¹ (რაჭ.) მარჯვე ადგილი (გ. ბერ.).

ქანი-ი² (ჭიზიყ.) სახლის კარისპირა დერეფნის, საჩეხის, სვეტის დასაყრდენი დირე (ს. მენთეშ.).

ქანდარა-ი (მოხ.) საფეიქროს, საქსოვი მოწყობილობის ჯოხი, რომელზედაც ჩამომხულია თოკები შეეებისა (ნ. შე) და სავარცხლისათვის (დიალექტ., 564).

ქანდრუკელა (ხევისურ.) ნ. ქანიელა.

ქანვარე (რაჭ.) მდინარის ადგილი, სადაც წყალი მიექანება, სწრაფად გარბის (გ. ბერ.).

ქანთელა (იმერ.) პირუტყვის სნეულეზა, ენა ასტკივდება და ილუბება (ი. ჭყონ.).

ქანიელა (მესხ.) საქანელა (ი. მაისურ.).

ქანიხე (კახ.) სვეტების დასაყრდენი დირე (ა. მარტ., გ. იმნ.).

ქანქალ-ი (ლენჩ.) ფამფალი, ფანფალი; ქანქალო ბს ფამფალებს. „ქპილი მძვრება, ქანქალო ბს“ (მ. ალავე, 2).

ქანქანი (თუშ.) ხვრელი (ი. ბუქურ., 136).

ქანქანა (ქართლ., ქიზიყ.) გვირაბი წყაროს გამოსაყვანად (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); წყაროს გამოსაყვანი გვირაბი (ს. მენთეშ.); ქოქანიკი, ხელოვნებით გამომთხრელი ღრუდოთა და გამოწყუანი წყალთა (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ქანქარუშ-ი (ხევისურ.) ნ. ლადარი.

ქანქვა (იმერ., გურ.) ყლაპვა, ლორივით ჭამა (გ. ბერ.); უშნოდ ჭამა (ს. ჟ.).

- ქანქლე** (ქართლ.) მსუბუქი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქანქურ-ი** (ქართლ. გურ.) ტყუილუბრალოდ ტანის რხევა (კირიონი).
- ქანჩახ-ი** (ფშ., თუშ., ქიზიყ.) ბუჩქნარი; ბუჩქებით ან ტყით დაფარული ციკაბო, კლდინი ადგილი (ვაჟა, I, IV, ა. შან.; ქეგლ); მაღალი კლდე, წამოტეხილი, ნაფხვრიანი (თ. უთურგ.); გაუვალი კლდინი ადგილი (ს. მენთეშ., დამ.).
- ქანჩიან-ი** (გურ.) ცბიერი, ეშმაკი, ხერხიანი (გ. შარაშ.).
- ქანცაქუნც-ი** (ზ. იმერ.) ქარაფშუტა, ცერცეტი (ბ. წერეთ.).
- ქანძურაობა** (ფშ.) ქანაობა (ვაჟა, I, ა. შან.).
- ქანწულობა-ა** (თუშ.) ქანაობა ჩამომმულ თოჯზე, ჭაჭვზე, საბელზე, ხის ტოტზე (პ. ხუბ.).
- ქანჯალ-ი** (გურ.) დანჯღრევა (ს. ჟღ.).
- ქანჯვა** (იმერ.) გვერდზე წაფერდება, წაქცევა (გ. ბერ.).
- ქაოციან-ი** (გურ.) მშიშარა ადამიანი (ს. ჟღ.).
- ქარა¹** (ქართლ.) დოლის ხის ნაწილი, დოლის რკალი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქარა²** (გურ.) წვეტიანი ჩხირი ქაჭვივით (გ. შარაშ.).
- ქარა³** (ოკრიბ.) ზღმარტლის, ბაძგრის, ასკილის, ტყემლის, ქაცვის ეკალი (მ. ალავე.).
- ქარა⁴** (აჭარ.) კეცის კიდე, ამოწეული გვერდები (შ. ნიყარ.).
- ქალაბ-ი** (ფშ.). ნ. ქარაფი¹.
- ქარაბიჭა** (ქიზიყ.) ქალაბიჭა, ბიჭური საქციელის ქალი (ს. მენთეშ.).
- ქარაგოზ-ი** (ჩავენ.) კლდის ხავსი (ი. მაისურ.).
- ქარავოც-ი** (გურ.) ქარაოცი, უადგილოდ გაოცება. გაკვირდება, შეკრთომა; გაქარავოცებული-ი ირონულად გაკვირვებული, გაოცებული (ა. ლლ., შღრ.: ქეგლ).
- ქარაზენზ-ი** (მესხ.) ქარაძენძი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ქარათო** (გურ.) ზაფხულის დიდი სიციხე, პაპანაქება. ნ. ქერეთო (ა. ლლ.).
- ქარაოც-ი** (გურ., იმერ.). ნ. ქარავოცი.
- ქარაპ-ი** (თუშ.) ციკაბო, მაღალი და გაუვალი კლდეები (თ. უთურგ.).
- ქარახხა** (ფშ.) სტვირის მთავარი ნაწილი რქისა, რომელიც ოდნავ მოკაყულია და ბოლოსაკენ მსხვილდება (ვაჟა, I, ა. შან.).
- ქარაფ-ი¹** (ხევსურ., ფშ.) დიდი ლოდი; ციკაბო კლდე. „დაღმარხეს წვერის ძირშია, ზედ ქარაფს დასცემდინა“ (ა. ჭინჭარ., 275); უსწორო-მასწორო ზედაპირის მქონე მაგარი კლდე. ნ. ქარაპი (დილაუქტ., 595).
- ქარაფ-ი²** (იმერ.) თხელი, მეჩხერი ტყე, ვენახი, ნათესი... (ქეგლ).
- ქარაფათ** (გურ.) თავისუფლად, მჩატედ. „მაგი ლობიე თუ ქარაფათ არ იქნა, ისე კი არ მეიხარჩება“ (გ. შარაშ.).
- ქარაფშუტა** (ლენჩ.) ბურბუშელა, ბალახია (ა. მაყ.).
- ქარაქუტა** (ქართლ.) ჭკუამსუბუქი კაცი (თ. რაზიყ., „იერიკა“, № 168, 1900; ი. ჭყონ.); ქარაფშუტა, მსუბუქი ჭკუის ადამიანი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქარაშოთ-ი** (ფშ., გურ.) უცებ ამოვარდნილი ქარი, წვიმანარევი ქარი (ი. ჭყონ.).
- ქარახხ-ი¹** (გურ.) ხარის ან კამეჩის რქა, რომელშიაც ურმის ბორბლის საბონს ან კუბრს ინახავენ (ს. ჟღ.).
- ქარახხ-ი²** (ზ. აჭარ.) კიბონის (გულდასტვირი) სარეზონანსო ნაწილი, შეიძლება იყოს რქისა ან ხისა (შ. ნიყარ.).
- ქარეულა** (ქართლ.) საქანელა (პ. გაჩეჩ.).
- ქართა** (იმერ., გურ.) ეზოსთან შემოღობილი ადგილი, ღამით საქონლის დასამწყვდევედ. ნ. ქალტა (ი. ჭყონ.).
- ქართავი** (იმერ.) ბრტყელი ჩხირი, რომლითაც გოზავენ ქუპრუტანებს (გ. ბერ.).

- ქართულ-ი** (ინგილ., თიან., ქართლ.) სიტყვა (დიალექტ., 623); ავ-ი ქართულ-ი ცუდი სიტყვა (დიალექტ. 600); სიტყვა; თქმა. „შენითანა ქართულსა ჩვენ სოფელში მეორე ვერ იტყვის, მე და ჩემმა მზემამა“; „ერთი ქართული უნდა მოგახსენო“; „როსტომ სთქვა: სამი ქართული ჩინეთს ქვაზედა სწერია“; „წამოდგა პილწი ეშმაკი იმავ ქართლის თქმანება“ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქართულ-ი ყიარ-ი** (ქიზიყ.) მჭედლის გაკეთებული დიდთავა და მრგვალწვერიანი ლურსმანი ნაღისა (ს. მენთეშ.).
- ქართულა** (იმერ.) ყურძნის ჯიშია თეთრი. ნ. მანათა (ლ. ლექ., 63).
- ქარიბან-ი** (ხევსურ.) ქვიტკირის (ნ.) ხის აივანი (ს. მაკალ.); საპირფარეშო (ა. ჭინჭარ., 283).
- ქარშიჯ-ი** (ხევსურ.) ნ. ნაწვრეთი. არხოტელები ნაწვრეთს ქარმიჯს ეძახიან (ა. ჭინჭარ., 213).
- ქაროზაყ-ი** (თუშ.) ხელგაშლილი, ხელიაფი ადამიანი (პ. ხუბ.).
- ქარსაზობა** (ქართლ.) გაბედულად, ყოჩაღად სვლა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქარსალაობა** (ფშ.) ზამთარში მსუბუქად ჩაცმა ან სიცივეში გაუფრთხილებლად სიარული (ი. ჭყონ.).
- ქარხანგ-ი** (მესხ.) ვარცლი (ი. მისურ.).
- ქარხოტ-ი** (ფშ.) მსუბუქი რამ. „არ მინდისარ, არ წამოვალ, თვალში მექარსაოტები“ (თ. რაზიყ., „ივერია“, № 140, 1900).
- ქარხეტყვა** (მთიულ.) ქარისა და სეტყვის დღე; ამ დღეს არ მუშაობდნენ, უქმობდნენ (ს. მაკალ.).
- ქარხლ-ი¹** (მოხ., ქვ. ქართლ.) თხელი ტყავი (ო. ქაჯ.); კვერცხის აპკი (ლ. ლეონ.; ქეგლ.).
- ქარხლ-ი²** (მთიულ.) წვრილი თოვლი და ქარი, ან მობერილი ქარისაგან მიწაზე დადებული წვრილი თოვლი (ლ. კაიშ.).
- ქარსლა¹** (ფშ.) შილაფად ჩაცმული რანგა (ა. ჭინჭარ., ფშ.).
- ქარსლა²** (კახ.) სპარსული ღვარძლა (ა. მაყ.).
- ქარსოკო** (ლენხ.) ბუასილი (მ. ალავ., 1).
- ქარუბალ-ი** (მესხ.) ქარვა (ი. მისურ.).
- ქარუზაყ-ი** (თუშ.) ხელგაშლილი (თ. უთურგ.).
- ქარფიქ-ი** (მესხ., ჯავახ.) ბუნარევი ალიზი (ი. მისურ.).
- ქარქარ** (ინგილ.) ყბედობა, მიქარვა (მ. ჯან.).
- ქარქატი** (ქიზიყ.) წითელი მიწა, ადვილად იფშენება, ადვილი დასამუშავებელია (ს. მენთეშ.).
- ქარქაშობა** (ზ. იმერ.) უმიზნოდ ჩქარა სიარული (ბ. წერეთ.).
- ქარქაჭინა** (ქიზიყ.) ძალიან თხელი, სიფრიფანა. „ამ ზამთარში ქარქაჭინა ტანისამოსი მეცვა და გავცივდი“ (ს. მენთეშ.).
- ქარქვეტ-ი** (მთიულ.) თავქარიანი, ქარაფშუტა (ლ. კაიშ.).
- ქარქვეტა** (ზ. მერ.) მსუბუქი მწერის სახელია; გადატ. მჩატე ადამიანი (მ. ალავ., 3).
- ქარქლ-ი¹** (ქართლ.) ნ. ქანქლე.
- ქარქლ-ი²** (მთიულ.) სიფრიფანა, თხელი (ლ. კაიშ.).
- ქარქლა-ა** (მოხ.) ძალიან თხელი. „ქოქობათ კაცი ხკილია ქარქლაჲს პერანგაათა“ (ო. ქაჯ.).
- ქარშავა** (იმერ.) მხალია ერთგვარი (ი. ქავთ.).
- ქარშამანგ-ი** (იმერ.) ნ. ქარცანიყი.
- ქარშატეულ-ი** (ხევსურ.) მაცე ძროხა მაკეობის პირველ პერიოდში. ნ. მჩნევიარე (ა. ჭინჭარ., 231).
- ქარშეთ-ი** (გურ.) ქარაშოტი. ნ. ქარაშოთი (ა. ლლ.).
- ქარშიყ-ი** (ქართლ., ფშ., გუდამაყრ., მთიულ., მოხ.) სარტყელი საქონლის ზურგზე გადასაკრავად (ა. ლლ., ქართლ., 288; ლ. ლეონ.); არჩანჩი, ბრტყელი საბელი (საბა); ფართო და

- გრძელი შემოსაკრავი (ნ. ჩუბ.), ფართოდ და გრძლად ნაქსოვი ღაზლისა (დ. ჩუბ.), ღაზლის ან სხვა მომსხო ძაფისაგან მოქსოვილი ბრტყელი სარტყელი საქონლის (ხარის, კამეჩის, ცხენის...) ზურგზე ჩულის დასამაგრებლად (ქეგლ).
- ქარშოტა** (გურ.) ნაღველა, მცენარეა (ა. მაყ.).
- ქარშოში** (იმერ.) ხორშაყი (ი. ქავთ.).
- ქარშოშინი** (ლენჩ.) სიო, ნიაფი. „სიცხე იღვა, მარა ნასამბრებს ამევიდა გამაცოცხლებელი ქარშოშინი“ (მ. ალავ., 2); მშრალი, ცხელი ქარი, — ხორშაყი (ქეგლ).
- ქარჩი** (ფშ., ხევსურ., მოხ., გუდამაყრ., მთიულ., ქართლ.) რკინის იარაღი, მიწის სათხრელი, წერაქვი (ი. ჭყონ.); ბოსტნის დასამუშავებელი იარაღი, რომელსაც წერაქვივით ორი პირი აქვს: ერთი ფართო, მეორე—მწვეტი (ვაჟა, I, 1946, ა. შან.); ქვის დასამუშავებელი იარაღი (ა. ჭინჭარ., 276); ერთგვარი თოხია (დიალექტ., 564); ცალპირა წერაქვის მსგავსი თოხი, ხმარობენ მიწის ასაშლელად, გორახის სამტერვად (დიალექტ., 574); ცალპირა წერაქვის მსგავსი თოხი (დიალექტ., 643); ცალპირა თოხი (ს. მაკალ.; ლ. კაიშ.).
- ქარჩხი** (გურ.) ბადისებრი, რომელიც გამოჰყვება დედის მუცლიდან ახალშობილ ვაჟს თავზე მოხვეული; ქარჩხიანი ვადატ. ბედიანი (გ. შარაშ.).
- ქარჩხავი** (გურ.) სინონიმი მზაკერის, კუდიანისა (ა. წულ., ეთნოგრ. გურია, 1971, 138).
- ქარცი** (მესხ.) ქერა ადამიანი (ი. მაისურ.).
- ქარცანიკი** (იმერ.) ბუშის ბუში, ქარშამავი (ნ.). ქასანიკი (ნ.) (ვ. ბერ.).
- ქარცეცხლი** (იმერ., გურ., რაჭ.) ავადმყოფობა: ტანზე ქერცვლასა და ქაეილს იწვევს (ე. ნინ., I, თ. კიკვი; ვ. ბერ.).
- ქარცეცხლა** (აჭარ., ზ. იმერ.) მცენარეა ერთგვარი, ქრისტესისხლა (ნ.), ცეცხლეკალა. ნ. ნარცეცხლა, ნარეკალა (შ. ნიფარ., ა. მაყ.).
- ქარცხე** (თუშ.) მთის ბალახია (პ. ხუბ.).
- ქარცხო** (კახ.) ქარცხე, მცენარეა (ა. მაყ.).
- ქარხინკა** (ხევსურ.) საქარგავი შულო (ა. ჭინჭარ., 262).
- ქარხლა** (მთიულ., გუდამაყრ.) ჩითი (ე. ვირსალ.).
- ქარჩინა** (მოხ.) ქერის პური ნაღვერდალში (ნაცარში) გამომცხვარი (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).
- ქარხანაკი** (იმერ.). ნ. ქარცანიკი.
- ქასანიკი** (რაჭ.) ეშმაკი. გაქნილი ადამიანი (ქეგლ).
- ქასარა-ა** (აჭარ.) მსხვილბეწვა, ხმელი (მატყელი, თმა...), — ფაცახი (შ. ნიფარ.).
- ქახე** (ლენჩ.). 1. ბრჭყალი; 2. გრძელი ეკალი (მ. ჩიქ.).
- ქასრა** (გურ.) ბალახეული მცენარეა ერთგვარი (ქაჭიეთი, ლ. თეართქილაძე).
- ქასურ** (ქართლ., ხევსურ., მოხ., მთიულ., ქსნის ზეობ.) სალესავი ქვა; ცეცხლის სალესი (დიალექტ., 643; 564; ა. ჭინჭარ., 223; ო. ქაჯ.; ლ. კაიშ.; ვ. სომხიშვი.); მაქური (ნ. ჩუბ.); მაქური, სასრევი, სალესავი ქვა (დ. ჩუბ.).
- ქასქანჯიელი** (ფშ., ქართლ.) ეშმაკი, მაცილი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).
- ქასქასი** (ქართლ., ფშ.) ქაქანი სიციხისა და დალაღისაგან (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900).
- ქაფათარი** (ქიზიყ., ქართლ.): ქაფათარი-ი ძეძვე-ი ახალგაზრდა წვეტიანი და ხშირეკლიანი ძეძვი; საღობავად კარგია (ს. მენთეშ.).
- ქაფალი** (ქიზიყ.) ფეხსაცმლის კარგი საპირე (ს. მენთეშ.).
- ქაფარი** (ფშ.) აშარი (ი. ქეშიკ.).
- ქაფასტარი** (ქიზიყ.) მეშის სარჩული (ს. მენთეშ.).

- ქართარი-ი (ქიზიყ.) ფეხზე მდგარი აგური ქურაში (ს. მენთეშ.).
- ქაფუნა (მესხ.) ბალახია, წყალში ქაფდება საპონივით (ი. მისურ.).
- ქაფურა (მესხ.) სუსამბარი, მცენარეა (ა. მაც.).
- ქაფქაფი-ი ღომი-ი (გურ.) ახალდამზადებული რბილი ღომი (გ. შარაშ.).
- ქაფშია, ქაფშიე (გურ., ზ. აჰარ.) ხამსა, ზღვის წვრილი თევზია (ა. ლ.; შ. ნიჟარ.). თურქ. hamsi (დ. ჩუბ.; ქებღ).
- ქაქაბუკა (ჯავახ.) ნ. კაბაკუბა.
- ქაქარი-ი (ლენჩხ.) აღმართი (მ. ალავ., 1).
- ქაქაჩი-ი (ხევსურ.) ნ. ქაჩი.
- ქაქაშე-ი (ხევსურ.) ნ. ლადარი.
- ქაქვა (ლენჩხ.) მიქაქვა, ცეცხლის მიფიცხება (მ. ალავ., 1).
- ქაქია¹ (ინგილ.) ასკილი, მცენარეა (ა. მაც.).
- ქაქია² (გურ., იმერ.) ფაფა; რძისა და სველის ფაფა (ს. ქლ.; ა. ლ.; ვ. ბერ.).
- ქაქრაქუნა (მთიულ.) საქანელა (ლ. კაიშ.).
- ქაქსუტა (რაქ.) მოლთმენელი ადამიანი („კომუნისტი“, № 294, 1967).
- ქაღერა (იმერ.)—რქა-ღერა. ცალრქიანი საქონელი (ვ. ბერ.).
- ქაშაბორიე (გურ.) ფარღალა. „ამ ქაშაბორიაში რა დაკადება?“ (გ. შარაშ.).
- ქაშანი-ი (ზ. აჰარ.) მალატყიან ადგილას დაშვებული ბუნებრივი თხრილი, რაშიაც შეშას ან მძიმე საშენ მასალას ორევიით დაატურებენ ხოლმე (შ. ნიჟარ.); შამბთა და თოვლზედ გაქელილი გზა (საბა: ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- ქაშაოტი-ი (ლენჩხ.) ავი დედაკაცი (მ. ჩიქ.).
- ქაშაპა-ი (გურ.) თევზია ერთგვარი (ა. ლ.).
- ქაშატი-ი (გურ.) ნ. ქაშაპა.
- ქაჩი-ი, ქაქაჩი-ი (ხევსურ., მოხ.) ცხოველის კლიკის (ნ.) ბოლო, რქოვანი ნაწილი. (ა. ჭინჭარ., 240); ჩლიქი; ვადატ. ძველი ფეხსაცმელი (ო. ქაჯ.).
- ქაჩალი-ი (ხევსურ.) ქვის დასამუშავებელი იარაღია. „რომოდ მათუნდა ქაჩალი, სამოც—ქვის სამტყრევ კვერია“ (ა. ჭინჭარ., 276).
- ქაჩაჩი-ი (იმერ.) პირუტყვებს ფოლს ზემოთ ფეხი მოვიწროებული აქვთ და ამ ადგილს საოლავე ეწოდება; მას ზემოთ, სადაც საოლავე თავდება, ბატარა გამობერილი კორძი აქვთ (რომელიც უკან არის მოქცეული), იმას ეწოდება ქაჩაჩი (ი. ჭყონ.).
- ქაჩებ-ი (მოხ.) ჩლიქები (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).
- ქაჩვა (იმერ.) ამპარტანობა, თავმოწონება (ვ. ბერ.).
- ქაჩია (ოკრიბ.) შუაცეცხლთან გაკეთებული ხარობა ტანისამოსის გასაშრობად (ვ. ბერ.).
- ქაჩია-ა (მოხ.) კაცი, რომელიც სიარულის დროს ფეხსაცმელს ამრუდებს (ო. ქაჯ.).
- ქაჩმახ-ი (მოხ.) მახინჯი (ო. ქაჯ.).
- ქაცაბანი-ი (ხევსურ.) უბალახო სათიბე (ა. ჭინჭარ., 224).
- ქაცავატ (ინგილ.) გაქუცული, ფოთოლ-გაცევილი; ფერწასული (მ. ჯან.).
- ქაცანე-ა (თუშ.) პატარა გოგო მოფერებით (პ. ხუბ.).
- ქაცევა, კაკა, ჩიტაკაკა (ლენჩხ.) საუკეთესო გიშის კაკლის ხეა, ისხამს საშუალო ზომის მარცვალს, რომელიც მჩატეა და თხელნაჭუჭიანი, ჩიტი ტეხს და ქამს (მ. ალავ., 2).
- ქაცო-ა (თუშ.) ნ. ქაცანეა.
- ქაცუცა/ე-ა (იმერ.) ქაცვი, ეკალი (ვ. ბერ.).
- ქაცუცელა (ქიზიყ.) უუნარო, უქნარო ადამიანი (ს. მენთეშ.).
- ქაციტა/ე-ი (იმერ — რქაქიტეა რქებწვრილი საქონელი. ნ. რქაფსიტა (ვ. ბერ.).
- ქაჭვი-ი (გურ.) ქაცვი, ეკლის წვერი;

- ქაქვენარი-ი ეკალნარი, ეკლიანი ადგილი (ა. ლ.); ეკალი, ეკლიანი ტოტი (ს. ჟლ.).
- ქაქვი (იმერ.) ეკალი, ეკლიანი ადგილი. ნ. ქაქვი (ვ. ბერ.).
- ქახანი (მესხ.) კარტოფილის ამოღების შემდეგ დარჩენილი ნაყოფის ძებნა. „ქახანზე წავედით“ („კომუნისტი“, № 187, 1968).
- ქაქეკალა (იმერ.) გლედიჩია, მცენარეა (ა. მაც.).
- ქაქვა (ქიზიყ., ქართლ.) წნეხით გამოწურვა წვეინსა ჭაჭისაგან. ნ. საქაჯავი (ს. მენთეშ.; ა. ლ.).
- ქაჩია (ფშ., მთიულ.) ცხვრის წვივის ძვალი (ლ. ლეონ.; ქეგლ); ქათმის აქაშბ (ლ. კაიშ.).
- ქაჩილოჯა (აჭარ.) გარეული სტაფილო (შ. ნიქარ.).
- ქაჯო (თუშ.) შეკონილი ბალახი (ს. მაკალ.).
- ქაილი-ი (რაჭ.) ფქვილი (დიალექტ. 689).
- ქე (გურ., ლეჩხ.) კი, მტკიცებითი ნაწილაკი (ე. ნინ., 1, თ. კიკვი; ს. ჟლ.; დიალექტ., 667); ნაწილაკი, რომლის სინტაქსური დანიშნულებაა აზრის დადასტურებით გამოთქმა (ა. ლ.); ქეი, კი (მ. ჩიქ.; დიალექტ., 679).
- ქედა (კახ., ფშ.) ღორი მრეში, ქედზე თეთრხალისანი; „შენ, ჩემო ღორო, ქედაო“ (ლ. ლეონ.); საქონელი, რომელიც უღლის მაკარებას უფრთხის (ქეგლ); ზარმაცი, მცონარა ადამიანი (ს. მენთეშ.).
- ქედანა (ქართლ., იმერ.) ქედმაღალი, თამამი, გამბედავი, ამპარტავანი, ამაცი (ქეგლ; ი. ქავთ.).
- ქეჩი-ი! (იმერ.) ხბოს დაძახება, მოწოდება (ვ. ბერ.).
- ქევანი (თუშ., ქიზიყ.) უბრალოდ შეკერილი ნაბადი (პ. ხუბ.; ს. მენთეშ.).
- ქევქევი (ქართლ.) ნელა და კოპწიად სიარული ქალისა (ა. ლ., ქართლ.).
- ქევხა (ფშ.) მდიდარი, შეძლებული (ვაჯა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- ქეზ-ი, ქეზისმოდგმა (ზ. იმერ.) გათამამება, წაქეზება; ქეზ-ი მოიდგა. წათამამდა (ბ. წერეთ.).
- ქეთავათი (გურ.). 1. უცნაური ჭირი, ან გაჭირვება თუ სამწუხარო რამ (ი. ჭყონ.); 2. ნავაგი; 3. ცხენის ცხვირის ავადმყოფობასაც ეძახიან (ა. ლ.); (აჭარ.) გონჯი, უხვირო, მოუქნელი, უგვანო, უნდილი (შ. ნიქარ.).
- ქეთელა-ი (გურ.) ხშირი მძიმე სუნთქვა, ქელვა (გ. შარაშ.).
- ქეთლი (ქართლ., ქიზიყ., ქსნის ხეობ., თუშ.) წყლის ასადულდებელი მილიანი ჭურჭელი სპილენძისა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ლითონის მილიანი ჭურჭელი, ჩაის ასადულდებელი (ს. მენთეშ.); ჩაიდან (ვ. სომხიშვი., პ. ხუბ., თუშ.).
- ქელეშბალახ-ი (ქიზიყ.) ცახცახ. მცენარეა. ნ. წუმწუშა, ქრისტეს ცრემლებთ (ა. მაც.).
- ქელვა (გურ., იმერ.). ნ. ქეთელი.
- ქელთა, დარანა (ლეჩხ.) ძლიერი სიციხე (მ. ალავე, 1).
- ქემერთ-ი (ლეჩხ.) შეძახილი, გაიქეციო (მ. ჩიქ.).
- ქემცუცი (რაჭ.) მკვებელ მოლაპარაკე, უკმეხი (ვ. ბერ.).
- ქემხა (ხევსურ.) ნაქარგის (ნაქსოვის) სახეა ერთგვარი. „სტუმრის ბევრისა მასხურსაო, ტყავსა ქემხითა ხევაღელაო“ (ა. ჭინჭარ., 262).
- ქენარ-ი (ფერეიდნ.) ნაპირი (ა. ჩიქ.; შ. ძიძ., ქრესტ.). სპ. kenar.
- ქენდერ-ი (რაჭ.) ღიბი, ფაშვი (ვ. ბერ.).
- ქენთელ-ი (ზ. იმერ.) ყილი (ბ. წერეთ.).
- ქენტერი-ი (გურ.) უსაქმოდ ბეტიალი (ქაპიეთი, ლ. თავართქილაძე).
- ქენტუა-ი (გურ.) ნაკლებად ნოყიერი, გამოფიტული ნიადაგი (ს. ჟლ.).
- ქენჭება (ქიზიყ.) წილის დადება, წილის მიღება, ჩამხანაგება. „ვერაჲ იქენჭებ ჩემგან“ (ს. მენთეშ.).
- ქენჭერი-ი (ლეჩხ.). 1. ქეჩო. „ერიცახეზე წამოყრის ქენჭერს“; 2. მავარი (მ. ალავე, 1).

- ქენქერა/ე-ა** (იმერ.) ქერქეტა, ჩერჩეტი (ვ. ბერ.).
- ქენჩახ-ი** (მთიულ.) კლდიანი ადგილი, გვერდო (ლ. კაიშ.).
- ქენჩერ-ი, ქენჩერო** (იმერ.) ღორის ზურგის ჭავარი; გადატ. ადამიანის თმა, ჩვეულებრივ, აბურძგნილი (ი. ქავთ.).
- ქენცვა** (მოს.) ხევა, დახევა (ო. ქაჯ.).
- ქერაბინ-ი** (გურ.) კრამიტი. „ქერაბინით დახურული ოდა უდგანა, ბატონო!“ (ა. ლ.).
- ქერაბინდ-ი** (გურ.) კრამიტი. ნ. ქერაბინი (ს. ჟღ.).
- ქერა მიწა** (ქართლ.) თიხნარი, მწირი მიწა (თ. სალარ., აღგ., 87).
- ქერდიკა** (მესხ.) ქერშერეული ხორბალი: ქერადიკა (ი. მაისურ.; ქველ).
- ქერეთო** (გურ.) ზაფხულის დიდი სიციხე (გ. შარაშ.); ცხელი დღე (ქს. სიხარულიძე, გოგოლეის უბანი).
- ქერელი-ი** (მთიულ.) ქერის პურის ქერქი (ლ. კაიშ.).
- ქერეფცუა** (იმერ.) გულფუჭი, უგულო მარცვალი; გადატ. სუსტი, უღონო, გაღუული (ი. ქავთ.).
- ქერეჭი** (ინგილ.) მარიაშვიისა და მისთანათა ზემო ფრთები (მ. ჯან.).
- ქერეჭი-ი** (ზ. აჭარ.) ქერქი მჭადისა, პურისა, ხისა (შ. ნიჟარ.).
- ქერეჭა-ა** (ინგილ.) სქელ-მოყომრალი ყანჭ-ყანჭ კანიანი ნესვი (მ. ჯან.).
- ქერეჭა გოგრა** (კახ.) ხოკერა გოგრა (ა. მაყ.).
- ქერეჭო** (ზ. იმერ.) მწარე ბლის კანი, ოფიჭო, ქერეჭანი (ბ. წერეთ.).
- ქერეჭა-ი** (გურ.) 1. უშნო, ფართო მოსასხამი (გ. შარაშ.); 2. გადატ. ღრმად მოხუცი, დედაბერი; დაქერეჭებული-ი მოტეხილი, მოხუცებული (ა. ლ.).
- ქერის ბარდა** (ფშ.) მინდვრის ბარდა, ზანდური (ა. მაყ.).
- ქერის პეპელა** (მოხევ.) ქერის პურის თხელი ლევაში („კომუნისტი“, № 294, 1967).
- ქერიშაიაობა** (კახ.) ბავშვთა თანხმობა ერთგვარი (ა. მარტ., გ. იმნ.; ა. გვენც., თ. ბერიაშვი.).
- ქერობინა** (რაჭ.) მთის მაღალი ბალახია, შერაის ჰგავს (ვ. ბერ.).
- ქეროზა** (ხევსურ.) ფრინველია, ბედურას ჰგავს. ნ. ქერონა (ი. ტყონ.).
- ქერონა** (ფშ.) მწყერჩიტა. ნ. ქეროზა (ი. ქეშვი.).
- ქერქება/ე-ა** (იმერ., გურ.) ჩერჩეტი, სულელი, ქუანაყლები (ვ. ბერ.; ს. ჟღ.).
- ქერქეშ-ი** (ლეჩხ.) უხეში, უდიერი (მ. ალავე, 1).
- ქერქეშელი** (ფშ., კახ.) 1. ქერცილი, ფერფლი (ი. ქეშვი.; ქველ); 2. თორნის კედელზე შემხმარი პურის თხელი ქერქი (ა. მარტ., გ. იმნ.).
- ქერქლ-ი** (იმერ.) ქერცილი (ვ. ბერ.).
- ქერშველ-ი** (ხევსურ.) ქერის მსგავსი პურეულია (ა. ჭინჭარ., 200).
- ქერჩი-ი** (ქვ. იმერ.) მღერი, მუნი (ქველ).
- ქერჩო** (ფშ.) კისერი, ქედი, ქერო (ი. ქეშვი.; ქველ).
- ქერცელა/ე-ი** (გურ.) ქერცილი, ქერტლი (ს. ჟღ.).
- ქერჭამობა** (ფშ.) თამაშობა ერთგვარი (ს. შავალ.).
- ქერქელა-ი** (გურ.) თევზის ქერტლი, კანი (ა. ლ.).
- ქესარ-ი** (აჭარ.) ეჩო (პ. ჯაჭან.).
- ქესატობა** (გურ.) სიღარიბე, გაჭირვება, შიმშილი (ა. ლ.).
- ქესებობა** (მოხევ.) ქესატობა (ნ.), ნაკლულეება (დიალექტ., 564).
- ქესკი-ი** (ქიზიყ., ზ. აჭარ.) ოქრომჭედლის იარაღი: მჭრელწვერიანი, პირიანი გაზი, იხმარება ოქროსა და ვერცხლის მეთოდის მოსაკვენტად (ს. მენთეშ.); საღურგლო იარაღია, საჭრეთელი, სატეხი (შ. ნიჟარ.). თურქ. keski.
- ქესკინ-ი, ქესკინია** (გურ.) მარდი, ცქვიტი (გ. შარაშ.). თურქ. keskin.
- ქესკინა** (გურ.), ნ. ქესკინჩა.

ქესკინჩაი-ი (გურ.) მარჯვე, ყოჩაღი, გამბედავი, მამაცი. ნ. ქესკინი (ა. ლ.)

ქესკუმი-ი (ქართლ.) მოხდენილი, კობწია, მარდი, ცქვიტი. ნ. ქესკინი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; გ. შატბერ., 101).

ქესკუნი-ი (ქართლ.) ნ. ქესკუმი.

ქესტანა (მესხ., აჭარ.) მსხვილი, თეთრი ვოგრა (ა. მაყ.); ქესტანა-ი თეთრი ვოგრა (ი. მეგრ.).

ქებარი-ი (იმერ.) თმის თებო, ქებრტლი (ვ. ბერ.).

ქებო (გურ.) ქატო (ა. ლ.).

ქეფება (გურ.) შესხმა წყლისა. „წყალი ნაპირებს ექეფება“; წამულაქეფა წამოაღებინა (გ. შარაშ.).

ქეფეგი-ი (ზ. აჭარ.) საქონლის საკვები: ბზესა და ქატოს ერთმანეთში შეურევენ და ოდნავ მარილს დაუმატებენ (შ. ნიჟარ.). თურქ. kepek.

ქეფარჩხო (ქვ. იმერ., ლეჩხ.) ზღის ქერქი ქვევრის პირის სარეცხად და დასაფარებლად (ქეგლ).

ქეფჩა (ზ. აჭარ.) პატარა პირმიღეული ან პირმოტეხილი თოხი (შ. ნიჟარ.).

ქეფჩო (იმერ., ოკრიბ.) კაკლის, თხილის, ლეღვის, ნივრისა და მისთ. ნაჭუჭი, ნაფტქვენი (პ. ჯაჯან, X); ფხა. „ხეტილა პურს (ნ.) ქეფჩო არ ჰქონდა“ (მ. ალავე.).

ქექერ (ინგილ.) ღორის მსუქანი ტყავი (მ. ჯან.); დაკლულ ღორზე აჭრილი ხორცი ტყავიან-ჯაგრიანად (ქეგლ).

ქექილი-ი (ქიზიყ.) შთამომავალი, ნათესავი; ჯიში. „შენი ქექილი კი გაქრა, აპა!“ (ს. მენთეშ.).

ქეში-, **ქეშად**-, **ქეშ-ქეშად** (ქართლ.) აღმაცერი, ირიბი; აღმაცერად, ირიბად (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ქეგლ).

ქეშაბეტი-ი (აჭარ.). 1. გამხმარი, გაშეშებული (თევზი, ხორცი...); 2. გამხდარი, მკლე (შ. ნიჟარ.).

ქეშელი-ი¹ (იმერ., გურ.) ქოშინი, ქოქინი, ქლოშინი (ვ. ბერ.); ქლოშინი, სირ-

ბილის შემდეგ მეთისმეტად აჩქარებული სუნთქვა (პ. ჯაჯან.).

ქეშელი-ი² (ლეჩხ.) მოუკუპრავი ტიკი-მასში თავის ან მაქარს მოათავებენ სადმე წასაღებად (მ. ალავე., 2); მოუკუპრავი თხიერი (საბა).

ქეშელა (ხევსურ.). ნ. ქეშლო, თიკურნი. **ქეშიში**-ი (აჭარ.). ნ. ქიშიში.

ქეშლო-, **ქეშლურა**-, **ქეშელა** (ხევსურ.) ციკნის ბეწვგაცილი ტყავისაგან გაკეთებული თუშური გულა. „მახპარევენ წიწილაშვილსა ორსა-ოდ ფუტკრის ძირსაო, აწყობენ ქეშლურაჩი აჯალაფთ წაუტანთ ტბილსაო“ (ა. ჭინკარ., 250).

ქეშლურა (ხევსურ.). ნ. ქეშლო.

ქეჩი-ი (ფშ., მთიულ., გუდამაყრ., ინგილ., თუშ.) ცხვრის ფარის წინამძღოლი ვაცი, ბოტი (ი. ჭყონ.; ე. ვირსალ.; ლ. კიში.), თხა (გ. იმნ.). ნ. გაქეჩვა. თურქ. keçi 'თხა'.

ქეჩა (ქიზიყ.) მაზარის ჩამონჭრებისაგან დაწნული საფენი (ს. მენთეშ.). თურქ. keçe.

ქეჩაქულა-ი¹ (გურ.) ოთახში სახმარი უყელო შალის წინდა (გ. შარაშ.).

ქეჩაქულა-ი² (ზ. აჭარ.) ძველი, ნახმარი ქული (შ. ნიჟარ.).

ქეჩეჩი-ი (ქიზიყ., თუშ.) ფუჩეჩი. ნ. ფოჩოჩი (დიალექტ., 610; პ. ხუბ.).

ქეჩეჩო¹ (გურ.) ცხენის ფეხის ის ადგილი, სადაც ბორკილს აბამენ (ა. ლ.).

ქეჩეჩო² (ლეჩხ.) ტაროს წვერი (მ. ჩიქ.).

ქეჩეჩო³ (რაჭ.). ნ. კატარი¹.

ქეჩვი-ი (ქიზიყ.). ნ. გაქეჩვა.

ქეჩო (მთიულ., გურ.) თავის უკანა ნაწილი კისრის ზემოთ (დიალექტ., 569); ამოხეული კისერი (საბა); ამოხეული ჯაგრიანი ქედი ტახთა, დათუთა, აფთართა და მისთანათა (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ქეჩოიანი-ი (ქართლ.) ძველი, დაბერებულ უხსენებელი (გ. შატბერ., 101).

ქეჩხო¹ (გურ.) უბრალო ტყავის პარკი,

ჩანთა ზურგზე მოსაკიდი ან მხარზე გადასაკიდი, რომელშიც საგზალს ინახავენ. „ამოილე ქეჩხოები დან მქადი, ყველი, თევზი“ (ე. ნინ., I, თ. კიკვი) ქურჭი, ტყავი, პარკი ტყავისა, რომელშიც საკმელს დებენ და ზურგზე იკიდებენ (ს. ულ.); პატარა ჩანთა, კალათის მაგვარი. რომლითაც სადილი მიჰქონდათ ყანაში მომუშავეთათვის (ა. ლლ.).

ქეჩხო² (ზ. აჭარ.) ცხენის ან თხის ტყავი (შ. ნიუარ.).

ქეჩხუე (გურ.) შერქმეული გვარი (ა. ლლ.).

ქეცვი (თუშ.) ცხვრის სენია (ს. მაკალ.).

ქეცქეცა (ლუჩხ.) მსუბუქი, მოუსვენარი ადამიანი (მ. ჩიქ.).

ქვაბირანე (ლუჩხ.) ქვაბნარი (მ. ალავე, 2).

ქვავნარ-ი (აჭარ.) ქვიანი ადგილი, ქვარნალი (ი. მეგრ.).

ქვაკაცა (მთიულ.) სერებზე აგებული გზის მაჩვენებელი ბოძი (ლ. კაიშ.).

ქვაკუთრა-ა (მოს.) მაგარი ქვა; გადატ. მაგარი, ამტანი (ო. ქაჯ.).

ქვაკერა (რაჭ.) ყვერებზე (ნ.) მიყრდნობილი მოგრძო ქვა მზის სიმბოლოებით (შ. ძიძ., 215).

ქვაკოხ-ი (ფშ.) მაგარი ქვა, კაყი (ი. ქეშვიკ.).

ქვაკულა (ჯავახ.) პატარა ფრინველია, ნისკარტს ქვაზე ურტყამს. ქვაკოლა? (ი. მაისურ.).

ქვალობიო (იმერ.) სოია, მცენარეა (ა. მაყ.).

ქვამბილა (ფშ., ხევსურ.) ძალიან რბილი ქვაა, ხელით იჭყლიტება (ი. ჭყონ.); რბილი ქვა, ადვილად იშლება, მშენებლობისათვის არ ვარგა (ა. ჭინჭარ., 275).

ქვანთახობა (ქვ. იმერ.) რელიგიური დღეობა იყო (მ. ალავე, 3).

ქვანთრისი (ოკრიბ.) ალერსი ძაღლისა. ნ. მოქვანთრისება (მ. ალავე.).

ქვანქვალ-ი (იმერ.) კობტად. მოხდენილად სვლა (ვ. ბერ.).

ქვანქვირ-ი (გურ.) ტევადობა; ექვანქვირება ეტევა, ავსებს (გ. შარაშ.).

ქვანქვლა, ამოქვანქვლა (გურ.) ავოსერა, ვთქვათ, მტვერში, ტალახში და ა. შ. (გ. შარაშ.).

ქვანქლა (გურ.). ნ. ქვარქნა.

ქვანქრუში-ი (გურ.) უთავბოლოდ წრიალი, აქეთ-იქით ხეტიალი (ვანი, თ. თავაძე).

ქვაბტარი-ი (რაჭ.) — ქვა-ფუტკარი თუ ქვაბთ-კარი? კლდე, სადაც ფუტკარი ბუდობს (ვ. ბერ.).

ქვარქნა, ამოქვარქნა (იმერ., გურ.) დასვრა, დათითხნა. „ისეთი ტალახი იყო, ჯანჯუხასავით ამევიქვარქნე“ (ვ. ბერ.); სვრა, თხუპვნა; იქვარქნეება ისვრება, ითხუპნება (ა. ლლ.).

ქვარცხ-ი, დაქვარცხული-ი (გურ.) დაბალი და ულაზათო (გ. შარაშ.).

ქვასალაობა (იმერ.) ბავშვთა თამაშია (ვ. ბერ.; ი. ქავთ.).

ქვასანაყ-ი (იმერ.) ფილთაქვა, ფილი (ვ. ბერ.).

ქვასროლიე (ლუჩხ.) ციყვი (მ. ჩიქ.).

ქვატალაობა (კახ.) ბავშვთა თამაშობა; ერთგვარი (ა. გვენცი, თ. ბერიაშვი.).

ქვატალახა (ქართლ.) ქვითა და ტალახით აგებული კედელი (შ. ძიძ., ნ. ქეცხ., პ. ხუბ.).

ქვატინ-ი (ფშ.) დიდი ქვის ლოდი (ი. ქეშვიკ.).

ქვატკეცია (იმერ., ლუჩხ.). ნ. პირტკეცია.

ქვაფათურ-ი (გურ.) თეთრი ყურძნის ჯიში იყო ერთგვარი, ახლა გადაშენებულია (ა. ლლ.).

ქვაფირტყაყ-ი (თუშ.) მცენარეა ერთგვარი, სამხლე (პ. ხუბ.).

ქვაფხხალა (ქვ. იმერ.) საზამთრო მსხლის ჯიშია, მაგარკანიანი ნაყოფი აქვს (მ. ალავე, 3).

ქვაყერცვა (თუშ.) ჩვეულებრივი ცერცველა. ნ. აქვანა (ა. მაყ.).

- ქვაწვია** (მესხ.) ძლიერ ძუნწი, კრიქანგი (ი. მაისურ.; ქველ).
- ქვახარშია** (ქართლ.) ძუნწი. ნ. ქვაწვია (კირიონი).
- ქვახილა** (ქართლ.) ფონ წყალში გროვა-გროვა ქვა ისეთ მანძილზე, რომ კაცი ადვილად გადავიდეს ფეხთ გაუხდელად (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქვე¹** (რაქ., ხევსურ.) უღრის იმერ. ქვეს. იმერული: „ის კაცი ქვე მოსულა“; რაჭული: „იმ კაცს ქვე ვიცნობ“, ხევსურული: „ქვე რა მეძინა, სიხმარი ქვე გადამლახეს“ (ი. ჟყონ.); მტკიცებითი ნაწილაკი (იგივე, რაც გურულ-იმერული ქვე, რაჭული ქვე; მეგრული ქო, სვანური ჩუ), კი, კოდეც (დიალექტ., 557).
- ქვე²** (თუშ.) ქვეშ, დაბლა, ძირს (დიალექტ., 584).
- ქვებუღანი** (მესხ.) ქვეშ-ქვეშა, გაიძვერა ადამიანი, ვერაგი (ი. მაისურ.); ჩუმი ვერაგი (საბა).
- ქვებუღანობა** (ქართლ.) ფარული ეშმაკობა, ვერაგობა. ნ. ქვებუღანი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქვედაწენი** (ლენჩხ.) ყაბა (მ. ჩიქ.).
- ქვევრი** (მთიულ.) ყველის ქილა. ნ. დერგი (ლ. კაიშ.).
- ქვევრა** (იმერ.) პატარა ქვევრი (ლ. ლეთ., 69).
- ქვეთასთვალ-ი** (ხევსურ.) მესამე სართული ქვიტკირის სახლისა. ნ. სამყოფი (ა. ჭინჭარ., 279).
- ქველ-ი** (ჯაეახ.) მარჯვე, ყოჩალი (დიალექტ., 649).
- ქვენაის ბინდ-ი** (გურ.) ქვენა ქარი, დასავლეთის ქარი (ა. ლ.).
- ქვერე** (ლენჩხ.) ქვევით, ქვემოთ; ნაკლები (დიალექტ., 679).
- ქვერე-ი კაცი** (აჭარ.) დაბალი წრიდან გამოსული ადამიანი (პ. ჯაჭან.).
- ქვერელე** (იმერ.) ცოტათი ქვემოთ. შდრ.: ქვერე (ი. ჟყონ.).
- ქვერქვეტი** (ქართლ.) ფანდლით სიარული (ლ. ნიჭ.).
- ქვეხენია** (იმერ.) ეშმაკი, მზაკვარი (ვ. ბერ.).
- ქვეყნიგულა** (ქსნის ხეობ.) მცენარეა ერთგვარი (ვ. სომხიშვი.).
- ქვეყნის ანდაზა** (ქიზიყ.) ქვეყნის მასხარა, ყბადაღებული, ქვეყანაზე შერცხენილი ადამიანი (ს. მენთეშ.).
- ქვეშამადგა/ე,-ა** (იმერ.) კონკილა, ურმის დასაყენებელი (ვ. ბერ.).
- ქვეშარდულა-ი** (გურ.) ქვა+ შურდულა. შურდული ქვისა (ა. ლ.).
- ქვეშნიგვისა** (გურ., ზ. იმერ.) მცენარეა ერთგვარი (ა. ლ.; ბ. წერეთ.).
- ქვეწვითელა** (გურ.) სოკოა ერთგვარი (კ. გვარ., 950).
- ქვეცა** (ფშ.) დედამიწა (ა. ჭინჭარ., ფშ.).
- ქეთელ-ი** (ლენჩხ.) მცენარის კანი, რომლისაგანაც თოქს გრეხენ (მ. ჩიქ.).
- ქეთელო** (იმერ.) აკაციის ქერქი, ხმარობენ ვენახის ასახვევად (ლ. ლეთ., 66); თელის ხრალი (ქველ).
- ქვიაც** (ხევსურ.) — ქვე-ა-ც, კოდევაც (დიალექტ., 557).
- ქვიბი** (იმერ.) გატეხილი ღოჭისა და მისთანათა ქვედა ნაწილი, ხმარობენ მარილის ან სხვა რისამე შესანახავად (ვ. ბერ.).
- ქვივნება** (ფშ.) რქმევა. „ამ მოხუცს ბერო ექვივნა“ (ი. ქეშვი.).
- ქვივილა** (ფშ.) რქმევია (დიალექტ., 595).
- ქვილჩი** (გურ.) მძიმე საგნის ჩაჭიდება და მისი დაძვრისთვის შრომა; ექვილაჩება ეწევა მძიმე საგანს, მაგრამ ვერ სწევს (ვ. შარაშ.).
- ქვილიჩა** (მესხ.) ნატეხი, ნაჭერი (დიალექტ., 652).
- ქვიშმელა** (მთიულ.) რბილი ქვა, რომელიც ადვილად იშლება (ლ. კაიშ.).
- ქვინახარი** (იმერ.) მალაღფეხებიანი ყუთი სამზარეულოში ჭურჭლის შესანახავად (ვ. ბერ.).
- ქვინთლ-ი** (ლენჩხ.) ღორის ხორცის ქონიანი სქელი მონათალი (მ. ალავე., 2).

ქენთხი-ი (იმერ.) დიდი მუცელი (პ. ჯა-
ჯან., IX, 265).

ქენჩი-ი (გურ.). ცხერის ტყავის თბილი
ჩასაცემელი (გ. შარაშ.); გამხდარი, სა-
ქალამნედ გაკეთებული ტყავი (ა. ლლ.).
ქვირა-ქვირა! (მთიულ.) კვიციის მოხმობის
შეძახილი (ლ. კაიშ.).

ქვირანაყი-ი (თუშ.) კვიცი (პ. ხუბ.).
ქვირინოფა (რაჭ.) ფეტვისმაგვარი ბალა-
ხია (გ. ბერ.).

ქვირო-ქვირო! (ხევსურ.) კვიციის მოსახ-
მობად ნახმარი სიტყვები (ა. ჭინჭარა,
244).

ქვირქვილი-ი (იმერ.) ტირილი, ქვეთინი;
მოქვირქვილედ ქალღებ-ი ზარ-
ში დაქირავებული ქალები, რომლებიც
ხმადაბლა ტირიან, ქვირქვილო-
ბენ, რომ გამოიყოლიონ ისინიც, ვი-
საც ტირილი არ ეხერხებათ (გ. ბერ.).
ქვირცინაყი-ი (თუშ.) ქურცინი, დედო-
ფალა (თ. უთურგა).

ქვის ღერძი-ი (ქიზიყ.) წისქვილის ქვაში
გაცმული ღერძი (ს. მენთეშ.).

ქვისჩაჭრაობა (კახ.). ნ. ქვატალაობა.
ქვიტყეცე (ლენხ., იმერ.) სამკურნალო
მცენარეა, ხმარობენ ხარის კისრის
მოსარჩენად. ნ. პიტყეცე (მ. ჩიქ.).

ქვიტიკირი-ი (ხევსურ.) საგვარეულო ტი-
პის სამ-ოთხ სართულიანი სახლი (ს.
მაკალ.).

ქვიფორი-ი (ლენხ.) ნაცრისფერი (მ.
ჩიქ.).

ქვიქვინი-ი (ლენხ.) ქვეთინი; ქვიქვი-
ნებს ქვეთინებს. ნ. ქვირქვილი (მ.
ალავ., 2).

ქვიქვირი-ი (ქართლ., იმერ.). 1. ჩიჩვირი,
ცხენის ქვედა ტუჩი; 2. კვიციის ხმა
(შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ლ. ლეონ.;
ქეგლ.).

ქვიქვიტი-ი (ლენხ.) ცქვიტი, ცელქი (მ.
ალავ., 1).

ქვიშინი-ი (რაჭ.) ხის ჯამი (გ. ბერ.).

ქვიშის მჟავა (თუშ.) ლახტარა, მცენა-
რეა (ა. მაყ.).

ქვიშის მჟაველა (მოხ.). ნ. ქვიშის მჟავა.
ქვიშა, ქუშა (ჯავახ.) უგრებელი, ალუ-
ბალი (ა. მაყ.).

ქვიშრობი-ი (ქიზიყ., მესხ.) ქვიშა ადგი-
ლი, წყალს რომ ადვილად ატარებს
(ს. მენთეშ.); ქვიშნარი, ქვიშინი ნია-
დავი (ი. მაისურ.).

ქვიშხური-ი (იმერ.) ვაზის ჯიშია ერთგვა-
რი, თეთრი (ლ. ლეფ., 63; ქეგლ.).

ქვიჯა/ე-ი (გურ., იმერ.) ფილთაქვა (ს.
ელ.); ქვისჯამი (ი. მეგრ., 116).

ქვინოფა (ქვ. რაჭ.) ქვრიმა, მოპარი,
მცენარეა (ა. მაყ.).

ქი (გურ.). ნ. ქე.
ქიანი-ი (რაჭ.) ქიანობა საქანელაზე (დია-
ლექტ., 689).

ქიატი-ი (რაჭ.): იქიატა გამოიდარა,
კარგი ამინდი დადგა (ონი, გ. კალმა-
ხელიძე).

ქიაფი-ი (გურ.) ასანთი (ე. ნინ., II, თ.
კიკვ.; ა. ლლ.).

ქიაქი-ი (იმერ.) აქეთ-იქით მიქნევ-მოქნე-
ვა; გაქიაქება გაჩანაგება, მიზნევ-
მოზნევა (გ. ბერ.).

ქიბარი-ი (აჭარ.) თავმომწონე, ამპარტავა-
ნი, თავის მაქებარი კაცი (პ. ჯაჯან.), სპ.

ქიზი-ი (გურ.) მცირე ნიავი, ძალიან ცი-
ვი; ქიზება ციების დასაწყისში
შეციება, წოდინი, ზრინვა, ჭრინ-
ვა (გ. შარაშ.).

ქიზება (გურ.) ზმორება, შეციება, ზრინ-
ვა (გ. შარაშ.).

ქიზვება (აჭარ.). ნ. ქიზება.

ქიზინი-ი (იმერ.) შეციების გამო ცახცა-
ხი. ნ. ქიზი (პ. ჯაჯან., IX, 265).

ქიზიყურა (კახ.) გაზაფხულის თავყვავი-
ლა, მცენარეა (ა. მაყ.).

ქითლა-ა (ინგილ.) ფურცლის წვრილი
ტოტები (მ. ჯან.).

ქითირა-ა (მოხ.) მშვიერი, დამშუული
(ო. ქაჯ.).

ქილი-ი (იმერ., ლენხ.) დიდი კბილი, ეშვი
(გ. ბერ.; მ. ჩიქ.).

ქილა (გურ.). 1. ერთი ფუთი, 40 გირ-

- ვანქა, წონის ერთეულია; 2. ტკეჩით (ნ.) დაწული კალათი საწყაით, რომელიც ერთ ფუტს იტევს (ა. ღლ.); წონის ერთეული; ერთი ფუთია (პ. ჯან.). არაბ., თურქ. kile.
- ქილახვარი** (ლექს.) ცხენის ბაგა (მ. ალავ., 1).
- ქილვა** (გურ.) თმის გლეჯა ხელით. „ისე მტკიოდა კბილი, რომ სიმწრით სუნთლა გვეიქილვ თმაი“ (გ. შარაშ.).
- ქილვაობა** (მესხ.) მსუბუქად გალაბარაკება, გაბასუხება გასართობად (ი. შიოსურ.).
- ქილიკ-ი**¹ (აჭარ.) პროდუქტების (მარცვლის, რძის, ყველის...) შესანახი ხის ჭურჭელი, ქილა (შ. ნიჟარ.).
- ქილიკ-ი**² (თუშ., გუდამაყრ.) სხვისი დამძრახავი (პ. ხუბ.); ხუმარა, ოხუნჯი (დილაქტ., 574; შდრ.: საბა; ნ. ჩუბ.; დ. ზუბ.; ქეგლ.).
- ქილისა** (აჭარ.) ეკლესია (პ. ჯანან.). თურქ. kilise.
- ქილიქ-ი** (იმერ.). ნ. ქილუქი.
- ქილიში** (გურ., იმერ.) გრძელი ხე, რომელზედაც სახლის იატაკია დაგებული, ნ. თილიში, ქირიში (გ. ბერ.; ს. ელ.). თურქ. kiriş.
- ქილუქი, ქილიქ-ი** (იმერ.) ფიცრების ნასკვი სახლის კუთხისა. შდრ.: ღოჯე (ვ. ბერ.).
- ქიმარა/ე-ი** (იმერ.) ქიმი, წვეტი, სარისა, ტოტისა, ჯლა (ვ. ბერ.).
- ქიმბარა** (მთიულ.) მოჭეიფე კაცი (ლ. კაიშ.).
- ქიმიატ-ი** (მოს.) მშიერი. ნ. ქითირაჰ (ო. ქაჯ.).
- ქიმიო-ი** (ქიზიყ.) დამშეულის სიხარბე კამაში. „ნენა, ბიჟო, ნენა ჭამე, რა ქიმიოთი გვირს!“ (ს. მენთეშ.).
- ქიმიტ-ი** (მთიულ.) შიშილი (ლ. კაიშ.).
- ქიმუნჯ-ი** (ქართლ., ქიზიყ.) ნიდაყვის ან მუშტის წაყვრა (ი. ჭყონ.); მუჯღუნგუნი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ს. მენთეშ.).
- ქინდილი** (იმერ.) უკბილო ხუმრობა, ოხუნჯობა (ი. ქავთ.).
- ქინდილა** (ზ. იმერ.) ტრაბახა, დამცინავი კაცი (ბ. წერეთ.).
- ქინდრი** (გურ.) მსუქანი კისერი (ს. ელ.).
- ქინდრეზ-ი** (ლექს.). 1. დიდი და უშნო კბილები; 2. კისერი, შდრ.: თავჩაქინდრული (მ. ალავ., 1).
- ქინთ-ი** (ხევსურ.) ტიკი (ა. შან.); ციკნის ტყავისაგან გაკეთებული ტიკი (ა. ჭინკარ., 248).
- ქინთელა** (ხევსურ.) საშარდე ბუშტი (ა. ჭინკარ., 239).
- ქინთელაყ-ი** (თუშ.) ბებერა, დაწვის შედეგად ამოზურცული კანი (თ. უთურგ.).
- ქინთლუშა** (ფშ.). ნ. ქინთელაყი.
- ქინულა** (ქართლ.) პატარა ქილა ბრტყელძირიანი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქინქალა** (იმერ.). ნ. ქინქილა.
- ქინქილა** (ლექს.) მსუბუქი, თხელი ტანისამოსი. „ქინქილა ტანისამოსს იცვამს, გაცივდება, აბა, რა შოუვაჟ“ (მ. ალავ., 1).
- ქინქიტ-ი** (იმერ.) თეთრი, სუფთა. „კარგად გააქინქიტე ტანისამოსი, ჭუჭყი არ შერჩეს“ (ვ. ბერ.).
- ქინქლი-ი**¹ (გურ.) ბუსუსი, გინგლი, რბილი ბეწვი (ა. ღლ.).
- ქინქლი-ი**² (იმერ.) ფიფქი (ქეგლ.).
- ქინქლი-ი**³ (მთიულ.) თხისა და ცხვრის კურკლი (ქეგლ.).
- ქინჩ-ი** (იმერ., რაჭ.) ქეჩო (ი. ჭყონ.); კისერი (მ. ალავ., 3).
- ქინჩვა, მოქინჩვა** (იმერ., გურ.) თმის მოწევა, ქიჩავი (ვ. ბერ.).
- ქინჩხ-ი** (იმერ., რაჭ.). ნ. ქინჩი.
- ქინციხ-ი** (ლექს.) მაღალი გორა, კორტხი (მ. ალავ., 2).
- ქინძარა** (იმერ.) ვაზის ჯიშია, თეთრი ყურძენი იცის (მ. ალავ., 3).
- ქინძება** (თუშ.) ზედმეტად შეპატაყება

სტუმრისა, რომ დარჩეს მასპინძლის ოჯახში (პ. ხუბ.).

ქინძილოჯა (იმერ.) ფერისცვალა, მცენარეა (ა. მაყ.).

ქინძლარა (კახ.) მინდვრის ქინძი. ნ. ქინძმანძუკი (ა. მარტ., გ. იმნ.).

ქინძმანძუკი (ქართლ.) ქინძარა, მცენარეა (ა. მაყ.).

ქინძრუტა (მთიულ., ფშ.) ქინძარა, მცენარეა (ა. მაყ.).

ქინჯიროჯე (ლენჩ.) სამკურნალო მცენარეა. ნ. ქინძილოჯა (მ. ჩიქ.).

ქიორშა (ზ. იმერ.). ნ. თიორში.

ქირ-ი¹ (ხევსურ.) ძაღლის ენა, ოსერო. ნ. ღორნიკა (ა. მაყ.).

ქირ-ი² (ფშ.) სათივის ძირში ჩარჩენილი თივის ნაფშეენი, თივის ბურღო (ქეგლ).

ქირავნობა (მოხ.) ქირაზე სიარული (დიალექტ. 564).

ქირღვა (იმერ., გურ.) ძრახვა, ვინმეზე აუგის ლაპარაკი (ი. ჭყონ.).

ქირვაზა (მთიულ.) ტისტის ან ქვევრის ქვის საფარველი (ლ. კაიშ.); მოწნული ხუფი (ს. შაკალ.).

ქირიშ-ი (ზ. იმერ.; ზ. აქარ.) სახლის კოჭი. ნ. ქილიში (ბ. წერეთ.; შ. ნიყარ.).

ქირმან-ი (ხევსურ.) ახლად მომკილი მინდორი (ქეგლ).

ქირმიშ-ი (ქართლ.) ირიბი. „ქირმიშ-ი ად გახედა“ (გ. შატბერ., 102).

ქირსვლა (ფშ.) წვრილ-წვრილად თოვა (ვაჟა, I, ა. შან.).

ქირსლ-ი (მთიულ.) ქერტლი (ლ. კაიშ.). ვაზის რქაზე ამოსული ნორჩი რქა ვაზის ყლორტზე გამოსული რქა, რომელსაც აცლიან ხოლმე (დიალექტ., 610); ვაზის კვირტსა და ტოტს შუა ამოსული ყლორტი (ა. მარტ., გ. იმნ.); ვაზის რქაზე ამოსული ნორჩი რქა (გ. შატბერ., 102).

ქირქალ-ი (ზ. იმერ.) გრილი; თავისუფალი. „თხელი ტილო გაცვია ზაფხულში ქირქალად და ასე დადიხარ“ (ბ. წერეთ.).

ქირქილ-ი (გურ.) ქარის, ნიავის, ვინდსიოს ნელი ქროლა (ი. ჭყონ.); ქირქილი ქარისა, სისინი, ქროლა; ამოქირქილდა ამოქროლდა (ა. ლლ.).

ქირქირ-ი (თუშ.) ფრუტუნი, სიცილი (თ. უთურგ.).

ქირქიტ-ი (ჯავახ.) ირმის ან ჯიხვის რქისაგან გაკეთებული საქსოვი იარაღი (ი. მაისურ.).

ქირქნა (იმერ.) ლოდნა (ქეგლ).

ქირშ-ი (ზ. რაჭ.) უვარგისი მატყლი (ქეგლ).

ქირშ-ი მიწა (ზ. იმერ.) ხოროში მიწა, სილანარევი; ხმარობენ ჭურჭლის საკეთებლად; ქირშ-ი პურ-ი ფხვიერი პური, რომელიც კარგად არ იზილებს (ბ. წერეთ.).

ქირშ-ი წყალ-ი (ლენჩ.) ძლიერ ცივი და უხეში (მაგარი) წყარო. გულზე ცუდად მოქმედებს, თავ-პირის დაბანის შემდეგ სახეზე ქერტლს აჩენს, თმას ჯაგარივით გახდის; სარეცხად არ ვარგა: საპონს დაჭრის, არ აქაფდება. ასეთია, მაგ., სოფ. საირმის წყარო „წუდილაში“ (მ. ალაფ., 2).

ქირჩიმალ-ი (იმერ.) ღონივრად რაზედმე ხელის წასმა (გ. ბერ.).

ქირჩნა (ზ. იმერ.) ხელის წაფლება და მოწევა; მოქირჩნა ხელი წაავლო თიბებში და მოსწია (ბ. წერეთ.); ჯიჯნა, გლეჯა, წეწვა (ქეგლ).

ქირცა (ხევსურ.) სათიბი ბალახია ერთგვარი (ა. ჭინჭარ., 225); ძიგვა, ქისრიბა (ა. მაყ.).

ქირჭო (ხევსურ.) კავი, ტანისამოსის საკიდელი (ა. შან.); პირუტყვის მოკაუჭებული რქები, ან ხის კავი შესაბოლავი ხორცის ჩამოსაკიდებლად (ა. ჭინჭარ., 290).

ქირჯვა (ფშ.) ძრახვა, ვინმეზე აუგის ლაპარაკი, ქირღვა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).

ქირჯვლა (მოხ.) დაცინვა, მასხარად აგდება (ო. ქაჯ.).

- ქისაობა** (მთიულ.) სათამაშოა ერთგვარი (ს. მაკალ.).
- ქისიმში ჩაყოლა** (გურ.) დაწყებული საქმის ბოლომდის დევნა თავგამოდებით, სანამ მიზანს არ მიადრწევ. „ქისიმში ჩაზღდია მაგ საქმეს და ბოლოს ქე მეიგო“ (გ. შარაშ.).
- ქისკინა-ი** (გურ.). ნ. ქესკინი.
- ქისნარა** (რაჭ.) შავჩოხა, მცენარეა. ნ. ცისნარა (ა. მაყ.).
- ქისონი** (ლენჩ.) თავისფერი (მ. ჩიქ.).
- ქისტურა** (ხევსურ.) ნაქარგის (ნაქსოვის) სახეა ერთგვარი (ს. მაკალ.; ა. ჭინჭარ., 262).
- ქისუნარე** (ლენჩ.) შავჩოხა, მცენარეა. ნ. ქისნარა (ა. მაყ.).
- ქიტ-ი** (ხევსურ., თუშ., ფშ., მთიულ.) საწვენე კოვზი (ა. ჭინჭარ., 296; ს. მაკალ.; ი. ქეშიკ.); ჩამჩა (ლ. კაიშ.); ქაფქირი (ქეგლ).
- ქიტურა** (ხევსურ., ფშ.). ნ. თუშურა.
- ქიტქიტ-ი** (მოხ.) უსაფუძვლო, უადგილო სიცილ-ხარხარი (ო. ქაჯ.).
- ქიფება** (იმერ.): იქიფება იქიმება, იჯიმება; იმუქრება, ყოყოჩობს, დიდგულობს. „რას იქიფები, თუ იცი!“ (ი. ქავთ.).
- ქიფსარუა** (ქვ. იმერ., რაჭ.) ორკბილა. ნ. წიპარკა, მამლიყიელია, ფისარუა (ა. მაყ.).
- ქიქ-ი¹** (ხევსურ.) სათამაშო კოჭის უკანა, წაგრძელებული მხარე (ა. ჭინჭარ., 240).
- ქიქ-ი²** (ზ. იმერ.) წვრილი მატლი (ქეგლ).
- ქიქაბა/ე-ი** (გურ.) ტილის მაგვარი მწერი (ს. ულ.).
- ქიქაო** (იმერ.) შინაური ფრინველის ძალიან წვრილი მკებნარი, წიწილებს უჩნდება კისერზე (ი. ქავთ.).
- ქიქილა-ა** (მოხ.) პატარა ტილი, წილი (ო. ქაჯ.).
- ქიქილოჯა** (გურ.). ნ. სიქილოჯა.
- ქიშა** (მესხ.) სურა, თიხის ჭურჭელია წყლისთვის (ი. მისურ.); საწლეა (საბა).
- ქიშელა** (მოხ.) ტყავის ტომარა (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.); ფართუი, წინსაფარი ტყავისა; ტივი (ო. ქაჯ.).
- ქიშიში-ი** (აჭარ.) ჯალათი (პ. ჯაჯან.).
- ქიშქიშად** (ქართლ.) ცოტა-ცოტად (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქიჩ-ი¹** (ფშ., ხევსურ.) ქსლის საქსოვი, ყდის ნაწილია (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).
- ქიჩ-ი²** (მთიულ., ხევსურ.). 1. ჩლიქი; 2. საქსოვი ყდების ნაწილი (ლ. ლეონ.; ს. მაკალ.; ლ. კაიშ.).
- ქიჩავ-ი** (იმერ.) გამოწვევა, გამოთრევა. „უარს ამბობდა, მარა სულ ქიჩავ-ქიჩავით წამოვიყვანე!“ (ვ. ბერ.).
- ქიჩებ-ი** (ხევსურ.) მატყლის საქსოვი მოწყობილობის ნაწილებია (ა. ჭინჭარ., 258).
- ქიჩიბ-ი** (ფშ.). ნ. ქიჩები.
- ქიჩილა**||**ქიჩილან-ი** (ხევსურ., თუშ.) ქალის თავსაბურავი, თავშალი. „მამიტანინენა ქიჩილანიო ცხრათ ძმათ საკარგკომოდ ატანილნიო“ (ა. ჭინჭარ., 264).
- ქიჩილაჟ-ი** (თუშ.) ჩიქილა, ქალის თავსაბურავი. ნ. ქიჩილა (თ. უთურგ.).
- ქიჩინო-ა** (ინგილ.) ჯიბლიბო (მ. ჯან.).
- ქიჩინორო-ი** (აჭარ.) ცხენის ფაფარი (შ. ნიყარ.).
- ქიჩინოურ-ი** (გურ.) კისრის ზევითა ნაწილი (საქონლისა), ქედი. „ქას სახაროს ქიჩინოურში შეიტყობაო“ (გ. შარაშ.).
- ქიჩმაჩ-ი** (გურ., იმერ.) ფაცური, გაწვევ-გამოწვევა; დაქიჩმაჩება გადაჯარბებული მონღომებით დაწყება საქმისა, დაფაცურება. „ისე დაქიჩმაჩთა, მეგონა, ქვას გახეთქს-მეთქინ“ (გ. შარაშ.); გაწვევ-გამოწვევა, შეხლავ-შემოხლა, კინკლავი (ი. ქავთ.; დილა-ლექტ., 673); საჩხუბრად მიწვევ-მოწვევა (ქ. ძოწ.).

ქიჩქინიაი (გურ.) ლამაზი, ტურფა, კობტა. „ქიჩქინია თეთრო ქალო, მინდა გული გავიხარო“ (ვ. ბერ.).

ქიჩქიჩი (ლენხ.) ჩაქჩაქი. ანდაზა: „ვირმა თქვა: ბედურებში ერთი მეც გე ვიქიჩქინებო!“ (მ. ალავე, 1).

ქიცუც-ი (გურ.) ლობიოს პარკის ძარღვი, ფხა. ნ. ქაცუცა/ე (გ. შარაშ.).

ქიციც ვიცე და ქიცმაცუნიც (გურ.) კარგი საქმის მოქმედიც შემოდლია ვიყო და ავისაც (გ. შარაშ.).

ქიცმა-ქიცმა (კახ.) ნაკურნ-ნაკურნად (ქეგლ).

ქიცნარა (მესხ.) შაფიოხა, მცენარეა (ა. მაყ.).

ქიხორ-ი (ოკრიბ., ლენხ.) პირუტყვის ან ფრინველის ფერი, ნაცრის ფერი. ნ. ქისონი (მ. ალავე).

ქლა, ქლათ (გურ.) შთლად. „ქლა მგირა თელი ქოყანა“; „ქლათ გულჩანაგა ყანიები“ (ვ. ბერ.; ს. ჟღ.; ა. ლ.).

ქლეთა, ქლეთვა (მობ.) ტყავის გადამრობა, ტყავის ყვლეფა, გადატყავება (ა. ყაზბ., III, შ. ძიძ.; ო. ქაჯ.).

ქლერთვა (ქიზიყ.) ნ. ქლეთა.

ქლესა (ფშ., ქართლ.) ფლიდი, პირმოთნე (ვაჟა, I, 1946, ა. შან.); პირმოთნე, ფარისეველი; გადატ. მეტსახელი პირმოთნე კაცისა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ქლესვა (მთიულ.) ლოკვა; ქლეშავს-ლოკავს. „ძროხა მარილს ქლეშავს“ (ლ. კაიშ.).

ქლივარი-ი (ქიზიყ.) ქლიავი (ს. მენთეშ.; ა. მაყ.).

ქლინძ-ი (ფშ.) გაიძვერაობა, ეშმაკობა (ვაჟა, II, ა. შან.).

ქლოშინ-ი (გურ., იმერ.) ჩქარი სუნთქვა, ქოშინი; აქლოშინებულ-ი სირბილით დაღლილი კაცი ძალიან ჩქარა რომ სუნთქავს, იმაზე იტყვიან (ა. ლ.).

ქმარა (ფშ.) ქმარის დამცირებით (ვაჟა, II, ა. შან.).

ქმრეულნ-ი (ფშ.) ქმარი და მისი ნათესაობა (დიალექტ., 595).

ქოღმა-ა (მობ.) ჩრდ. ქარი (ო. ქაჯ.).

ქობ-ი (ფშ., მთიულ., გუდამაყრ., ფერეიდნ.) ქვაბი (დიალექტ., 595; 569; 574; 631; ლ. კაიშ.).

ქობანა (მთიულ., გუდამაყრ.) პატარა ქვაბი (ე. ვირსალ.).

ქობინა (ქიზიყ.) კრამიტის მოსაჭრელი კალაპოტი (ს. მენთეშ.).

ქობინო (ქართლ.) სარეცხის სატყეპელა (კირონი).

ქობუნდ-ი (ლენხ.) ეშმაკი, ქვეშქვეშა (მ. ალავე, 1).

ქობულ-ი (მთიულ.) ნ. ქობულაა¹.

ქობულა-ა¹ (მობ.) საბატკენ ორმო (ო. ქაჯ.).

ქობულა² (კახ.) მიწური საღორე (ქეგლ).

ქობუნ-ი¹ (ლენხ.) ქვაბული. „ხვამლში რამდენიმე ქობუნე მოიპოვება“ (მ. ალავე, 2).

ქობუნ-ი² (ფშ.) ნ. ჯობინი.

ქოდა (ჯავახ.) ტყიდან ხის მოტანის ბაეი (ქეგლ).

ქოდავი-ი (ჯავახ.) ნ. ქოდა.

ქოჯვოვ (ინგილ.) თამაშობაა ერთგვარი (მ. ჯან.).

ქოთ-ი¹ (რაჭ.) კვერცხის ბოლო (ვ. ბერ.).

ქოთ-ი² (მთიულ., ფშ.) ჩხუბი, აურზაური; ქოთია ჩხუბის ამტეხი (ლ. კაიშ.). ხმაური (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

ქოთათურ-ი (ქიზიყ.) ჩაფის მსგავსი ღვინის ჭურჭელია, თიხისა, ცალყურა, პირფართო, დაბალყელა (ს. მენთეშ.).

ქოთაო (გურ., ქართლ., კახ.) ცხენის სენია (ლ. ლეონ.).

ქოთლად-ი (გურ., მესხ.) ყაჩაღი, ფირალი; გაქოთლადებულ-ი ტყეში გავარდნილზე იტყვიან (ა. ლ.); ბოროტი კაცი, სიკვდილის შემდეგ თითქოს ძალის სახეს მიიღებს და საფელს შეაწუხებს (მუსხი, დ. თავართქილაძე).

ქოთობა (ფშ.) ხმაური, ხრიალი (ქეგლ).

- ქოთუკი-ი (კახ.) ხის ანახეთქი დიდი ნაფოტი; კუნძი (ქვეგლ).
- ქოთუქ (ინგილ.) ხის მორი ბრინჯის ფეტვის გამოსაბერტყად. შდრ.: ქოთუკი, ქორთუხი (დიალექტ., 623). თურქ. kütük 'კუნძი'.
- ქოით (გუდამაყრ., მთიულ.) ქვევით (დიალექტ., 569; 574).
- ქოითა (მოხ.) ბოსელი, გომი (ლ. ლეონ.).
- ქოკებ-ი (თუშ.) ციგურები; წოვ. ქოკფები (თ. უთურგ.).
- ქოლგანა (ლენხ.) დიყი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ქოლვილი-ი (ფშ.) დაჩაგრული, უბედური (ი. ქეშეკ.).
- ქოლიაობა (ქართლ.) დაყვავება, მიალერსება (შ. ძიმ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქომაჯ-ი (ფერეიდნ.) დიდი პურია, გომიჯი (ა. ჩიქ.).
- ქომბა-ა (ინგილ.) ცხელ ნაცარში გამოცხვარი პური (მ. ჯან.).
- ქომოთ (გუდამაყრ.) ქვემოთ (დიალექტ., 574).
- ქომურ-ი (ინგილ.) ნახშირი (შ. ძიმ., ქრესტ.). თურქ. kömür.
- ქომქომ (ინგილ.) ქვემო მხრიდან (მ. ჯან.).
- ქონაფხალ-ი (იმერ., გურ.) ქონა, მცენარეა (ა. მაყ.).
- ქონა-ქონა (იმერ., გურ.) ქონა, მცენარეა (ა. მაყ.).
- ქონდარა (რაჭ.) ონჯო, მცენარეა (ა. მაყ.).
- ქონიარე (ფერეიდნ.) მქონე, მქონებელი, ქონების პატრონი, შეძლებული (დიალექტ., 631).
- ქონჩელა (ლენხ.) ქორჩიანი ქათამი (მ. ალავ., 1).
- ქოო, ქოოდ (ხევსურ.) ქვე-ოდ, მთლად. სულ, ერთიანად (დიალექტ., 557).
- ქორ-ი¹ (ზ. აჟარ.) ბრმა, უსინათლო (შ. ნიჟარ.; დიალექტ., 660). თურქ. kör.
- ქორ-ი² (თუშ.) მემომრის ეპითეთია (თ. უთურგ.).
- ქორა (ფშ.) თეთრი ხარი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 168, 1900; ი. ჟყონ.); რქათეთრი ხარი (ქვეგლ).
- ქორაკ-ი (ხევსურ., თუშ.) შინდამზადებული აღვირი, რომელსაც ჯორს თავზე უყეთებენ. „ჩემა დაბალა ჯორაი თორმეტი ძროხის გვერდია, შამაუჭირე ქორაკი, შავკაზმე, გადავჯეღია“ (ა. ჭინჭარ., 242); მოკლე ჯობებიანი ტყავის ან თოკის აღვირი ვირისა (პ. ხუბ.).
- ქორაფ-ი (რაჭ., ლენხ.) თათაბო, მცენარეა. ნ. ლეკი¹ (ა. მაყ.).
- ქორაფა (გურ.) ნაცარქათამა, მცენარეა. ნ. ნაცარა (ა. მაყ.).
- ქორბულ-ი (ქართლ.) ირმის ორივე რქა დატოტიანებული, ჩხა (შ. ძიმ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ქორედ-ი (რაჭ.) დუროიანი სახლის მესამე სართული, სადაც ინახავენ სამეურნეო იარაღებს (თოხს, სახვნელს, ცელს და მისთ.) (დიალექტ., 689).
- ქორეთ-ი (რაჭ.) სხვენი. ნ. ქორედი (ვ. ბერ.).
- ქორთუკი-ი (კახ.) კუნძი. ნ. ქორთუხი (ა. მარტ., გ. იმნ.).
- ქორთუხ-ი (გურ.) მოჭრილი და დასახერხად გამზადებული ხე (ი. ჟყონ.); დასახერხად გამზადებული გათლილი მორი (ს. ელ.); ხის დიდი მორი გამოთლილი ოთხკუთხად (ა. ლ., გურ.); ოთხკუთხად გამოთლილი და დასახერხად გამზადებული ხის მორი (დიალექტ., 667). თურქ. kütük.
- ქორთხო (აჟარ.). ნ. ქორთუხი.
- ქორიაქტობა (ლენხ.) ქორობიას თამაში (მ. ჩიქ).
- ქორიბულდისთესლ-ი (ზ. აჟარ.) სიმინდის ჯიშია ერთგვარი (შ. ნიჟარ.).
- ქორიკულდა (რაჭ., იმერ.). ნ. კრავიკულდა.
- ქორმამალა-ი (გურ.) მეტად თამაში ქალი (გ. შარაშ.).
- ქორნიკარტა (იმერ.) ასკილი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ქორობია/ი (იმერ.) ქორობანა, ბავშვთა თამაშია (ვ. ბერ.).
- ქოროდინ-ი, აქოროდება (გურ.) მეტად

- გავსება ქურკლისა რისამე ფხვიერით (გ. შარაშ.).
- ქორუგა**-ი (აპარ.) საბერველი (ი. მეგრ.). თურქ. *körük*.
- ქორფუტა** (ქიზიყ.) თაღქვეშ დარჩენილი ცარიელი ადგილი, ღია კამარა (ს. მენთეშ.).
- ქორქალი**-ი (იმერ., რაქ.) ბობოქრობა, ქვარქვალი (ვ. ბერ.); მოთქმით ხმადაბლა ტირილი (ქეგლ).
- ქორქალა** (აპარ.) ვახის ჯიშია ერთგვარი, წითელი ნაყოფი იცის (შ. ნიყარ.).
- ქორქოლ**-ი (ლენხ.) კანკალი, თრთოლვა; აქორქოლებს აკანკალდება. „უურდგელივით მშვიშარაა, უცებ ააქორქოლებს!“ (ნ. ალაფ., 1).
- ქორქორ**-ი (ფშ.) კურკური, ქათმის ხმინობა, როცა წიწილებს უხმობს (ქეგლ).
- ქორჩი**-ი (ქართლ.) ხის თოხია ერთგვარი (გ. გოგატიშვილი. უფურეთი, მცხეთის რ.).
- ქორჩიოტა**, **ქორჩოტია**, **ქორჩიატა** (ზ. იმერ.) ყოჩივარდა (ა. მაყ.).
- ქორცორ**-ი (მოხ.) ლაქუცი (ო. ქაჯ.).
- ქორცულა** (რაქ.) ქოსა (ვ. ბერ.).
- ქორძეველა** (ჯავახ.) კავის სახელტურია (ი. მაისურ.).
- ქოსალა** (გურ., ქიზიყ.) სქელი და უხეში საწულე ტყავი (გ. შარაშ.); ხბოს ტყავი. ფეხსაცმლის საპირედ დამზადებული დაბალხანაში, სქელია და მაგარი (ს. მენთეშ.). თურქ. *kösele*.
- ქოსტ**-ი (ქართლ.) ციკანი; შემოდგომით მთიდან დაბრუნებული ციკანი (ქეგლ).
- ქოსხლიტა** (მთიულ.). 1. ჩიტების საჭერი მახე; 2. გადატ. ისეთი რამ, რაც მყარი არ არის და ადვილად შეიძლება დაინგრეს (ლ. კაიშ.).
- ქოფაჩ**-ი (ფშ.) თოფია ერთნაირი (ვაჟა, IV, ა. შან.).
- ქოფე**¹ (იმერ.) ლაფი. „შენ დაგესხა ქოფე თავზე, თუ გაჩუმდებ, ბოვშო!“ (პ. ჯაფან., X).
- ქოფე**² (ლენხ.) ხვიშირა; ალატი (მ. ალაფ., 2).
- ქოფთა** (მთიულ.) გამოქვაბული (ლ. კაიშ.).
- ქოფუთ** (ინგლი.) კოპიტე (მ. ჯან.).
- ქოქი**-ი (გურ., ზ. აპარ., ქიზიყ.) ძირი, ჯიშის (ს. ჟღ.); ჯიში, მოღვა; ამ უარდა შენი ქოქი მოისპოს შენი ძირი, ჯიში (ა. ლღ.); ძირი, ფესვი; გადატ. წინაპარი, გვარი, ჯილაგი, შთამომავლობა (შ. ნიყარ.); ძირი, ფესვი; გადატ. წინაპარი, გვარი (ს. მენთეშ.). შდრ. საბა. ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ. თურქ. *kök*.
- ქოქა** (ხევსურ.) აბრეშუმით მოქარგული მძივიანი სამკაულია ქალისა (ა. ჭინჭარ., 266).
- ქოქვაბ**-ი (რაქ.) სალოცავი შენობა, კოშკი (ქეგლ).
- ქოქვლილი**-ი (ქიზიყ.) საცოდავი, შესაბრაღისი ადამიანი თავსდატეხილი უბედურების გამო (ს. მენთეშ.).
- ქოქინი**-ი (გურ., იმერ.). ნ. ქლოშინი.
- ქოქირა** (თუშ.) სამგლოვიარო ნიშანი ჯაკვის პერანგის ნაჭრისაგან დამზადებული, იკეთებენ ქვრივი დედაკაცები (ს. მაკალ.; ქეგლ).
- ქოქიჩა**-ი (გურ.) ხბო ბავშვის ენაზე (ვ. ბერ.); ქოჩი, ქოჩიჩაი, ხბო (ა. ლღ.).
- ქოქლო** (ხევსურ.) ქალის ტანსაცმელია (ს. მაკალ.; ა. ჭინჭარ., 265).
- ქოქო** (ზ. რაქ.) გაუმადარი (ქეგლ).
- ქოქობინა/ე**-ი (გურ.) სოკოა ერთგვარი (ს. ჟღ.).
- ქოქოლა** (ქართლ., ქიზიყ.) ქოქოლის მიყრა, ორივე გაშლილი ხელის დაქნევა, თითქოს ჩაქოლვას უპირებსო (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ორივე გაშლილი ხელით ისეთი ქესტის გაკეთება მოპირდაპირისაგან, თითქოს ქვებს აყრიდეს მას (ს. მენთეშ.); მეხის დაყრა, დაცემა; დაკრულვა (დ. ჩუბ.).
- ქოქოლია** (იმერ.) ძალიან პატარა. ცუ-

დად აგებული სახლი (პ. ჯაჯანი, X).
ქოქომო (ხევსურ.) საღიაცო კაბების გასაწყობი ქსოვილის ნაჭრები სხვადასხვა ფერისა, კაბას აკერებენ ბოლოზე (ა. ჭინჭარ., 266); ქსოვილის ვიწრო ნაჭერი. სხვადასხვა (სამი ან ხუთი) ფერის ქოქომოს მიაკერებენ ქალის კაბის ბოლოზე (დიალექტ., 557).

ქოლუმი (მოხ.) ბოროტი, შუტიანი (ო. ქაჯ.).

ქოშ (ინგილ.) ქვეშ (დიალექტ., 624).

ქოშა¹ (მოხ.) ა. ყაზბეგის განმარტებით, ხის ჯამი ტარით, საიდანაც ცხელ წვეინსა სმენ. „მშვენიერად სხვადასხვაგვარად მომზადებულ წვეინს თითქოს რალაც განსაკუთრებული გემო ეძლევა ქოშაში“ (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.); საწენე, წვეინის ამოსაღები (ო. ქაჯ.).

ქოშა² (მესხ.) ორი კედლის შერთების გარე კუთხე (დიალექტ., 652). სპ. თურქ. köşe.

ქოშა³ (მთიულ.) ქაფქირი, საწენე. ნ. ქოტი (ლ. კაიშ.).

ქოშაქვა (ქართლ.) კედლის კუთხეების შემკვერელი ქვა მშენებლობაში („კომუნისტი“, № 294, 1967).

ქოშღონა (მოხ.) მოხარშული სიმინდი დაღერდილად (ო. ქაჯ.).

ქოშიმანი (ფშ.) ჭოჭმანი, ყოყმანი, მოუსვენრობა (ი. ქეშიკ.; ქეგლ).

ქოჩი (ხევსურ., გურ., ჯავახ.) ქუჩი (ნ.), 1. წმინდა, უპირატესად მზისპირის ბალახია ბოლქვად ამოსული (ა. ჭინჭარ., 225); ქუჩი, ველის წივანა. 2. მწივანა, ფუშკვრივია, ქუბი (ა. მაყ.; 2. ხბოს გასადენი შეძახილი (ა. ლ.); 3. ბარგი, საოჯახო ნივთები, ავეჯი (დიალექტ., 649).

ქოჩბანდი (რაჭ.) შუაეცხლიან სახლში საწოლ ტახტს ზევით ყავრით ჩამოხურული ალაგი (ვ. ბერ.).

ქოჩადონა (მთიულ.) ბავშვების თამაშია ერთგვარი (ლ. კაიშ.).

ქოჩახი (ფშ., ქართლ., მთიულ.) ძველი,

უხმარი ქოთანის (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.); ღვინისა და წყლის ძველი, დამტვერული, პირმოტეხილი ჭურჭელი (გ. შატბერ., 103); ქოჩახა ძველი დამტვერული ქოთანის (ლ. კაიშ.).

ქოჩია (ქვ. იმერ.) ახლადშობილი ხბო (მ. ალაგ., 3).

ქოჩის წახდენა (ზ. იმერ.) იტყვიან ამპარტავან კაცზე, რომელსაც იმედი გაუცრუვდება, გაწბილდება: წოუხდა ქოჩიო (ბ. წერეთ.).

ქოჩო (ქართლ.) ქოჩორი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ქოჩორა (მესხ.) ცხვრის წივანა, წივანა-ქუჩი (ა. მაყ.).

ქოჩოჩი (ფშ., ქართლ.) სიმინდის ყვავილი (ი. ჭყონ.); ქოჩოჩის ამოღება სიმინდის აყვავება (გ. შატბერ., 92).

ქოცო (ქიზიყ., ქართლ., ფშ., გურ., ქსნისხეობ.) პატარა ქვევრი, ჩადის ერთიდან ხუთ ჩაფადის (ს. მენთეშ.; დიალექტ., 610; ი. ქეშიკ.); პატარა ქილა (ვ. სომხიშვი.).

ქოცოცა (თუშ.) ფოჩი, ფუნჯი (პ. ხუბ.; ქეგლ).

ქოწოწი (ფშ.) ნაწილ-ნაწილ, ნამსხვრევად ქცეული (ი. ქეშიკ.).

ქოჭი (ფშ., ხევსურ., თუშ.) ვირის ზურგზე ორსავე მხარეს გადაკიდებული წყვილ-წყვილი კაბიანი ჯოხები, რომელშიც შემას ჩააწყობენ შინ მოსატანად (ვაჟა, II, ა. შან.); ჯორის საკაზმია (ა. ჭინჭარ., 242); ერთგვარი კეხი, რომელსაც მხოლოდ ტვარათის საზიდავად ხმარობენ (თ. უთურგ.); პატარა მოკაუქებული ჯოხი, რომელიც გარას (ნ.) ამოდრავებს ზევით-ქვევით (კ. პრელ., ჩ. თუშ., 268).

ქოხირა (იმერ.) ძველებური ღარბული ქოხი, ქოხმახი („კომუნისტი“, № 294, 1967).

ქობოლა-ა (იმერ.) პატარა, ღარიბული ქობი. ნ. ქობირა (ი. ქავთ).

ქოჯო-ა (თუშ., ფშ., ხევსურ.) კონა, შეკვრა (თ. უთურგ.; ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

ქოჯონა (ფშ.). ნ. ქოჯოა.

ქრეჯა (ხევსურ.) გამოჯავრება. „ეს იმით, რომ უქრეჯს ამ გაბურს“ (ა. შან., 155); კაცის გამოჯავრება, წაბაძვით ქცევა. ნ. უქრეჯს (დილაქტ., 557).

ქრთამ-ი (კახ., მთიულ., გუდამაყრ.) ქალისათვის მზითევს გარდა ფულის მიცემა (ა. მარტ., გ. იმნ.); ურვათი, მზითვეი, შესაწირავი. „ვიყავით გვართთ ნაქები, ყველა გვაძლევდა ქრთამსაო“ (ე. ვირსალ.).

ქრთილ-ი (გურ.) ნამცეცი, პაწაწინა ნაწილი (გ. შარაშ.).

ქრიალ-ი (გურ.). ნ. ქირქილი.

ქრისინ-ი (ლეჩხ.) უწყსოდ და მეტისმეტად წმენდა, რეცხვა, ხეხვა (მ. ალავ., 2).

ქრისტეხბევედა (ზ. რაჭ., ლეჩხ.) ქათმისკუჭა, მცენარეა (ა. მაც.).

ქრისტეხნეკა (გურ.) ბოსტნის წალიკა. იგივეა, რაც ქრისტეს ცერი, ქრისტეს ცერის დანაბიჯი (ა. მაც.).

ქრისტეს სისხლა-ი (გურ.) ბალახეული მცენარეა ერთგვარი (ა. ლ.).

ქრისტეს ცრემლებ-ი (ქართლ.) ცახცახა. ნ. წუმწუმა (ა. მაც.).

ქრიტინ-ი (ზ. იმერ.) უშვერი სიცილი (ბ. წერეთ.).

ქრიჯ-ი (ხევსურ., თუშ.) ჩამჩა, რომლითაც ამოაქვთ ფქვილი ალატიდან (ა. ჭინჭარ., 209; 296; პ. ხუბ.).

ქრიჯა (ფშ.). ნ. ქრიჯი.

ქრუშო-ა (თუშ.) პატარძლის მისამართი სიტყვა მულებისა და მოზრდილებისადმი (პ. ხუბ.).

ქსაი! (ხევსურ.) ამ სიტყვას ცხერის გასარეკავად ხმარობენ (ა. ჭინჭარ., 238).

ქხენა (ლეჩხ.) ქსინვა, ქოშინი, სენია (მ. ჩიქ.).

ქხი, ქხი-ქხი (ქიზიყ.) ცხერისა და ღო-

რის შერისხვა, გაწყრომის მენტეშ).

ქხინ-ი (რაჭ.) ზამთრის ცივი ქარი (გ. ბერ.).

ქხიტევა (გურ.) ცხვირის დაცემინება (ა. ლ.).

ქხიტვა ქარისა (მესხ.) მსუსხავი ქარის ქროლა. „ქარი ქსიტამს“ (ი. მიოსურ.).

ქხუ-ი (კახ.) მფრთხალი. ნ. ფრთხუი (პ. ხუბ., ანგარიში).

ქხუვ-ი (მოხ.) ველური, მიუჯარებელი. „შეიძლება ღორი სამუდამოთ მოშორდეს ფარას და გაქსუვდეს“ (ლ. ლეონ.; ო. ქაჯ.).

ქხულია (იმერ.). ნ. წიწაკაი.

ქუბ-ი¹ (მოხ., ზ. იმერ., იმერ., რაჭ.) ეოლო (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.); მთის მარწყვი (ო. ქაჯ.); კონუსისებურად დაწყობილი ჩალის ზვინი (პ. ჯაჯან., IX, 265); ჩვეულებრივი ჭვავი (ა. მაც.).

ქუბ-ი² (თიან.) ქეაბი (დილაქტ., 600).

ქუბ-ი³ (ქართლ.) ზომიერად მსუქანი ხორცი (მ. მესხ.).

ქუბა (გურ.) წულის ტყავის ნაპირების გადაყევა და ძაფით დამკვრება, ან უფრო თხელი ტყავის მიკერება ნაპირების გასამკვრებლად (ა. ლ.).

ქუბდე (ხევსურ.) სამარილე (ხისა, თავსახურიანი) (ა. შან.); ხის თავსახურიანი, ჭერში ჩამოსაკიდი ჯამი, მარილისა და მისთანათა შესანახი (ა. ჭინჭარ., 296).

ქუბღია (ფშ.). ნ. ქუბდე.

ქუბე (ლეჩხ.) ხორბლის ჯიშია. ფხიანი, მრგვალთავთვანი, ნათესში ურეედნენ, თავთავს ჩელტზე ფშვნიდნენ, მარცვალს საარაყედ იყენებდნენ, კოროლს — ბურულების სახურავად (დილაქტ., 679); სარეველა, უვარგისი პური. ნ. ქუბი! (მ. ჩიქ.).

ქუბლა, ქუბა (ზ. იმერ.) ჩალის რამდენიმე კონა, ერთმანეთზე მიყუდებული გასახმობად. ნ. ჩენველა (ქ. ძოწ.).

- ქუბულაძე-ი** (თუშ.) ძაღლის ბინა (პ. ხუბ.).
- ქუდაობა** (თუშ.) თამაშობაა ერთგვარი (ს. მაკალ.).
- ქუდგანობა** (ხევსურ.) თამაშობაა ერთგვარი (ს. მაკალ.).
- ქუდოსანი-ი** (ფშ.) ვინც ქუდს ატარებს, მამაკაცი; ქუდოსანა მანდილოსან-ი ქუდოსნები და მანდილოსნები, კაცები და ქალები (ვაჯა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- ქუზა** (ქიზიყ.) პატარა უხვირო ნაგებობა (ს. მენთეშ.).
- ქუთნა, გამოქუთნა** (გურ.) ხაპის (გოგრის) გულის გამორთმევა, გამოღება (გ. შარაშ.).
- ქულა** (ქიზიყ., მთიულ.) ერთი მხარი ბამბა დახეული მრგვლად (ს. მენთეშ.); მატყლის მეორე გაჩეჩით მიღებული ნართი (ლ. კაიშ.). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- ქულამა** (ქიზიყ.) სამწვადე ხორცის, ბასტურმის, ერთი ნაჭერი (ს. მენთეშ.). შდრ.: დ. ჩუბ., ქეგლ.
- ქულბა-ა** (ინგილ.) დიდი ქურა (მ. ჯან.).
- ქულბაქ-ი** (იმერ.) ქურა (ვ. ბერ.).
- ქულია-ა** (მოხ.) ქვემპრომი, პირში მოლაქუცე (ო. ქაჯ.).
- ქულკანა** (ქართლ.) სიმინდის მკადი (კირიონი).
- ქულფათ-ი, ქულფეთ-ი** (ქიზიყ.; ფშ., ზ. აქარ.) ოჯახი, ცოლ-შვილი; წვრილ-შვილი, წვრილფეხობა (ს. მენთეშ.); ოჯახში ბავშვების სიმრავლე, ჯალაბობა (ი. ქეშიკ.; შ. ნიქარ.). არაბ.-თურქ. külfet.
- ქულფათობა** (ქართლ., ფშ., ქიზიყ., ხევსურ.) ჯალაბობა, წვრილშვილი, ცოლ-შვილი. შდრ.: ქულფათი (ი. ქეშიკ.; ქეგლ.).
- ქულფეთ-ი** (ზ. აქარ.). ნ. ქულფათი.
- ქუმელ-ი**¹ (ქართლ., გუდამაყრ., ქსნის ხეობ.) შაქარწყალში ან თაფლის წყალში ახელილი წმინდა ფქვილი, მშვენიერი საკმელია, უყვართ ბავშვებს (შ. ძიძ., ნ. კეცზ., პ. ხუბ.); მარცვლეულია, რომლის ფქვილისაგან ნამცხვრებს ამზადებენ (დიალექტ., 574); 1. შეჰამადი, რომელიც მზადდება ასე: დახალულ პურს ჯერ მსხვილად დაფქვავენ ხელსაფქვათ, შემდეგ თაფლწყალში აურევენ და ჰამენ; 2. გამხმარ პანტას დაფქვავენ, ტყბილ წყალში აურევენ და ჰამენ (გ. სოხიშვი.); ქალის ფქვილი (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- ქუმელ-ი**², **ქუმელა** (ფშ., თუშ.) ჩვეულებრივი სელი (ა. მაყ.).
- ქუმეშელა** (მთიულ.) რბილი და წითელი ქვა (ქეგლ.).
- ქუმხვა** (ქიზიყ.) ხარბად ჰამა (ს. მენთეშ.).
- ქუნდრუზაყ-ი** (თუშ.) გროვა ადამიანებისა, საქონლისა, მწერებისა (პ. ხუბ.).
- ქუნთა-ა** (მოხ., ხევსურ.) საჯდომი ბალიში; გადატ. ზარმაყი, მცონარა, უსაქმო (ო. ქაჯ.).
- ქუნთელა** (იმერ.). ნ. ბუდარა.
- ქუნთურა** (ფშ.) მსუქან ბავშვზე იტყვიან („კომუნისტი“, № 187, 1968).
- ქუნიათ-ი** (გუდამაყრ.) ხუმარა, მახვილავი (დიალექტ., 574).
- ქუნჩ-ი** (ლენჩ.) ქურქი, ბეწვიანი წამოსასხამი (მ. ჩიქ.).
- ქუნჩალი-ი** (ზ. აქარ.) სიმინდის ტაროს ფურჩი (შ. ნიქარ.; დიალექტ., 660).
- ქუნჩალა** (ლენჩ.) ნაქურჩალი, ნაქუჩი, ნაგულა, ტაროს გული, რაზედაც მარცვლები ასხია, მარცვალგაყრვიინებული ტარო (დიალექტ., 679).
- ქუნცულ-ი** (ლენჩ.) ჩქარა სიარული (მ. ჩიქ.).
- ქუნცურო** (იმერ.) სიმინდის ყვავილელი, ქუჩუჩო, კატარი, პომპორი (ი. ქავთ.).
- ქუნცხ-ი** (ლენჩ.) ქურდი (მ. ალაგ., ოკრიბ.).
- ქუხდო-ა** (თუშ.) ხელის გაშლილ მტევანზე ამოხვეული ძაფი (თ. უთურგ.; კ. კრელი., 267).

ქუეუნი (ლენხ.) ხველება; ქუეუნი ობს ახველებს (მ. ალაფ., 2).

ქური (ხევსურ., ფშ.) ლოყა (ა. შან.); ბავშვის მსუქანი გამობერილი ლოყა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.).

ქურა (ქართლ.) დაბადებით პატარაყურებიანი თხა (გ. შატბერ., 104); ურქო ცხვარი (პ. ვაჩეჩ.).

ქურა-ი (ინგლ.) ქოლო, მცენარეა (ა. მაყ.).

ქურანა (ქიზიყ.) კეცი სამ წლამდე ორივე სქესისა (ს. მენთეშ.). თურქ. kuran.

ქურაცხვარი (თუშ.) პატარაყურებიანი ცხვარი (ქეგლ.).

ქურბეწი (გურ.) ქურბერწი. ნ. ფურბერწი (ა. ღლ.).

ქურთ-ი (მთიულ.) საქონლის ნაკელი, რომლითაც მიწური სახლების კედლებს ლესავენ და მიუვალ სოფლებში ზამთარში ცეცხლშიაც წვავენ, წივა (ლ. კაიშ.).

ქურთელა-ი (გურ.) კვახის თესლის ბუდე; იხმარება დამწვრის წამლად. ნ. ნაქურთელაი (გ. შარაშ.; ა. ღლ.).

ქურთემული-ი (ხევსურ.) გრდემლი (ა. ჭინქარ., 222).

ქურთუნა (გურ.) ჩაღრმავებული ადგილი, სადაც დამბალი წყალია ჩამდგარი (ვ. ბერ.).

ქურიკა-ა (მესხ.) კეცი ბავშვის ენით (ი. მაისურ.).

ქურო (თუშ.) ხელთათმანი (ს. მაკალ; კ. ჭრელ., 267).

ქურს-ი (ფერეიდნ.) დაბალი ტახტი, რომელზედაც სხდებიან; ქვეშ სათბობი მოწყობილობაა მოთავსებული (ი. ჩიქ.; შ. შიძ., ქრესტ.).

ქურსლი-ი (ხევსურ.) გუთნის ის ნაწილი, რომელიც მიწას ღარავს (ა. ჭინქარ., 198).

ქურულა (ფშ., ხევსურ.) ხალხის ჭგუფი, გროვა ამოძრავებული ადამიანებისა. „ხელი წამაგლეს, ქურულა დამიდგა აქეთ-იქითა“ (ი. ჭეშვიკ.).

ქურუნ-ი (მესხ.) აუზი, ავაზანი (ი. მაისურ.).

ქურუე-ი, მოქურუეებულ-ი, მოქურუეულ-ი (გურ.) მობუზული, ფრთებგამლით მდგომი წიწილა, ქათამი (გ. შარაშ.).

ქურუხ-ი (ინგლ.) პირქუში (მ. ჯან.).

ქურქულ-ი (გურ.) ნაძალადევი კენესა ავადმყოფისებურად (გ. შარაშ.).

ქურქუნდელ-ი, ქურქუტელ-ი (მთ. რაჭ.) ჯოკი, მცენარეა (ა. მაყ.).

ქურჩა (ოკრიბ., ქვ. იმერ.) ქურჩინი, ნაქურჩალა, გაფშვნილი ტარო. ნ. ფურჩა (მ. ალაფ.; ზ. ჭუმბურ., 281).

ქურჩანა-ი (იმერ.) ნაქურჩალი, ნაგულა, მარცვალშემოცილი ტარო (დილაქტ., 673).

ქურჩანე (ქვ. იმერ.) ნაქურჩი. ნ. ქურჩა, ქურჩანა (ბ. წერეთ.).

ქურჩელა-ი (გურ.) სიმინდის, თხილის, ლობიოს, ნივრის, ხახვისა და სხვათა შენაძრობი, ნაქურჩალი (გ. შარაშ.).

ქურჩნა (იმერ.) სიმინდის გარჩევა, ტაროზე ფუჩეჩის შემოცლა (ი. ქავთ.).

ქურჩუმელა-ი (გურ., იმერ.) ტყეური მცენარეა, თაფლით მდიდარი, დიდი ყვავილები იცის, ყვავის შემოდგომაზე (გ. შარაშ.); შალამანდილი (ა. მაყ.).

ქურცახ-ი (იმერ.) ქურდ-ბაცაცა (ი. ქავთ.).

ქურცინა (ფშ., მთიულ.) თრითინა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 140, 1900; ი. ჭყონ.; ლ. კაიშ.).

ქურცხ-ი ტყე (გურ.) გაუვალი ტყე (პ. ჯაჭან.).

ქუსია (ქსნის ხეობ.) ხისგან გათლილი საწვეწე, ჩამჩა; ქაფქირი (ვ. სომხიშვი.).

ქუსლ-ი (ქართლ., იმერ.) გუთნის ნაწილია, „საცა ხმალი აქვ“ (დილაქტ., 643); კავის ნაწილი, რომელზედაც სახნისია წამოგებული (ვ. ბერ.). შდრ.: ქეგლ, მნიშვნ. 5.

ქუსლა (ოკრიბ.) ხის ურკო, ქვევრის თავ-

ზე აყალო მიწის დასატკეპნი. ნ. კეკუ-
ლა (მ. აღავ.).

ქუსო-ა (თუშ.) მუცელი ბავშვის ენაზე
(პ. ხუბ.).

ქუსულაღ-ი (თუშ.) ვინც ღიტინს ვერ
უძლებს (თ. უთურგ.).

ქუსქუს-ი (ქიზიყ.) დაღერებასავით,
საცემად გაწევა ან გაჭავრება, აღამი-
ანი აღამიანს ან ცხოველი ცხოველს
(მაგ., მამალი დედალს) რომ წამოუხ-
ტება ხოლმე და ცემას დაუბირებს,
ან მალ-მალ უჯავრდება (ს. მენთეშ.).

ქუფთა-ქუფთა (ქიზიყ.) ნაფლეთ-ნაფ-
ლეთად, ნაკუწ-ნაკუწად (ს. მენთეშ.).

ქუფთა-ა (ზ. აჭარ.) საყურე (შ. ნიფარ.).

ქუფს-ი (ქიზიყ.) ჭორტანი, მცენარეა (ა.
მაყ.).

ქუფჩურა (ზ. აჭარ.) პატარა თიხის ქოთა-
ნი მაწვნისათვის (შ. ნიფარ.).

ქუქუ (იმერ.) თვალის ავადმყოფობაა, ნ.
კუკუ,¹ ჯიბლიბო (ვ. ბერ.).

ქუქუა (ქიზიყ.) ქუდი ბავშვის ენაზე (ს.
მენთეშ.).

ქუქუმა (ქიზიყ.) ქალის ქუდი, დედაბრე-
ბი სითბოსათვის იხურავენ (ს. მენ-
თეშ.).

ქუქუმო (ფშ., თუშ.) ნაქარგი (ს. მა-
კალ.); ქალის ჯუბის კალთებზე შე-
მოვლებული სხედასხვა ფერის არშია
(ქეგლ).

ქუქუნაყ-ი (ხევსურ.) მოკლე ჩასაცმელი,
რომელიც მენჯებამდე-ლა უწევს (ა.
შან.).

ქუქუნდელ-ი (მთ. რაჭ.) ჯოჭი, მცენარეა
(ა. მაყ.).

ქუქურდ (ინგილ.) გოგირდი (მ. ჯან.).

ქუშ-ი¹ (ქიზიყ.) ავადმყოფობაა: ქოშინი
(ლ. ლეონ.; ს. მენთეშ.).

ქუშ-ი² (ქსნის ხეობ.) სქელდეროიანი
ბალახი, ამოდის ჯგუფ-ჯგუფად (ვ.
სომხიშვი.).

ქუშა-ი (მთიულ., გუდამაყრ.) ქუჩი, ვე-
ლის წივანა; ცხვრის წივანა (ა. მაყ.);
ბალახია გრძელი, ხმარობენ რძის სა-
წურავად (ა. ბექ., 223).

ქუშმაშ-ი (გურ.) შმუკენა, შფოთვა,
ტოკვა. „ყორანი შე ქუ შმაშ და“
(გ. შარაშ.).

ქუშნა (ჯავახ.) უგრებელი. ნ. ქვიშნა (ა.
მაყ.).

ქუშუბა (ინგილ.) სკუპი, წყაბი (მ. ჯან.).

ქუჩ-ი¹ (ფშ., მოხ., თუშ.) მთის ბალახია,
წმინდა (ვაჟა, I, ა. შან.; თ. ქაჯ.; თ.
უთურგ.).

ქუჩ-ი² (მესხ.) ჩინჩახვი. „ქათმის ქუჩი“
(ი. მაისურ.).

ქუჩ-ი³ (ქართლ.) საქონლის კუჭის ზემო
პარკუჭი, სადაც კუჭში მონელებამდე
გროვდება, ქუჩდება ჩაყლაპული საყ-
ვები. „ამოცონნამდე საქმელი ქუჩ-
ში ა“ (გ. შატბერ., 104).

ქუჩალა (ხევსურ.) ქუჩად, გროვად
დადგმული თივა, — ზვინი (ქეგლ); ქა-
ლის მიერ მოთიბული თივის ზვინი (ა.
ჭინჭარ., 226).

ქუჩასტა (ფშ.) მსხვილი ნაოჭი წელს
ქვემოთ ქულაჯაზე ან ახალუხზე (ა.
ჭინჭარ., ფშ.).

ქუჩება (ქართლ., მოხ., ფერეიდნ.) გრო-
ვება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); შეგ-
როვება, თივის თავმოყრა (დილაქტ.,
- ჭიღვა** (იმერ., ზ. იმერ.) პატარა ხარდანი, წვრილი სარი. ნ. ჭიგო (დიალექტ., 674); წნელი, შემოვლებული ხარდნის ირგვლივ, ვაზის დასამაგრებლად; ნ. ჭიგო, ფშანი, ჭირღვა (ვ. ბერ.).
- ჭიღვაღ-ი** (თუშ.) ბოლომოცვეთილი ცოცხი (პ. უთურგ.).
- ჭიჟიყ-ი** (ქართლ.) ყელში ლაპარაკი, უშნოდ ლაპარაკი, ჯიყიყი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ჭიშქენ-ი** (ხევსურ.) ჩვეულებრივი შვრია, შვრივა (ა. ჭინჭარ., 200; ა. მაყ.).
- ჭიშქერ-ი** (ხევსურ.). ნ. ჭიშქენი.



- პიპი-ი¹** (ხევსურ., ქიზიყ.) ფულისას (ნ.) ლუღის მიერ მოგდებული ქაფი, რომელიც ყველაზე კარგი საფუარია როგორც ლუღისა, ისე არაყისათვის (ს. ზაკალ.; ა. ჭინჭარ., 220).
- პიპი-ი²** (ქიზიყ.) სათამაშო კოჭური (ს. მენტეშ.).
- პიპავება** (იმერ.): მოჭიჭავება ფულის ზომიერად ხარჭვა, თავშენახულობა; მოჭიჭავე მომჭირნე. მეგრ. ჭიჭე პატარა (ვ. ბერ.).
- პიპამკალია** (ფშ., ხევსურ.). ნ. ჯუჯუ-მკალი.
- პიპახ-ი** (ხევსურ., ფშ.) ხევსურთა ერთ-ერთი სალოცავი, პიპახის ჯვარი, სოფ. ხორნაულთაში (იკა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- პიპედება** (ქართლ.) იზრდება, ბერდება, ხევდება ბალახი. „ხაჭმაჭუკა ჭიჭედებოდა, ქალსა გული უკედებოდა“ (მ. მესხ.).
- პიპე-ი¹** (გურ., ზ. აქარ.) გადანაჭერ კვერა მხალზე ახლად ამოსული ფოთოლი, ახლამონაყარი (ა. ღლ.); ახლად ამოსული მხალი (ს. ელ.; შ. ნიყარ.).
- პიპე-ი²** (გურ.) გადატ. ჯიში. მოდგმა. შთამომავლობა. „რამ მოგიყვანა ამ უკაცურ ადგილას. სადაც კაცის ჭიჭევი მოვსებთო“ (ა. ღლ., გურ.).
- პიპვა** (ქიზიყ.) ტილის ხილვა. „გამამსულხარ და დინგაზე იჭიჭებნი, სირცხვილი არ ალი?“ (ს. მენტეშ.).
- პიპვება** (ლენჩხ.). საქონლის მიერ საკვების მოუნელებლობა (მ. ჩიქ.).
- პიპვედა** (აქარ.) ჭრელი. ნ. ჯაპვედა (ი. მეგრ.).
- პიპიგონია** (ლენჩხ.) ზედმეტი და უსარგებლო ლაპარაკი („კომუნისტი“, № 190, 1969).
- პიპილა¹** (ქართლ.). ნ. ჭიჭლა.
- პიპილა²** (ქსნის ხეობ.) ტილი (ვ. სომხიშვი.).
- პიპილაქ-ი ურმისა** (ზ. იმერ.) ჭინჭილაქი, კილიბი (ნ. საბა). „ჭიჭილაქს ღერძს უყრით და კავობს (იკავებს) გოგორას“.
- პიპილაქი** (ზ. წერეთ.; ზ. ჭინჭილაქი 284).
- პიპილაყა** (გურ.) ბალახია ერთგვარი, სამხლე. ნ. ჯიჭილაყა (ს. ელ.).
- პიპიმკალია** (მთიულ.) კალია (ლ. კაიშ.).
- პიპინ-ი¹** (მოხ.) გამალეხული, გატაცებული და მოსაბეზრებელი ლაპარაკი (ა. ყაზბ., 1, შ. ძიძ.).
- პიპინ-ი²** (ქართლ.) ჭრიჭინი; გადატუსიამოვნო, მომამბეზრებელი ლაპარაკი, ჭიჭყინი (კირიონი; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- პიპინ-ი³** (რაჭ.) მაჭრის ხმაური კოლოტში (ქეგლ).
- პიპინა¹** (იმერ.) პირუტყვის ავადმყოფობა: კიდურების დამბლა, თქძოს მოწყვეტა (დიალექტ. 674).
- პიპინა²** (იმერხ., გურ., აქარ.) ჭრიჭინა, ნახერგეტი; ნ. კიტინაი (ნ. მარი, 33); თვალი, ნახერგეტი საწნახლისა (ქეგლ).
- პიპინა³** (ინგილ.) ჭრიჭინა (ა. შან., 356).
- პიპინობელა** (იმერ.) ჭრიჭინა (ი. ჭყონ.).
- პიპიპალა** (იმერ., ოკრიბ.) პატარა ჭუჭრუტანა. ნ. კიტინაი (ვ. ბერ.).
- პიპიპარკ-ი** (აქარ.). 1. დახუნძლულ ხეხილზე იტყვიან; 2. ჭიჭინა, ენაპარტალა, ლიკლიკა (შ. ნიყარ.).
- პიპიტა¹** (იმერ.). ნ. კიტა.
- პიპიტა²** (ხევსურ.) ნამცხვარია (ს. მაკალი).
- პიპიტალა** (იმერ.) ჭუჭრუტანა. ნ. კიტინაი (ი. ჭავთ.; დიალექტ., 674).
- პიპიტანა** (ქართლ.) ჭუჭრუტანა, ნახერგეტი კედელში. ნ. კიტინაი, ჭიჭიტალა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- პიპკადულა** (ლენჩხ.) სიმინდის წვრილი მარცვალი (მ. ალავე, 1).
- პიპკავ-ი¹** (იმერ.) აყვავებული, აყვერებული ჭარხალი (ვ. ბერ.).
- პიპკავ-ი²** (რაჭ.) პატარა და დაზარალებული ნედლი ტარო (ქეგლ).
- პიპკოტ-ი** (თუშ.) წერწა, ჭანჭყატა, მცენარეა (ა. მაყ.).

ჭიქლი-ი (კახ.) ღვინის ამოსადები ჭურჭელი (ნ. ჯოხ., 61).

ჭიქლა (ქართლ., ქიზიყ.) ჭინჭილა (ნ.), ხელადის მსგავსი თიხის ან ხის ყელწერილი პატარა სასმისი ღვინისა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); თიხის პატარა ჭურჭელია ლიტრის ან ხელადის მსგავსი, ცალყურა (ს. მენთეშ.).

ჭიქლაჟა (გურ.). ნ. ჭიქილაჟა, ჯიჯილაჟა.

ჭიქლაჟა (თუშ.) კობტაობა, მოხდენილობა მხედრისა და ცხენისა (პ. ხუბ.).

ჭიქმეტლა-ა (მოხ.) ენატანია, ყბედი, მოლაყბე (ო. ჭაქ.).

ჭიქნაგურ (ინგილ.) ძეხვი — აბოხტი (მ. ჯან.).

ჭიქო¹ (გურ.) დაზოგვით, ცოტ-ცოტათი. „ჭიქო-ჭიქო იხმარე, თვარა ჭე ჩაგელევა ხელში“ (გ. შარაშ.).

ჭიქო² (მთიულ., გუდამაყრ.) ორ ბოძს შუა გადებულ გათლილ ხეში გარტობილი სოლი, ტანისამოსის (და სხვა საგნების) დასაკიდებლად (ლ. კაიშ.; ქეგლ.).

ჭიქო³ (მთიულ.) ქათმის ნისკარტი (ლ. კაიშ.).

ჭიქორა (მესხ., ჯავახ.) ჭიოტა, ხოვერა; ბალახის თესლია, ხორბალში ერევა (ი. მაისურ.).

ჭიქოტა (მესხ.) ჭიოტა, მცენარეა (ა. მაყ.).

ჭიქრიკონა (ქიზიყ.) ძალიან უგემურად შეხამებული ფერი (ს. მენთეშ.).

ჭიქუა (ქვ. იმერ.) ფუნთუშა, მცენარეა (ა. მაყ.).

ჭიქუნჭი (ოკრიბ.) თეთრი ტირიფი, რომელიც ისხამს ბუმბულს გაფოთლებამდის (მ. ალაჯ.); მღვანალი (ა. მაყ.).

ჭიქუვა (აქარ.) შემოკვრა. „მე თუ მჭიქუყე, მეც გჭიქუყავ, ბა!“ (პ. ჯაჭან.).

ჭიქუინი (გურ.). ნ. დვარდვალი.

ჭიქუინა (ქართლ.) წერილი თევზი სხვადასხვა ჯიშისა, მოზრდილი ლიფსიტა. „მცხეთის ხილთან რომ მივედი, ლეკმა

შემომისტიენაო, მაყრები ისე დამიფრთხვა, როგორც წყალში ჭიქუინაო“ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ჭიხ-ი (ხევსურ.). ნ. წილი.

ჭიხრიელ-ი (რაჭ.) საქალამნე ტყავზე ჩანაცალი ფენტხები (ვ. ბერ.).

ჭიხჭიხ-ი (ქიზიყ.) ცხენის მაღალი ხმინობა (ს. მენთეშ.).

ჭიჯ-ი (თუშ.) მკენარის კვერცხები. ნ. კიხი, წილი (პ. ხუბ.).

ჭკა (ხევსურ., მოხ.) შავი ფრინველია (დილაქტ., 559); ჭილყავი (ო. ჭაქ.); პატარა ჭილყუავი (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ჭკამურ-ი (რაჭ., იმერ.). ნ. დვარდვალი.

ჭკარ-ი (მოხ.) ძილფხიზელი (ო. ჭაქ.).

ჭკდე (ხევსურ., მთიულ., თუშ.) ჭდე (ა. შან.); ნაჭდევი (ა. ჭინჭარ., 287; ლ. კაიშ.).

ჭკემარა (ხევსურ., ფშ.). ნ. ზამთარა.

ჭკვალა (გურ.) ჭკვალი (წითელმთა, ი. შილაქამე).

ჭკილ (ინგილ.) ჩლიქი, ფრჩხილი (მ. ჯან.; ქეგლ.).

ჭკმანვა (იმერ.). ნ. გმანვა.

ჭკნავი (ზ. აქარ.) აკაციის მსგავსი მცენარეა (შ. ნიყარ.).

ჭკნარა (ოკრიბ.) ვაზის ჯიშია, მრგვალმარცვლოვანი, ღიაშებენიანი, სუსტი ღვინო აქვს (მ. ალაჯ.; ი. ჯავახ., ექსტ., II, 488).

ჭკო-ა (ინგილ.) ჭკუა (დილაქტ., 626).

ჭკორტლ (ინგილ.) მჭვარტლი (დილაქტ., 626).

ჭკრიალ-ი (ლენჩხ.). ნ. ჯგრიალი.

ჭკრიალა (რაჭ.) მცენარეა ერთგვარი, ლამაზა (ა. მაყ.).

ჭკუამხიარულ-ი (გურ.) ოდნავ გონებაშერყეული ან არანორმალური ჭკუაგონების ადამიანი; სულელი, ქარაფშუტა (ი. ჭკონ.; ს. ელ.).

ჭკუამდგარი (ქართლ.) გონებაშეზღუდული. გონებაგაყინული, ჭკუადამდგარი (გ. შატბერ., 130).

პკუეზა (ქართლ.) პკუით, დაფიქრებით მოქცევა. „რაზან ასე იპკუე, გიტყობა, კაი ვაქაიცი ხარო“ (ა. ღლ.).

პკუტა¹ (ლენხ.) პანტა (ა. მაყ.).

პკუტა-ი² (გურ.) უმწიფარი წვრილი ხილი (გ. შარაშ.).

პკუტავაშლი-ი (რაჭ., ქვ. იმერ.) მავალო (ა. მაყ.).

პკუტამხხალ-ი (რაჭ., ქვ. იმერ.) პანტა (ა. მაყ.).

პლაკე-ი (გურ.) სოხვი, ბოსტნეულია (წითელმთა, ი. შილაკაძე).

პლაკინა (ქვ. იმერ., გურ.) ყანის ნიორი (ა. მაყ.).

პლაშენ-ი (ფშ.). ნ. ჭლაშენი.

პლაპაჭლუპ-ი (ქიზიყ.) წყალში (საერთოდ სითხეში) მავარი საგნის მოძრაობით გამოცემული ხმა (ს. მენთეშ.).

პლაშენ-ი (ქართლ., ქიზიყ.) უხეიროდ ჭამის დროს პირის მოძრაობის ხმა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); უხეიროდ ჭამის დროს გამოცემული ხმა (ს. მენთეშ.).

პლაჩქვა (იმერ.). ნ. ჭლაჩქვა.

პლაჩქვა (იმერ.) ჭაჩქვა, ქაჩქვა, შტომვა. „ძალიან იჭლაჩქვებოდა ძველად, მარა ახლა, რო მოაკლდა საფანელი, ჩამოყარა ყურები“ (ვ. ბერ.).

პლიბუხა/ე-ი (გურ.) კოჭლი (ს. ჟღ.).

პლიკ-ი¹ (გურ.) ფეხი. „ძალღეფს შევძრომოდი ჭლიკში“ (ა. ღლ., გურ.).

პლიკ-ი² (მოხ., აჭარ.) ჩლიქი; გადატ. ნაფეხური (ო. ქაჭ.); ფეხის ნაწილი კოჭიდან მუხლებამდე (დიალექტ., 661).

პლიკა (ფშ.) დაციწე. ფეხი. ნ. ჭლიკი¹ (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

პლიკე-ი (რაჭ.) ჩლიქი (შ. ძიძ., 218).

პლიკმბული-ი (ხევსურ.) ცხვარ-საქონლის ეპითეტია. „ქორწილს რაით იქმენ; ჭლიკმბულ არ ებადების!“ (ა. ჭინჭარ., 231).

პლიკ-ი (მთიულ.) ხე, რომელზედაც ბულულს აგებენ (ლ. კაიშ.).

პმაგურ-ი (იმერ.) ხმაური, ხმიანობა,

მოდრაობა, ჩოჩქოლი. „არაფერს მკმე გური არ ისმოდა“ (ი. ქავთ.).

პმუქნია (ქსნის ხეობ.) ვაშლის ჭიშკეროვანი (ვ. სომხიშვი.).

პნავ-ი (ქსნის ხეობ., მესხ., რაჭ., ლენხ., იმერ., გურ.) მცენარე, რომელიც წვრილ-წვრილ ნაყოფს ისხამს (ვ. სომხიშვი.); ცირცელი. ნ. მწორო, წორო (ა. მაყ.).

პნავ-ა (მესხ.) დამპყნარ-დასუსტებულ ბავშვზე იტყვიან (ი. მისიურ.).

პნეხვა (იმერ.) წნეხვა (მ. ალავე., დ. კლდ. ლექსიკ.).

პო, პოვ. (აჭარ.) შევეცილი ფორმა ბიჭო სიტყვისა, იხმარება უმცროსისადმი, ბავშვისადმი მიმართვისას (დიალექტ., 661).

პოგრ-ი¹ (იმერ.). ნ. პოკი.

პოგრ-ი² (იმერ.) კაკვი, ლარძაყინი. „მოწნა კარავი მიქელამ, ზევიდან ჭოვრები გაუღდა“ (მ. ალავე., დ. კლდ. ლექსიკ.).

პოდ-ი¹ (გურ.) ვაზის ჭიში იყო ერთგვარი. გადაშენებულია (ა. ღლ.).

პოდ-ი² (თუშ.) გამაგრებული (გაყინული) თოვლი, რომელზეც სიარული შეიძლება (პ. ხუბ.).

პოვ (აჭარ.). ნ. პო.

პოკ-ი (გურ., იმერ.) გრძელი და წვრილი ქოლოკი, ლატანი, კაკლის საბერტყი; გრძელი ჯოხი (ე. ნინ., I, თ. ყივციანი; ი. ჭყონ.; ს. ჟღ.; დიალექტ., 668).

პოკრ-ი (იმერ.). ნ. პოკი.

პოლიკა-ი (გურ.) ხმელი, გრძელი, მაღალი კაცი ან ხე (გ. შარაშ.).

პოლო¹ (ზ. აჭარ.) ჭაობი, ჭაობიანი აუვილი. ნ. ჭონჭყო (შ. ნიჭარ.).

პოლო² (კახ.) დიდი, მსუქანი; ჭოლო-ჭოლო კამეჩებში დიდი, ჭიშიანი კამეჩები; ჭოლოანი-მეტსახელი (სოფ. კარდანახი, მარიამ და ნანა ხელაშვილები).

პოლოკ-ი (ქართლ., გურ.) მოკლე ჯოხი (ა. ღლ., ქართლ., 288); საჭე (ე. ნინ.,

- I, თ. კიკვი; ვრძელი ჯიხი, საბერტყი
 კაკლისა (ს. უღ.).
ქოლოტი-ი (იმერ.) პატარა ქალამანი ბი-
 ტისა (ი. ჭავთ.).
ქონი-ი (ფშ., ქიზიყ.) ბეწვეულის მკერ-
 ვალი საზოგადოდ და კერძოდ ჩვენე-
 ბური მეჭუდე (ვაჟა, I, ა. შან.); ბეწ-
 ვეულის მკერვალი, ტყავის ქუდი
 მკერვალი. მეჭუდე (ს. მენთეშ.).
ქონობა (მთიულ.) აღილოობა (ლ.
 კაიშ.).
ქონა-ქონა (მთიულ.) კარდაკარ (ლ. კა-
 იშ.).
ქონვა (გურ.) ჭლანვა, ცუდად კერვა
 (ა. ლ.).
ქონია (რაქ.) ვენახის ასახვევი, თელის
 ხის კანისაგან გაკეთებული (ქეგლ).
ქონია ჩოხა (გურ.) მოკლე, წელზედა,
 მოსირმული ჩოხა (ე. ნინ., II, თ.
 კიკვი).
ქონტო (ლენხ.) მოზრდილი წიწილა, მო-
 ჩეთი (მ. ალავე, 1); მოზრდილი სადე-
 დლე წიწილა, ვარიკა, ვარია (დია-
 ლექტ., 680).
ქონტოლი-ი (იმერ.) ბალანა, საგინებლად
 ამბობენ (ვ. ბერ.).
ქონტორი-ი (ზ. იმერ.) უშნოდ მაღალი,—
 აყლაყულა (ქეგლ).
ქონჭა (ქიზიყ.). ნ. კანი.
ქონჭი-ი (ლენხ.) დახეული ტანსაცმელი,
 ქინჭი (ნ.), ძონძი (მ. ალავე, 1).
ქონჭოლი-ი (გურ.) უწესრიგოდ ქონ-
 ქოლი-ი ლაპარაკი; ქონჭოლობს
 ლაყბობს, მიედ-მოედება (ა. ლ.).
ქონჭყო (გურ., აჭარ.) ჭაობიანი, წყლი-
 ანი ადგილი, სადაც ბალახი არ ამოდის
 (ს. უღ.); ჭაობი, ჭაობიანი ადგილი, მუ-
 დამ სველი ადგილი. ნ. ქენჭყო (შ.
 ნიჟარ., ს. უღ.; დიალექტ., 661; ქეგლ.).
ქოპანი-ი (მთხ.) ჭაპანი (დიალექტ., 565).
ქოპინი-ი (გურ.) სხვის ქვეშ შედგომა.
 „მი ქოპინე, ხეზე ავალ!“ (ი. ჭყონ.).
ქოპიტი-ი (გურ.) დახმარება, მოშველება
 ხეზე ასელაში (ს. უღ.; ქეგლ).
ქოპლიყი-ი (გურ.) სახარაზოს წულის კა-
 ლაპოტია (გ. შარაშ).
ქოპნა (გურ.). ნ. ქოპიტი.
ქოპოსანი-ი (იმერ.). ნ. ჭიბოშანი.
ქორი-ი (იმერ.) კესანე, ციციწო, მცენა-
 რეა (ა. მაყ.).
ქორაკულაობა (ფშ.) ქორიკანობა (ვაჟა-
 ფშ. მც. ლექსიკ.).
ქორანი-ი (ქიზიყ.) ქორტანა, მცენარეა (ა.
 მაყ.).
ქორბოშანი-ი (ლენხ.) ქოპოსანი. ნ. ქა-
 ბოშანი (მ. ალავე, 1).
ქოპი-ი (ქართლ.). ნ. ქოფი.
ქორიკა (ფშ.) ენატანია, ქორიკანა (ვაჟა-
 ფშ. მც. ლექსიკ.).
ქორტიკა (ფშ.). ნ. ქორიკა.
ქორკვლა (გურ.) სხლვა; გაქორკლი-
 ლი გასხლული, გასხეპილი (ა. ლ.).
ქორშაქალა (ქიზიყ.) ენატანია, ქორი-
 კანა (ს. მენთეშ.).
ქორონი-ი (რაქ.) მცენარეა ერთგვარი (შ.
 ძიძ., 218).
ქორობი-ი (ქართლ.) რიყე, ქერები (შ.
 ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ადიდებული
 მდინარის ან ნიაღვრის მოტანილი ნა-
 რიყი, ღორღი, ქვიშა და ლამია (გ.
 შატბერ., 130).
ქორტალ (ინგილ.) მჭვარტლი (მ. ჯან.).
ქორტიკა (ფშ.) ქორიკანა (ვაჟა, I, 1946,
 ა. შან.).
ქორტილიანი-ი (მთხ.) მჭვარტლიანი (დია-
 ლექტ., 565).
ქორული-ი გოდორი-ი (თიან.) თევზის სა-
 ქერი გოდორი, შედგება ორი გოდრი-
 საგან, ერთი ჩვეულებრივია, მეორე—
 კონუსისებრი, რომელსაც პირველში
 დგამენ („კომუნისტი“, № 267, 1969).
ქორლი-ი¹ (თუშ.) წვრილი ქვა. ხანდახან
 ქორლით აშენებენ სახლს (პ. ხუბ.).
ქორლი-ი² (ხევსურ.) გაღვიწილ ხორბალ-
 ში სარეველა მცენარეთა თესლის მინა-
 რევები ერთად (ა. ჭინჭარ., 205).
ქოტა¹ (ქიზიყ., ლენხ., კახ.) კოხტად
 რქებაწეული საქონელი (ს. მენთეშ.);
 სწორი და წვრილი რქები. ნ. რქაფსიტა
 (ლ. ლენი.; მ. ალავე, 1).



პოტა² (მთიულ.) ჩაქუტულთვალეზიანი (ლ. კაიშ.).

პოტა ლობიო (ქართლ.) ლობიოს ჯიშია ერთგვარი, თესავენ ვენახში, უბეწვოა, გრძელი და წითელი პარკი აქვს (გ. შატბერ., 68).

პოტიხე (კახ.). ნ. ხე ეკალა.

პოფი (ქართლ.) საძნე ურმის ქალის წვერი; ო რ ჰ ო ფ - ი ო რ წვერი, ო რ პ ი რ ი (გ. შატბერ., 131).

პოფლი (გურ.) ჭორფლი (ა. ლ.).

პოქა-ი (გურ.). 1. გრძელრქიანი ხზო; 2. მეტისმეტად მაღალი ტანის ადამიანი (ა. ლ.). შდრ.: ქეგლ.

პოლი (კახ.) მოხარშული და ძმრათა და ნიგვზით შენელებული ქარხლის ფოთლები (ქეგლ).

პოყვი (თუშ.) ლოყა (პ. ხუბ.).

პოშნიერ-ი (ზ. იმერ.) ჭკვიანი, გონიერი (ქ. ძოწ.).

პოჩხ-ი (თუშ.) ქალის კაბის კალთა (პ. ხუბ.).

პოქ-ი (ქართლ., გურ., მესხ., ქსნის ხეობ.) წყლიანი ადგილი, წყლით გაუღენთილ ადგილზე რომ წყალი კიდევ დგას; ბლომად დაღვრილი წყალი. „მინდორ-მინდორ დავდიოდი, ალაგ-ალაგ **პოქი იყო**“ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ფეხი კინიობითად. „**პოქი ცარ ჩუღვიდა შით**“ (ა. ლ., გურ.); ფეხის თითი (ს. ქლ.).

პოქ-ი² (მესხ., ქსნის ხეობ.) დაქვეული და დატბორებული წყალი. სარწყავი წყალი მინდორში რომ დაიფანტება, ის აჩენს **პოქებს**; სურის ყელის დარი, საიდანაც სითხე გადმოდის. „**პოქი ყანათ არ იქევა**“ (ი. მაისურ.; ვ. სომხიშვი.).

პოქ-ი³ (მთიულ.) ძალიან წვრილი ქვა (ლ. კაიშ.); ნისკარტი (ქეგლ).

პოქ-ი⁴ (თუშ.) გარას ასაწევ-დასაწევი ხის ჯოხი (ქეგლ).

პოქანა (მთიულ.) ნაყვავილარსახიანი კაცი (ლ. კაიშ.; ქეგლ).

პოქე (აჭარ.) ჭაობიანი ადგილი (პ. ხუბ.).

პოქი-ი (გაგახ.) ურმის თელის დასამარებელი პალო (ი. მაისურ.).

პოქილა (მესხ.) მსხლის ადგილობრივი ჯიშის სახელწოდება (ი. მაისურ.).

პოქინ-ი (იმერ.) ყოყმანი, პოქმანი (ქეგლ).

პოქინა/ე-ა¹ (იმერ.) ოწინარი, აკვანი (ვ. ბერ.).

პოქინა² (ქიზიყ.) ჩვილთ სატარებელია. სამთვალაა, ურემივით, ახალდებამული ბავშვის სიარულის სასწავლად (ს. მენთეშ.).

პოქო (აჭარ.) ნ. კონჭყო.

პოქოლია (ლენჩ.) ჭრელი (ქსოვილი). „შეგიყერავ **პოქოლია** კაბასა!“ (მ. ალავე., 2).

პოქოლი-ი (ზ. იმერ.). ნ. პოქოქივი.

პოქყ-ი¹ (თუშ.) კალთა (თ. უთურგ.).

პოქყ-ი² (ქართლ.). 1. თოვლის გადანარჩენისა და წვიმის შემდეგ დამდგარი ტალახი; 2. ხურდა ქვა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

პოქყ-ი³ (მოხ., ხევისურ., გუდამაყრ., თუშ.) ხზო ორ წლამდის (ო. ქაჯ.), მოზვერი (ლ. ლენო.).

პოქყა (ქიზიყ.) ხურდა ქვა, წვრილი ქვა ან ნამტვრევი ქვისა. კედლის აშენებისას ქვათა შორის სახსრებებს ამოსასვებად ხმარობენ (ს. მენთეშ.).

პოხმაკ-ი (იმერ.) ჭარმაგი, ჯანმრთელი, გამძლე, მარჯვე მოხუცი (ი. ქავთ.).

პხანვა (იმერ.) პუჭრუტანების გმანვა (ვ. ბერ.).

პრა (ქიზიყ.) ახალგაყვებულნი ჭურჭლის გახეთქა მზისაგან. „მზე **პრის** ჭურჭელ“ (ს. მენთეშ.).

პრაქუნა (მესხ., გაგახ.). ნ. აჭრაქუჭრა.

„**პრელი**“ (გურ.) ხალხური სიმღერა ერთგვარი (გ. შარაშ.).

პრელო (ქიზიყ.) ჭარელა, მცენარეა (ა. მაყ.).

პრელფოთოლა (კახ.) შრიალა ბალახი (ა. მაყ.).

- ჭრიალა** (ფშ.) ეპითეტია კაქკაქისა (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- ჭრიანტელ-ი** (ქართლ., ქიზიყ., კახ.) ტყემლის წვენი; თვალჭრელი კაცი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჯყონ.); ტყემლის წვენი ნივრითა და მწვანელით შეზავებული. ნ. წოწოქა (ს. მენთეშ.); ტყემლის საქამადი (პ. ხუბ., ანგარიში).
- ჭრიანტელა**¹ (კახ., ქართლ., ლეჩხ.) წითელი ჯიჯილაყა (ა. მაყ.); ბალახია ერთგვარი მხალეული (მ. ჩიქ.).
- ჭრიანტელა**² (მეხს.) ჭროლა თვალებიანი აღამიანი (ი. მაისურ.).
- ჭრიახ-ი** (იმერ., გურ.) ქათმის კრიახი; შეშინებული ქათმის ხმა (ა. ლ., ე. ბერი.).
- ჭრინვა** (ფშ.) გალობა, სტვენა. „იძახდა გვრითი და ჩიტი, ათას ხმაზედა ჰჭრინავდა“ (ი. ქეშიკ.).
- ჭრილ-ი** (ფშ.) ხურჯინის უღლის (ნ.) შუაზე დატოვებული ნახვრეტი, რომლითაც ხურჯინს ტახტაზე ჩამოაცემევენ (დილაქტ., 596).
- ჭრიპინა** (ზ. იმერ.) ყაზახა, მცენარეა (ა. მაყ.).
- ჭრიხვა** (გურ.) კრუხვა; ქათამი როცა კრუხებას იწყებს, იტყვიან ჭრიხვას, მოიჭრიხაო (გ. შარაშ.).
- ჭროკინ-ი** (ქსნის ხეობ.) ჭიკჭიკი ფრინველებისა. „ნეტა რას ჭროკინებს ეს ჩიტი“ (ვ. სომხიშვი.); სირთ ხმიანობა, ჭიკჭიკი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- ჭროლ-ი** (მოხ.) თოვლჭრელი, გაზაფხულზე ზოგიერთ ადგილას თოვლი გადნება, ზოგიერთგან — დარჩება. ზედაპირი აჭრელებულია და ამას ეძახიან ჭროლს (ო. ქაჯ.).
- ჭროლება** (ფშ.) ზმორება. ჭიმევა, გრეხა. „იჭროლებოდა მთელი ტანითა“ (ი. ქეშიკ.).
- ჭროკინ-ი** (ლეჩხ.) ჭოქმანი, ყოყმანი, მერყეობა; ჭროკინობს ყოყმანობს (მ. ალავე, 2).
- პროკინა** (ქსნის ხეობ., მთიულ.) ხის ბოძი, რომელსაც ქვეშ უდგამენ სადღვებელს დღვების დროს (ვ. სომხიშვი.); ჯოხებისაგან გაკეთებული საქანელა, რაზედაც სადღვებელს აქანავებენ (ლ. კაიშ.; ლ. ლეონ.).
- პროხ-ი** (რაჭ.) ქვა უსწორმასწორო, ხორკლიანია (შ. ძიძ., 218).
- პრუ კაკალ-ი** (აჭარ.) ქიანი, შავი გულის მქონე კაკალი (დილაქტ., 661).
- პუა** (იმერ.) პუეა, ჭვიეა, მრავალფრად ბრკიანობის, ელვარებს (ვ. ბერი.).
- პუავ-პუავ!** (ქიზიყ.) ქათმის დაძახება დასაბურებლად. შდრ.: ჯუჯუ-ჯუჯუ (ს. მენთეშ.).
- პუილ-ი** (იმერ.) სროლა. გადაედება რისამე, რომ პაერში სტვენდეს. „სულ ჭუილ-ჭუილით მიდიოდა ისარი“ (ვ. ბერი.).
- პუა-ი**¹ (ქიზიყ., გურ.) ინდაურის, ბატისა და იხვის წიწილა (ს. მენთეშ.); ინდაურის წიწილა (ა. ლ.).
- პუა-ი**² (ქიზიყ.) კოქის ზურგი, ჩაჩუტუნული, ჩაღრმავებული მხარე (ს. მენთეშ.).
- პუა-ი**³ (მოხ.) ტყის ხილეულია (ა. ყაზბ., 1, შ. ძიძ.).
- პუა-ი-პუა-ი-პუარარი..** (ქართლ.) ინდაურის დაძახება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- პუა** (გურ.) პატარა მოფერებით, სააღერსო სიტყვაა (ა. ლ.).
- პუაიე** (ლეჩხ.) ინდაური (მ. ჩიქ.).
- პუაულ-ი** (კახ.) ბატის პუაი (ა. მარტ., გ. იმნ.).
- პულვა** (ქართლ.) შარდზე გასკლა (კირიონი).
- პულუა-ი** (ინგილ., ქიზიყ.) ცელქი (მ. ჯან.); არადარბაისელი, ცეტივით (ს. მენთეშ.).
- პულუმპურ-ი** (ინგილ.) უჩინო თხილი (ქაგლ.).
- პუმუტა-ი** (გურ.) ვაზის ადგილობრივი ჯიში იყო (გ. შარაშ.).

ქუნტალი-ი (ზ. აჭარ.) განუვითარებელი ტარო სიმინდისა; სიმინდის წვრილი მარცვალი. ნ. ქუნტალი (შ. ნიყარ.).

ქუნტება (ქიზიყ.) კუნტება, სკუპება, ჯდომა. გამოცანა: „ყველა მიწვება-მოწვება, მასკუნტელა ქუნტია“ (ლიტრა), „რაა უქუნტისარ მანდ, რატო ვერ ამდგარხარ და ვერ მამსულხარ?“ ნ. დაქუნტება (ს. მენთემ.).

ქუნტრუქა-ი (აჭარ.) ჭუჭრუქა, ჭინჭრაქა (ი. მეგრ.).

ქუნტუხ-ი (ხევსურ., ქიზიყ.) სითხით გაუღენთილი; დაქუნტუხება, კეცულის (ნ.) გაუღენთვა ერბოთი (ა. ჭინჭარ., 213); სველი, წვიმისაგან ძალიან დასველებული. ნ. წუნწუხი (ს. მენთემ.).

ქუნტყული-ი (ქართლ., იმერ.) პატარა ბავშვის ხმაურობა აკვანში (თ. რაზიყ., „იგრიია“ № 157, 1900; ი. ჭყონ.).

ქუპა-ქუპა (ქიზიყ.) ბავშვის რომ ჰბანენ, აღერსით ეღუნებიან ამ სიტყვებს. ნ. პუჭი-პუჭი: (ს. მენთემ.).

ქუპაჭი (ქიზიყ.) თავგზადაქარგული შოთრალი (ს. მენთემ.).

ქუქუნა (იმერ.). ნ. ქუქუნა.

ქურ-ი (გურ., იმერ., აჭარ.) ქვეერი (ს. ჟღ.; ა. ლ., გურ.).

ქურ-ი² (თუშ.) ჭორი (თ. უთურგ.).

ქურა (მთიულ.) კოჭის წადმართი, ჩაღრმავებული მხარე. ქურაზე კოჭი გვერდზე დგას (ლ. კაიშ.).

ქურთ-ი (იმერ.). ნ. ჭვირთი.

ქურის ხხალი (ზ. აჭარ.) ჭურში (ნ.) შენახული მსხალი. ხეპეჭურა (ნ.) მსხალს ზამთრის პირას ჭურში ჩააწყობენ და ადრე გაზაფხულზე ამოიღებენ. ოდნავ მომწვეო გემო აქვს (შ. ნიყარ.).

ქურმამული-ი (გურ.) მამულ-დედული (კ. გვარ., 952).

ქურმაქუხ (ინგილ.) წვრილმანი და „ხოლოლო-მოლოლო ხალხი ან ხილი“ (მ. ჯან.).

ქურტამალი-ი (იმერ.) ხურტამალი, ხერტიმალი, ჭუჭრუტანა (ვ. ბერ.).

ქურღული-ი (რაქ.) ტყბილი მუსიაფინი (მ. ზედალი) დაბალი ხმით (ვ. ბერ.).

ქურქელი (ხევსურ.) ჩვეულებრივ დონე (ა. ჭინჭარ., 218).

ქურქუმალ-ი (იმერ.) გასროლილი ისრის ან ჯოხის პერში სტვენა, ჭული (ვ. ბერ.).

ქურქუტანა/ე (ლენხ.) ჭუჭრუტანა. ნ. ჭირინაი (მ. ალაფ., 2).

ქუტ-ი (იმერ., ქართლ.) აღჩუ. ნ. ჭიკა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ქუტვა (იმერ.) დაქუტვა (ნ.), თვალის დახუტვა; მეტაფორ. „რა მექუტვა, დაქუტული აქვს ოჯახი?“ (ვ. ბერ.).

ქუტხ (ქართლ.) ზხ., მყის, თვალის დახამხამებაში (ქეგლ).

ქუქვა (გურ.) ხუქვა; ჭუჭავს თვალს ხუქვას თვალს; თვალდაქუჭული-ი თვალდახუჭული (ა. ლ.; ქეგლ).

ქუჭიე (ლენხ.) ფუნთუშა, მცენარეა (ა. მაყ.).

ქუჭკვა¹ (გურ., აჭარ.) ლამზად, ერთიმეორეზე მიყოლებით წყობა; დაქუჭკული-ი ლამზად, ერთიმეორეზე მიყოლებით დალაგებული ნივთები (ა. ლ.); ალაგება; მიქუჭკა მილაგა (ი. მეგრ.).

ქუჭკვა² (ფშ.) გათბობის ან დამალვა-დაფარვის მიზნით ტანზე ჩასაცმელის მტკიცედ შემოხვევა, შემოკეცვა, „იქუჭკავს ნაბადსა“ (ი. ქეშკ.).

ქუჭკუა-ი (გურ.) სამკურნალო ბალახია (გ. შარაშ.); ფუნთუშა. ნ. ჭუჭიე (ა. მაყ.).

ქუჭნია-ა კაბა (ზ. აჭარ.) ნაოჭებიანი, წვრილნაკეცებიანი კაბა (შ. ნიყარ.).

ქუჭული-ი (ქართლ., გურ., იმერ.) ბატის, იხვის, ფასკუნჯის მართვე (დილიქტ., 645); წიწილა ქათმისა (ს. ჟღ.; ა. ლ., გურ.; დილიქტ., 668); ინდურის, იხვის ან ბატის წიწილა (დილიქტ., 674).

ქუჭულა (რაქ.) ყვავილი (ქეგლ).

ქუჭუმალი-ი (ლენხ.) ჭვრეტა, ჭვრიტინი (მ. ჩიქ.).

პუშკინალა/ე (ლენხ.). ნ. ტურქუტანა/ე.
პუშკინალოზია (გურ.) ბავშვთა თამაშია.
ნ. კუჭუმალაობია (ვ. ბერ.).
პუშენი (გურ., ქვ. იმერ.) ნელი, ტკბი-
ლი ბაასი; ტუჭკუჭვი (ვ. შარაშ.).
პუშენა (ხევსურ., ქიზიყ., ქართლ., მთი-
ულ.) საქონლის ავადმყოფობაა, გვალ-
ვიან ზაფხულში იცის. ნ. ჭიჭინა¹ (ა.
ჭინჭარ., 235; კირიონი; ს. მენთეშ.;
ლ. კაიშ.); საქონლის დაავადება, შარ-
დის შეხუთვა (ქედლ.).
პუშენაკი (მესხ.) ჭოჭონაქი, ჭრიალა,
ხისგან გამოთლილი სატრიალბეღლ-
სატკაცუნებელი, სათამაშო (ი. მიი-
სურ.).
პუშენკალია (ქიზიყ.) შავი კალია. ღამე
გამოდის სანთელთან და „პრუ-პრუს“
ძახის (ს. მენთეშ.).
პუშენკელა (ინგილ.) ციციანთელა. შდრ.:
პუშენკალია (მ. ჯან.).
პუშურახი (ლენხ.) წყვილიაღი. „ისეთი
პუშურახი იყო, რო თვალში თითს
ვერ მიიტანდა კაცი“ (მ. ჩიქ.).
პუშუტანა (ქართლ., გურ.) პუშურტანა.
ნ. ჭიჭინაი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.;
ა. ლ., გურ.).
პუშუვა (იმერ.) მიჭუჭუვა. მიჯარვა, ერთ-
მანეთზე მიწყობა. „მიწის სივიწროვის
გამო, გლეხები ერთმანეთზე ვართ
მიჭუჭუყული“ (ვ. ბერ.).
პუშენა (იმერ.) ჭიჭენა. უხეიროდ რეცხ-
ვა. ნ. ჭიჭინა¹ (ი. ქავთ.).
პუშენი (ქართლ., იმერ.). ნ. ჭუჭუ-
ყული.
პუშვა (ფშ.) ხუჭვა. „მზეი პუშვაგ და
თვალეზა“ (ი. ქეშვიკ.).
პუშენი (გურ.). 1. ცხუნება. „მზეი მი-
ჭუხუნეფს თავში“; 2. მოვლითი
ტკივილი თავისა. „რაცხა მიჭუხუნ-
ეფს თავში“ (წითელმთა, ი. შილა-
კაძე).
პუავილი (გურ.) კნავილი (კატისა). „კა-
ტა შიშით ხეზე გახტა, დღესაც ხის
წვერიდან ჭყავა“ (ა. ლ., გურ.).

პუაღვა (იმერ.): დაჭყალვა დაჯარვა
(ვ. ბერ.).
პუამალ-ი (გურ.) წყალში თამაში, ჭყუმ-
პალაობა (ვ. შარაშ.); ვადატ. უაზრო
ლაპარაკი, ყაყანი, ლაყბობა (ა. ლ.).
პუანი (გურ.) ღორის ხორცის (საერთოდ
ხორცის) ნახარში, ქონიანი წყალი
(ვ. შარაშ.).
პუანი¹ (გურ.) მხალეული ბალახია. ნ.
ჭყიმა (კ. გვარ., 952; ა. ლ.).
პუანი² (გურ.) ჭრელი; ჭყანა თვა-
ლები-ი ჭრელი თვალბი (ა. ლ.).
პუანტი (თუშ., ფშ., ქიზიყ., მოხ.) ქაობი
პატარა (ს. მაკალ.; თ. რაზიკ., „ივე-
რია“, № 157, 1900; ვაჟა, II, ა. შან.;
ი. ჭყონი; ს. მენთეშ.; ო. ქაჯ.).
პუანტლი (რაჭ.). ნ. ჭყინტლი.
პუანტობი (ქიზიყ.). ნ. ჭყანტობი.
პუანტობი (ქიზიყ.) ქაობიანი ადგილი
(ს. მენთეშ.).
პუანჭყა(ნ)ტა (ფშ., ხევსურ.) პანჭყატა-
მცენარეა. ნ. ბოხნურა (ა. მაყ.).
პუანჭყარი (ქიზიყ.) პანჭყარი (ს. მენ-
თეშ.).
პუაბი (გურ., აჭარ.) ჩვილი, ქორღა. „აი
თლათ ჭყაბი ბალანი ყოფილა“ (ვ.
შარაშ.).
პუაბა (ქართლ.) თეთრი ყურძნის ჭიშკა
(შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
პუაპარტა ღვინო (იმერ.) მქავე ღვინო
(ენი, ნ. აგიაშვილი).
პუაგვა (გურ.) სრესა, ჭყლეტა; გაჭყა-
ბული გასრესილი; გაჭყაბა გას-
რისა, გაჭყლიტა (ა. ლ.).
პუაზნა (იმერ.) ჭღაზნა, ზღაჯნა, დღაზნა
(ვ. ბერ.).
პუაპორტუნ-ი ბალახი (ხევსურ.) ჩრდი-
ლის მხარეს მოთიბული ბალახი (ა.
ჭინჭარ., 225).
პუაუნ-ი (გურ.) წყალში, ტალახში ჭყუმ-
პალაობა (ა. ლ.).
პუაპურტა (ქიზიყ.) ჩიბიტაური, ტიბიტა-
ური, წყალწყალა ღვინო (ს. მენთეშ.).
პუარტალი (გურ., იმერ.) ტარტარი,
განუწყვეტელი ლაპარაკი (ა. ლ.).

ქყართლა (ქართლ.) ქაცვი. ნ. კატაფშა-ტა (ა. მაყ.).

ქყატანა (მოხ.) წითლად მბზინავი (ა. ყაზბ., IV, შ. did.).

ქყენა-ი¹ (გურ.) ნ. ქყანაი¹.

ქყენა² (ლენხ.) წყენა; ქყენს სწყენს (მ. ალავე, 3).

ქყემა (აჭარ.) ქყლეტა; ქყლეპი ხან ქყლეტის დროს, ქყლეტისას (ღია-ლეპტი, 661).

ქყემალა (ლენხ.) სოკოა ერთგვარი (მ. ჩიქ.; ქეგლ).

ქყერი-ი (ხევსურ.) ნ. ქყირი.

ქყერა (გურ., იმერ., მესხ., მოხ., აჭარ.): გაქყერა თვალისა გახელა თვა-ლისა (ა. ლ.); ქყეტა, ცქერა, მზერა, ქვრეტა (გ. ბერი); თამამი ყურება. „უქყერს ის მიინც ამ კაცსა“ (ი. შაისურ.); ქყეტა (ო. ქაჯ.); „უყეთესი ვინ ნახე, რომ მიიქყერი ხარ“ (პ. ჯაჭან).

ქყერო (ლენხ.) ხის ნაპობებისაგან გაყე-თებული ღობე, ხიმე (მ. ალავე, 1).

ქყეტი-ი (ხევსურ.) ისეთი ნაქარგი, რომელშიაც მყვირალა (ლადი) ფერები სჭარბობს (ა. ჭინჭარ, 262).

ქყეტილა (მესხ., ქიზიყ.) თვალისმომჭ-რელი, მკვეთრი ფერი. ნ. ბრეთელა (ი. შაისურ.).

ქყეტია (მთიულ.) ძალიან ღია ფერი (ლ. კაიშ.).

ქყვართუნ-ი (გურ.) საწვეთელში წვეთე-ბის ხმა (გ. შარაშ.); უქყვართუნე ბს წვეთები ეცემა (ა. ლ.).

ქყვართ-ი (იმერ.) პატარა და განუვითარებელი ბავშვი, ლაწირაკი (ი. ქავთ.).

ქყვართლა ეკალ-ი (მესხ.) ქაცვი (ა. მაყ.).

ქყვე (ლენხ.) თოკის ბოლოს მობმული მოკლე ორთითა ჯოხი; იხმარება ურემზე ან მარხილზე ტვირთის შესაკრავად (მ. ალავე, 1).

ქყვენება (ფშ.) ძებნა; ექყვენება

გაფაციცებით ეძებს, ძებნით აჭოთებს ყველაფერს (ა. ჭინჭარ, ფშ.).

ქყვენვა (ფშ.) გულდასმით ძებნა, ჩხრე-კა (ი. ქეშიყ.).

ქყვერთება (გურ.) მავრად დარტყმა ჯო-ხის ან მათრახისა; სქყვირთა სახ-რე გადაუჭირა, გადაჭკრა სახრე (ა. ლ.).

ქყვირილ-ი (გურ.) ქყივილი; ღორის ქყივილზე იტყვიან (ს. ჟღ.; ა. ლ., გურ.); ღორთ კმინაობა (საბა; ნ. ჩუბ.).

ქყვრენა (ქიზიყ.) ჩენა, ჩეენება, დანახე-ბა. „რაა უქყვრინე, არ იცოდი, რო მეეწონებოდათ?“ (ს. მენთეშ.).

ქყვრიალაჟ-ი (თუშ.) ბრჭყვიალა (თ. უთურგ.).

ქყიამპო (გურ.) ფრინველია ერთგვარი (წითელმოთა, ი. შილაკაძე). შდრ.: ქყიმპო (საბა).

ქყიმ-ი (ქიზიყ.) ნ. ქყიმა.

ქყიმა (გურ., ფშ., იმერ.) მხალეული მცენარეა, იჭმება. ნ. ქყანა¹ (თ. რაზიყ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ქყონ., ა. მაყ.).

ქყიმარტო (აჭარ.): ქყიმარტო აღ-გილ-ი აღგილი (ხევი, ტყე...), საღაც ხშირად იცის ნისლი, წვიმა, თქორი (შ. ნიქარ.).

ქყიმპლ-ი (თუშ.) თვალით ავადმყოფის ჩირქი (პ. ხუბ.).

ქყინა-ი (გურ.) ნ. ქყანა¹.

ქყინტლ-ი (ლენხ.). 1. უმწიფარი, გაუ-მაგრებელი; 2. დონდლო, უნიათო. (მ. ჩიქ.); მეტად უნდილი (საბა).

ქყინჭვილაობა (ხევსურ.) ხენას უჩვევი ხარის ახირება, მასაქედურება (ნ.). ე. ი. გადაგდება (ა. ჭინჭარ., 197).

ქყიოტმატი (ფშ.) ჟიჟმატი, წვრილი (ი. ქყონ.).

ქყი-ი¹ (გურ.) ნედლი, ქყლინტი, ქყინ-ტი; მოქყიპვა სიმინდისა ნედლად, უდროოდ მოტეხა (გ. შარაშ.); ქყი-პ-ი სიმინდ-ი ქყინტი სიმინდი, ნედლი, მოუსვლედი (ა. ლ., გურ.; პ. ჯაჭან.).

ჰყიბ-ი² (ლენხ.). ნ. ტიტკვი.
ჰყიბ-ა (მოხ.) ჰყიბი (ო. ქაჯ.).
ჰყიპალა (ლენხ.) საქონლის მწვერი (მ. ჩიქ.).
ჰყიპარტ-ი (რაჭ.) ენამრავალი, წარამარა მოლაპარაკე (ვ. ბერ.).
ჰყიპარტა/ე-ი (გურ.) ჩვილი ბავშვი (ს. უღ.).
ჰყიპინ-ი (გურ.) ჰყიფეყიფი ჩიტისა (გ. შარაშ.); ბავშვის ტირილი (ს. უღ.); ჰიჰყინი, უწყსრიგოდ ლაპარაკი ან ბაყყის ყიყინი, ღორის ჰყვირილი და ა. შ. (ა. ლ.).
ჰყიპურტ-ი (გურ.) სრესა, ხელით ეღვლემა (გ. შარაშ.).
ჰყიჟორ-ი (გურ.) ამინდი ნესტიანი, წვიმიანი (ს. უღ.).
ჰყირ-ი (ხევსურ.) წვრილი ქვაა, რომელსაც კედლის შენებისას იყენებენ ნახვრეტების დასარჩილავად (ა. ჰინჰარ., 274).
ჰყირეშ-ი (ფშ.) წვრილი შეშა (ა. ჰინჰარ., ფშ.).
ჰყიტა (ხევსურ., ქიზიყ.) ჩრდილოეთის ვარსკვლავი, გათენების ხანს რომ გამოჩნდება (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჰყონ.; ს. მენთეშ.).
ჰყლამუნ-ი (ფშ., თუშ.) პირით ხმაურობა ქამის დროს (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ხმაურით დეჰვა (პ. ხუბ.).
ჰყლამ-ი (იმერ.) იათო, ჩვილი, მავ, წიწილა (ვ. ბერ.).
ჰყლოპინ-ი (ლენხ.). 1. ქალ-ვაყის ლაპარაკი; 2. შაშვის ბარტყების ხმა. ნ. ჰყიპინი (მ. ჩიქ.).
ჰყლურტვა (ქიზიყ.) ვიწროდ ყოფნა, ვიწროობისაგან ერთმანეთის ჰყლეტა. „ოთახი ვიწრო იყო, ბევრმა ტუმარმა მაიყარა თავი და ვიჰყლურტე-ბოდიო“ (ს. მენთეშ.).
ჰყმენტა (ქიზიყ.) კვნეტა; წყვეტა. „ე დასაღუბავი პატარა ბიჰი ჩურჩხლეგ ბოლოებ აჰყმენტს“ (ს. მენთეშ.).

ჰყმურტნა (რაჭ.) სრესა, ჰყლეტა (ქეგლ).
ჰყმუტუნ-ი (ქართლ.) გოჰის ჰყვირილი. „გოჰები ჰყმუტუნობდნენ“ (ა. ლ., ქართლ., 288).
ჰყო (რაჭ.) შინდის დაგრეხილი წნელი ურემზე დადებული თივის ვადასაკრავად („კომუნისტი“, № 190, 1969).
ჰყოლ-ი (აჰარ.) ნ. ჰყორი².
ჰყომ-ი (ქართლ., მთიულ.) ჰყაპი, თოვლ-ჰყაპი, თოვლნარევი წვიმა (დიალექტ., 645; ლ. კაიშ.).
ჰყოპალ-ი (რაჭ.) ორკაპა (ქეგლ).
ჰყორ-ი¹ (ფშ.) წვრილი ქვა, კედლის შენების დროს შუაში ჩასაყრელი, ხურდა. ნ. ჰყირი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჰყონ.).
ჰყორ-ი² (იმერ., რაჭ.) შქერის სახესხვაობა, ბაჰგარი (ი. ქაეთ.); შქერი, მუღამ მწვანე მცენარეა (პ. ჯაჯან, IX, 270); ბაჰგი (ა. მავ.).
ჰყორე (იმერ.) ქვიშნარი და ქვიანი ადგილი (ქეგლ).
ჰყორტო (აჰარ.) ნ. ჰონჰყო.
ჰყრიალ-ი (ფშ., თუშ., იმერ.) როჰოს ხმა (ვაყა, II, ა. შან.); ფეხის ხმა თოვლზე სიარულის დროს (თ. უთურგ.); ყივილ-ზივილი. „ბუჩქებში ჩიტებს ვაჰჰონდათ ჰყრიალი“ (მ. ალავ, დ. კლდ. ლექსიყ.).
ჰყრიამო (გურ.) ჰკაობისა და წყლის გარეული ჰკათამი. ნ. ჰყრიამო (ა. ლ.).
ჰყრიპინ-ი (ქართლ.) ჰყიპინი, გარეული ფრინველებისა და მათი ბარტყების ჰყიჰყიჰი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
ჰყრიპინ-ი (ქართლ.) ჩვილი ბავშვის ხმიანობა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
ჰყუბალა (რაჭ.) ძროხა, რომელსაც ორი ძუძუ ტყუბად აჰქს შეზრდილი, (ქეგლ).
ჰყუშ-ი¹ (ხევსურ.) ბალახის გამხმარი ღერო (ქეგლ).
ჰყუშ-ი² (ფშ.) ბალახის (თივის, ჩალის) ბლუჯა (ქეგლ).
ჰყუშავლა (იმერ.). ნ. შხუშავლა.
ჰყუნვა (გურ.): დაჰყუნვა დაღვრემა.

მოდღშვა, წყენისა და ტკივილის ვა-
მომეტყველება სახეზე (გ. შარაშ.).

ქუზალა (იმერ.) ერთგვარი ქლიავი, რომ-
ლის ყოველ ყუნწზე ერთმანეთთან შე-
ხორცებული ორ-ორი ნაყოფია შდრ.:
ქუზალა (ქეგლ).

ქუზრტი¹ (გურ.) ადგილობრივი ენის
უტოლდინარი. „თლა ქუზრტია აი
კაცი; არასფელი არ ეყურება“ (გ. შა-
რაშ.).

ქუზრტი² (ზ. აპარ.) უზრდელი, ენაწა-

ვარდნილი, ენაპარტალა. ნ. მაქუპურტია
(შ. ნიჟარ.).

ქუზრტა (აპარ.) ჭიაფერა, მცენარეა (ა.
მაყ.; ქეგლ).

ქუზრტვა (მესხ.) დაწაფებით სმა (ი.
მაისურ.).

ქუზულ-ი (ლეჩხ.) ჰაერში გასროლილი
ისრის ან ჯოხის გამოცემული ხმა, ქუ-
ილი; ქუზულ-ქუზულით ქუზილ-
ქუცილით (მ. ალავე, 2).

ქხვერთება (გურ.). ნ. ქხვერთება.

ხ

ხაბაკ-ი (იმერ.) რისამე ძებნა. „რას დ ა-
ხ ა ბ ა კ ო ბ მაქანეჲ?“ (ვ. ბერ.).

ხაბანდი-ი (ლეჩხ.) ხაფანგი (მ. ალავე, 2).

ხაბარ-ი¹ (მოხ., მესხ., ინგილ.) ამბავი (ა.
ყაზბ., 1. შ. შიძ.: ო. ქაჯ.; დიალექტ-
652; 626). თურქ haber.

ხაბარ-ი² (ზ. იმერ.) გონი. აზრი (ქ.
ძოწ.).

ხაბარულ-ი (ლეჩხ.) ჩრდილოეთის ქარი
რიონის ვიწრო ხეობაში (მ. ალავეძე,
„რიონი“, № 2, 1959, გვ. 181).

ხაბიზგინა (ზ. იმერ.) ნიგეზიანი პური (ბ.
წერეთ.).

ხაბო (იმერ.) მდინარის ნაპირი (ვ. ბერ.).

ხაგირა (თუშ.) სახნავი მიწის ნაკვეთი
(ქეგლ).

ხადა (რაჭ.) ცხენის ჯიშია ერთ-ერთი
(ქეგლ).

ხადილ-ი¹ (გურ.) მიწის გადასახადი, წი-
ლი მოსავლისა. ნ. საყანული (პ. ჯა-
ჯან.).

ხადილ-ი² (რაჭ., ზ. იმერ.) სარძლოს და-
ნიშვნა და ლხინი (დიალექტ., 691);
ნიშნობა (ქ. ძოწ.).

ხადილ-ი³ (მესხ.) გართობა, დროის ტა-
რება; წვეულება (ი. მაისურ.); იმე-
რულად სამასპინძლო (საბა).

23. ალ. ლლონტი, სიტყვის კონა.

ხადილობა (კახ., მესხ.) შექცევით დროის
გატარება; წვეულება. ნ. ხადილი³ (ა.
შარტ., გ. იმნ.; ი. მაისურ.).

ხადრაგი-ი (ქიზიყ.) სქელი, უხეში ქსოვი-
ლი, არ იკეცება, თუ მოხვდა რამე,
ფხაკი-ფხუცი (ხმაურობა) ვააქეს (ს.
მენთეშ.).

ხადურ-ი (მოხ.) მინდვრის ბარდა; ხანდუ-
რი (ა. მაყ.).

ხაღურა (ფშ.) ზუთეული ძნა (ს. მაკალ.).

ხავან-ი (გურ.) თამბაქოს საჭრელი დანა-
მანქანა (ვ. შარაშ.).

ხავარ-ი (მოხ.) სიმსივნე; სიცივისაგან
ჭრილობის გასივება (ო. ქაჯ.).

ხავარტა (თუშ., იმერ.) წიწმბატურა, ღო-
რის ქადა. ნ. ბატიკბილა (ა. მაყ.).

ხავერდა (ქართლ., ზ. იმერ.) ორფერი,
მცენარეა. ნ. ჯორისთესლა (ა. მაყ.).

ხავერდულა (ოკრიბ.) ზაფრანა ანუ თავ-
ყვითელა („კომუნისტი“, № 190,
1969).

ხავიწ-ი (გურ., თუშ., ხევსურ., ფშ.,
ჯავახ., მოხ., იმერ.) სუკამადი. ამხადე-
ბენ თაფლისა და პურის ფქვილისაგან.
„ნათლიდემამ დამფაიჯა, გამიკეთა ხ ა-
ვი წ ი ო, მას რომ გოგულები ხავდა, მა-
თი ეშხით დავიწვიო“ (ა. ლლ.); ერბო-

- ში მოხრავული ხაჟო (თ. უფთურგ.); ფქვილისა და ერბოს ფაფა (ი. ქეშიკ.; დიალექტ., 559); ერბოში მოშუშული ფქვილისაგან გაკეთებული ფაფისებრი საკმელი (დიალექტ., 650); კარაქის ვაღნობის შემდეგ ნაძირს უკიდებენ ფქვილს. ადუღებენ და ჭამენ. ამას ხ ა ვ ი წ ს ეძახიან (ო. ქაჯ.); ძმარში ან თაფლში მოხელილი პურის ცომი; დაჩირქებულ იარაზე დასადებად ხმარობენ (ქეგლ).
- ხავო** (გურ.). 1. ჭამის მადის უქონლობა. ხ ა ვ ო ი ა ნ - ი უმადო. უხასიათო, მოთენთილი; 2. პირუტყვის ენის ავადმყოფობა; ხ ა ო ს ა კ რ ა პირუტყვის ენის ვაფხეკა მახელილი დანით, რომ პირუტყვმა უფრო მაღიანად ჭამოს საკვები (ა. ლ.).
- ხავრეზი** (ზ. იმერ.). 1. ხარეზი; 2. ირიბი ხაზები შალის ქსოვილზე (ბ. წერეთ.).
- ხავროზი** (ზ. აჟარ.). შიბაქი (შ. ნიჟარ.).
- ხავზავი** (ლეჩხ.) ერთ ადგილზე ჯდომა და ტრიალი (მ. ალავე, 2).
- ხაზარულა-ი¹** (გურ.) მცენარეა, აღნაგობით სიმინდს წაავავს; ცოცხის საკეთებლად იყენებენ (გ. შარაშ.); მცენარეა, რომლის ლეროებიდანაც ცოცხს აკეთებენ; ცოცხის სორგო (ს. ჟღ.; ა. მაყ.).
- ხაზარულა²** (გურ.) საზამთრო ვაშლის ჯიშია. ნ. დემირაი (ს. ჟღ.; ი. მეგრ., 195).
- ხაზარულა ლობიე** (გურ.) ლობიოს ჯიშია, მომსხო მარცვლები აქვს ჭრელი (წითელმთა, ი. შილაკაძე).
- ხაზინა** (ქიზიყ.) სანაცრე. ვაკე ადგილას გაკეთებული საკირის სანახშირის ქვემოთ ამოღებული პატარა ორმო ნაცრისათვის (ს. მენთეშ.).
- ხაზმუზიანობა** (ქიზიყ.) ავადმყოფობა, უგუნებობა. უფრო ბავშვებმა და ფეხმძიმე ქალებმა იციან (ს. მენთეშ.); თავის ქურქში არ ყოფნა (დ. ჩუბ.).
- ხაზნა-ა** (ინგოლ.) ქონება, სიმდიდრე (გ. იმნ.).
- ხაზუა** (კახ.) მინდვრის ქინძი, ქინძარა (ა. მაყ.).
- ხაზული** (მესხ., აჟარ.) ჭანჭურის ჩირი (ი. მისიურ.; შ. ნიჟარ.).
- ხაზში შესვლაობა** (კახ.) ბევშეთა თამაშობა (ა. გვენც., თ. ბერიაშვი.).
- ხათა¹** (ფშ.) ცოდვა. ბრალი, ხათაბალი (ვეფა, IV, ა. შან.). არაბ. (ხათან).
- ხათა²** (მოხ.) არაყის გამონახადი (ო. ქაჯ.).
- ხათარი** (ლეჩხ.) ცეცხლთან ფუსფუსი საკმლის გაკეთებისას (მ. ალავე, 1).
- ხათრითი** (იმერ.) თიხის იარაღი სამკებლა და შუაზე გახერტილი შამფურის სატრიალებლად (ი. ჭყონ.); შამფურის წვერის დასადები (საბა); შამფურის წვერთ სადები გრძელი ზედადგარი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- ხათრკი** (რაჭ.) ბუხრის ქვა ყველაზე მსხვილი შეშის დასადებად (ლაგვანთა, ი. თავკაძე).
- ხათქაში** (ქართლ., ქიზიყ.) ფიცრის სახაზავი სადურგლო იარაღი. ნ. წიკაწრა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ხათხვერა** (მოხ.) ცვალებადი ცერცველა. ნ. ბარდალო, ბადალო, ვირიგვერდა (ა. მაყ.).
- ხათთი** (ქიზიყ., ქართლ.) ერთი გაბმა (ნ.) ძაფი (ს. მენთეშ.); აბრეშუმი. ნ. კიფი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ხაიბარი** (გუდამაყარ.) ხეიბარი, დასახიჩრებული (დიალექტ., 575).
- ხაკი** (ფშ., ქიზიყ., თუშ.) რძის საწური (ლ. ლეონ.; ს. მენთეშ.); ლუღის საწური პარკი (ს. მაკალ. თუშ.); ტომარა; სახაკე - ა სატომრე შალი (კ. ჭრელი, 269).
- ხაკა** (ქართლ.): ხაკა ნახშირი, წამხდარი, დაფშენილი ნახშირი (გ. შატბერ., 131).
- ხაკუნი** (იმერ.). ნ. ჩაკუნი, ჩხაკუნი.

- ხალი-ი¹** (ფშ.) ქუმელი (ვაჟა, I, ა. შან.; ი. ჟყონ.).
- ხალი-ი²** (გურ.) კოლოი (ნ.), თხილის, წიფლის ან რცხილის ხის ვრძელი ჯოხი, რომელსაც კაკლის საბერტყავად ხმარობენ (ა. ლლ.).
- ხალი-ი³** (მთიულ.) დაჭმული მოხალული ხორბალი ან სიმინდი (ლ. კაიშ.).
- ხალი¹** (ქართლ.). ნ. ხალი².
- ხალი²** (მთიულ.) ვრძელი წვრილი ჯოხი, რომელსაც თივის ბულულს ამოაკრავენ ხოლმე (ლ. კაიშ.; ქველ).
- ხალი³** (რაჭ.) მოხარშული მარცვლეულისაგან მოზეილი ცომი (ქველ).
- ხალი⁴** (აქარ.) დეიდა; ხალიაშვილი - დეიდაშვილი (ი. მეგრ.).
- ხალიამ-ი** (გურ., იმერ., ლეჩხ., რაჭ.) დიდი ქოთანი, უმთავრესად ყველის შესანახავად (ვ. ბერ.); დერგი. კურპელი წნილის, ყველის ან სხვა რამისათვის (ს. ელ.; დიალექტ., 680).
- ხალიარ-ი** (ქართლ.) მსხვილი ტარო სიმინდისა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჟყონ.).
- ხალიარჯობა** (ფშ., მთიულ.) დღეობა, სულიწმინდის მოფენის დღე (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჟყონ.); ხატობა (ს. მაკალ.).
- ხალიახინ-ი** (ლეჩხ., რაჭ.) ტოტებიანი ხარდანი ან ხე, რომელზედაც ვაზი ადის (მ. ალავე., 1); დიდი ქოვრი, ხალი, ხალხა, ხოლი (ვ. ბერ.).
- ხალიახუნცული-** (ლეჩხ.) ჩხუბი მრავალთა შორის. „დიდი ხალიახუნცული იყო, კილამ დახოცეს ერთმანეთი“ (მ. ალავე., 2).
- ხალიახუნცური-** (იმერ.). ნ. ხალიახუნცული.
- ხალიერბო** (ფშ.) ერბოზე მოკიდებული ქუმელი ხავეწისათვის (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჟყონ.).
- ხალივა** (იმერ., გურ.) მოხალვა; ჩამოყრა (ხალით), მორეკვა, დაბერტყვა.
- „ნიგოზს ვხალავდი“ (მ. ალავე., დ. კლდ. ლექსიკ.).
- ხალივას-ი** (მოხ.) თავისუფლება, მარტობა (ა. ყაზბ., III, შ. ძიძ.); ხალასი, სუფთა, ჯანმრთელი (ო. ქაჯ.).
- ხალითა¹** (ჯავახ.) ტყავის აბურთი, რკინის უღელსა აქვს (დიალექტ., 650).
- ხალითა²** (ლეჩხ.) ტყავის ტომარა, ოთხად ამოღებული ხბოს ტყავის პარკი (დიალექტ., 680); ხბოს ტყავის გულა საფქვილედ, სახორბლედ (ლ. ლეონ.).
- ხალიზ-ი** (ხევსურ.) სურვილი. „ჩვესურებ, არხოტიენება ხალიზს რად უღვეთ ცდისასა?“ (ა. შან., 238).
- ხალიკ-ი¹** (რაჭ.) წვრილი ქვა, ხურდა, ხიჭი (ქველ).
- ხალიკ-ი²** (მთიულ.) დაწყობილი შეშის დიდი გროვა (ლ. კაიშ.).
- ხალიხული-** (რაჭ.) ორომტრიალი, ფაციფუცი. „ამ ხალიხულში ღვედს შეპურა კბილი“ (შ. ძიძ., 218).
- ხალიოვან-ი** (ქართლ.) საქმელია ერთგვარი (ლ. ნოზ.).
- ხალიტვა** (იმერ.): მოხალტვა, მოხალვა, გახურებულ კეცზე მარცვლეულის შეწვა (ვ. ბერ.).
- ხალიცუცაჲ-ი** (თუშ.) ახალი გირჩა—სანამ გამაგრდებოდეს (თ. უთურჯ.).
- ხალიხა** (ფშ., ქიზიყ.). ნ. ხალი².
- ხალიხამ-ი** (მესხ.) ქვის კედლით ან დაბალი ღობით შემოზღუდული ადგილი ზაფხულობით საქონლის გასაჩერებლად ღამით (ი. მაისურ.; დიალექტ., 652).
- ხამ-ი¹** (ხევსურ.) მწვანე ბალახი (ა. ჭინჭარ., 202).
- ხამ-ი²** (ქიზიყ.) ბამბის ქსოვილი მომსხო (ს. მენთეშ.); სხელი სამოსელი (საბა).
- ხამ-ი³** (ქართლ., კახ.) ახალი, უხმარი, წმინდა, გამოუყენებელი; ხამ-ი მიწა ყამირი მიწა; ხამ-ი მოზვერი უღელში ახლად შებმული მოზვერი; ხამ-ი წყალი წმინდა, აუღულარი

- წყალი (გ. შატბერ., 131; ა. მარტ., გ. იმნ.).
- ხამ-ი მიწა** (აჟარ.) დაუმუშავებელი მიწა (პ. ჯაჯან.).
- ხამ-ი შაქ-ი** (ქიზიყ.) ერთნაყოფი ცხვარი, ორი წლისა. ნ. შაქი (ს. მენტეშ.).
- ხამაზ-დი** (ფშ.) სურდო. ნ. ხამანდი (გვაფ-ფშ. მც. ლექსიკ.).
- ხამანდი** (ფშ.) სურდო (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჭყონ.).
- ხამანწყა** (გურ., აჟარ.) პატარა სადაფი (გ. შარაშ.); მომცრო სასმისი (ვ. ბერ.).
- ხამარ-დი** (მთიულ.) გაციება, ავადმყოფობა (ლ. კაიშ.).
- ხამის კრა-ი** (გურ.) გახურებულ გულზე ცივი წყლის დაღვეით ცუდად გახდომა. „ახლა წყალი არ დალიო. ხამს გკრავს, იცოდე“ (გ. შარაშ.).
- ხამის ცემა** (იმერ.) სირბილის ან დიდი მუშაობის შემდეგ ცუდ ხასიათზე დადგომა, გულის აეცრეცება; ხამნაცემს ტყბილ კვერს აჰმევენ (ვ. ბერ.).
- ხამალა** (ქსნის ხეობ., მთიულ.) სიმინდის ფეკილის ცომის დაქრიან ხინკლის ცომის ზომიანზე და მარილწყალში ხარშავენ. ამას ხამპალა ეწოდება (ვ. სომხიშვი.); წყალში ან რძეში მოხარშული მჟადის ფეკილის გორგლები (ლ. კაიშ.).
- ხამუშ-ხამუშ** (ქიზიყ.) ხანდახან, დროვამოშვებით. დროდადრო. „ხამუშ-ხამუშ იცის ხოლმე კვი ამოლება“ (ს. მენტეშ.).
- ხამფალა-ა** (მოხ.) ბალახია მაღალღეროიანი (ო. ჭაჭ.).
- ხამშალა/ე** (ლეჩხ.) მოუთელავი შალი (მ. ჩიქ.).
- ხამხა** (იმერ.) მჟადის ან პურის ამრობის შემდეგ თორნეზე ან კეცზე შერჩენილი ჭერჭი (ი. ჭავთ.).
- ხანი** (ქართლ.). ნ. ჭიჭიტანა.
- ხანა** (ჯავახ.) ჩაჩჩო, რომელზედაც ქსოვენ ნოხეულობას (ი. ჭყონ.).
- ხანდაყ-ი**, **ხანდაყებ-ი** (ქართლ.) თხრილი, ღორღიან მინდორში თხრილები და ორმოები (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.). არაბ. (ხანდაქ).
- ხანდაყურა** (ქართლ.) წარმოქმნილია ხანდაკ ტოპონიმისაგან. ვაშლის ადგილობრივი ჯიშია (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ხანთოეთულ-ი** (იმერ.). ნ. ხანთოეთული.
- ხანთოეთულ-ი** (გურ.) ხანთოთავებული, დაძველებული, ხანდაზმული. სანოვანეზე იტყვიან (გ. შარაშ.).
- ხანთოუქმელ-ი** (მთიულ.) ახალგაზრდა (ლ. კაიშ.).
- ხანობა-ი** (გურ.) ხანად, დროს. „სხოვან იყო იმ ხანობაი“ (წითელმთა, ი. შილაკაძე).
- ხანულ-ი** (ქართლ., მესხ.) რძის მოზიარე დიასახლისი, კარაქის კეთებაში მოზიარე (ლ. ლეონ.; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ი. მაისურ.).
- ხანუმა-ა** (ზ. აჟარ.) ლობიოს ჯიშია ერთგვარი (შ. ნიფარ.).
- ხანტალ-ი** (იმერ.): გახანტალემა დასუფთავება, დაწმენდა (ვ. ბერ.).
- ხანტრაბუცა** (ოკრიბ.) შემწვარი კვახის თესლი (მ. ალავე.).
- ხანშალ-ი** (ხევსურ.) სუსტი. ავადმყოფი, საქონელზე იტყვიან (ა. ჭინჭარ., 233).
- ხანჩულა** (ქართლ.) თიხის სადღვებელი (ლ. ლეონ.).
- ხანცუცაჴ-ი** (თუშ.). ნ. გახანცუცაჴება.
- ხანძილ-ი** (ფშ.) ღანძილი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ხანჭალ-ი** (იმერ.) რეცხვა, დასუფთავება, ფერვა. „ისე დავახანჭალე ჯამ-ჭურჭელი, მის შეხედვას არაფერი სჯობია“ (ვ. ბერ.).
- ხანჭკ-ი** (გურ.). ნ. ხანჭკის რება.
- ხანჭკის რება** (გურ.) ნიშნის, შანის მოგება, დაყვედრება, დაცინვა. „უხინდისოთ ლაპარაკოფ, რაც რომ ენით არ ითქმება, ჩემთვის რა საჭირო არის ამნაირი ხანჭკის რება!“ (ა. ლლ., გურ.).

ხანკოლა (გურ.) ცერცვის მაგვარი მცენარეა, ლომინარი (ს. ქლ.).

ხანხრუშ-ი (ლექს.) სუფთა, წმინდა; გახანხრუშება გასუფთავება. „ისე გოთხანხრუშები აეს საცვლები, პატარა ჭუჭყსაც ვერ დინახავ“ (მ. ალავე. 1).

ხანჯალა (მთიულ.) ხის დანა ბატენის ლეპოს გასაფხეკად (ლ. კიშ.).

ხანჯარი-ი (ფშ., ხევსურ., თუშ.) ხანჯალი (ვაფა, I, ა. შან.; ა. ჭინჭარ., 308; ი. ბუჭურ., 138). ხანჯლის სახეებია ხევსურულში: ცალღარი, ორღარი, სამღარი, სუკიანი, ლეკური; წვერამდი დაწერაღი, შავხალი... ეპითეტები: შავტარა, თეთრტარა, ორპირი (ა. ჭინჭარ., 308).

ხანჯელ (აჭარ.) ზოგჯერ, ხანდახან (პ. ჯაჯან.).

ხაო (გურ.). ნ. ხაო.

ხაობალახა (კახ.) ბატენისყურა, მცენარეა (ა. მაყ.).

ხაპ-ი (გურ.) კვახი. ვოგრა; მრავალკუბრია: 1. მწარე ხაპ-ი არ იჭმევა, მაგარი კანი აქვს, ხმარობენ წყლის ჭურჭლად; 2. ხაპერა-ი პატარაა, არის რბილ და მაგარკანიანი, აქვს ტბილი გემო; 3. ძროხა ხაპ-ი მოჰყავთ პირუტყვის საკვებად (ა. ლ.; ს. ქლ.: ა. მაყ.; ე. ნინ., I, თ. კიკვა.).

ხაპ-ი² (იმერ., რაჭ.) ჯოხზე დამაგრებული ფართობირიანი ხრიკის მსგავსი ხელსაწყო ღვინის ამოსაღებად ქვევრიდან (მ. ალავე, დ. კლდ. ლექსიკ.); საწნახელი (მ. ალავე. 3; ლავანთა, ი. თავაძე).

ხაპერი-ი (აჭარ.) თვის ქალა (შ. ნიჟარ.).

ხაპერა-ი (გურ., აჭარ.) სქელკანიანი ვოგრა. მოხარშვის შემდეგ სქელი კანი ისე უცვლელი რჩება და მას ჭურჭლად იყენებენ. ნ. ხაპი (ს. ქლ.; შ. ნიჟარ.).

ხაპია (ქართლ.) ღვინის ძალიან მსმელი, ლოთი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჭყონ.).

ხაპირ-ი (ქართლ., ინგილ., ქსნის ხეობ.)

ხის ტარზე დამაგრებული ხისავე ან ლითონის ჯამი, რომლითაც ქვევრის გარეცხვის დროს იღებენ ქვევრის ძირზე დარჩენილ თხლეს ან ჭუჭყიან წყალს (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ორკოპე (ნ.), ქვევრიდან ღვინის ამოსახაპი (მ. ჯან.); ხის კოლხი (ვ. სომხიშვი.).

ხაპიშორვა (ზ. აჭარ.) გოგრითა და რძით შემზადებული შეჭამადი (შ. ნიჟარ.).

ხაპიწა-ი (გურ.) თხელი, რომ იწელება ისეთი, ფაფა; გადატ. დასუსტებული ადამიანი (წითელმთა, ი. შილაკაძე).

ხაპუტა (გურ.) ჭურჭლად გამოყენებული მწარე კვახი (ს. ქლ.; ქველ);

ხაპუტრაკ-ი (გურ.) მცენარეა ერთგვარი, აქვს ფართო ფოთლები, შხამა (ა. ლ.; ქველ).

ხაფო (გურ.) ჭრელი, ლაქებიანი (მაგ., ლობიო) (ქველ).

ხაფუფ-ი (ქიზიყ.) მარახოში, ცოტათი მევეე სასმელი თუ საჭმელი (ს. მენთეშ.); ჩჩვლთ ჩასალოკი წამალი (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ხარა (ფშ.) თოფია ერთგვარი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჭყონ.).

ხარაბუა (გურ.) მწურია ერთგვარი (კ. გვარ., 952).

ხარავ-ი (მთიულ., გუდამაყრ.) ხარო, ორმო (ე. ვირსალ.).

ხარავან-ი (გუდამაყრ., ხევსურ.) ხარების ნახირი (ლ. ლეონ.).

ხარავიჭ-ი (ქართლ.) ქონის ნამწვი, ნახარაკი, ქონის გადაღწობის ნარჩენი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ხარაკ-ი (ქიზიყ.) ტყავი ან გლუ ქსოვილი დაზაზე ჩამოშული. ოქრომჭედლები მას კალთაზე იფარებენ, რომ ოქროს ან ვერცხლის ნაფხეკი ჩაცვივდეს. შემდეგ ნაფხეკს იღებენ და ინახვენ (ს. მენთეშ.).

ხარალ-ი¹ (ლექს.) ნოტიო ადგილზე შენახული კარტოფილის ამონაყარი (მ. ალავე, ოკრიბ.).

- ხარალ-ი²** (ქართლ.) ხის ქერქი, რომლი-
თაც ვაზს ახვევენ (კირონი).
- ხარალა** (იმერ.). ნ. ხარალი².
- ხარალეზ-ი** (ლენჩხ.) ოქროს კბილები,
სიმინდის ძირზე გამოსული მიწისზედა
ფესვები (ღიალექტ., 680; ქეგლ.).
- ხარან-ი¹** (გურ.) ძაღლის დასაბმელი ჯო-
ხი, რომელსაც ორივე მხარეს თოკი
აქვს მობმული; ერთი თავით
ძაღლს მიაბამენ კისერზე, მეორე თა-
ვით — რამეზე (წითელმთა, ი. შილა-
კაძე).
- ხარან-ი²** (მესხ.) დიდი ტომარა ბზისათ-
ვის (ი. მაისურ.).
- ხარატულ-ი** (გურ.) მოხატული, ლამაზი,
მხატვრულად გაფორმებული. «ეს აქ-
ვანი ხარატული, შით ყმაწვილი
ჩახატული» (ა. ლა.).
- ხარაძირა** (ქვ. ქართლ.) ხარის ძირა,
მცენარეა (ა. მაყ.).
- ხარბეზ-ი** (აჭარ.). ნ. ხარვეზი.
- ხარბულ-ი** (მესხ.) მსხვილთვლებიანი
ცხრილი. განიავების შემდეგ მიღე-
ბულ ხევს ამაში გაატარებენ (ი. მაი-
სურ.). თურქ. kalbur.
- ხარბუხაყ-ი** (თუშ.) სურდო (თ.
უთურგ.).
- ხარგა¹** (ზ. იმერ.) ხარების ჯოგი (ვ.
ბერ.).
- ხარგა²** (ლენჩხ.) ხის სუფთა ჯოხზე აც-
მული შემწვარი ქათამი, ხორცი, გო-
კის თავი, ხაჭაპური და სხვ., რომე-
ლიც ქორწილიდან დაბრუნებულ მაყ-
რებს შინ მიჰქონდათ (მ. ალავე.).
- ხარგალ-ი** (ქართლ.) ეზო, ბაჟი (თ. რა-
ზიკ., «ივერია», № 157, 1900; ი.
კუონ.).
- ხარგალალა** (ქართლ.) ბაჟი (შ. ძიძ., ნ.
კეცხ., პ. ხუბ.).
- ხარგვლა** (ქართლ.) შემოზღუდვა ადგი-
ლისა საქონლის შესარეკად. ნ. ხარგა-
ლალა (ი. კუონ.).
- ხარდღ-ი¹** (გურ.) პატარა ტეკტორა,
კუპრიელი (გ. შარაშ.).
- ხარდალ-ი²** (ზ. აჭარ.) ყურძნის დაუდუ-
ლარი წვენი (მ. ნიყარ.).
- ხარდალ-ი³** (ქართლ., კახ., აჭარ.) მდოგ-
ვი (ა. მაყ.). არაბ. (ხარდნლ).
- ხარდალი-ი** (გურ.). ნ. ხარდალი¹.
- ხარდან-ი¹** (ლენჩხ., ზ. იმერ., იმერ.) ვა-
ზის სარი, ჭიგო (მ. ჩიქ.; ღიალექტ.,
680; ზ. ჭუმბურ., 82); სარიანი ვენაჟი
(საბა.; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- ხარდან-ი²** (გურ.) ვაზის ჯიშია ერთგვა-
რი (ა. ლა.).
- ხარდან-ი³** (აჭარ.) პირწეშხა (ა. მაყ.).
- ხარვად-ი** (ქიზიყ.) ოთხკუთხი ტილოა,
წვერებზე ზორტები აქვს და ამით
ცხენის ურმის ხელნებზეა ვაბმული.
შიგ უყრიან ბზესა და ქერს და ასე
აქმევენ ცხენებს. მგზავრობაში იხმა-
რება (ს. მენთეშ.).
- ხარვეუ-ი** (ქართლ.). ნ. ხარვეზი.
- ხარვეზ-ი** (ქართლ., ქიზიყ., ქვ. იმერ.)
ხენის დროს უხნავად დარჩენილი, გა-
მოტოვებული ადგილზე (შ. ძიძ., ნ.
კეცხ., პ. ხუბ.; ს. მენთეშ.; ზ. ჭუმ-
ბურ., 279).
- ხარვეუ-ი** (ქართლ.). ნ. ხარვეზი.
- ხარვეჯ-ი** (ქართლ.). ნ. ხარვეზი.
- ხართაშვება** (ქართლ.) ხარების გამოშ-
ვების დრო (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ხართკვერ-ი** (ფშ.) ხარისთვის გამოცხო-
ბილი ბედის კვერი (ქეგლ.).
- ხარიელა** (ლენჩხ.) ტლანქი, როხროხა
კაცი (მ. ალავე.).
- ხარიკრიჟა** (რაჭ., ზ. იმერ.) წიწმატურა,
მცენარეა (ა. მაყ.).
- ხარიპარია** (ქართლ.) ნაშუალამევის
ვარსკვლავი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ.
ხუბ.).
- ხარიოზ-ი** (მესხ.). ნ. ხარვეზი.
- ხარიტკმილა** (რაჭ., ზ. იმერ.) წიწმატურ-
რა, მცენარეა (ა. მაყ.).
- ხარიხა¹** (ლენჩხ., ქართლ.) რიკული, აივ-
ნის მოაჯირი (მ. ალავე., ზეპირისტიყვი);
ლატანი, ჭოკი ორ ბოძზე გადებული
რამეს ვადასაყიდებლად (შ. ძიძ., ნ.
კეცხ., პ. ხუბ.).

ხარისხა-2 (მოხ.) ურმის გვერდითი ფი-
 ცარი; მოაჯირის ნაწილი, რიკულეებზე
 გადებული ხე (ო. ქაჯ.).

ხარლა (ფშ.) დასაბმელი ან სატარებელი
 (და არა სამართავი) ცალფა აღვირ
 (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

ხარლალ-ი (მოხ.) ირმის ჯოგის მეთაუ-
 რი, გალადებული ხარი ირემი (ა.
 ყაზბ., I, შ. ძიძ.).

ხარნია (ხევსურ.) ღორის ქადა, ფუჩ-
 ფუჩა, მცენარეა (ა. მაყ.).

ხარნუყა (თუშ.) ნ. ხარნია.

ხარო¹ (ქართლ., ქიზიყ., მესხ., თიან.,
 ყიზლ.-მოზდ.) დიდი, ღრმა ორმო,
 პურის ორმო (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ.
 ხუბ.; ა. ლლ. ქართლ., 288; ს. მენ-
 თეშ.; დიალექტ., 652; 601; 603).

ხარო² (გურ.) ნალია (ნ.), სასიმიდღე (გ.
 შარაშ.).

ხარო³ (ყიზლ.-მოზდ.) სკივრი ხორბ-
 ლის შესანახად (დიალექტ., 603).

ხარობა (ქართლ.) ხარების ნახირი (პ.
 ხუბ., ანგარიში).

ხაროვანი (ფშ. თუშ.) ნ. ხარავანი.

ხარსარახ-ი (ლეჩხ., იმერ.) სახენელი
 (მ. ალავე., 2); ხარის იარაღი,—კავ-სახ-
 ნისი და მისთანანი (დიალექტ., 674).

ხარშო¹ (ქართლ., ქიზიყ.) 1. საღარიბო
 საშემლია. ერბოში მოხრაკავენ ხახვს
 და დაასხამენ წყალს, წამოადუღებენ
 და შიგ ჩაყრიან დამტვრეულ ფაშარ
 პურს, ხარშავენ ცოტა ხანს, შემდეგ
 რამდენიმე კვერცხს გათქვეფენ და
 ზედ დაასხამენ; 2. ქათმის, ბატისა და
 მისთ. ხორცის წვენი (შ. ძიძ., ნ.
 კეცხ., პ. ხუბ.; ს. მენთეშ.); წნოვანი
 ქორცი (საბა); წვენი გაბოლილის
 ხორცისა და მისთანათა, ანუ მას შინა
 დამბალი პური (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ხარშო² (ხევსურ.) ვაცხელეებული დო,
 საიდანაც ჩვეულებრივ ღებულობენ
 კალტიან (ხაჭოიან) შრატს (ა. ჭინ-
 ქარ., 271; დიალექტ., 559).

ხარჩვა (გურ.) ხარშვა; ვადატ. ტანჯვა,

წვალეზა; გამოხარჩული გამო-
 ხარშული, გულმილეული, დამწხრე-
 ბული; გულმოხარჩული-ი გულ-
 შეწუხებული; დაღონებული (ა. ლლ.).
ხარხა¹ (გურ.) ხახა, პირი; ხარხადაფ-
 ჩენილ-ი პირდაღებული (ა. ლლ.).
ხარხა² (ქიზიყ.) ნ. ხალი².

ხარხალი (გურ.) ხარხარი, ხამალაი
 სიცილი (ს. ულ.).

ხარხამელ-ი (რაჭ.) დიდი ქუჭრუტანა
 კედელში. ნ. ჰიტინაი (ქეგლ).

ხარხიმი (იმერ.) ღვინის საწურავი
 მანქანა, წბერი, წყბერი (ვ. ბერ.).

ხარხინ-ი (იმერ.) ნ. ხარხიმი.

ხარჯ-ი¹ (ქიზიყ.) ერბოს დახალასების
 შემდეგ ქვაბის ძირში დარჩენილი ქუ-
 ჭყი (ს. მენთეშ.).

ხარჯ-ი² (ქართლ., გუდამაყრ., მთიულ.)
 მიცვალებულის რიგი, ქელები (დი-
 ალექტ., 575; ლ. კაიშო. არაბ. (ხარჯკ.);

ხარჯ(ვ)ება (ფშ.) სიკვდილი; იხარჯ-
 (ვ)ებოდეს კვდებოდეს (ვაჟა, I,
 ა. შან.).

ხარჯულა (იმერ.) სახარჯო ღვინო. —
 წყალ-მაჭარა, ნაქაჩი (ქეგლ).

ხას-ი (მესხ.). 1. ძვრფასი რამ, საუკე-
 თესო ხარისხისა, რჩეული; 2. მოქნი-
 ლი, ადვილად წვეადი (ი. მაისურ.).

ხასანგურა (გურ.) მხიარული ხალხ-
 რი სიმღერაა (ვ. გვარ., 952; გ. შარაშ.).

ხასიათა (გურ.) კესანე, ცისანა, მცენა-
 რეა (ა. მაყ.).

ხასილ-ი (აქარ.) ქლიბი გასახასი-
 ლებელ-ი რითაც ქლიბავენ, ფხევენ,
 აპრიალებენ (პ. ჯაჯან.).

ხასილა (იმერ.) კვერცხის ცილის გარშე-
 მო გადაკრული სიფრიფანა კანი (ვანი,
 ნ. აგიაშვილი).

ხასტიყ-ი (თუშ.) აზღუდი, ბარტყი, ტა-
 ნისამოსის ვადანაკერში ჩაყენებულ
 პატარა ნაჭერი განისა და ირიბის მი-
 საცემად (ქეგლ).

ხასუნა (ხევსურ.) ნ. თიკრუნი, ხასუქა.

ხასუქა (ხევსურ.) გაუპარსავი ციკნის

- ტყავისაგან გაკეთებული გუდა (ა. კინჭარ., 250).
- ხასყირმიზი**-ი (ქიზიყ.) ღვინისფერი. ასეთი ფერის გამომცემ მცენარესაც ეწოდება (ს. მენთეშ.). არაბ. *haskirmiz*.
- ხატი**-ი (ფშ.) სამლოცველო ადგილი, ან ადგილი, ვის სახელზეუაღაც ლოცულობენ, მაგ., კობალა, იახსარი, ლაშარი (ვაჟა, IV, ა. შან.).
- ხატა** (ხევსურ.) კნ. პატარა ხატი (ჭეგლ).
- ხატავერაი**-ი (გურ.) ჭრელი, აჭრელებული, აფერადებული (ა. ღლ.).
- ხატაველი**-ი (იმერ.) ცხენი, რომელსაც აქვს თეთრი პირისახე. ნ. ხატავერაი (მ. ალაფ., 3).
- ხატინა** (ხევსურ.) ნაქარგის (ნაქსოვის) სახეა ერთგვარი (ა. კინჭარ., 262).
- ხატიონი**-ი (ხევსურ.) ხატის მსახურნი (ს. მაკალ.).
- ხატიხა** (მთიულ.) პირველად დაბადებული ხბოს სახელი (ლ. კაიშ.).
- ხატიგორა** (მთიულ.) საკმეელი ბალახია ერთგვარი (ლ. კაიშ.).
- ხატყუნი**-ი (იმერ.): ჩ ა ხ ა ტ ყ უ ნ ე მ ბ ა ხმაურობით ჭამა ხორცეულისა (გ. ბერ.).
- ხატობა** (მოხ.) რელიგიური დღეობა, ხატის დღესასწაული (ა. ყაზბ., I, შ. ბერ.).
- ხატრამუცა** (რაჭ.) ლაზღანდარა (გ. ბერ.).
- ხატრისხალი**-ი (გურ.). ნ. ხატრის ფსხალი.
- ხატრის ფსხალი**-ი (გურ.) მსხლის ჭიშია ერთგვარი (ს. ჟღ.; ი. მეგრ., 195).
- ხატულა** (ხევსურ.) ქსოვილის სახეა (ს. მაკალ.).
- ხაფი**¹ (გურ.) შემზარავი, შემაძრწუნებელი: ხ ა ფ ი ხ მ ა ი საშინელი, შემზარავი ხმა (ე. ნინ., II, თ. კიკვი; ა. ღლ.).
- ხაფი**² (მესხ.) ქარქაში (შ. ძიძ., ქრესტ.).
- ხაფაფა** (კახ.) ნშიშარა. სუსტი, გაუბედავი ადამიანი („კომუნისტი“, № 190, 1969).
- ხაფიფი**-ი (იმერ.) მოფერება, თავსვლება, სიყვარულისა და აღერსის გამოხატვა (ი. ქაეთ.).
- ხაფრანა** (გურ.) ხავერდა, იმერული-ზაფრანა (ა. მაყ.).
- ხაფხვალ**-ი (იმერ., კახ.). ნ. ხვალფხვალი.
- ხაფხი**-ი (თუშ.) ახლადმოსული თხელი, დაბალი ბალახი (ჭეგლ).
- ხაფხოლი**-ი (თუშ.) ღიმი, ატოლი. მცენარეა (ა. მაყ.).
- ხაქოლი**-ი (ფშ.) წართხალი, ბალახია, მთაში ხარობს, ამ ბალახს კრეფენ, ხარშავენ და ძაფს ყვითლად ღებავენ (თ. რაზიკ, „ივერია“ № 157, 1900; ი. ჭყონ; ა. მაყ.).
- ხაში**¹ (გურ.) ღომისმაგვარი თავთავიანი მცენარე. მისი ნაყოფისაგან ფაფას ამზადებენ (ა. ღლ.).
- ხაში**² (ქართლ., ქიზიყ., თიან., ქსნის ხეობ.) შენახული ცომი საფუარად ერთი-ორი კვირისა (ე. ბაბუნ., 276; ს. მენთეშ.); საფუარი (დიალექტ., 601, 611); პურის ცომი, რომელსაც ვასალევივებად ინახავენ (გ. სომხიშე).
- ხაშალი**-ი (ქიზიყ.) გამზდარი (ს. მენთეშ.).
- ხაშარი**¹ (გურ.). 1. ხეიული მცენარის (მაგ., ლობიოს) გრძელი ამონაყარი, რომლითაც იგი სარს (რჯლას) ეხვევა (სიმინდი ზრდის დასასრულს ამოიყრის ხაშარს); 2. აკიდო. „ერთი ხაშარი წაბლი“ (გ. შარაშ.); ძაფზე ასხმული ვაშლი, მსხალი, პური, ბალი, ფეხსაცემელი და მისთ.: ა ხ ა შ რ უ ლ ი ასხმული, აკიდოდ გაკეთებული (ა. ღლ.).
- ხაშარი**² (ლენჩხ.) თოში, თრთვილი (მ. ალაფ., 1).
- ხაშარი**³ (აქარ.) ლობიოს სარი: ხაშარი—ხესარი (მ. ჯაჯან.).
- ხაშლი**-ი (ქართლ.) ბოროტება. „ხაშლი აქვს გულში“ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., 3. ხუბ.).

ბაშმი-ი¹ (ხევსურ.). ნ. ხანშალი.
ბაშმი-ი² (აპარ., გურ.) ციბე-ცხელება, მალარია (დიალექტ., 661; ა. ლ.).
ბაშმუშ-ი (ქართლ.) გიფმაფი, ცეტი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
ბაშხაშ-ი (ქართლ.). ნ. ლაელაფი.
ბაჩაქალ-ი (ქიზიყ.) ხის ორთითი, საკმაოდ დილია და მოსჭო (მუჭი კარგად მოველებდა), თითები გრძელი აქვს. იხმარება თივის ან ქემვის თაღმის ან ინის ასალებად (ს. მენთეშ.).
ბაჩანა (ფშ.) მსხვილი. უხეში ბაწრისაგან (ძაფისაგან) ნაქსოვი შალი (ი. ქე-შვი.).
ბაჩაობა (ქიზიყ.). ნ. ქაჩაობა.
ბაჩინ-ი (იმერ.). ნ. ხიჩინი.
ბაჩირ-ი (იმერ.) ხუროების იარაღია (ვ. ბერ.).
ბაჩირ-ი ვენახ-ი (ლენხ.) ძველებური ვენახი. დაუმყნობელ ვაზს გადაწვევით გამარავლებდნენ. იგი მწყრივებად არ იყო გაშენებული (მ. ალავე., 2).
ბაჩხაჩა (კახ., თუშ.) ხასხასა (ქეგლ).
ბაციც-ი (იმერ., გურ.) შობას ოჯახის თითოეული წევრის საუზნობა, გახსნილება (ვ. ბერ.); პირველი საუზნე გახსნილების შემდეგ (ა. ლ.); ცხელი, ქაფქაფა ღომი და ჩაუზბუზბებული (ნ.) ჩიტები. საქმელია (ა. წულ., ეთნოგრ. გურია, 1971. 75).
ბაციურ-ი (რაჭ.) ხელების ჩაკედებით ჭი-ლაობა (ქეგლ).
ბაცხაც (თუშ.) ზხ.. შეცდომით (თ. უთურგ.).
ბაწამწვარ-ი (ლენხ.) კუინტი ყველი, მოხარშული და ტაფაში შემწვარი (მ. ალავე., 2).
ბაწირ-ი (ფშ.) მოხვეტილი თივა (ს. მაკალ.).
ბაწიწ-ი (რაჭ.) გადამწარი ღორის ქონის ნარჩენი. ხიწიწი (ვ. ბერ.).
ბაწიწის გემო (იმერ.) ჭურჭლის ფსკერზე შეჭამადის დაწვით მიცემული გემო ან სუნი (ი. ქაფთ.).
ბაწუნ-ი (ზ. იმერ.) ჩხვლეტა. „თვალში

ბეწვი ჩაუვარდა მეცხვარეს და: „რაცა მე ბაწუნებთა თვალშიდაო“ (ბ. წერეთ.).
ბაქა (აპარ.) ჭოლოცი, ხალა, კაკლის დასაბერტყი. ნ. ხალი¹ (დიალექტ., 661).
ბაქაპურა (გურ., რაჭ., იმერ.) თხილის ჯიშია ერთნაირი (ა. ლ.); ნ. ბოხჩუანა (ა. მაყ.).
ბაქვა (რაჭ.) ხაჭო (დიალექტ., 691).
ბაქილა (ქართლ.) ჭრელი ტანსაცმელი (კირიონი).
ბაქიპორა (ფშ., მთიულ., ქართლ., კახ., ქიზიყ.) წიწმბატურა. ნ. ხაქმაქიპა (ა. მაყ.).
ხაქმაქიპა (ქართლ.) მცენარეა, მსლად ხარშავენ (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157. 1900: ი. ჭყონ.; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ა. მაყ.).
ხაჭუნ-ი (გურ.) ფხაჭუნი, ფხაჭუნის ხმა (გ. შარაშ.).
ხახ¹ (ინგილ.) ხახვი (დიალექტ., 626).
ხახ-ი² (იმერ.) კარგად გაწმენდილი, გადარჩეული, მაგ., მარცვლეული, აბრეშუმის პარკი და მისთ. (ქეგლ).
ხახალ-ი (ქართლ., ქიზიყ., იმერ.) მანეთლისაგან დაწნული სინი, გვერდებან-წეული, ხმარობენ ჩირის, კერკისა და მისთ. გასახმობად, ხილისა და პურის სუფრაზე მისართმევად (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ბზისა და ქერის ცხავი (ს. მენთეშ.); ცხრილი (ვ. ბერ.).
ხახალიკ-ი (გურ.) მიფართქალეხასავით; მხიარულება, შეხუმრება, მიხახალიკება (გ. შარაშ.); გაუთავებელი საქმიანობა, ფუსფუსი (წითელმოთა, ი. ში-ლაქაძე).
ხახამ-ი (ხევსურ.) ადვილად სააობი რამ (ქეგლ).
ხახამა (მოხ.) ტყის ხილია წითელი ფერისა (ა. ყაზბ., I, II, შ. ძიძ.).
ხახან-ი¹ (გურ.) რაიმე მავარი საგნის თრევით წალემა: „სა მი ახახან-

- ნე ფ მაგ გორიცას, მეიკიდე ზრუქში“ (წითელმთა, ი. შილაკაძე).
- ხაზანი**² (ხევსურ.) ხარხარი. ნ. ხარხალი (ქეგლ.).
- ხაზანხირი** (ქიზიყ.) აუარებელი საქონელი; გადატ. ერთად თავშეყრილი ხალხი (ს. მენთეშ.).
- ხაზაფუა** (მთიულ.) არაფრის მაქნისი (ლ. კაიშ.).
- ხაზრანა** (მთიულ.) ყანყრატო (ლ. კაიშ.).
- ხახვიდა** (იმერ.) სოკოა ერთგვარი, მტრედის ფერი (პ. ჯაჭან., X).
- ხახვილო** (იმერ., რაჭ.) საკმელი სოკოა ერთგვარი (ქეგლ.).
- ხახვინორა** (ხევსურ.) ყანის ნიორი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ხახვიანი** (გურ.) სუსტი, ავადმყოფი, ხრინწიანი (წითელმთა, ი. შილაკაძე).
- ხახვი** (გურ.) ფუსფუსი; მოვლა, ხელშეწყობა; უხახვიცებს უვლის, ხელს უწყობს (ა. ლ.).
- ხახვოტა** (ფშ.) ბალახია ველისა (ს. მაკალ.).
- ხახრა-ა** (ინგილ.) ხარო; სარკმელი (მ. ჯან.).
- ხახუტა** (მესხ.) ხატოტი, მცენარეა (ა. მაყ.).
- ხახუტიე** (გურ.) ზარმაცი, მცონარა, უსაქმოდ მგორავი დიდი ტანის კაცი (ა. ლ.).
- ხახუტელა** (ქიზიყ.) ვინც გულისამრევ სიტყვას წამოაყრანტალეებს ქამის დროს (ს. მენთეშ.).
- ხაჯალია** (იმერ.). ნ. ლაჯო.
- ხაჯალაურ-ი** (გურ.) ხაჯალური (ნ.), დადიანური, მძიმე ბორკილი (გ. შარაშ.).
- ხაჯალურ-ი** (ლენჩ.) ყმის კისერზე დასადები ჯაჭვი, ბორკილი (მ. ჩიქ.).
- ხაჯაროულ-ი** (ლენჩ.). ნ. ხაჯალური.
- ხაბოსტუნა** (იმერ.) ხის სოკოა ერთგვარი (პ. ჯაჭან., X).
- ხბორ-ი** (კახ.) ხბო; ხბორებ-ი ხბოები (გ. იმედაშვილი, გრემი).
- ხბოშულა** (რაჭ., ლენჩ., იმერ., ქართლ.) სასტეგნა; ჩვეულებრივი ცერცველა, მცენარეა (ა. მაყ.).
- ხღურება** (თუმ.) მუსრვა (ი. ბუქურ., 138).
- ხე, ფხე** (მეგრ., იმერ., გურ.) ასული, ქალი; მხევალი: ქავჭავანი ხე ქავჭავანიძის ქალი, ასული; მელიხე მელიძის ასული, ქალი და ა. შ. (გ. ბერ.).
- ხეპარკალა** (ქიზიყ.) გაუთლელი ქალი (ს. მენთეშ.).
- ხებერ-ი** (იმერ.) ხაბარი (ნ.). ამბავი; ხებერი-ი ხვდა ცნობა მოვიდა (დილიქტ., 655).
- ხებერა** (მთიულ.) ჩოგანი (ლ. კაიშ.).
- ხებესტარი** (მთიულ.) ადამიანი, რომელსაც არაფერი ეყურება (ლ. კაიშ.).
- ხებრაქინა** (ქართლ.) შეუსმენარი, თავისნათქვამა ადამიანი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- ხებრე** (ქართლ.) საქმის არამცოდნე, მოუხებრებელი (მ. მესხ.).
- ხებრეჯია** (კახ.) უხეშო, ბრიყვი (ა. მარტ., გ. იმნ.).
- ხელაობა** (მესხ.) მკითხაობა ფრჩხილებზე დახედვით (ი. მაისურ.).
- ხედნელ-ი** (კახ.) ღორი, რომელსაც ზურგზე მოქორჩილი ჯავარი აქვს (ლ. ლეონ.).
- ხედომიწა** (იმერ.) ყველაფერი ირგვლივ: „ადიდებულ მდინარეს მოჰქონდა ხედომიწა“ (ვანი, ნ. აგიაშვილი).
- ხეეკალა** (კახ.) გლედიჩია, მცენარეა (ა. მაყ.).
- ხეე-ი** (ფშ.) პატარა მდინარე (ვაჟა, IV, ა. შან.).
- ხევანი** (ქიზიყ.). 1. ხე საერთოდ; 2. ხეზე აშვებული ვაზი, მაღლარსავით; 3. კრელი წინდა, ხე და ზედ ასული ვაზია გამოსახული (ს. მენთეშ.).
- ხევარდ-ი** (გურ.) ხე, რომელიც ყვავილებს ისხამს (წითელმთა, ი. შილაკაძე).

ხეყარდა (ქართლ.) პატარძლის ყვავილი (ა. მყ.).

ხეცხნა (ქართლ.) მარხილის შემყერთე-ბელი წინა ხე (პ. გაჩეჩ.).

ხეზეჩიტობა (კახ.) ბავშვთა თამაშობაა ერთგვარი (ა. გვენც., თ. ბერიაშვი.).

ხეთუფალა (ქართლ.) გუნდის ხე (ა. მყ.).

ხეთქიო (გურ.) საქონელი, რომელსაც ღობე არ უმყარდება (წითელმთა, ი. შილაყაძე).

ხეკა (გურ.): ახეკა აყრეფა. „ჩინგვის სარეკში მივალ, ნარა ამხეკი არა კაცი მყავს“. გამოხეკა გამოყრეფა, მაგ, აბრეშუმის პარკის სათითაოდ გამოღება ცახიდან (გ. შარაშვი.); გროვება, აყრეფა (ს. ძლ.).

ხეკაკალა (კახ.) ხემყრალი (ა. მყ.).

ხეკაკუნა (გურ.) კოდალა. ნ. კოდარაი (ა. ლ.).

ხეკრო (ზ. იმერ.) დიდგულა, მცენარეა (ა. მყ.).

ხელ-ი (ლექს.) საზღვარი, ყორღანი ტყეში (მ. ალავე, 1).

ხელა¹ (იმერ.) ხელნა (ქეგლ).

ხელა² (ქართლ.) მაწვნის ქილა, ცალყურიანი (მ. მესხ.).

ხელად-ი (ლექს.) ყანის პირველად გათხნა, პირადი (მ. ალავე, 1).

ხელავ-ი (ლექს.) მოვლა, გაფურჩქვნა (მ. ჩიქ.).

ხელათში, ხელაჩი (მესხ.) ხელად, ხელდახელ. „ხელათში მოარბენინა წყალი“ (ი. მაისურ.).

ხელამოთა-ი (გურ.). ნ. ხელამუთაი.

ხელამუთა-ი (გურ.) ფრთხილი; ხელამუთაი-ი აღება დიდი სიფრთხილით, ხელის ფრთხილი შეხებით აღება ან მოხმარა რისამე. „ხელამუთაი მიემყარი მაგ ჭურჭელს, მუმიათ მაქ შენახული; არ მინდა, დააკლტეს!“ (გ. შარაშვი.).

ხელარ-ი (იმერ.) ხის სწორი და გრძელი შტოები (ვ. ბერ.).

ხელაჩი (მესხ.) ზზ. ნ. ხელათში.

ხელახაშ-ი (ქართლ.) დიყი, მცენარეა. ნ. დიყინა, თილახარჩილა, თელახარში, ჩალახარჩილა, მდიყი, დილყა, ქოლვანა, ჩინჩელა, დაყვი, დუყ (ა. მყ.); ბუერის მსგავსი ველური ბალახი (გ. შატბერი, 132).

ხელგაკვრია (გურ.) ბურთის თამაშია ერთგვარი (ა. ლ.).

ხელგამამავალ-ი (მესხ.) უნარიანი, მოხერხებული, ყველაფრის შემძლე (ი. მაისურ.).

ხელგვან-ი (გურ.) საქმეში ნელი (გ. შარაშვი.).

ხელგობა-ი (გურ., ზ. აქარ.) პინა, პატარა ვარცი (კ. გვარ., 952); პატარა გობი (ა. ლ.); პატარა გობი, რომელშიაც ასხამენ რძეს ნაღების მოსახდელად (შ. ნიყარ.).

ხელგრეხილა (ლექს.) გრეხილი ყური (თიხის ჭურჭლისა) (ქეგლ).

ხელდაკარანა-ა (მესხ.) ბავშვთა თამაშობაა. ერთი მოთამაშე შუაში ჩადგება, მას თვალს უხვევენ. რომელიმე ბავშვი თვალდახუჭულს ხელზე ხელს დაჰკრავს, მან უნდა გამოიცილოს დამრტყმელი. თუ გამოიცილა, მოგებულია, მის ადგილზე დამრტყმელი დგება, თუ ვერ გამოიცილა — თამაში გრძელდება. (ი. მაისურ.).

ხელდასადებ-ი (კახ.) სასიძოსავან საპატარძლოსათვის მირთმეული ნივთი (ბეჭედი ან სხვა რამე) დასანიშნავად, — საწინდარი (ა. მარტ., გ. იმნ.).

ხელედან-ი (იმერ.) საღვინე ღოჭი, ხელადა (პ. ჯაჭან., IX, 271).

ხელეპირეთ (გურ.) თანაბრად (გ. შარაშვი.).

ხელეურ-ი (ქართლ., მოხ.) მკვლევარი, ნაჩა, რომელსაც მომკალი მკის დროს მარცხენა მკლავზე იტევს. სამი-ოთხი ხელეური შემდეგ ერთ ძნად იყვრის (დილაქტი, 645); ერთი იღლია მომკილი პური (ა. ყაზბ., III, შ. ძიძ.).

ხელეხურწალი-ი (იმერ.) გაუფალი, ეკალ-
 ბარდებითა და ეკალნარით სავსე ხევი
 (ვანი, ნ. აგიაშვილი).

ხელვა¹ (ფშ.) პოვნა. „ბევრი ჰხე-
 ლავს ერთურთსა“ (ი. ქეშიკ.).

ხელვა² (იმერ.) ბოსტნის ან ყანის გა-
 მარგვლა, სარეველა ბალახის ხელით
 გამოცლა (დიალექტ., 674).

ხელთოფა¹ (იმერ., გურ.) ბავშვის სა-
 თამაშო პატარა თოფი (ვ. ბერ.).

ხელთოფა² (გურ.) დიდგულა, მცენარეა
 (ა. მაც.).

ხელთოფელა/ე-ი¹ (გურ.) სათამაშო ხის
 თოფი. ჭოხს ვაბურღავენ ლულის
 მაგვარად და დგუშით ისერიან კვირ-
 ხილს (ნ.) (ს. ჟღ.).

ხელთოფელა-ი² (გურ.) ხეყრუა (ნ.),
 დუღგულა || დიდგულა. ნ. ხელთო-
 ფა² (ა. ლ.).

ხელთუყარ-ი (კახ.) ხელთუძრავი, საო-
 ჯახო საქმეთა უცოდინარი, უქნარა
 („კომუნისტი“, № 190, 1969).

ხელიაფა (რაქ.) უყაირათო, არამომჭირ-
 ნე (კომუნისტი“, № 190, 1969).

ხელიგახხნა (ლენხ.) ჭირისუფლის მიერ
 გახსნილება (მ. ჩიქ.).

ხელის გამოზრუნება (გურ.) ოჯახიდან
 რაიმე რომ გაიცემა, გაცემულის პა-
 წაწა ნამცეც წამლები მასპინძელს
 გამოუზრუნებს, რაც, ვითომ, ოჯახს
 ბარაქას შეუნარჩუნებს. ამას ხელის
 გამოზრუნება ჰქვია (გ. შარაშ.).

ხელის დარევა (თუშ.) მორევა (ი. ბუ-
 ქურ., 138).

ხელისთავ-ი (ქვ. იმერ.) ხელა ურმის
 წინა ნაწილი (ზ. კუმბურ., 285).

ხელის მიცემა (კახ.) ახლად ჩაკრული
 პური რომ ვარდნას დაიწყებს, ხელს
 მიაშველებენ და ისევ მიაკრავენ, —
 ამაზე იტყვიან: პურს ხელი მიცეო
 (ა. მარტ., გ. იმნ.).

ხელის მოცვლა (გურ.) ცოტა ხნით ფუ-
 ლის სესხება (გ. შარაშ.).

ხელის შეღება (ზ. იმერ.) არაფრად

ჩაგდება. ნ. ხელშედობილი (ბ. წე-
 რეთ.).

ხელის წაკვრა (გურ.) წაშველება, წახ-
 მარება. „გამიძნელდა ყანა, წამომი-
 კარი ხელი“ (წითელმთა, ი. შილა-
 კაძე).

ხელისხელათ (კახ.) ხელში აყვანილი,
 ხელით აწეული (ა. მარტ., გ. იმნ.).

ხელისხვა-ი (გურ.) ხელხვა (ნ.), მხი-
 არული სიმღერაა ხალხური, ასრულებ-
 დნენ მოსავლის აღების დროს (ა.
 ლ.).

ხელკავ-ი¹ (ქართლ.) გუთნის ნაწილია:
 ხელის მოსაკიდი, რკინის ან ხის ორი
 სახელური, რომლებითაც გუთნის დე-
 და იჭერდა და აწყობდა გუთანს (დია-
 ლექტ., 645).

ხელკავ-ი² (იმერ., გურ., ლენხ.) ხის
 მსხვილთავიანი კავი, ღომის ხელით
 საცეხვი (ი. ჭყონ.: ქველ): საცეხვი ჭო-
 ხი, მსხვილი და მოხრილი მახის, ზან-
 დურის საცეხვად (დიალექტ., 680);
 ჩამურის ნაწილია (წითელმთა, ი. ში-
 ლაკაძე).

ხელკვერ-ი (კახ., რაქ.) პატარა კვერი,
 ჩაქუჩი (ა. მარტ., გ. იმნ.); ჩაქუჩი
 (ლაგვანთა, ი. თაგვაძე).

ხელკვერა (იმერ.) პატარა კვერი პურისა,
 კოკორი (ი. ქავთ.).

ხელკოტალ-ი (გურ.) ნ. ბზეკალკოტალი-
ხელკუდ-ი (ფშ., კახ.) ერქვნის ტოტი,
 სახელური (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.);
 ხელნა გუთნისა (ნ. ზუკაქ., ე. ხუ-
 ცოშვი.).

ხელმკავარანცხ-ი (იმერ.) ნ. მკავარან-
 ცხი.

ხელმარტუა-ი (გურ.) მარტოხელა, ხელ-
 მარტო (ა. ლ.).

ხელმარულობა (ფშ.) ქურდობა (ი. ქე-
 შიკ.).

ხელმარცხიანი-ი (გურ.) კაცი, რომელსაც
 ყველაფერი უფუძღვება. რასაც ხელს
 მოჰკიდებს (გ. შარაშ.).

ხელმარძიკ-ი (ლენხ.) ხელუკუღმართი

„ხელმარძიკი ადამიანი იყო“ (მ. ალავე, 3).

ხელმაჯა (ქსნის ხეობ.) ბალახეული მცენარეა ერთგვარი (ვ. სომხიშვი.).

ხელმეტი- (მესხ.) ქურდბაცაცა (ი. მაისურ.).

ხელმეცეცა- (გურ.) ხელს რომ მუდამ ახლებს რასმე (გ. შარაშ.).

ხელმოსავებულ- (იმერ.) დასუსტებული, ღონემიხილი, ძალაგამოღებული (ი. ქავთ.).

ხელმრუდობა (ქართლ.) ქურდობა (ა. ლ., ქართლ., 288).

ხელნაბა (ხევსურ.) მოხვეტილი თივა (ს. მაკალ.).

ხელოურ- (გურ.) ხელეური, ხელით ამოღებულ ყველზე იტყვიან (გ. შარაშ.).

ხელსამხე (ქართლ.) თევზია ერთგვარი (მ. მესხ.).

ხელსამფრე (ზ. იმერ.) ტყავის ნაჭერი, რომელსაც იკეთებენ ხელზე მონადირეები მიმინოს დასასმელად, საფუხარი (ბ. წერეთ.).

ხელტარ- (ქართლ.) ძაფის დასაძახავი თითისტარი (თ. რევაზიშვილი, ბორჯომი).

ხელუბედურ- (გურ.) ავი ხელისა. ნ. ხელმარცხიანი (გ. შარაშ.).

ხელუპყარ- (ქართლ.) უსაქმო, არაფრის გამკეთებელი, უქნარა (გ. შატბერ., 132).

ხელურსმანა (კახ.) ნ. ხეეკალა.

ხელფუტკარ- (გურ.) გარეული, ტყის ფუტკარი; ხელი ანუ გიჟი ფუტკარი („კომუნისტი“ № 190, 1969).

ხელშედობილ- (გურ.) შეძლებული, აგდებული (გ. შარაშ.).

ხელშეუეულ-, **ხელშეწეულ-** (ზ. იმერ.) ხელმოკლე (ქ. ძოწ.).

ხედცივი- (იმერ.) ქურდი, ჯიბიერი (ვ. ბერ.); წვრილმანის ქურდი, კლებტომანი (ი. ქავთ.).

ხელცოცხალა- (გურ.) ის, ვისი დაკლუ-

ლი ქათამი ან სხვა საკლავი ჩქარა არ კვდება, დიდხანს წვალობს (გ. შარაშ.); კაცი, რომლის ხელიდან ცოცხალი არსება არ კვდება არც თოფით, არც ცივი იარაღით (ა. ლ.).

ხელცულა (კახ.) მოკლეტარიანი პატარა ცული. ნაჯახი (ა. მარტ., გ. იმნ.).

ხელწამკრავი (გურ., აჭარ.) წვრილმანი ქურდი: „თვალი მიატანე, აფერი წეილოს, ხელწამკრავია!“ ნ. ხელცივი (გ. შარაშ.); წვრილფეხა ქურდი (შ. ნიჟარ.; ქეგლ.).

ხელჭაკავი (გურ.) ნ. ხელჭაკუი.

ხელჭაკუა- (გურ.) ხელმოტეხილი, ხელნატკენი ან ხელმოჭრილი (ა. ლ.).

ხელხამ (აჭარ.) ხელახლად (პ. ჯაჯან.).

ხელხარ- (ლენჩხ.) ხელ-მხარი. „შიშისაგან ხელხარმოსხლექილი დეკეცი“ (ი. ალავე, 1).

ხელხვა- (გურ., იმერ.) სიმღერა, რომელსაც სიმინდის რჩევის დროს მღერიან (ე. ნინ., I, II, თ. კიკვი; კ. გვარ., 952); მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ხალხური სიმღერა (ს. ელ.); ხალხური სიმღერა. ნ. ხელიხვა-ვი (ვ. ბერ.).

ხელხურწალ- (იმერ.) ორმო, ორწოხი; კლდე. „ისეთ ხელხურწალში გადავარდი, იქიდან ამოსვლა აღარ შეიძლებოდა.“ ნ. ხელხურწალი (ვანი, ნ. აგიაშვილი).

ხემაგარა (ხევსურ.) ჩვეულებრივი ნეკერჩხალი. ნ. კიმერჩხალი (ა. მაყ.).

ხემხო (გურ.) ვაზის ჯიშია ერთგვარი (ა. ლ.).

ხენდეკი (იმერხ., ზ. აჭარ.) ხანდაკი, თბილი, ორმო. „ხენდეკში გააშპუნა ცხენი“ (ნ. მარი, იმერხ., 67; შ. ნიჟარ.).

ხენდრო (იმერ.) ბალის მარწყვი (ა. მაყ.).

ხენცელა (მოხ.) ხენცელი პატარა ნამგალი (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).

ხენძალ- (მესხ.) პატარა კალათი ნაკელისათვის (ქ. დონდა; 382).

- რებინა (ი. ჭყონ.); ხელში ან პირში რაიმეს ჩადება, კმევა (ს. ჟღ.); ძალით კმევა; ჩაუჩიტა პირში ჩაუტენა პირში, ძალით ჩაუღო პირში (ა. ლღ.).
- ჩაჩქული** (ხევსურ.) რძეში, ხარშოში, საქამაღში... პურის ჩაყრით გაკეთებულ-ლი საქმელი (ა. კინჭარ., 214).
- ჩაჩქინებული** (გურ.) ლამაზად დარა-ზმული (გ. შარაშ.).
- ჩაჩხვა** (გურ.) ჩახერგვა, ჩამწყვდევა, ჩიხში მოქცევა, მტრის წინ გზაზე ბა-რიკადების აგება; ჩაჩხული-ი ჩა-ხერგილი, ჩამწყვდეული (ი. ჭყონ.; ს. ჟღ.).
- ჩაჩლარტანი** (გურ.) წვივის საცვეთი შალისა (გ. შარაშ.); დაუდევრად ჩაც-მული და ფეხის ჩლარტუნით მოსიარ-რულე (წითელმთა, ი. შილაკაძე).
- ჩაჩლუჩვა** (ლეჩხ.) წინდის მოშვება, დანაოკება, დაწევა ძირს; ჩაჩლუ-ჩული მოშვებული, დანაოკებული (მ. ალავე, 2).
- ჩაჩო-ა** (თუშ.) თვალი ბავშვის ენაზე (პ. ხუბ.).
- ჩაჩუმავება** (კახ.) აუღულარი რძის ჩა-წოლა; მაწონსავით გახდომა (ა. მარტ., გ. იმნ.).
- ჩაჩუნქვრა** (მოხ.) ქარის მიერ თოვლით რაიმეს დამალვა (ო. ქაჯ.).
- ჩაჩურთვა** (მთიულ.) ჩარტობა, ჩავმანვა; ძალით ჩაბნევა (დიალექტ., 569).
- ჩაჩურტი** (გურ.) ჯაშუში. ნ. ჩაშუტი (ს. ჟღ.).
- ჩაჩურტნული** (ქიზიყ.) „ორმო“, სიცი-ლის დროს ლოყაზე დააჩნდება ხოლ-მე ადამიანს (ს. მენთეშ.).
- ჩაჩქა** (ჯავახ.) ხის კასრი (ი. მისურ.).
- ჩაჩქანი** (ხევსურ., ფშ., თუშ.) მუხარა-დი, რკინის ქული (ა. შან); თავსახუ-რავია ჯაჭვისა, რომელსაც რკინის ქუ-ლი აქვს (ა. კინჭარ., 308); თავზე სა-ხურავი ჯავმანი ომის დროს (თ. უთურგ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.
- ჩაჩქუნ-ი** (გურ.) საგნის საგანზე ცემა.
- „უჩაჩქუნე მი ჯოხი მაგ ყვეროს“ (წითელმთა, ი. შილაკაძე).
- ჩაჩხვა** (ქიზიყ.) გაჭიმვა, ფეხების გაბო-ტვა; გადატ. ყოყლოჩინობა, ამპარტავ-ნობა. „რა იჩაჩხები, ძმობილო?“ (ს. მენთეშ.).
- ჩაჩხრიალა** (ქიზიყ.) ნ. ჩახრიალა.
- ჩაჩხუბება** (ლეჩხ.) ძლიერ მოხუცება (მ. ჩიქ.).
- ჩაჩურცება** (ქიზიყ.) წიხლის ჩარტემა მკდომარე ადამიანისათვის (ს. მენ-თეშ.).
- ჩაძაფვა** (იმერ.) სარის წვერის ჩამახვა („კომუნისტი“, № 294, 1967).
- ჩაძევა** (აჭარ.) ჩაძიება, ჯიუტად, ახირე-ბით გამოკითხვა, კრიტიკა ჩადგომა (შ. ნიყარ.).
- ჩაწიბწული** (მთიულ.) ხვეულებად ნა-კერი (ლ. კაიშ.).
- ჩაწილექვა** (გურ.) ტალახში ჩაფენა, ვას-ვრა. „რომ ჩაგვიწილექვებია მი კაბის კალთაი, რას იცვამ ნეტა დღეს სტუმართან?“ (გ. შარაშ.).
- ჩაწიპწული** (ქსნის ხეობ.) ჩანაოკებუ-ლი. ხინკალს რომ აკეთებენ, ცომს ძალიან წვრილ ნაოკებს უსხამენ. ამას ჩაწიპწუნას ეძახიან (გ. სომხიშვი-).
- ჩაწოლა რძისა** (კახ.). ნ. ჩაჩუმავება.
- ჩაჭილა** (იმერ.). ნ. ჩარჭილა.
- ჩაჭიკული** (ხევსურ.) ჩაჭედილი (ქეგლ).
- ჩაჭიპული** (გურ.) ერთ ადგილას ჩაზნე-ქილი (გ. შარაშ.).
- ჩაჭიპჭიპება** (გურ.), აჭარ.) ჩაძიება; ჩაკვ-რა; გადატ. ჩაცივება, ჩაკირკიტება (ა-ღღ.; შ. ნიყარ.).
- ჩაჭიპჭახურება** (ფშ.) თამაშობაში ფეხე-ბის ხლართვა (თ. რაზიყ., „ივერია“ №153, 1900; ი. ჭყონ.).
- ჩაჭრილა!** (მოხ.) რძეში მოხარშული კარტოფილი (ქეგლ).
- ჩაჭრილა²** (რაჭ.). ნ. ჩარჭილა.
- ჩაჭყაპვა** (გურ.) ჩაზნეჭა, ჩაჭყლუტა მა-გარი საგნისა (გ. შარაშ.).
- ჩაჭყორვა** (მთიულ.) კედელში ჭყორისკ (ნ.) ჩაყრა (ლ. კაიშ.).

ჩახალა (იმერ.) ხიბორკალი (ქეგლ).
ჩახალოზა-ა (ზ. აქარ.) ძველებური კაცი-ანი თოფი. ნ. ჩაქალოზი (შ. ნიქარ.).
ჩახალღვა (მთიულ.) ჩაქოღვა (ლ. კაიშ.).
ჩახანა-ი (გურ.) თუჯის ქვაბი. ნ. ჩარხანა (ე. ნინ., I, თ. კიკე).
ჩახან-ი (ქიზიყ.) ჭურჭლის გატეხის ხმა. „კოკამ ჩახან-ი გაადინა“ (ს. მენთეშ.).
ჩახახვა (მესხ.) გამუდმებული დუღილი-საგან ქვაბში წვეწის ჩაშრობა. „მოხედე, საჭმელი სულ ჩაიხახახა“ (ი. მაისურ.).
ჩახვი-ი (ზ. აქარ.) პატარა ტომარა, პარკი, რომელშიც რძის პროდუქტებს (დოს, ჩოროთანს) გაწურავენ (შ. ნიქარ.).
ჩახვა, ჩახვა¹ (გურ.) მცირე პარკი, რომელშიაც ბოსტნეულის თესლს ან სხვა რამეს ინახავენ (ა. ლ.); სამარი-ლე ჩანთა. ნ. ჩახვი (ს. უღ.).
ჩახვა² (ლეჩხ.) ხის ღრმა ჯამი (მ. ალავე, 1).
ჩახვაფულ-ი (თუშ.) ჩადაბლებული ადგილი (ქეგლ).
ჩახინცვა (ფშ.) საჭმელში ბევრი პურის ჩაყრა (ი. ჭყონ.).
ჩახიჭინება (გურ.) ჩაჩხრიალება. „ჩუ უხიჭინა ტორში ვერცხლის ფარა“ (წითელმთა, ი. შილაკაძე).
ჩახრიალა (ქიზიყ.) პატარა ჩანჩქერი. ნ. ჩახრიალა (ს. მენთეშ.).
ჩახსაკრავ-ი (ქიზიყ.) წვივსაკრავი, წვივზე პაიჭის შემოსაკრავი აბრეშუმის ზონარი. ნ. წვივსაკრავი (ს. მენთეშ.).
ჩახტ-ი (ფშ.) საყადელი, დაყენებული შეშა. ნ. ჩაღდი (ვაჟა, I, II, ა. შან.).
ჩახტარა (მთიულ.) კოჭლი; ცალფეხა; ცალი ფეხით კოჭლი; ნ. ჩაუხა (ლ. კაიშ.; ქეგლ).
ჩახტუნ-ი (ლეჩხ.) გაძნელებული სიარული. „ასე უპატრონოდ დავჩახტუნობ“ (მ. ალავე, 1).
ჩახულა-ი (გურ.). ნ. ჩახვა¹.
ჩახუნა (ქართლ.). ნ. ჩაუხა.
ჩახუნდარა (იმერ.) კოჭლი, დამტვრეუ-

ლი, დაფეხილი. ნ. ჩაუხა, ჩახტარა (ე. ბერ.).

ჩახურვილა (ფშ.) ჭიმბური ცხელ პური ერბოში ჩაყრილი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 153, 1900; ი. ჭყონ.).

ჩახუხუნება (გურ.) თბილ ლოგინში ჩაწოლა. „დავბანე და ჩაუხუხუნე აკვანში ბალანი“ (წითელმთა, ი. შილაკაძე).

ჩახჩახა¹ (მესხ.) მხიარული, ცოცხალი, მუდამ ხალისიანი და მოლაპარაკე ადამიანი (ი. მაისურ.).

ჩახჩახა² (ჯავახ.) ჭიოტა, მცენარეა (ა. მაყ.).

ჩახჩურ-ი (გურ.) ლურჯი, თხელი ხამის შარვალი (გ. შარაშ.).

ჩაქდომა-ა (თუშ.) მიხევედრა (თ. უთურგ.).

ჩაქინცვა, ქინცვა (ქიზიყ.) ბევრის ჩაყრა ერთად, მაგ., კერძის ჯამში ბევრი პურის ჩაყრა. ნ. ჩახინცვა (ს. მენთეშ.).

ჩაქირჩლულ-ი (მოხ.) უწესრიგოდ ჩაყრილი (ო. ქაქ.).

ჩაქუნტულ-ი (მთიულ.) მჭიდრო, გაჭედილი (ლ. კაიშ.).

ჩაჭყყა (მესხ.). ნ. ჩაჭყყა.

ჩაჭიგრულ-ი (მესხ.) მეტად ჩამწიფებულ მსხალი, გული რომ ჩაუშავდება (ი. მაისურ.).

ჩაჭყყა (მესხ.) მჭიდროდ ცემა, ჩაჭიდვა (ი. მაისურ.).

ჩაპპაკან-ი (ინგილ.) სარძლოს მშობლების მიერ სასიძოს მშობლებსაგან აღებული სასყიდელი, ფულით, პირუტყვით (დიალექტ., 625).

ჩებიჩ-ი (მოხ., ქსნის ხეობ.) თხა ერთნახევარ წლამდე, თიქნის მოგებამდე (ო. ქაქ.); გაზაფხულის მამალი ციკანი (ვ. სომხიშვი.). შდრ. საბა, დ. ჩუბ. თურქ. *çepic*.

ჩევერა (ფშ.) ობლად დარჩენილი დათვის ბელი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 153, 1900; ი. ჭყონ.); ობლად დარჩენილი ნადირთ ნაშვირი (ქეგლ).

ხემლი-ი (იმერ.) ხომლი (ქველ).
ხემლობა (ლენხ.) საკულტო დღეობა 18 ივლისს (მ. ჩიქ.).
ხემლულა (ლენხ.) ხემლის მთიდან მონაბერი ნიავე (მ. ალავე, 3).
ხენვა (გურ.) უშნო სიცილი კბილების გადმოყრით. „რას იხვენები, დამუწე პირი!“ (წითელმთა, ი. შილაკაძე).
ხენტ-ი (რაქ.) მალღობ ადგილებს შუა დაცემული ვაკე (ქველ).
ხენჩ-ი (თუშ.) ყანყრატოს ბექდისებრი ხრტილი (ლ. ლენ.).
ხენცალი-ი (გურ., იმერ.) თევზისა და ქვეწარმავლის სწრაფი მოძრაობა (გ. შარაშ.); ახლად დაქვრილი თევზის მოძრაობა-ხტომაზე იტყვიან (ს. ულ.); ფხაკური, მიტრიალ-მოტრიალება (მ. ალავე, 3; ქველ).
ხენცარიკ-ი (იმერ.) მოუსვენარი მოძრაობა, წრიალი, მცდელობა. „ათასი იხვენცარიკო, მაინც ვერ დეიძვრენ თავს“ (ი. ქაეთ.).
ხენძა (აჭარ.) ცვალებადი ცერცველა, მცენარეა (ა. მაყ.).
ხენჟალი-ი (გურ.) გაბანა, გასუფთაება; გახვენჯალეზულ-ი კარვად დაბანილი, გასუფთაებული (გ. შარაშ.).
ხენჟალიე (ლენხ.) სუფთად, დაბანილი, გაწმენდილი (მ. ჩიქ.).
ხენხვალ-ი (იმერ.): ხვარხვალ-ი ხენცარიკი (ნ.). ფხაკური, მიტრიალ-მოტრიალება (გ. ბერ.).
ხვარ-ი (მესხ.) მტვერი (ქ. სიხ.).
ხვარ (ფშ.) ხომ არ, ხო არ (დიალექტ., 596).
ხვარად-ი (გურ.) მიცვალებულისათვის შესაწირავი ცხოველი (ა. წულ., ეთნოგრ. გურია, 1971, 198).
ხვართქლ-ი (ლენხ.) სარეველა ბალახია, ხვართქლა, მხვევარა, ხვიარა (დიალექტ., 680).
ხვართქლა-ი (გურ.). ნ. ხვართქლი.
ხვარხვალ-ი¹ (გურ., იმერ.) ნელი დუღილი (წყლისა), ჩუხჩუხი; ხვარხვა-

ლოფს დუღს, ჩუხჩუხებს (ა. ლ., გურ.; ვ. ბერ.; ქველ).

ხვარხვალ-ი² (ლენხ.) ლოგინში ტრიალი (მ. ჩიქ.).

ხვარხვარი-ი (ქიზიყ.) მარცვლებიანი ერბო, ხიზილალა და მისთ. (ს. მენთეშ.).

ხვატა (იმერ.) კბილების დაკრეპა; დახვატულ-ი, დახვატულ-ი პირდაღებული, რომელსაც კბილები უჩანს (ვ. ბერ.).

ხვაფ-ი (ხევსურ.) ნ. ლვაფი.

ხვაშნა (გურ.) დედალი თევზი რომ ქვირითს დაყრის, მამალი იმ ქვირითს სითხეს გადაასხამს გასანოყიერებლად, ამას ჰქვია ხვაშნა (ი. ჭყონ.); ქვირითის დაყრის დროს თევზების მოძრაობა (პ. ჯაჯან.).

ხვაწა (რაქ.) ხის კოვზის სათლელი დანა. „ხვაწა მოუხვაწავს ნახოწითა მისითა“ (შ. ძიძ., 218).

ხვაწაწინ-ი (იმერ.) ხის კოვზის ამოსახუტენავი (ნ. ხუტენა), წვერში მოლუნული. ნ. ხვეწი, ხვაწა (გ. ბერ.).

ხვაქა, დახვაქულ-ი (იმერ.). ნ. ხვატა.

ხვედა¹ (ფშ., თუშ., ქართლ., კახ., მესხ., ქსნის ხეობ.) კვერი, ჩაქუჩი, პატარა ურო ხისა; მოკლეტარიანი ხის ურო (ვაჟა, I, II, ა. შან.); ხის საბეგველი, რომელსაც თავთავის კონების გამოსალეწად ხმარობენ (დიალექტ., 645; ა. მარტ., გ. იმნ.; ი. მაისურ.; ვ. სომხიშვ.).

ხვედა² (ხევსურ.) ხვადი. „თორმეტი ხვედა ძალი მყავს, არსად გაუშვა მგელია“ (ლ. ლენ.).

ხვეწურა (თუშ.) ხვართქლა, მცენარეა (ა. მაყ.).

ხვერფ-ი (ზ. იმერ.) ქვევრის თავზე დაყრილი მიწა (ქ. ძოწ.?).

ხვერწილ-ი (იმერ.) ხვეწნა. „ქამაშიც ნიადაგა ხვერწილი ევივრება“ (მ. ალავე, 3).

ხვეწ-ი (ხევსურ., გურ.) მოხრილი რკინა,



- რომლითაც იხვეწება, ე. ი. იფხვეება ხის თეფშები, ხონები და სხვ. (ა. შან.; ა. ღლ.).
- ხვეწა** (ქიზიყ.) ნართისათვის ბეწვების მოცილება (ს. მენთეშ.).
- ხვეწა-ა** (თუშ.). ნ. გახვეწა, დახვეწა.
- ხვეწილ-ი** (ხევსურ.) მსხვილი მოკლედ დაქრილი ვლუეი ხე (ა. ჭინჭარ., 278).
- ხვითშოლობა** (იმერ.) ღვთისმშობლობა (თ. ოქროშიძე, სოფ. ჭოლვეი).
- ხვიანა** (ჯაეახ.) ბუტია; გახვიანებულ-ი ნაწყენი, გაბუტული (ი. პიასურ.).
- ხვიანდაგ-ი** (ქართლ.) წვრილად დახეული თხელი ტყავი, ტყავის ძაფი (კირიონი).
- ხვიარა** (იმერ.) ერთგვარი ბალახია, რაზედმე მოეხვევა და ისე იზრდება (ვ. ბერ.); ხვიარტლა. ნ. დედოფლის კაბა (ა. მაც.).
- ხვიერო** (გურ.) ჰაერში ამდგარი მტვერი (გ. შარაშ.).
- ხვივილ-ი** (ფშ.) მდინარის შხუილისა და ქარის მძაფრი ქროლის ხმა (ვაჟა, I, ა. შან.).
- ხვითო** (გურ.) ზღაპრული ნატურისთვლი, რომელსაც გველი ინახავს და ზოგჯერ ათამაშებს (გ. შარაშ.).
- ხვილე** (ლენხ.) ჩირგვი. ნ. აჟე (მ. ალავე, 1).
- ხვიმირ-ი** (ქართლ., რაჭ., ზ. აჭარ.) წისქვილის ნაწილია: პირამიდისებურად შეკრული ყუთი. რომელშიც დასაფქვავ მარცვალს ყრიან (დიალექტ., 645); წისქვილის ქვაზე მიმავრებული ხის ჭურჭელი, რათაც ხორბალი ეშვება დასაფქვავად (შ. ძიძ., 218; შ. ნიყარ.).
- ხვიმირა** (ლენხ.) მარცვლის ჩასაყრელი წისქვილში. ნ. ხვიმირი (მ. ჩიქ.).
- ხვიმურ-ი** (შფ.). ნ. ხვიმირა.
- ხვინდირა** (იმერ.) უმოძრაო, ზანტი ადამიანი („კომუნისტი“, № 190, 1969).
- ხვინთლიანი-ი** (მთიულ.) წვინტლიანი (ლ. კაიშ.).
- ხვინთქ-ი** (ქართლ.) ხვითქი (ქეგლ).
- ხვინიყ-ი** (ქიზიყ.) ცმუკვა, თამაშის ცილ-კისკისი (ს. მენთეშ.).
- ხვინიკობა** (ქიზიყ.). ნ. ხვინიკი.
- ხვინტლ-ი** (ხევსურ.) სქელი წვინტლი (ქეგლ).
- ხვინტრიც-ი** (გურ.) სიცილ-თამაში; ახვინტრიცებულ-ი ატეხილი (ა. ღლ.).
- ხვინჩალ-ი** (აჭარ.) სიმინდის ტაროს წვერი უმარცვლო (შ. ნიყარ.).
- ხვინწყ-ი** (გურ.) რაიმე ქონება; ხვინწყ-ი არა მაქ არა გამაჩნია რა (გ. შარაშ.).
- ხვინჟა** (ქიზიყ.) წვრილი ქვები, კენჭები (ს. მენთეშ.); წყალთ კენჭი (საბა).
- ხვინჟკ-ი** (რაჭ.) ქვის წვრილი ნატეხი. ნ. ხვინჟკაი (ლაგვანთა, ი. თავაძე).
- ხვინჟკა-ი** (გურ., ლენხ.) ქვიშა. კენჭი; მოხვინტკულ-ი მოკირწყლული, მოკენჭილი (ა. ღლ.); ხრეში (მ. ჩიქ.).
- ხვირ-ი¹** (მობ.) გამხმარი ჩალის ან თივის ღერო (ქეგლ).
- ხვირ-ი²** (გურ.) ფხვირი, მტვერი; ხვირიანი მტერიანი (ა. ღლ.).
- ხვირ-ი³** (მთიულ., იმერ., რაჭ.) სასუქის საზიდი ლასტი (ლ. კაიშ.; ქეგლ).
- ხვირ-ი⁴** (ლენხ., ზ. იმერ., ოკრიბ., რაჭ.) თევზის საჭერი გოდორი (მ. ალავე, 1); ძარი (მ. წერეთ.); დაბალკელლიანი ძარი (მ. ალავე.); სანაკელო გოდორი (შ. ძიძ., 219).
- ხვირა¹** (ლენხ.) ხვადი კატა (მ. ჩიქ.; ქეგლ).
- ხვირა²** (ლენხ.) დიდი დამრგვალი, „ძან ხვირა თავი აქ, მარა ჭკუა არ ეკითხება“ (მ. ალავე, 1).
- ხვირეტ-ი** (ზ. აჭარ.) მარცვლგაცლილი სიმინდის ტარო (შ. ნიყარ.).
- ხვირთქლ-ი** (გურ.) ახალი, ქორფა; „ხვირთქლი კვერი, მჭადი“; „ხვირთქლი ბალანაი“; „ხვირთქლი გოგუები“ (გ. შარაშ.).
- ხვირიკა** (გურ.) ერთგვარი გარეული იხ-

- ვი; მომცრო ტანისაა და სწრაფად ფრენს (ქეგლ); გადატ. მომცრო ტანის ცოცხალი, ცელქი ვაჟი, იშვიათად ქალი; ოხუნჯი, ხუმარა, მხიარული ბავშვი (ა. ლ.).
- ხეირკილა/ე-ა** (იმერ.) მურყნის ნაყოფი. ნ. კვირიკილაი (ვ. ბერ.).
- ხეიხირო** (იმერ.) ძირზე შეკრეკილი თმა, ხოტორა (ვ. ბერ.).
- ხეისქ-ი** (იმერ.): ხეისქ-ი არ გამაჩნია. ე. ი. არაფერი არ მაქვს, უფულოდ ვარ (ვ. ბერ.).
- ხეიტ-ი¹** (გურ., მესხ.) კეჭერა მხლის თავი (ა. ლ.); კომბოსტოს ღეროს გული, ჭამენ (ი. მაისურ.); თავკვრივი კომბოსტოს (საბა); თავსქელის კომბოსტოს ძირის კერძი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).
- ხეიტ-ი²** (ზ. აპარ.) მარცვალგაყრევიგებული სიმინდის ტარო (შ. ნიყარ.).
- ხეიტილა პურ-ი** (ოკრიბ.) საუკეთესო პურეული იყო, უფხო, მსხვილმარცვლოვანი (მ. ალავე).
- ხეიშთ-ი** (იმერ.). ნ. ხეისქი.
- ხეიშირ-ი** (ქართლ.) ფხვიერი (გ. შატ-ბერ., 132).
- ხეიშტ-ი** (გურ., იმერ.) არაფერი; დარჩა ხეიშტ-ი აღარაფერი დარჩა (ა. ლ.).
- ხეიშტაკ-ი** (ფშ.) ჯარის ტარზე წამოცმული რგოლი. „თხოვს სძახდა დევების დედა, ჯარა-ხეიშტაკი ხეიოდა“ (ი. ქეშიკა).
- ხეიშტარა/ე-ა** (იმერ.) გრძელი შალაშინი (ვ. ბერ.).
- ხეიჩილა-ი** (გურ.) ყვინჩილა (გ. შარაშ.).
- ხეიწ-ი** (მესხ.) ხიწვი (ი. მაისურ.).
- ხვლანჯ-ი** (ფშ.) ხვანჯი, ხლართი (ი. ქეშიკა).
- ხვრეტა** (ფშ.). ნ. შეხვრეტა.
- ხვრინჭა** (ქართლ.) ძალიან წვრილი ქვა (თ. სალარ., ალგ., 88).
- ხვრიტიმალ-ი** (იმერ.). ნ. ხურტუმალი.
- ხვრიტინა/ე-ი** (გურ.) ხვრელი. ნ. ჭიტი-ნაი (ს. ჟღ.).
- ხვრიშ-ი** (ქიზიყ.) მაგარი სხეულმასწავლებელი ნამუსრევი, მაგ., მარილისა: ხვრიშ-ი მარილ-ი ზღვის მარილი (ს. მენთეშ.).
- ხვრიშა** (ქართლ.) მსხვილად დაფქველი მარილი (კირიონი).
- ხი** (მთიულ.) ხარის, მოზერის გარეკვის შეძახილი (ლ. კაიშ.).
- ხიპა/ე-ი** (გურ.) ქათმის წიწილის ყელის ავადმყოფობა. ნ. თხიპა/ე-ი (ს. ჟღ.).
- ხიამოვნება** (ქიზიყ.) ზიანის მიყენება. „იმან თუ არავის უხიამოვნა, ხო არ შაიძლება!“ (ს. მენთეშ.).
- ხიბაკ-ი** (გურ.) ბარგი, ავეჯი, ნივთები. ნ. ხაბაკი (ს. ჟღ.).
- ხიბალ-ი¹** (ქიზიყ.) საწამლავი. ავადმყოფობისაგან (უმთავრესად ციებ-ციხე-ლებისაგან) „მოწამლული“ ადამიანი; გადატ. მწარე სიტყვის ადამიანი (ს. მენთეშ.).
- ხიბალ-ი²** (ფშ.) ეშმაკი და კუდიანი (თ. რაზიკ., „ივერია“. № 157, 1900; ი. კყონ.).
- ხიბალ-ი³** (აპარ.) მკლე, გამხდარი (საქონელი, ადამიანი) (შ. ნიყარ.).
- ხიბალუკ-ი** (რაჭ.) ხიბალიკი, ხუმარა, მასხარა (ვ. ბერ.).
- ხიბალხუბალი** (ქიზიყ.) ერთმანეთში არეული ცუდი ხილველი, ადამიანს რომ აწყენს (ს. მენთეშ.).
- ხიბა-ხუბა** (ქიზიყ.). ნ. ხიბალხუბალი.
- ხიბვლა** (ქიზიყ.) მოწამლევა, მომხამევა (ს. მენთეშ.).
- ხიბიკ-ი** (ლენჩ.) გარდიგარდმო დალაგებული მრგვალი ხეები, რომლებზეც ზვინს დგამენ (მ. ალავე, ოკრიბ.).
- ხიბლიხვანჯარა** (ფშ.) თამაშობა ერთგვარი (ვაჟ-ფშ. მც. ლექსიკ.; ქეგლ).
- ხიბორკალ-ი** (ლენჩ., იმერ.) საქონლის ფეხების გასაყრავი ჭედვისას (მ. ჩიქ-ვანი, ნ. აგიაშვილი).
- ხიბრა** (თუშ.) მსხვილი ბზე (თ. უთურგ-ქეგლ).

ბიბრაძე-ი (თუშ.) გაღეწვის შემდეგ დარჩენილი წვრილბზიანი პური, სვილა... (პ. ხუბ.).

ხიღარა (ოკრიბ.) ჩირის გასახმობი ნაგებობა (მ. ალავე.).

ხიდები-ი (მთიულ.) ქალამნის დაწნული ორი თასმა ფეხზე შემოსაჭერი, რომელიც საცხვირედან გამოდის (ლ. კაიშ.).

ხიდკოლოტა (რაქ.) დროებითი სარგებლობის ხიდი: კოლოტებზე დალაგებულია ფიცრები; პონტონის ხიდი („კომუნისტი“, № 190, 1969).

ხიზ-ი¹ (ინგილ., ქიზიყ., ზ. იმერ.) თხის ქონი (ა. შან., 356); ერთად მოდულე-ბული თხის ქონი და დაფქვული აგური ან ნაცარი გატეხილი ქვევრის წასასმელად, რომ სითხე არ გაუვიდეს (ს. მენთეშ., დიალექტ., 611); წყლის მიღების ან გატეხილი ქვევრების საგლესი ნივთიერება. კეთდება ამგვარად: დანაყილ, ვაცირლ თიხას, კვერცხის ცილასა და დაბეგვლ ბამბას გადშოადუღებენ თავლის სანთელში და ცხლად დააგლესენ ქვევრს; რომ გაცივდება, ქვისგან არ ვანირჩევა (ბ. წერეთ.); ცემლი დანაყილი (საბა); ქვევრთა და ჭურთა წასასმელი ქონი ანუ ცემლი (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ხიზ-ი² (ზ. იმერ.) ხეზი, ბამბის ბაწარი, რომელიც სასროლ ბადეს აქვს მობმული თავში. ნ. ხიზა (ბ. წერეთ.).

ხიზა (ფშ., რაქ.) დაგრეხილი მტკიცე ძაფი (ი. ქეშიკ.); მდინარეზე გამბული თოკი (?) (ვ. ბერ.).

ხიზანი-ი (ხევსურ., მთიულ., გუდამაყრ., ჯავახ., მოხ.) ოჯახი (ა. შან.); ოჯახი, წვრილშვილი (დიალექტ., 575); ოჯახი, ოჯახის წევრები (დიალექტ., 650); ოჯახის წევრი, ცოლ-შვილი (ო. ქაჯ.; ს. მაკალ.; ლ. კაიშ.).

ხიზინიანობა (მესხ.) უქეიფობა, ხასიათის გაფუჭება, ავადმყოფური მიზეზიანობა. „ბოვშევი წარამარა ხიზ-მიზიანობა დენ“ (ი. მაისურ.).

ხითერ-ი (ზ. იმერ.) ღია წითელი ფერის ყურძენია, უდრის კახურ ქლიერს (ბ. წერეთ.).

ხიი! (ქიზიყ.) მეხრის შეძახილი ხარისა და კამეჩისადმი გვერდზე მისაყენებლად (ს. მენთეშ.).

ხიკ-ი (რაქ.) წვრილი, უპირატესად ნარიყი, შეშა (ქეგლ).

ხიკვი-ი (იმერ., აჭარ.) 1. გამხმარი ნატეხი პურისა ან მჭადისა; 2. ხიკვებ-ი ხმელი ტოტების ნამტვრევები, წვრილი შეშა (ი. ქავთ.); ფიჩხი (შ. ნიყარ.).

ხიკვა (იმერ., გურ.); მოხიკვა, გროვება, მოგროვება, ერთად რისამე თავმოყრა. „მოხიკე შიშა და დავანთოთ ცეხლი“; გადატ. „ისე დაბეგვს, მოსახიკავათ ვახდა“ (ვ. ბერ.).

ხიკინ-ი (გურ., იმერ.) ხმაური, რახარუხი; ხიკინოფს ხმაურობს; ვახიკინებულ-ი გამხმარი, ცეცხლზე გაფიცებული, მზეზე დამწვარი (ა. ლ.); ვახიკინება; ხიკინ-ხიკინ-ი რისამე გამხმარის ხმაურობა. „ისე გეგხამებია იმ ქალს კაბა, რომ სულ ხიკინ-ხიკინი გაქონდა!“ (ვ. ბერ.).

ხილბანდი-ი (ქიზიყ., ქართლ.) საშინაო ცალბირი თავსახვევი ქალისა, სამკუთხედია (ს. მენთეშ.).

ხილარი-ი (ფშ.) თავლიანი ფიჭა. „მოიგონეთ თავლით სავსე თეთრი ხილარი“ (ი. ქეშიკ.).

ხილვა¹ (იმერ.) ვახილვა, ბოსტნეულის გარჩევა, გამოწმენდა სარეველა ბალახისგან (ვ. ბერ.).

ხილვა² (გურ., იმერ.) სკის ახდა და თავლის ამოღება; სკა-ი ვხილვე ფუტკრის სკა ვავხსენი, თავლი ამოვიღე (ა. ლ.); თავლის გამოღება სკიდან (ვ. ბერ.).

ხილილო (ხევსურ.) ნ. ფაჟა.

ხიმი-ი (გურ.) ჯებირი მორებისა; მორებით ბაკის შემოზღუდვა, შემოღობვა; ახიმვა ხეების მორების ერთმანეთ-



- ზე დაწყობა (ა. ლ.); ლერწისა და ჩალის ბაჟი (საბა); ლერწამ-ჩალის ბაჟი (ნ. ჩუბ.); ლერწმის ზღუდე (დ. ჩუბ.).
- ხიზაა!..** (ქართლ.) ხარისადმი შეძახილი, რომ უკან დაიხიოს (შ. ძიძ., ნ. კეცხ., 3. ხუბ.).
- ხიზალუკ-ი** (რაქ.). ნ. ხიზალუკი.
- ხიზანი** (იმერ., ქართლ.) შარი, მოგონება. ხრიკი; იხიზანებს მოიგონებს, იშარებს (ი. ჭყონ.; შ. ძიძ., ნ. კეცხ., 3. ხუბ.).
- ხიზბიწარ-ი** (ფშ.) დაუდგარი, მოჩხუბარი, დაუსვენებელი, ჩირქინა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჭყონ.).
- ხიზე** (ლენჩ., ზ. იმერ., ქართლ.) გარღვეულ ადგილზე ჩაწყობილი ხის ტოტები. ფიცრები ჯებირად. ნ. ხიში (მ. ჩიქ.); ორმჭკრივად ჩასობილ სარებს შუა ირიბად ჩაწყობილი ძელეებისაგან გაკეთებული ღობე; სარებს ზემოთ თავი შეკრული აქვთ გვერგვით (ნ.) (ბ. წერეთ.); მოკლე სარი (3. გაჩეჩ.).
- ხიზეჩ-ი** (გურ.) საწურში დანაშთი, რაც გაწურვის შემდეგ რჩება. ნ. ხეჩი (გ. შარაშ.).
- ხიზეშ-ი** (გურ.) ხმელი და წვრილი ნამცეცები (გ. შარაშ.).
- ხიზიარ-ი** (ლენჩ.) წნელის ქიშკარი (მ. ალაფ., 1; მისივე, ზეპირსიტყვა.).
- ხიზო!** (გურ.). ნ. ხიზაა!
- ხიზონ-ი** (რაქ.) შეღავათი, გულიდან დარდის გადაყრა. „წყალი დავლიე და გულს ხიზონი მომცა, მიხიზონა“ (ვ. ბერ.).
- ხიზორო** (გურ.). ნ. ხუმერო.
- ხიზლ-ი** (რაქ.) ხის ანახეთქი, ხის ძლიერ წვრილი ნაწილი (ვ. ბერ.).
- ხიზუნა** (ხევსურ.) ტყავის საზელი (ს. მაკალ.).
- ხიზშ-ი** (მოხ.) ფილტვების ზიანი (ო. ქაჯ.).
- ხიზმო!..** (ქართლ.) ხარისადმი შეძახილი, რომ გაჩერდეს (შ. ძიძ., ნ. კეცხ., 3. ხუბ.).
- ხიზა-ა** (თუშ.) ნიჩაბი, იხმარება გახურებული თორნის გამოსაწმენდად (3. ხუბ.).
- ხინდახორ-ი** (მთიულ., ხევსურ.) ცხენის ბაგა (ლ. კაიშ.; ა. ჭინჭარ., 287).
- ხინდე** (თუშ.) დაგრებილი ძაფია; ქსელში ჩასასოვი ბაწარი (ს. მაკალ.; ქ. კრელი., 268).
- ხინდიკა/ე-ა** (იმერ.) ჯაჭგუნა ურემი (ვ. ბერ.).
- ხინდრიკ-ი** (ლენჩ.) უადგილო და უშნო ხმამაღალი სიცილი. „სუფრაზე ყველა შიაწუხა მისმა ხინდიკმა“ (მ. ალაფ., 2).
- ხინკ-ი** (გურ.) ქონება. შეძლება. უხინკუა უქონელი, ღარიბი, არაფრის მქონე. „სხვისას ვბრაწავ თვალებს, სახში არ მაქ ხინკი“ (ა. ლ.).
- ხინკალ-ი¹** (ლენჩ.) წვრილი ფიჩხი (მ. ჩიქ.).
- ხინკალ-ი²** (იმერ.) ნამუსრევი, ნამცეცი (ქეგლ.).
- ხინკალა¹** (გურ.) რძენარევი ღომის ღომია (მ. ალაფ., 3).
- ხინკალა²** (ქსნის ხეობ.) ატმის ჯიშია ერთგვარი (ვ. სომხიშვი.).
- ხინკილა** (გურ.) მოხარშული ღომის ან ბრინჯის მარცვლებით შემზადებული წვენი (ა. ლ.); ღომის, ფეტვის ან ბრინჯის წვნიანი შექამადი (ქეგლ.).
- ხინკლ-ი** (იმერ.) ჭურჭლის ძირში ჩალექილი რამ (ვ. ბერ.).
- ხინტრ-ი** (გურ.) ხრტილი. კანატელა (გ. შარაშ.).
- ხინჩლიანი-ი** (ქართლ.) სუსტი განმრთელობისა (თ. სალარ.).
- ხინცელა** (გურ.). ნ. ხინცოლია.
- ხინცოლია** (იმერ.) აკიდო (ი. ქავთ.).
- ხინცურ-ი** (ქართლ.) მავარი, ძნელად სახვნელი ნიადაგი (ქეგლ.).

ბინძილაჟობა-ა (თუშ.) ბლარძუნი (თ. უთუგ.).

ბინძირიკვა-ი (თუშ.) თეთრი ტალი, კა-
 ეი (თ. უთურგ.).

ბინხილ-ი (ქიზიყ.) ძლივ-ძლივ სიარული
 უძლურისა და ფეხმტკივანი ადამია-
 ნისა, ხანხალი (ს. მენტეშ.).

ბინჯი¹ (გურ.) ნარჩენი, ქოთანში ან
 ქვაბში ჩატოვებული საჭმელი (ა.
 ლ.).

ბინჯ-ი² (ფშ.) მავნე (დიალექტ., 596).

ბიო! (ქიზიყ.) ხარბისადმი შეძახილი
 ვანზე მისაყენებლად. ზოგჯერ ადამია-
 ნსაც ეტყვიან ხოლმე (ს. მენტეშ.).

ბიოდ-ი (იმერ.) ბიოდი „ბატონები“
 (ნ.), როცა წითელა, ხველა და სხვ.
 მორეული არ არის; მოუხიოდ
 ბატონებს მოუბოდიშე, მიუალერ-
 სე. შეეხვეწე „ბატონებს“, რომ არ
 გაჯავრდეს (ვ. ბერ.).

ბიოდ-ი² (ლენხ.) ღრუბელთა გაფანტვის
 შემდეგ დამდგარი მზიანი დარი (მ.
 ალავე, ოკრიბ.; ქეგლ.).

ბიოდიდი (ოკრიბ.) მოსულელო ადამია-
 ნი. „ბიოდდივით იცინის“
 (მ. ალავე.).

ბიოოი!.. ბიოოი!.. (ქართლ.) ხარისად-
 მი შეძახილი ვანზე მისაყენებლად. ნ.
 ხიო (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

ბიოტზე მოსვლა (იმერ.) დაკმაყოფილე-
 ბა, მშიერი კაცის მიერ ცოტა რამის
 ჭამა და ხასიათზე მოსვლა (ნ. აგიაშ-
 ვილი, ვანი).

ბიოჰ-ი (იმერ.) გამხდარი, მჟღე. „რა
 ბიოჰი საქონელია; ცარიელი ძვალ-
 ტყავია!“ (ვ. ბერ.); ძალზე გამხდარი
 (პ. ჯაჭან., X).

ბიპიტურა-ა (თუშ.) სიტყვადაუფიქრე-
 ბელი, მროშავი (პ. ხუბ.).

ბირა-ი (გურ.) უჯიშო საქონელზე
 იტყვიან (წითელმთა, ი. შილაკაძე).

ბირა (აჰარ.) ბირაული, გამხდარი, მავრამ
 ჯანმრთელი ადამიანი, პირუტყვი (შ.
 ნიყარ.).

ბირაგა¹ (ლენხ.) სამფეხა დგამი, წმა-
 რობენ ხარის დაჰედვისას (მ. ალავე,
 1).

ბირაგა² (ლენხ., ოკრიბ.) ვირის კები (მ.
 ალავე, ზეპირსიტყვე; მისივე, ოკრიბ.).

ბირაულ-ი (გურ.) გოგორებზე (ნ.) მოწ-
 ყობილი ფიცრები ტვირთის საზიდა-
 ვად (ი. ჭყონ.).

ბირბიტა (ქიზიყ.) მსუნავი, გაუმამლარი,
 ჭამაში დაფეთებული; მშიერი ადამია-
 ნი; ხარბი (ს. მენტეშ.).

ბირგვალა-ი (გურ.) ნაყარ-ნუყარი, ნა-
 ფოტი, შეშა, ღორღო, ნავაგი ერთმა-
 ნეთში არეული (ა. ლ.).

ბირება (ფშ.) ყოფნა, დგომა. „ეხლა მე-
 გინდ მთელი ღამეც ფეხზე ვეხირო,
 რილას მაქნისი ვარ“ (ი. ქეშვიკ.).

ბირეკვა (გურ.) მოხირეკვა, ნარჩენების
 მოვაროება აქა-იქ. ნ. ნავერაი (გ.
 შარაშ.).

ბირიშ-ი (ფშ., ხევსურ., მთიულ., გუდა-
 მაყრ.) თოფია ერთგვარი, ყირიმი (ვა-
 ქა, IV, ა. შან.; ს. მაკალ., ხევსურ.).

ბირკილო (ზ. იმერ.). ნ. ღირკილო.

ბირკლ-ი (მთიულ.) მუწუჯი (ლ. კაიშ.).

ბირკნა (ლენხ.) გამოხვრა რისამე, კირ-
 კნა. „რავა კურდღელივით ხირკნი
 მაგ ძვალს?“ (მ. ალავე, 1).

ბირო (მესხ.) უხეირო, ჯიუტი, გაუთ-
 ლელი (ი. მაისურ.).

ბირსიზ-ი (აჰარ.) ქურდი (პ. ჯაჭან.).
 თურქ. hirsiz.

ბირხალ-ი¹ (ხევსურ.) მწირმიწიანი ყანა,
 რომელიც ცუდ მოსავალს იძლევა (ა.
 ჭინჭარ., 196).

ბირხალ-ი² (ზ. აჰარ.) ხერხემალი (შ.
 ნიყარ.).

ბირხალ-ი³ (იმერ.) ყურძნის მტენეები
 ასხმული რკალად მოხრილ წნელზე
 (ლ. ლეჟ., 73).

ბირხალა (ოკრიბ.). 1. მარხილის ჭოკი
 თივის, ლობიოს, სოიასა და სიმინდის
 ჩალის მოსატანად; 2. მზენიანისათვის
 თივის ან სიმინდის ჩალის კონის მი-
 საწოდებელი ჭოკი; 3. ხის ჩანგალი—
 ტოტებიანი სარი, რომელზედაც ახ-

- აღდაკლული პირუტყვის ნაწილებს ცალ-ცალკე დაკიდებენ (მ. ალაფ.).
- ხირხატი** (ქიზიყ., შიგნ. კახ., ქართლ.) ქვიან-ქვიშიანი ადგილი, არალამიანი; აქედან: ხირხატი ვენაქ-ი კენქიანი ადგილის ვენახი (ს. მენთემ.); სახნავად უვარგისი, ქვიანი მიწა (ნ. ზუჟაკა, ე. ხუციშვი.); უძალო, მოუსავლიანი ადგილი (თ. სალარ., ალაფ., 88).
- ხირხვალ-ი** (გურ.): ახირხვლა ერთმანეთზე მიყოლებით ოღონდ უწესრიგოდ დაწყობა ნივთებისა, ან დადგომა ადამიანებისა; ახირხვლული უწესრიგოდ მიყრილი ნივთები სიმაღლეზე; იტყვიან დაუბატიყებელ სტუმრებზე: „რას ახირხლულ-ხართ ამ გათენებამდის და კარზე მომდგომხართ!“ (ა. ლ.).
- ხირხვლ-ი** (ფშ.) ნახველიანი ფურთხი (ქველ).
- ხირხვლა** (მთიულ.) ღობის ცუდად შეღობვა (ლ. კაიშ.).
- ხირხიმელა** (ქიზიყ.) ხერხემალი. ნ. ხირხალი² (ს. მენთემ.).
- ხირხინჯ-ი** (აქარ.) ხირხალი² (ნ.), ხერხემალი (შ. ნიჟარ.).
- ხირხიტი-ი** (ლენჩ.) პირუტყვის ადგილზე ტრიალი. „რას ახირხიტებთ მა საქონელს, ბოშებო, კაი ბალახიან უყებში წეიყვანეთ!“ (მ. ალაფ. 1).
- ხირხიტა** (რაჭ.) კოტრანა, ნიგვზითა და ძმრით შეზავებული კომბოსტო (ქველ; მ. ალაფ., 3).
- ხირხიტო** (ქიზიყ., ქართლ.) ნიგვზის, ხახვისა და პამიდურის შეჭამადი (ს. მენთემ.); შეჭამადია. ნიგოზს დანაყავენ და წყალში მოადუღებენ, ზოგჯერ ხახვსაც და კარტოფილსაც უზამენ; მოზეილ და დამრგვალეზულ პურს (კაკლის ოდენას) ჩაყრიან ადუღებულ წყალში და ხარშავენ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); კომშისა და ნიგვზის შეჭამადი (პ. გაჩეჩ.).
- ხირხიტოს არაყ-ი** (ხევსურ.) ნამგოლის ნარეცხისა და სისწენის ნარჩენებისაგან გამოხდილი მაგარი არაყი (ა. ჭინჭარ., 221).
- ხირხიცი-ი** (გურ.) ხითხითი, უწესოდ სიცილი (გ. შარაშ.).
- ხირხოტი-ი** (მოხ., ქართლ.) ქენარევი მიწა. ნ. ხირხატი (ო. ქაჯ.); მწირი მიწა (ს. მენთემ., ქართლ.).
- ხის ქოლვა** (ჯავახ.) ფანჯატური, ოთხ ბოძზე ფიცარგადებული (დიალექტ., 650).
- ხისე** (აქარ.) ჯერი, წილი (ი. მეგრ.).
- ხითილო** (მესხ.) უნახავი, ყველაფერი რომ უკვირს და ახლოს ნახვით თავი მოსწონს (ი. მისიურ.).
- ხითირია¹** (გურ.) საადრეო, ხშირმარცვლებიანი ჯიშის ღობია (გ. შარაშ.).
- ხითირია²** (გურ.) თამაშია ერთგვარი (ვ. ბერ.).
- ხიტინა** (იმერ.) ხრტილი (ვ. ბერ.).
- ხიფ-ი** (ხევსურ., მთიულ., ქიზიყ., ფშ.) შესაღებად გამზადებული დახვეული ნართი, შულო (ა. ჭინჭარ., 257; ლ. კაიშ.); ქიფი, შულო (დიალექტ., 661); მოხრილ მუხლებზე ამოხვეული ძაფის კონა (ი. ქეშიკ.).
- ხიფა¹** (ლენჩ.) ძაფი. ფირფიტაზე დახვეული ნართი (მ. ჩიქ.).
- ხიფა²** (ქსნის ხეობ.) ფარდაგის საქსოვად გამზადებული ერთი ხვეულა ძაფი (ვ. სომხიშვი.).
- ხიფვა** (იმერ.) ძაფის ამოხვევა, ამოკრეფვა, გამართვა გორგლიდან ან აბრეშუმის პარკიდან (დიალექტ., 674).
- ხიფზოლა** (ფშ.) ყინტორა, საქმელი ძირი აქვს, თეროსა ჰგავს (თ. რაზიკ. „ივერია“, № 157, 1900; ი. ჭყონ.).
- ხიფზა** (მოხ., მთიულ.) საქსოვად მომზადებული ნართის ის მხარე, რომელზედაც ნასკვები (მარყუქები) ჯერ არ არის გაკეთებული (დიალექტ., 565; ლ. კაიშ.).

ხიფხოლა (ხევსურ.) ღიმი, ატოლი; მიწის ვაშლივით საქმელია (ა. შან; ა. მაყ.).

ხიშტა (ზ. აქარ.) ლობიოს ჭიშია ერთგვარი (შ. ნიყარ.).

ხიშტა-ა (მოხ.) მიცვალბულის საპატივცემული სუფრა, ქელეხი (ო. ქაჯ.).

ხიშტაკი (ქიზიყ.). 1. ტანისამოსის გვერდებზე ჩასაყენებელი მოვრძო სამკუთხედი ნაჭერია სივანის მისაცემად და აგრეთვე დასაირიბებლად. ნ. აზღოტი და ჩიბუხი; 2. ოქრომქედლის იარაღი, საყალიბე (ს. მენთეშ.).

ხიშქნა (იმერ.) ვაშლისა და მისთანათა უხეიროდ, ღორივით ჭამა, თქვლეფა (ვ. ბერ.).

ხიჩინი (იმერ.) ლიტინი (ი. ქავთ.).

ხიჩო (ხევსურ.) ჩვარი (ს. მაკალ.).

ხიჩხიჩი (ქიზიყ.). ნ. კიჩქიჩი.

ხიჩონი (ხევსურ.) აკვანში ჩასაფენი ქსოვილის ნაჭერია (ა. ჭინჭარ., 259).

ხიჩურ (ი. კახ.) ულამაზო, გონჯი (ქეგლ.).

ხიც (გურ.) ლატანი, ჭოლოკი, რომელსაც ისლის დასამაგრებლად იყენებენ სახლის სახურავზე; დახიცვა დამაგრება ისლისა ჭოლოკებით, ლატანებით, ქარმა რომ არ აიტაცოს (ა. ღლ.); ისლის დასამაგრებელი ლატანი (პ. ჯაჯან.).

ხიცავი (იმერ.) ბლარაძენი, ძიძგილაობა, შექცევით ქიდაობა (ი. ქავთ.).

ხიცინი (იმერ.) ხიციანი, ხიჩინი (ნ.), ლიტინი (ვ. ბერ.).

ხიწვი (ქიზიყ.) ხიჭვი, ლურსმანივით წვეტიანი ანახეთქი ხისა (ს. მენთეშ.).

ხიწვა (გურ.) უგულო მარცვლებისა და ქაფის მორთვევა, რასაც თავზე მოიდებს მოსახარშად შემოდგმული ღიმი (წითელმთა, ი. შილაკაძე).

ხიწი (მოხ.). ნ. ხიწვი.

ხიწიწი (ინგილ., თუშ., ქიზიყ.) ხოხოზიკი, წვრილად დაჭრილი ცხვრას ღუმის გამოღნობის შემდეგ დარჩენილი ნახრავევი (ს. მენთეშ.; პ. ხუბ.; ლ. ლეონ.).

ხიწნა (ზ. იმერ.) ჯიჯნა, ჭამა. „მეჩვედი ერთი მგელი თურმე და ხიწნა ი ბეჭს“ (ბ. წერეთ.).

ხიჭი (მესხ., აქარ.) კედლის აშენების დროს კალატობის მიერ შერჩეული პატარა მორგებული ქვა დიდი ქვების დასამაგრებლად ჩატანებული (ი. მიოსურ.); წვრილი ქვები, კენჭები, ხრეში (შ. ნიყარ.).

ხიქა (იმერ.) ხურდა ქვა, ქვის ნამტვრევი, ატანენ დიდ ქვებს შუა ადგილის გამოსავსებად კედლის აყვანისას (ი. ქავთ.).

ხიქაპაჭუა (გურ.) წვრილმანი სათამაშოები ბავშვისა (წითელმთა, ი. შილაკაძე).

ხიქეპი (გურ.) საგანგებოდ გარეცხილი; გახიქეპება მარცვლეულის საგანგებოდ გარეცხვა (ვ. შარაშ.).

ხიჭვი (ქართლ., ქიზიყ.) ხის ანახეთქი, ნაფოტი. ნ. ხიწვი (ი. ჭყონ.).

ხიჩინი (გურ.) ჩხარუნი, ჩხრიალი. „რა გაქ ჯიბეში, რომ ხიჭინო ფს“ (წითელმთა, ი. შილაკაძე).

ხიქიქურ (გურ.). ნ. ხექექურა.

ხიხა (იმერ.) გამხდარი, მწირი, დალეული, ცოტა. „ათი წელიწადი შენ ხიხანუკი გგონია!“ (ვ. ბერ.); ცუდი რამ, უვარგისი (ი. ქავთ.).

ხიხვი (ლენხ., ქიზიყ.) დიდი და სავსემტვენიანი თეთრი ყურძენი (მ. ალაფ., 1); ძველებური ყურძნის ჭიშია, თეთრი (ს. მენთეშ.).

ხიხია (ქართლ.). ნ. ყაყა.

ხიხიტო (იმერ.) ტყემლის ტყლაპისაგან დამზადებული შეჭამადი („კომუნისტი“, № 267, 1969).

ხიხრიგობა (ქართლ.) საზრდოს გამოლევა, ზამთრისა რომ გამოილევა და გაზაფხულისა აღარ არის; ქესატობა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ქესატობა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 157, 1900; ი. ჭყონ.).

ხიხრიკობა (ქართლ.) სასმელ-საჭმლის ნაკლებობა გაზაფხულობით. ნ. ხიხრიკობა (ვ. შატბერ., 133).

ზიჯა (თუშ.). ნ. ფზიჯა.
ზიჯე (თუშ.). ნ. ფზიჯა.
ზლაკნია (ქართლ., კახ.). ნ. კვირისტავა.
ზლაპი (რაჭ.). ნ. ხრაპი.
ზლარცი (ქართლ.) დიდი ტალახი (თ. სალარ., ალგ., 86).
ზლარცუნ-ი (რაჭ.) ულამაზოდ ხევენა, ხუნტრუცი (ვ. ბერ.).
ზლახანი (გურ.) ზლახუნი (ნ.), შეხება, მიჯარება: ე ზ ლ ა ხ უ ნ ე ბ ა ე ხება; ეხვევა (ა. ლ.).
ზლახუნი (გურ.) ზახუნი, შეფხანა, წაფხანება. ნ. ზლარცუნი, ზლახანი (ი. ჟუონ.).
ზლენა (იმერ.) გლენა, ზლენა; დარტყმა, ხმაურობით დეარდნა, ბრავენი (ვ. ბერ.).
ზლიკვი (გურ.) ზვლიკი (ა. ლ.).
ზლიმინი (ლენჩ.) აურზაური (მ. ჩიქ.).
ზლიფართი (გურ.) გრეხა, მოხრა, მოლენვა; და ზ ლ ი ფ ა რ თ უ ლ ი უ მ ნ ო დ მოხრილი, მოგრეხილი, არასწორი (ა. ლ.).
ზლიჩინი (იმერ.) ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკი (ვ. ბერ.); ზ ლ ი ჩ ი ნ ა ჩახლეჩილი ხმის მქონე, საერთოდ ვინც ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობს (ი. ქავთ.).
ზლუ-ი (გურ.) გველის მსგავსი ქვემძრომი. შდრ.: ზლიკვი (კ. გვარ., 952; ა. ლ.).
ზლუპუზა (ქიზიყ.) ლაწირაკი (ს. მენთეშ.).
ზლუჯუნი (იმერ.) გაცივებულის ზველენა ყეფისებურად (ი. ქავთ.).
ზმალ-ი (ქართლ., მთიულ.) გუთნის ნაწილია: საკვეთლის მსხვილპირიანი ნაწილი, რომელიც მიწას ჭრის (დიალექტ., 645); ღერძი, რომელშიც ურმის თვალა გაყრილი (ლ. კაიშ.).
ზმალა (ქართლ.) ლაქაში, მცენარეა (ა. მაყ.).
ზმატურა-ი (აჭარ.) მიწის ვაშლი (ი. მეგრ.).

ზმელა (გურ.): ზ მ ე ლ ა ჭ ა დ - ი მხოლოდ მჭადი, ცარიელი მჭადი უკერძოდ. „ზ მ ე ლ ა ჭ ა დ ი თ გვეზიარდე ამხელა კაზახი“ (ა. ლ.).
ზმელარი (გურ.) უსიამოვნო გემო, რომელიც დაპყვება მზეზე დადგმულ ჭურჭელში ჩასხმულ წყალს; ზმელის გემო (გ. შარაშ.).
ზმელარობა (იმერ.) უთოვლობა და უწვიმობა, მშრალი ამინდი ნაშემოდგომეგსა და ზამთარში, „ახალ თვარეს ეტყობა, რომ კილო ზ მ ე ლ ა რ ო ბ ა წეივლის ერთ ხანს“ (ი. ქავთ.).
ზმელ-ი ბალახი (ინგილ.) თივა. შდრ.; სათეგა (მ. ჯან.).
ზმელ-ი სუნელი (ქვ. იმერ.). ნ. უცხო სუნელი.
ზმელჭად-ი (იმერ.). ნ. ზმელა.
ზმერთლა (გურ.) საქონლისათვის დაყრილი საკვების ერთბაშად შექმა. „თუ კი მუუტანე რამე ჩემ ძროხას, ისე ამ ო ზ მ ე რ ტ ლ ა ე ს, ღერი არ დარჩება“ (წითელმთა, ი. შილაკაძე).
ზმიად-ი (კახ., ფშ., მოხ., ქართლ.) ტაფაზე გამომცხვარი პური (ნ. ზუკაყ., ე. ხუციშვი.); უსაფუტროდ გამომცხობილი პური (ვაჟა, II, ა. შან.; ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).
ზმიანდ-ი (ქართლ.). ნ. ზმიადი.
ზმო (იმერ.) ზმო (ნ.), ზმო (ნ.), ზმო (დიალექტ., 674).
ზმუკ-ი (აჭარ.) მკლე, გამზდარი, სუსტი (საქონელი) (შ. ნიყარ.).
ზმუნე-ი (ქიზიყ.) ძაფის დაძახვის ან რამდენიმე წვერის ერთად შეგრების დროს ცალი წვერი რომ გადაიგრიხება, ყულფს გაიკეთებს და შემდეგ, წვერების ერთმანეთზე შეგრებისას, გვერდზე გამოეკიდება მეჭეჭევით, იტყვიან: ზ მ უ ნ ე ი შ ა ყ ვ ი ა (ს. მენთეშ.).
ზმუნვა-გრეხა (ფშ.) მანკვა, პრუწვა-გრეხა (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკა).
ზნარცვი (გურ.) ღრმა თხრილი, ნაპრალი (ა. ლ.).

ხნე (იმერ., გურ.) ხნიერი. ხანდაზმული, მოხუცი (ქეგლ).

ხო (იმერ., გურ. ქართლ., ქიზიყ.) ხომ (დიალექტ., 611).

ხოზზარი (მთიულ., მოხ.) ტიტველი (ლ. კაიშ.; ო. ქაჯ.).

ხოზო (აჭარ.) ხზო (შ. ნიყარ.).

ხოზოკა/ე.-ა (იმერ.) მავარკანიანი კვახი (ვ. ბერ.).

ხოზოკურა/ე.-ა (იმერ.). ნ. ხოზოკა/ე.-ა. ხოდ-ი (მთიულ.) ცხენი (ს. მავალ.).

ხოდაბუნ-ი (ფშ.) დიდი ახო ტყეში (ვა-ქა, II, ა. შან.).

ხოდაბუჭური (ფშ.) ხატის ყანა, მიმუ-ლი (ვაქა, II, ა. შან.).

ხოვ-ი (მთიულ., ინგილ. მოხ.) ხვაეი (ლ. კაიშ.; ო. ქაჯ.; დიალექტ., 565).

ხოვაჭყევა (ქსნის ხეობ.) მოთქმით ტი-რილი. „მორბოდა ხოვაჭყევაითა“ (ვ. სომხიშვი.).

ხოვლი-ი (ფშ.) ნაოხარი ადგილი (ქეგლ).

ხოვლი-ი² (რაჭ.) მოხვეული გზა (ქეგლ).

ხოვლურა (ქართლ.) სოფ. ხოვლიდან გამოთხოვილი ქალი (ვ. შატბერ., 133).

ხოზ-ი (ქსნის ხეობ.) ბალახეული მცენ-არება ერთგვარი (ვ. სომხიშვი.).

ხოზიკ-ი (იმერ.) აკილება, აკვიატება, ატორლილება. „არ ვიცი, ამეხო-ზიკა და აგერ ღერი წელიწადია მე ვარჩენ და ვერ მევიცილე“ (ვ. ბერ.).

ხოზიკა (გურ.) ბირკა, მცენარება. ნ. ლორნიკა (ა. მაყ.; ქეგლ).

ხოზო (მთიულ., იმერ.) ყინტორა; მსხვილ-მარცვლიანი უღებო პური (ა. მაყ.).

ხოზუა (ფშ.) ბალახოვანი მცენარე. მის ნორჩ ღეროს ჰამენ (ი. ქეშვიკ.).

ხოთგრიალ-ი (თუშ.) ხმაური, აურზაური (თ. უთურგ.).

ხოკ-ი¹ (ჩაქაბ.) ბებერი კამეჩი (ი. მა-ისურ.).

ხოკ-ი² (იმერ., ზ. იმერ.). 1. ღორის ავადმყოფობაა, კირი (ი. ქავთ.); 2. ბა-ტის ავადმყოფობაა: ყრონტის სიმსივ-

ნე (ზ. წერეთ.); 3. ხობოკური, ნიყარა- (დიალექტ., 674); ღორთა და კამბეშ-თა სენი, ყაპუ (საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ხოკ-ი³ (ქართლ.) ღვინით გაუმძლარი (მ. მესხ.).

ხოკანა (იმერ.) ლეშა, მცენარე (ა. მაყ.).

ხოკერ-ი¹ (ხევსურ., ფშ., მთიულ., გუ-

დამაყრ., თუშ., ზ. აჭარ.) ვაჩჩილი

მატყლის (ნამტენის) შესანახი ჭურჭე-

ლი, ცაცხვის ქერქისაგან მზადდება,

ცხრილსა ჰვავს. ოღონდ უფრო ვიწროა

და ღრმა. ნ. ჯარჯი (ა. ჭინჭარ., 254);

ხის ქერქისაგან გაკეთებული უხელო

კალათი (დიალექტ., 596); ხის ქერქი-

საგან გაკეთებული მრგვალი ჭურ-

ჭელი, რომელსაც თავსა და ბოლოს

სარქველი (სახურავი) ჰქონდა შემო-

კერებული და სკად (ბუჯად) ხმარობ-

დნენ, თუ მარტო ძირი ჰქონდა. მატყ-

ლის, კერძოდ, ფარტენის (ნ.). შესა-

ნახად იყენებდნენ (დიალექტ., 570);

ხის ქერქისაგან გაკეთებული მატყლის

ჩასაწყობი კასრი (ვ. ვირსალ.); ხის

ქერქისაგან გაკეთებული მატყლისა და

ნართის შესანახი ჭურჭელი (თ.

უთურგ.); სახილე ჭურჭელი, წაბლის

ან ბლის ქერქისაგან გაკეთებული (შ.

ნიყარ.); ხის ქერქის ჭურჭელი (საბა;

ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.).

ხოკერ-ი² (ზ. აჭარ.) თავის ქალა (შ.

ნიყარ.).

ხოკერ-ი³ (ზ. აჭარ.) მწირი, ხრიოკი, მო-

უსავლიანი მიწა (შ. ნიყარ.).

ხოკერა¹ (იმერ., ლეჩხ.) გოგრაა ერთ-

გვარი (ა. მაყ.); სქელკანიანი გოგრა

(მ. ალავ., ქეგლ).

ხოკერა² (ხევსურ., მოხ.) დაბალი და

სქელი, ხოკერივით ჩამრგვალებული

(ქეგლ).

ხოკია (იმერ.) აბანოს კია (ქეგლ).

ხოკიალ-ი (გურ.) თრევა მაგარი საგნისა

(წითელმთა; ი. შილაკაძე).

ხოკის ბალახ-ი (იმერ.). ნ. ხოკანა.

ხოკო (იმერ.) კვანის გარეკანი. ზოგჯერ მას ჭურჭლადაც ხმარობენ (პ. ჯაჭან., X).

ხოკორა (ლეჩხ.) ნ. ხოყერა¹.

